საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
21 აგვისტო – 4 სექტემბერი, 2013
№31 (218)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«საქართველო და მსოფლიოს» შემდეგი ნომერი გამოვა 4 სექტემბერს



2

«თუ ივანიშვილი მართლაც გადადგება, მაშინ დადასტურდება ვერსია, რომელიც მე ერთხელ გამოვთქვი, მაგრამ რომლის დაჯერებაც თავად არ მინდა. მისი არსი იმაშია, რომ ივანიშვილს არანაირი პრინციპული უთანხმოება სააკაშვილსა და მის რეჟიმთან არ ჰქონდა»

## ალექსანდრე ჭაჭია: საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი – ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას



## საპრეზიდენტო მარათონის ზოოლოგიური ვნებანი

6

«მეცხრე არხი» დაიხურა, სამაგიეროდ, «ტაბულა» მუშაობს, ძმებო!»

5 დაიწყებს თუ არა «დიდ წმენდას» ბიძინა ივანიშვილი?

10 მიხეილ მაჭავარიანმა ბელადის ძეგლს ესროლა

11 «ქართული საზოგადოების ნდობის მანდატი მოქმედებს მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებამდე»

13 «ადამიანო, რად გადაგიწყვეტია ტალახში გორაობა და მყრალი წყლის დალევა?!»

14 «სააკაშვილმა ანაკლიის პორტის იდეა მოიპარა და იქ სასტუმროები ააშენა!»

ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაკარგული 16 მილიონები

23 Yankee, go home!

9 «რომელი ერთი დაპირებაა შესრულებული, ან რომელს ეტყობა, რომ ოდესმე შესრულდება?»

8 «ქვეყანაში რომ 50 საპრეზიდენტო კანდიდატი გეყოლება, ეს უკვე პოლიტიკური იუმორის თემაა»

12 «ახალი ძალა უნდა გამოვიდეს ასპარეზზე, რომელიც რადიკალურად და ძირეულად შეცვლის ვითარებას»

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲘᲪᲘᲗ ᲠᲐ, ᲑᲝᲚᲝ ᲝᲪᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ-ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ. ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲗᲕᲘᲡᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲔᲤᲘᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲪ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲡ.

# ალექსანდრე ჭაჭია: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ ᲓᲔᲜ ᲡᲘᲐᲝᲞᲘᲜᲘ — ᲑᲘᲭᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲛᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲡ

**ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ.**

**— ბატონო ალექსანდრე, საქართველოში საპრეზიდენტო მარათონი დაიწყო, უკვე ორმოცამდე ადამიანმა გამოთქვა არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი. მიმდინარე წელს თქვენ რამდენიმეჯერ გამოხვედით წინადადებით, რომ ახალი პრეზიდენტისთვის დაგვეკისრებინა აფხაზებთან, ოსებთან, ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების აღდგენის ვალდებულება, რათა ბოლოსდაბოლოს გადაწყდეს ქვეყნის ტერიტორიული პრობლემა. როგორ ფიქრობთ, რატომ უგულებელყო თქვენი წინადადება ახალმა ხელისუფლებამ?**

— მე, სხვათა შორის, ვთავაზობდი, დაევალდებულებინათ პრეზიდენტი, უკვე 1-2 წლის შემდეგ ამ მიმართულებით თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები წარედგინა საზოგადოებისთვის. გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტობაზე პრეტენდენტთა რიცხვი არ იქნებოდა ორი-სამის მეტი და მათთვისაც თხოვნა იქნებოდა საჭირო, რათა კენჭი ეყარათ. მაგრამ **ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲡᲔᲠᲖᲔ ᲓᲐᲡᲕᲐᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲣᲡᲐᲥᲛᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ, ᲮᲔᲚᲡ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲐᲓ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲘᲧᲕᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲫᲚᲘᲔᲠ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ ᲔᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ.**

საერთოდ, ივანიშვილის ქცევიდან, მისი საკადრო პოლიტიკიდან, რიტორიკიდან გამომდინარე, **ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲗᲣ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲔᲗ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲚᲐᲓ ᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ. ᲐᲠᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲐᲠᲪ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ, ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲐᲠ ᲔᲮᲔᲑᲐ. ᲠᲐᲙᲘ ᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲡ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ, ᲛᲐᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲐᲣᲐᲠᲝᲜ, ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲘᲤᲐᲠᲒᲚᲝᲜ, ᲐᲠ ᲒᲐᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲝᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲐᲛ, ᲛᲐᲗᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲣᲘᲛᲔᲓᲝ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ.**

თუთიყუშივით იმეორებენ ივანიშვილის გაუგებარ სენტენციას: „ჩვენს ძმებ აფხაზებთან და ოსებთან ერთად ავაშენებთ აყვავებულ საქართველოს“. რომელმა აფხაზმა გიწოდა ძმა? რომელი ოსი დაგთანხმდა ერთად ქვეყნის აშენებაზე? გაიხსენეთ სააკაშვილის მმართველობის პირველი წლები, ისიც ლაყბობდა ძმობაზე, უკვეთავდა ისეთ სამარცხვინო კლიპებს, როგორიცაა „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“, სადაც დაქირავებული მომღერლები ყველას აფხაზეთში ეპატიჟებოდნენ. სოხუმში სიამოვნებით აჩვენებდნენ ამ კლიპს, რათა დაეცინათ ბრიყვი ქართველებისთვის. **ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲑᲘ, ᲐᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲯᲔᲠᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲞᲠᲐᲒᲛᲐᲢᲣᲚᲘ, ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡ.**

**— საქართველოში ბევრი ელოდა, რომ თქვენ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდით მონაწილეობას. ჩვენმა რედაქციამ ათობით წერილი მიიღო, რომლებშიც ცალკეული პირები, მოქალაქეთა ჯგუფები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოგიწოდებენ, წამოაყენოთ თქვენი კანდიდატურა. განსაკუთრებით ბევრი წერილია სამეგრელოდან. ზოგიერთი მათგანი ჩვენ გამოვაქვეყნეთ. ხალხი კი არ გთავაზობთ, არამედ მოითხოვს თქვენგან ასეთ გადაწყვეტილებას.**

— მე გაზეთებში წავიკითხე ეს წერილები, პირადადაც ვესაუბრე ბევრ ადამიანს, რომლებიც ამ ნაბიჯს საჭიროდ და დროულად მიიჩნევენ. მაგრამ მე ვერ მივიღებ ამ არჩევნებში მონაწილეობას, იმიტომ, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე არ ვცხოვრობდი საქართველოში. მართალია, მე საქართველო ჩემი ნებით არ დამიტოვებია და ეს ყველამ იცის, მაგრამ კანონი კანონია.



**«ᲗᲣ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲕᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲐᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲘ ᲘᲛᲐᲨᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ»**

**— სალომე ზურაბიშვილიც არ ცხოვრობდა საქართველოში ბოლო წლების მანძილზე, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობას აპირებს...**

— ზურაბიშვილისთვის რამეს მოიფიქრებენ, ჩემთვის ფიქრით კი თავს არ აიტკივებენ. ამას გარდა, ახალი კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში რეალური ძალაუფლება პარლამენტსა და მთავრობას ეკუთვნის. **ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ, ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ, ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ.** ჩემს შემთხვევაში ასეთი თანამშრომლობა გამორიცხულია ორი მიზეზით: პირველი — ივანიშვილმა უკვე იპოვა თავისთვის ისეთი პრეზიდენტი, როგორიც მას სჭირდება და ყველა კონკურენტს, თუნდაც მან გაიმარჯვოს კიდეც არჩევნებში, აღიქვამს მტრად; მეორე — მე ჩემს საქმიანობაში შემიძლია ვიხელმძღვანელო მხოლოდ საქართველოს ეროვნული ინტერესებით, ჩემთვის ამერიკის საელჩოს შტატგარეშე თანამშრომლის როლი მიუღებელია. ეს პოზიცია აუცილებლად მიმიყვანს კონფლიქტამდე ამ მთავრობასთან და ამ პარლამენტთანაც. საერთო ჯამში კი ისინი მაინც არ გამაკეთებინებენ იმას, რის გაკეთებასაც შევძლებდი პრეზიდენტის რანგში.

**— ამერიკელებთან არ შეიძლება ურთიერთმისაღები ურთიერთობების დამყარება?**

— შეიძლება, თუ მე დავთანხმდები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე და ამით გზას გავუხსნი ნატოს სამხედრო ბაზის საქართველოში განთავსებას, დავთანხმდები ისლამური ექსტრემისტებისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში დერეფნის გახსნაზე, აჭარაზე თურქეთის უფლების აღიარებაზე, ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზაციაზე, იუვენალური იუსტიციის შემოღებაზე, უარს ვიტყვი ტრადიციულ მსოფლმხედველობაზე, ეროვნულ, სულიერ ღირებულებებზე და შევცვლი მათ ამერიკული კულტურული სუროგატით, მაგრამ მაშინ ეს მე არ ვიქნები.

**— მახსენდება ინტერვიუ, რომელიც თქვენ მიეცით ჩვენს გაზეთს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. თქვენ მაშინ დიდი ოპტიმიზმით საუბრობდით იმ პერსპექტივების შესახებ, რომლებიც ივანიშვილის კოალიციის გამარჯვებასთან დაკავშირებით იკვეთებოდა. დღეს იმედი გაგიცრუვდათ?**

— დიახ, იმედი გამიცრუვდა. ჩემში არასოდეს იწვევდა ოპტიმიზმს კოალიციის შემადგენლობა, მაგრამ თავად ივანიშვილის იმედი მქონდა. საერთოდ, მე წინააღმდეგი ვარ, რომ არჩევნების შემდეგ მაშინვე ახალი ხელისუფლების მწვავე კრიტიკა დაიწყოს. სააკაშვილის შესახებაც კი მისი მმართველობის პირველ წელს არაფერს ვამბობდი. ვფიქრობდი, რომ მას რაიმე მაინც ასწავლა შევარდნაძის ბედმა და მისი პოლიტიკის შედეგებმა. **ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲪ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲘᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲣᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲝ ᲠᲝᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘ, ᲣᲑᲘᲫᲒᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲢᲧᲕᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ.** ძალიან კარგია, რომ ხალხს აღარ კლავენ და არ აწამებენ, სამშობლოში ბრუნდებიან გაძევებული მოქალაქეები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი განვითარებისთვის, ქვეყნის არსებითად ახალ მდგომარეობაში გადასვლისთვის. ქვეყანას სჭირდება ახალი საგარეო პოლიტიკა, ახალი ეკონომიკა, სულიერ-ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვის ახალი მექანიზმები. სამწუხაროდ, არაფერს ეტყობა, რომ ახალ ხელისუფლებას ეს ესმის.

იცით რა, ბოლო ოცწლეული საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის პერიოდი. ეს ერთიანი პერიოდია პრინციპული მახასიათებლებით, ხარისხობრივად, თვისობრივად და შედეგების მიხედვით. ძალიან არასასურველია, რომ ამ ერთიანი მმართველობის ისტორიული ფარგლები გაფართოვდეს, ხოლო მის დასახელებაში დეფისით გამოყოფილი ივანიშვილის გვარიც გაჩნდეს.

**— როგორ აფასებთ საპრეზიდენტო კანდიდატთა რაზმის შემადგენლობას?**

— მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში სტაჟიანი პოლიტიკოსებიც მონაწილეობენ, მაინც, როგორც ჩანს, არჩევნები რაღაც კლოუნადად გადაიქცა. ამ კომედიაში მონაწილეთა რაოდენობა და შემადგენლობა მეტყველებს სამ მნიშვნელოვან გარემოებაზე:

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** — სააკაშვილის ამ თანამდებობაზე ყოფნამ პრეზიდენტის პოსტი იმდენად გააუფასურა, რომ პოლიტიკისგან ყველაზე შორს მდგომ ადამიანსაც კი ჰგონია, თითქოს მისთვისაც შესაძლებელია პრეზიდენტობა. ლოგიკა მარტივია: თუ მიშა 9 წელი იჯდა პრეზიდენტად, მე რატომ არ შემიძლია? **ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲑᲝᲚᲝ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲭᲘᲠᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲗ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ, ᲣᲤᲔᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲘ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲪ ᲙᲘᲐ, ᲘᲧᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ.** მე ვიცნობდი და ახლაც ვიცნობ პარლამენტის რამდენიმე წევრს, რომლებიც უცხო საზოგადოებაში მალავენ თავის სტატუსს;

**ᲛᲔᲝᲠᲔ** — იმ ვალდებულებების არქონისას, რომლებითაც მე ვთავაზობ- ▶

**„თქვენ არ გაკვირვებთ ივანიშვილის სიტყვები იმის თაობაზე, რომ მას იმედი გაუცრუა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ განცხადებამდე ერთი წლით ადრე? ნუთუ 3-5-7 წლის წინ არ იყო გასაგები, საით მიჰყავს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ლიდერს საქართველო? აგვისტოს ომის შემდეგაც არ იყო გასაგები? მოსახლეობის უმრავლესობისთვის გასაგები იყო, ხოლო ივანიშვილისთვის არა? ასე რომ, ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეებთან მიმართებაში რაიმე იდეოლოგიურ მოსაზრებებზე საუბარი ზედმეტია.“**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დი, დაეტვირთათ პრეზიდენტი, ეს თანამდებობა აღიქმება, როგორც საპატიო, კომფორტული დროის ტარება, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას, უნარს, შესაძლებლობებს, პატივი და კომფორტი კი ჩვენს ხალხს უყვარს, განსაკუთრებით სახელმწიფოს ხარჯზე;

**მესამე** — თავისი საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებლობის რაიმე მექანიზმების არარსებობა პრეზიდენტის პოსტს უკიდურესად მიმზიდველს ხდის. ყოველი კანდიდატი დაგპირდებათ ყველა პრობლემის მოგვარებას და ქვეყნის მიწიერ სამოთხედ გადაქცევას. რით რისკავს იგი ამ დროს? არაფრით. 5-წლიანი ვადა მას გარანტირებული აქვს, ხოლო შემდეგ — საპატიო პენსია და უზრუნველი ცხოვრება. ეს ეხება სხვა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებსაც.

ამიტომ **მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მე მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ კანდიდატებისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგება.**

მაგალითად, კანდიდატი გპირდებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, მოითხოვეთ მისგან საჯარო განცხადება, რომ, თუ იგი პირველი ორი წლის მანძილზე ორჯერ-სამჯერ მაინც არ ჩავა სოხუმში, არ შეხვდება იქაურ ხელმძღვანელობას, ადგილობრივ საზოგადოებას, არ ჩაატარებს მოლაპარაკებებს ამ თემაზე მოსკოვთან, მაშინ გადადგება თავისი წინასაარჩევნო დანაპირების შეუსრულებლობის გამო. გპირდებათ კანდიდატი მილიონ სამუშაო ადგილს? ე.ი. 2 წლის შემდეგ იგი ვალდებულია, წარმოადგინოს თუ 400 ათასი არა, 200 ათასი სამუშაო ადგილი მაინც; წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა დატოვოს თანამდებობა და ა. შ. მოდით, ამ ხერხით მაინც ვცადოთ, ვაიძულოთ პოლიტიკოსები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ მოვალეობებს.

**— საზოგადოებაში საუბარია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობს. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— ამერიკელები არ მისცემენ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების უფლებას ამ ეტაპზე. მათ განახორციელეს ფანტასტიკური ოპერაცია: მიაბეს ივანიშვილის ლოკომოტივს მათ კონტროლქვეშ მყოფი პარტიები, რომლებსაც სააკაშვილის შემდეგ არანაირი შანსი არ ჰქონდათ, არჩეულნი ყოფილიყვნენ პარლამენტში.

**ამერიკელებმა პარლამენტი ჩამოაყალიბეს „ნაციონალური მოძრაობისა“ და მასთან სულით, იდეოლოგიურად და ხელქვეითობის მიხედვით ახლო მყოფი პარტიებისგან. მათ შეუძლიათ გარკვეული საკითხების გამო წაკინკლავდნენ, მაგრამ პრინციპულ პოლიტიკურ საკითხებში ერთსულოვნად გაჰყვებიან ამერიკულ ხაზს. ასეთი პარლამენტის დათხოვნა შეიძლება?**

არ ვიცი, ისედაც რამდენად შესაძლებელია დღეს არსებული პოლიტიკური პარტიებისგან თვისობრივად განსხვავებული პარლამენტი აირჩეს. ჩვენ ხომ არ გვყავს პარტიები, რომელთაც მტკიცე იდეოლოგიური პლატფორმა, მკაფიო იდეური პრინციპები გააჩნიათ. **პარტიები იქმნება არა იდეებზე, არამედ კონკრეტულ ადამიანებზე მორგებულად. მაგრამ უბედურება ისაა, რომ იდეური ლიდერების საშინელი დეფიციტიც გვაქვს. ჩვენი პოლიტიკოსები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ყველაფრით, იდეების გარდა.** თუ გახსოვთ, სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ჯგუფი გამოეყო შევარდნაძეს და „მოქალაქეთა კავშირს“ „ვარდების რევოლუციამდე“ ერთი წლით ადრე, რაც ახსნეს იმით, რომ შევარდნაძე ატარებს მიუღებელ პოლიტიკას, გადაუხვია დემოკრატიულ პრინციპებს და ა.შ. მე მაშინ საჯაროდ ვსვამდი კითხვას: რით განსხვავდება შევარდნაძის ბოლო ერთი წლის პოლიტიკა იმ პოლიტიკისგან, რომელსაც იგი ატარებდა 3-5-7 წლის წინ, როდესაც ეს სამეული და მათი თანამებრძოლები ერთგულებას ეფიცებოდნენ და აღმერთებდნენ მას? ნათელია, რომ არანაირი იდეოლოგიური მოტივი მათ უთანხმოებაში არ იყო. უბრალოდ, ამერიკელებმა გადაწყვიტეს, მოეშორებინათ შევარდნაძე, რომელმაც საკუთარი თავი სრულად ამოწურა და სძულდა მთელ ერს, და შეეცვალათ იგი თავიანთი კურსის ახალგაზრდა, ენერგიული გამტარებლებით.

**თქვენ არ გაკვირვებთ ივანიშვილის სიტყვები იმის თაობაზე, რომ მას იმედი გაუცრუა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ განცხადებამდე ერთი წლით ადრე? ნუთუ 3-5-7 წლის წინ არ იყო გასაგები, საით მიჰყავს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ლიდერს საქართველო? აგვისტოს ომის შემდეგაც არ იყო გასაგები? მოსახლეობის უმრავლესობისთვის გასაგები იყო, ხოლო ივანიშვილისთვის არა? ასე რომ, ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეებთან მიმართებაში რაიმე იდეოლოგიურ მოსაზრებებზე საუბარი ზედმეტია.**



**«შეერთებული შტატები უბრალოდ პლანეტის უმდიდრესი ადამიანების კერძო კორპორაციაა, ხოლო აშშ-ის მთელი პოლიტიკური კლასი ამ კერძო კორპორაციის თანამშრომლები არიან. და აქ არანაირი სახალხო დემოკრატიის სიოც კი არ ქრის»**

**— რას ფიქრობთ ივანიშვილის სურვილზე — გადადგეს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? როგორ ფიქრობთ, ეს პიარსვლაა თუ ნამდვილი სურვილი?**

— თუ ეს პიარია, მაშინ ეს მას ავტორიტეტს არ გაუზრდის ქართულ საზოგადოებაში. თუ მას იმ სპექტაკლის განმეორება სურს, როდესაც შევარდნაძის წინაშე თბილისის საზოგადოების ნაწილმა მუხლი მოიდრიკა, ამის გამეორება უკვე ფარსი იქნება. მეტიც, ასეთი პროვინციული კეკლუცობა ქვეყნის ინტერესებს ვნებს. იგი ჩვენ გვპირდება რაღაც საგარეოპოლიტიკური ინიციატივების წამოწევას, რუსეთთან მოლაპარაკებების წარმართვას, ეკონომიკაში მსხვილი კერძო ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ვინ წავა მოლაპარაკებებზე ადამიანთან, რომელიც მალე მიდის? ვინ ჩადებს ფულს, თუ მათი დაცულობის გარანტი ხვალ არავინ იქნება?

**— იგი აცხადებს, რომ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას და ყველა დანაპირების შესრულების გარანტიას იძლევა...**

— ეს შეუძლებელია. **საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი. ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. ჩაიგდებენ თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები.** მას საჭიროების შემთხვევაში მოუწევს მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ელჩსაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება. **თუ ივანიშვილი მართლაც გადადგება, მაშინ დადასტურდება ვერსია, რომელიც მე ერთხელ გამოვთქვი, მაგრამ რომლის დაჯერებაც თავად არ მინდა. მისი არსი იმაშია, რომ ივანიშვილს არანაირი პრინციპული უთანხმოება სააკაშვილსა და მის რეჟიმთან არ ჰქონდა, მაგრამ ეს თავხედი ახალგაზრდები მისგან სულ მეტ და მეტ ფულს მოითხოვდნენ, ამასთან, მადლობის თქმითაც არ იწუხებდნენ თავს. უცერემონიო სააკაშვილმა, ეტყობა, აწყენინა მას, არ გამოვრიცხავ, რომ შეურაცხყოფაც მიაყენა. ივანიშვილი თავმოყვარე ადამიანია, საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობით.**

შეუძლებელია, ამერიკელებს ყურადღება არ მიექციათ ამ ურთიერთობებისთვის. მათ თავიანთი პრობლემა ჰქონდათ: ცხადი გახდა, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის შემდგომი დარჩენა ხელისუფლებაში შეუძლებელი იყო – უკმაყოფილება მოიცავდა მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს, მწიფდებოდა მასშტაბური სტიქიური ბუნტი, „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ კიდევ ერთი არჩევნების გაყალბებას ხალხი ვერ მოითმენდა, იქმნებოდა სოციალური აფეთქების რეალური საფრთხე. ეს არა მხოლოდ აშშ-ის იმიჯს ურტყამდა, რომელიც ბოლო 9 წლის მანძილზე საქართველოს „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებდა, არამედ შეუძლებელს ხდიდა კონტროლირებადი პოლიტიკური ძალების შემდეგი ეშელონის ხელისუფლებაში მოყვანას, რადგან ამერიკულ „ბახალებს“ სოროსის სტრუქტურებიდან ხალხი უკვე აღარ მიიღებდა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გადაწყდა ოპერაცია „ლოკომოტივის“ ჩატარება. **ამერიკელები მოელაპარაკნენ ივანიშვილს, რომ ისინი არ დაუშვებენ არჩევნების მასობრივ ფალსიფიკაციას, მაგრამ სანაცვლოდ ივანიშვილმა თავისთან ერთად პარლამენტში ის პარტიები უნდა შეათრიოს, რომელთაც რეკომენდაციას ამერიკელები მისცემენ. ამგვარად, ივანიშვილმა შური იძია სააკაშვილსა და მის თანამზრახველებზე, დაიკმაყოფილა საკუთარი თავმოყვარეობა, ხოლო ამერიკელებმა მიიღეს სასურველი პარლამენტი.** თუ ეს ვერსია მართალია, მაშინ ივანიშვილი მართლაც გადადგება. მან მიზანს მიაღწია. მაგრამ ხალხი მის წასვლას შეაფასებს, როგორც არასერიოზულობისა და უპასუხისმგებლობის უმაღლეს გამოვლინებას.

**— ივანიშვილის წასვლა მოსახლეობის თვალში მთავრობას ლეგიტიმურობას წაართმევს, მის გუნდში არ არიან პიროვნებები, რომლებიც ხალხში ავტორიტეტით სარგებლობენ. ხომ არ გამოიწვევს ეს ქაოსსა და ანარქიას?**

— მართალია. საქართველოში შეუძლებელია ქვეყნის მართვა ხელისუფლების პირადი ავტორიტეტის გარეშე. როდესაც არაა ავტორიტეტი, ერთადერთი გამოსავალია პოლიტიკური ოპონენტების, მოსახლეობის, ყველა უკმაყოფილოს წინააღმდეგ ტერორი, როგორც ამას სააკაშვილის რეჟიმი აკეთებდა. მაგრამ ახლა საეჭვოა, ეს გამოვიდეს. ტერორი ხორციელდება ძალოვანი უწყებების მეშვეობით, მათი თანამშრომლები კი უკვე დარწმუნდნენ, რომ ძალის უკანონო გამოყენებისთვის შემდეგმა ხელისუფლებამ, შესაძლოა, მათ პასუხისმგებლობა დააკისროს.

**— 90-იანი წლების ბოლოს თქვენ გამოაქვეყნეთ სტატიების ციკლი, რომელშიც ირწმუნებოდით, რომ პარტიული ნიშნით საზოგადოების დაყოფა დამღუპველია საქართველოსთვის და ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის პროგრესულ განვითარებას. ახლაც ასე თვლით?**

— გასული წლების გამოცდილება ამ თეზისს არ ადასტურებს? **ჩვენ ისტორიულად არც ისე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული მცირერიცხოვანი ერი ვართ, რომელიც ჯერ კიდევ განიცდის დანაწევრებისა და რეგიონული იზოლაციის რეციდივებს. იმისათვის, რომ თანამედროვე მსოფლიოში გადავრჩეთ, საჭიროა ერის სულიერი, მსოფლმხედველური ერთობა და თანმიმდევრული სვლა განვითარების გზით. ჩვენ კი საზოგადოებაში პარტიული ნიშნით დაყოფაც შემოგვაქვს. ამასთან ერთად, ჩვენს პარტიებს არანაირი იდეოლოგიური საფუძველი არ გააჩნიათ და, სამწუხაროდ, არც შეიძლება, რომ ჰქონდეთ.** საქმე ისაა, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა და, ჩვენი მთავრობის პოლიტიკით თუ ვიმსჯელებთ, კიდევ დიდხანს იქნება ღარიბი. ჩვენ არ გაგვაჩნია შიდა რესურსი იმისათვის, რომ ვარჩინოთ ქმედითი პოლიტიკური პარტიები, აღარაფერს ვამბობ მასშტაბურ არასამთავრობო სექტორზე. რესურსები გააჩნია გარე ძალებს და მოქმედ ხელისუფლებას, რომელიც განკარგავს სახელმწიფო ბიუჯეტს. ყველამ იცის, რომ საქართველოში არჩევნებში გამარჯვებისთვის საჭიროა აშშ-ის მხარდაჭერა. რას ნიშნავს ეს მხარდაჭერა? სიტყვიერი, მორალური მხარდაჭერა არაფერს იძლევა: ხალხს ამერიკელები არ უყვარს, მათი რეკომენდაციების ავტორიტეტი ნულის ტოლია. საარჩევნო კომისიებში ამერიკელები არ სხედან, არჩევნებს თვითონ არ აყალბებენ. რაშია მათი როლი? ისინი აძლევენ პარტიებს ფულს აქტივისტების სარჩენად, ამომრჩეველთა, საარჩევნო კომისიის წევრთა, მედიის მოსასყიდად. პარტიები, რომლებსაც აქვთ ფული და, შესაბამისად, მედიის მხარდაჭერაც, შედიან პარლამენტში. ვის ინტერესებს დაიცავენ ისინი, თუ გავითვალისწინებთ, რომ შემდგომ არჩევნებზე სურთ კვლავ პარლამენტში მოხვედრა?

იგივე ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. **პატარა, ღარიბ ქვეყანაში ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, ვისი წარმომადგენლებიც არ ჩამოდიან ტელევიზორების ეკრანებიდან და გამუდმებით გვასწავლიან სწორად ცხოვრებას. ისინი მოვლილი და მაძღრები ჩანან, ქირაობენ ოფისებს, მოძრაობენ მანქანებით. რა ფულით არსებობენ და შესაბამისად, როგორ „ფასეულობებს“ უწევენ პროპაგანდას და როგორი „სწორი“ ცხოვრების დანერგვა უნდათ მათ საქართველოში?**

**— მაგრამ დემოკრატია შეუძლებელია პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო სექტორის გარეშე...**

— თუ თქვენ დასავლურ დემოკრატიას გულისხმობთ, მისი თეორიული პრინციპებით, მაშინ იგი არსად არაა და არც არასოდეს ყოფილა. ამერიკელები აფრიალებდნენ თავიანთ კონსტიტუციას ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, მაგრამ ამასობაში თავად ჯეფერსონი — ამ კონსტიტუციის „მამა“ — რჩებოდა მსხვილ მონათმფლობელად, ხოლო ზანგებმა მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში მიიღეს კაფეებსა და პარკებში თეთრებთან ერთად შესვლის უფლება. გაიხსენეთ ლინჩის წესი, მაკარტიზმი... სადაა აქ დემოკრატია?

რა თქმა უნდა, **აშშ XX საუკუნეში არ იყო** ▶

**«საერთოდ, ბოლო 20 წლის განმავლობაში მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეჭირათ და ახლაც უჭირავთ იმდენად უსარგებლო, უფერულ და გაუნათლებელ ადამიანებს, რომ საზოგადოების წესიერი, ავტორიტეტული, ღირსეული წევრისთვის უხერხული, სირცხვილიც კია, იყოს მინისტრი, დეპუტატი»**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროპა ჩიხში მოექცა და ევროპელი ინტელექტუალები დაბნეულად აღიარებენ, რომ არსებული საზოგადოებრივი სისტემა ვერ გამოიყვანს მათ ამ ჩიხიდან. სავარაუდოდ, საქმე ფაშიზმით დამთავრდება, ევროპას სხვა გამოცდილება არ აქვს. ისლამური სამყარო კატეგორიულად არ იღებს დასავლურ დემოკრატიას, აქტიურად ეწინააღმდეგება მის შემოტევას და ამის გამო ღვრის ზღვა სისხლს. მსოფლიო მრავალფეროვანია, ერთგვაროვანი მიდგომები, პრინციპები და წესები შეუძლებელია და არ იმოქმედებს. უცხოს, მიუღებელს კი მხოლოდ დანგრევა შეუძლია.“**

# ალექსანდრე ჭაჭია: საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი — ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას

**„მეცხრე არხი“ დაიხურა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველასთვის ცხადი იყო, რომ არსებული სახით ამ ტელევიზიის არსებობა უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა და რაღაც აუცილებლად შეიცვლებოდა, ორშაბათს გავრცელებული ცნობა საზოგადოების ნაწილისთვის ფრიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ეს მოვლენა მხოლოდ ერთი ეპიზოდია იმ ტრანსფორმაციისა, რომელსაც ქართული მედია და პოლიტიკური სივრცე განიცდის. ხანგრძლივი და მომქანცველი გარდამავალი პერიოდი სრულდება და დროებითი კონსტრუქციების ადგილას უფრო მყარი ნაგებობების მშენებლობა იწყება, თუმცა ამას ყველა როდი გრძნობს და არასტაბილურობის განცდისგან ვერ თავისუფლდება. ალბათ, ურიგო არ იქნება, ჩამოვთვალოთ და გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც ამას განაპირობებს.**

**ისეთი ტოტალიტარული სახელმწიფო, როგორც ახლა არის. უბრალოდ, მაშინ არ იყო ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რათა განეხორციელებინათ ტოტალური კონტროლი მოქალაქეებზე, მოეხდინათ ხალხის ცნობიერებით მანიპულირება. დღეს ასეთი შესაძლებლობები არის და ამერიკელები მათ აქტიურად იყენებენ არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში, არამედ, როგორც აღმოჩნდა, ევროპაშიც, მსოფლიოს სხვა რეგიონებში.** ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში XX საუკუნის დასაწყისში იყო მცდელობები, დაენერგათ დემოკრატიული პრინციპები პრაქტიკაში, მაგრამ ყველაფერი ფაშიზმით დასრულდა. იყო ასეთი მცდელობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც, როდესაც ერები შთაგონებულნი იყვნენ თავისუფლებით, ფაშიზმის განადგურებით, ნათელი მომავლის იმედით, მაგრამ მოხვდნენ რა აშშ-ზე კოლონიურ დამოკიდებულებაში, ევროპულმა ეროვნულმა ელიტებმა სწრაფად გადაიღეს საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ამერიკული პრინციპები და მეთოდები. საბჭოთა კავშირთან დაპირისპირების დროს ამერიკელები და ევროპელები ჯერ კიდევ ცდილობდნენ დემოკრატიული ფასადის შენარჩუნებას, მაგრამ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ამის აუცილებლობა თავისთავად გაქრა.

**ხოლო თუ დემოკრატიაში ვგულისხმობთ მოსახლეობის უფლებას, თავისუფლად აირჩიოს ხელისუფლება, მაშინ ეს უფლება, უკვე დიდი ხანია, ფარსად იქცა. აშშ-ში, როგორც ცნობილია, საერთოდ არ არსებობს პრეზიდენტის საყოველთაო, პირდაპირი არჩევნები, თუმცა ეს საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ხოლო რაც შეეხება კონგრესის არჩევნებს, რეალურად ორი პარტია არსებობს — რესპუბლიკური და დემოკრატიული. ერთის უკან როკფელერების კლანი დგას, მეორის უკან კი — როტშილდების კლანი. ხელისუფლებაში მხოლოდ ეს ორი პარტია შეიძლება იყოს, იმიტომ, რომ მათ უკან დიდი ფულია. და ამას ჰქვია დემოკრატია.**

ბოლო რამდენიმე თაობის ყველა წამყვანი ამერიკელი პოლიტიკოსი თავისი ცხოვრების რომელიმე პერიოდში როკფელერების ან როტშილდების სტრუქტურებში მუშაობდა. მაგალითად, როკფელერის ფონდი მუშაობს ყველა წამყვან ამერიკულ უმაღლეს სასწავლებელში, ირჩევს ყველაზე გამორჩეულ კურსდამთავრებულებს და სთავაზობს მათ მაღალანაზღაურებად სამუშაოს თავის მრავალრიცხოვან სტრუქტურებში. შემდეგ მათ, ვინც პოლიტიკური საქმიანობის მიმართ მიდრეკილებას გამოავლენს, აგზავნიან პარტიულ სამუშაოზე, წარადგენენ საჯარო თანამდებობებზე, მაგრამ მათ ფინანსურ გამოკვებას განაგრძობენ გადაცემული აქციების, თავიანთი ფინანსური სტრუქტურების ფასიანი ქაღალდების მეშვეობით, ანუ ამ სტრუქტურების აყვავება ხსენებული პოლიტიკოსების მთავარი საზრუნავი ხდება. მათგან ყალიბდება კონგრესმენთა, სენატორთა, მინისტრთა, ელჩთა კორპუსი.

საჭირო ადამიანის კონგრესმენად ან სენატორად გადაქცევა როკფელერებისა თუ როტშილდებისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. ყველა წამყვანი მედიასაშუალება მათ ეკუთვნით და წინასაარჩევნო კამპანიისთვის აუცილებელი ფულიც მათთვის პრობლემა არ არის. მაგალითი: ყველასთვის უცნობი ზანგი ობამა, ძალიან გაურკვეველი ბიოგრაფიით, არჩევნებამდე 1 წლით ადრე იღებს წინასაარჩევნო ფონდში 3 მილიარდ დოლარს, ხოლო ამერიკული მედია მას ერის მხსნელად წარმოადგენს.

**«ამერიკელებმა პარლამენტი ჩამოაყალიბეს «ნაციონალური მოძრაობისა» და მასთან სულით, იდეოლოგიურად და ხელქვეითობის მიხედვით ახლო მყოფი პარტიებისგან. მათ შეუძლიათ გარკვეული საკითხების გამო წაკინკლავდნენ, მაგრამ პრინციპულ პოლიტიკურ საკითხებში ერთსულოვნად გაჰყვებიან ამერიკულ ხაზს. ასეთი პარლამენტის დათხოვნა შეიძლება?»**

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც ფულს ბეჭდავს და ამერიკასა და მთელ მსოფლიოს დოლარებით ამარაგებს, კერძო საწარმოს წარმოადგენს, რომელიც 100 წლის წინ იმავე როკფელერებმა და როტშილდებმა მორგანებთან, ლემანებთან, დიუპონებთან ერთად ჩამოაყალიბეს, მაშინ ნათელი გახდება, რომ **შეერთებული შტატები უბრალოდ პლანეტის უმდიდრესი ადამიანების კერძო კორპორაციაა, ხოლო აშშ-ის მთელი პოლიტიკური კლასი ამ კერძო კორპორაციის თანამშრომლები არიან. და აქ არანაირი სახალხო დემოკრატიის სიოც კი არ ქრის.** გარდა ამისა, ყურადღება მიაქციეთ — ვერანაირ „ფორბსში“ თქვენ ვერ ნახავთ ვერც როტშილდებს, ვერც როკფელერებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტრილიონობით დოლარს ატრიალებენ და ვიღაც გეიტსებთან და აბრამოვიჩებთან ერთად მაგიდასთანაც არ დასხდებიან.

**— ევროპაში ხელისუფლების ფორმირების ანალოგიური პრინციპები მოქმედებს? ევროპაც როტშილდებისა და როკფელერების კორპორაციის ნაწილია?**

— სხვათა შორის, ინგლისის მთელი საბანკო სისტემა ინგლისელ როტშილდებს ეკუთვნით, საფრანგეთისა კი — როტშილდების ფრანგულ ოჯახს. როდესაც მე ვასახელებ ამ გვარებს, ვგულისხმობ გიგანტურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომლებშიც ეს კლანები გადამწყვეტ როლს თამაშობენ და რომლებთანაც დაკავშირებულია ათასობით მსხვილი კომპანია მთელ მსოფლიოში.

ყველა ევროპულ ქვეყანაში ფუნქციონირებს ორი-სამი ძირითადი პოლიტიკური პარტია, რომელთა უკანაც დგას მსხვილი კაპიტალი. ეს ფორმალურად ადგილობრივი კაპიტალიც რომ იყოს, იგი მაინც აფილირებულია უმსხვილეს საერთაშორისო კორპორაციებთან. მსოფლიო კაპიტალისთვის ევროპა არის მოგების ამოღების ზონა. **როდესაც კორპორაციებს მობეზრდათ ეროვნული კანონმდებლობების გარჩევა, როდესაც საზღვრებმა ხელი შეუშალა მათ ბიზნესს, მათ თავიანთ კუთვნილებაში მყოფი პარტიების, მედიის, უნივერსიტეტების პროფესურის, შოუბიზნესის ვარსკვლავების მობილიზება მოახდინეს და რამდენიმე წელიწადში გააერთიანეს ევროპის ქვეყნები ევროკავშირში.** სხვა საქმეა, რომ ეს წარმონაქმნი დიდხანს ვერ იარსებებს, მაგრამ თავისი მოგება მან უკვე მოიტანა.

**დღეს ევროპაში არ არსებობს არც ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ანუ ისეთი სახელმწიფო, რომელიც ატარებს პოლიტიკას თავისი ქვეყნის ინტერესებში ან თუნდაც ევროპის ინტერესებში. მეტიც, მთელ მსოფლიოში დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიძლება ერთი ხელის თითებზე ჩამოვთვალოთ. თუ გამოჩნდება სახელმწიფო, რომელსაც სურს, საკუთარი რესურსები გამოიყენოს თავისი ხალხის და არა საერთაშორისო კაპიტალის სასარგებლოდ, იქ მაშინვე ამერიკული ბომბდამშენები მიფრინავენ.**

ამგვარად, არანაირი დემოკრატია მსოფლიოში არ არის. დემოკრატია არის შირმა, რომლის უკანაც მსოფლიო კაპიტალის მტაცებლური და აგრესიული მისწრაფებები იმალება. ე.წ. დემოკრატიული პრინციპები, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები — ეს არის დემაგოგია და მას ამოფარებული ძლიერი სახელმწიფოები იმორჩილებენ სუსტებს და ძარცვავენ მათ რესურსებს. ასეთია თანამედროვე მსოფლიოს მწარე რეალობა.

არ არის და არ შეიძლება იყოს საზოგადოებრივი მოწყობის უნივერსალური პრინციპები, რომლებიც ერთნაირად მისაღები იქნება ყველა ქვეყნისთვის და ერისთვის. ჩინელებმა სახელმწიფო მოწყობის სტალინური მოდელი აიღეს საფუძვლად, ერთგვარი მოდიფიკაცია მოახდინეს საკუთარი ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით და დღეს ჩინეთი არა მხოლოდ უზრუნველყოფს თავის 1,5-მილიარდიან მოსახლეობას, არამედ პროდუქციით მთელ მსოფლიოს ამარაგებს. **ევროპა ჩიხში მოექცა და ევროპელი ინტელექტუალები დაბნეულად აღიარებენ, რომ არსებული საზოგადოებრივი სისტემა ვერ გამოიყვანს მათ ამ ჩიხიდან. სავარაუდოდ, საქმე ფაშიზმით დამთავრდება, ევროპას სხვა გამოცდილება არ აქვს. ისლამური სამყარო კატეგორიულად არ იღებს დასავლურ დემოკრატიას, აქტიურად ეწინააღმდეგება მის შემოტევას და ამის გამო ღვრის ზღვა სისხლს. მსოფლიო მრავალფეროვანია, ერთგვაროვანი მიდგომები, პრინციპები და წესები შეუძლებელია და არ იმოქმედებს. უცხოს, მიუღებელს კი მხოლოდ დანგრევა შეუძლია.** ამიტომ დღეს მსოფლიოს ინტელექტუალური ელიტები განვითარების ახალი გზების, ახალი ფორმების ძიებით არიან დაკავებულები. ამაზე უნდა იფიქრონ პატარა ქვეყნებმაც, მათ შორის საქართველომ, საკუთარ ისტორიულ გამოცდილებაზე, ეროვნულ სპეციფიკასა და კულტურულ თავისებურებებზე დაყრდნობით.

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

## ტანკები და ტრაქტორები

**„მეცხრე არხმა“ და „ინფო-9“-მ წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც საქმე საინფორმაციო ბლოკადის გარღვევას ეხებოდა, ძალიან დიდი, უნიკალური (გადაჭარბების გარეშე) როლი შეასრულეს. არანაკლებ მნიშვნელოვანი მისია ეკისრებოდათ მათ პოსტსაარჩევნო პერიოდში, როდესაც ახალი ხელისუფლება სიტუაციას სრულად ვერ აკონტროლებდა, ხოლო „ნაციონალების“ მიერ კონტროლირებადმა მედიამ, რომ იტყვიან, ცეცხლი ყველა კალიბრიდან გახსნა, თუმცა დღეს ვითარება აშკარად შეცვლილია.**

უხეშად რომ ვთქვათ, ომის დროს საჭიროა ტანკი, ომის შემდეგ კი — ტრაქტორი. ტანკი, იდეაში, შეიძლება გადაკეთდეს ტრაქტორად, მაგრამ ეს ძალზე არაეფექტური ტრაქტორი იქნება, რომლის შენახვა გაუმართლებლად ძვირი დაჯდება. გაცილებით რაციონალურია ახალი ტრაქტორ(ებ)ის ყიდვა.

ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ომი არ დასრულებულა და ახლა ტრაქტორების დრო არ არის და ამ შემთხვევაში მეტაფორის განვრცობა და სამხედრო ისტორიაში ჩაღრმავება მოგვიწევს. პირველი მსოფლიო ომის ტანკები სრულიად გამოუსადეგარი იყო მეორე მსოფლიოში, ხოლო ის, რასაც (სავსებით სამართლიანად) 40-იანი წლების საინჟინრო აზრის მწვერვალად განვიხილავთ, ბირთვულ ეპოქაში ძალიან სწრაფად ანაქრონიზმად იქცა. ეს უბრალოდ სხვადასხვა ტექნოლოგიური საფეხურები და ტანკების სხვადასხვა თაობებია, რომელთა შექმნას არსებითად განსხვავებული მოთხოვნები განაპირობებდა. რა თქმა უნდა, უადგილო იქნება პირდაპირი პარალელების გავლება „მეცხრე არხსა“ და პირველი მსოფლიო ომისდროინდელ ტანკს შორის, თუმცა გარკვეული ასოციაციები კომენტატორებს ნამდვილად შეიძლება გაუჩნდეთ.

**ის, რომ „მეცხრე არხის“ ბედი გადაწყდა დღეს და არა ორი თვის წინ ან საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სავარაუდოდ, რიგი სიტუაციური ფაქტორებისა და შიდასახელისუფლო ინტრიგების თანხვედრამ განაპირობა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, არსებული სახით მას თუნდაც ერთი წელიწადი გაეძლო. ყოველივე თქმული არანაირად არ აკნინებს „მეცხრე არხისა“ და „ინფო-9“-ის თანამშრომლების დამსახურებას სააკაშვილის მარაზმატული რეჟიმის დემონტაჟის საქმეში; ის ეპიზოდები, როდესაც ისინი, ხელისუფლების უპრეცედენტო ზეწოლის და აშკარა საფრთხის მიუხედავად, მოსახლეობას ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდნენ, ქართული ჟურნალისტიკის მატიანეში სათანადო ადგილს დაიკავებს.**

მმართველი კოალიცია ასევე შეიძლება შევადაროთ ტანკს, რომელიც კონკრეტული ომის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიქმნა. „ინჟინრები“ აკრიტიკებდნენ მის კონსტრუქციას და გარკვეული რაკურსებიდან ის ძალიან უშნოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მისი აწყობა მოხდა იმ დეტალებიდან, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო და, საერთოდაც, „იდეალური ტანკი“ ბუნებაში არ არსებობს. ფაქტია, რომ ყველაფრის მიუხედავად, მან ამოცანა შეასრულა და მოწინააღმდეგის თავდაცვა გაარღვია. მაგრამ დღეს ის გამოუსადეგარია ტრაქტორის როლში და არც „მომავალი ომის მოთხოვნებს“ უპასუხებს. ასე რომ, **კონვერ-** ▶

**ის, რომ «მეცხრე არხის» ბედი გადაწყდა დღეს და არა ორი თვის წინ ან საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სავარაუდოდ, რიგი სიტუაციური ფაქტორებისა და შიდასახელისუფლო ინტრიგების თანხვედრამ განაპირობა**

**მარტივად და ოდნავ უხეშად რომ ვთქვათ, ქართველ ამომრჩეველს არ მიუცია ხმა პოლიტიკური ღორებისთვის, რომელთაც ყველა საქმეში მხოლოდ საკუთარი წილი და ქულების დაწერა აინტერესებთ. მას, ბოლო ორი ათწლეულის ტრადიციებიდან გამომდინარე, შეუძლია, შეეგუოს მათ არსებობას ასე თუ ისე ლოკალიზებულ სივრცეში, მაგრამ ის ნამდვილად არ შეეგუება იმას, რომ მათი „მორალი“ პოლიტიკური ცხოვრების დაუწერელ კონსტიტუციად იქცეს; ის, აგრეთვე, ძალიან კარგად გრძნობს საფრთხეს, რომელიც ამ პოპულაციისგან მოდის.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დაიწყებს თუ არა «დიდ წმენდას» ბიძინა ივანიშვილი?



◀ **სია, სავარაუდოდ, მასაც შეეხება, ისევე, როგორც ყველა დროებით კონსტრუქციას, რომელიც წინასაარჩევნო ან გარდამავალი პერიოდისთვის შეიქმნა. ეს არა მხოლოდ ტელევიზიას ან კოალიციას, არამედ არაერთ სხვა რგოლს ეხება.**

საინტერესოა, რომ ბევრი მოქალაქე არ აღიქვამს ამ პროცესებს, როგორც „გარდაქმნას“ და მიიჩნევს, რომ საქმე რღვევასთან და დესტაბილიზაციასთან გვაქვს. მათ სტაბილურობის განცდა აკლიათ და მის ძიებაში შეიძლება მხარი ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებას დაუჭირონ, რადგან მას, ყველა მინუსის მიუხედავად, მოსახლეობაში ამ განცდის ფორმირება ნამდვილად ძალუძს. მათ აშინებთ მუდმივი ცვლილებები და საყრდენ წერტილს ვერ პოულობენ. სხვა ყველაფერთან ერთად, მათ ეუბნებიან, რომ ივანიშვილი მალე თანამდებობას დატოვებს და მათ არ იციან, რა მოხდება შემდეგ. ყოველივე ამას არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ ეკონომიკური ეფექტიც მოაქვს, საუბარი მასშტაბურ, გრძელვადიან პროექტებზე (მსხვილი კომპანიის იქნება ან თუნდაც ინდმეწარმის) ასეთ ატმოსფეროში უადგილოა.

**არაერთგზის ითქვა, რომ ახალ ხელისუფლებას საზოგადოებასთან ურთიერთობა არ უვარგა** (აქ არ იგულისხმება პროპაგანდისტული მანიპულაციები სააკაშვილის სტილში) **და ამის გამეორებას აზრი არ აქვს. მას პრაქტიკულად არც ერთი ეფექტური ნაბიჯი არ გადაუდგმას იმისთვის, რომ ეს უსიამოვნო, ფრიად ნერვული ფსიქოლოგიური ფონი შეცვალოს.** არადა, აქ ფსონი გაცილებით დიდია, ვიდრე მმართველი კოალიციის ან ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი, რადგან **ამომრჩეველთა გარკვეულმა ნაწილმა შეიძლება დაიწყოს ოცნება „ძლიერ ხელსა“ და „ავტორიტარულ სიცხადეზე“, ქვეცნობიერად დაუკავშიროს ერთმანეთს დემოკრატია და დესტაბილიზაცია, თავისუფლება და სისუსტე; ეს კი მომავალში შეიძლება ქვეყნის სტრატეგიული მარცხის წინაპირობა გახდეს.** ძნელი სათქმელია, შეეხება თუ არა „გარდაქმნის“ პროცესი, რომელიც ივანიშვილმა, როგორც ჩანს, ბოლო დროს დაიწყო, საზოგადოებასთან ურთიერთობის რგოლებს, თუმცა მისთვის, ალბათ, სასურველია, რომ ამ მიმართულებით რაღაც შეიცვალოს.

## ისევ აუგიას თავლა

**ყველაზე დიდ პრობლემას ივანიშვილს დღეს, სავარაუდოდ, არა სრული კრახის პირას მყოფი „ნაციონალები“ და რადიკალური გადაწყვეტილებების მომხრე მხარდამჭერები უქმნიან, არამედ ისინი, ვინც უყურებს მას, როგორც „ბიძინა-საფულეს“ და „ბიძინა-ლოკომოტივს“** (სარკინიგზო-პოლიტიკური და არა საფეხბურთო მნიშვნელობით) **და მოქმედებენ ისე, რომ გარემოებათა თანხვედრის გამო შექმნილ სასათბურე პირობებში რაც შეიძლება დიდხანს** (იდეაში, უსასრულოდ) **დარჩნენ.** ისინი ქმნიან ერთგვარ ჭაობს, რომელიც შთანთქავს ყველაფერს, რამაც შეიძლება თუნდაც იოტისოდენა საფრთხე შეუქმნას და ეს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ელიტის განახლებასთან, თამაშის წესების გაჯანსაღებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს ეხება. **მარტივად და ოდნავ უხეშად რომ ვთქვათ, ქართველ ამომრჩეველს არ მიუცია ხმა პოლიტიკური ღორებისთვის, რომელთაც ყველა საქმეში მხოლოდ საკუთარი წილი და ქულების დაწერა აინტერესებთ. მას, ბოლო ორი ათწლეულის ტრადიციებიდან გამომდინარე, შეუძლია, შეეგუოს მათ არსებობას ასე თუ ისე ლოკალიზებულ სივრცეში, მაგრამ ის ნამდვილად არ შეეგუება იმას, რომ მათი „მორალი“ პოლიტიკური ცხოვრების დაუწერელ კონსტიტუციად იქცეს; ის, აგრეთვე, ძალიან კარგად გრძნობს საფრთხეს, რომელიც ამ პოპულაციისგან მოდის.**

„წმენდა“ არც ისე პოპულარული სიტყვაა, რომელმაც XX საუკუნეში ფრიად ნეგატიური დატვირთვა შეიძინა, თუმცა, შესაძლოა, ივანიშვილს ხელისუფლების შიგნით სწორედ რომ წმენდის ჩატარება სჭირდება. ძნელი სათქმელია, თვითონ გააკეთებს ამას თუ ძირითად სამუშაოს ახალი პრემიერმინისტრი შეასრულებს (მეორე უფრო სავარაუდოა), თუმცა ფაქტია, **დღევანდელი სიტუაცია სულ უფრო აახლოებს ხელისუფლებას მისთვის ყველაზე არასასურველ, საშინელ განაჩენთან, რომელსაც ამომრჩეველი, ალბათ, დაახლოებით ასე ჩამოაყალიბებს: რით განსხვავდებიან ესენი „ნაცებისგან“?**

**დღევანდელი სიტუაცია სულ უფრო აახლოებს ხელისუფლებას მისთვის ყველაზე არასასურველ, საშინელ განაჩენთან, რომელსაც ამომრჩეველი, ალბათ, დაახლოებით ასე ჩამოაყალიბებს: რით განსხვავდებიან ესენი «ნაცებისგან»?**

„წმენდა“, ცხადია, არ გულისხმობს მასობრივ რეპრესიებს ტოტალიტარულ სტილში, მაგრამ უნიათო მენეჯერები (თუნდაც ნაწილი) სავარძლებს უნდა დაემშვიდობონ, ხოლო ზემოთნახსენები **„ღორობის ეპიდემია“ ლოკალიზებული უნდა იქნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის როგორც ივანიშვილის, ისე სრულიად საქართველოს მომავალს იმსხვერპლებს.** ცხადია, ნეგატიური ფაქტორების სრული განეიტრალება ვერ მოხერხდება და სახელისუფლო ელიტის მყისიერ, ჯადოსნურ გაჯანსაღებას არ უნდა ველოდოთ, მაგრამ **თამაშის წესები მისთვის, ალბათ, მნიშვნელოვნად უნდა გამკაცრდეს, თანაც — რაც მალე, მით უკეთესი.**

ივანიშვილის იდეა პოლიტიკოსების კონტროლზე სამოქალაქო სექტორის მეშვეობით, რომელიც ბევრ კომენტატორს, მათ შორის მის მხარდამჭერს, არასერიოზულად ეჩვენება; არსებითად სწორია, თუმცა **საეჭვოა, რომ არასამთავრობო სექტორმა დღევანდელი სახით ამ ამოცანის შესრულება შეძლოს. მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს საკუთარი ინტერესების გამომხატველებად, დამცველებად, ძველ რომში რომ იტყოდნენ, „სახალხო ტრიბუნებად“ არ განიხილავს და ხშირად „გრანტიჭამიებად“ მოიხსენიებს.** არადა, არავინ უშლის ამ ადამიანებს ინიციატივა საკუთარ ხელში აიღონ. მარტივად რომ ვთქვათ, იკრიბება ხუთი მოქალაქე, რომლებიც ბიუროკრატებმა გაამწარეს (ან, უბრალოდ, ქვეყნისთვის სიკეთის მოტანა სურთ), ქმნიან (პირობითად) „ბიუროკრატების კონტროლის და, გადატანითი მნიშვნელობით, გაროზგვის სამოქალაქო ცენტრს“ და ძირითადი საქმიანობისგან თავისუფალ დროს სახელწოდების შესაბამის საქმიანობას მისდევენ.

მაგრამ საქართველოში ასე არ ხდება, ეს იმპულსი „ქვემოდან“ არ იგრძნობა და მოქალაქეების დიდი ნაწილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ხანაში შემუშავებული წესების თანახმად ურთიერთობს. ხოლო **პირველი, რაც ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადასვლას მოჰყვება, დიდი ალბათობით, „ბიძინას გრანტების“ ათვისებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისგან მთელი ინდუსტრიის შექმნა იქნება. და არაფერი შეიცვლება, ვიდრე რიგითი მოქალაქეები თავიანთი უფლებებისთვის გაცილებით აქტიურ ბრძოლას არ დაიწყებენ.** ალბათ, აუცილებელია, გადაილახოს უხილავი ზღვარი, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში ავტორიტარულმა პერიოდმა გაავლო, უბრალოდ, უნდა გავბედოთ და „ზემოდან“ დაშვებული სანქციის გარეშე, საკუთარი ძალებით შევქმნათ არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები და პოლიტიკური პარტიებიც კი. გინებასა და ქვების რევოლუციურ სროლას ალტერნატივა ნამდვილად აქვს.

**პირველი, რაც ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადასვლას მოჰყვება, დიდი ალბათობით, «ბიძინას გრანტების» ათვისებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისგან მთელი ინდუსტრიის შექმნა იქნება**

## ვის აძლევს ხელს „ხავერდოვანი საბოტაჟი“?

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, ალბათ, ისაა, რომ პოლიტიკაში ყოფნა და აღმასრულებელ სტრუქტურებში მუშაობა განიხილება, უპირველესად, როგორც სოციალური ბონუსების მოხვეჭის ერთ-ერთი ყველაზე იოლი და, ამასთანავე, ასე თუ ისე, უსაფრთხო შესაძლებლობა, რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე „ცუდი ყოფაქცევისთვის“ ძალიან ცოტა ჩინოვნიკი დაისაჯა, თუ სათვალავში რამდენიმე გამორჩეულ მონსტრს და უიღბლო „მეისრეებს“ არ ჩავაგდებთ. საუბარი მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებლობას როდი ეხება; **ზოგიერთი „მოღვაწის“ პოლიტიკური ბიოგრაფიისთვის თვალის გადავლებაც კი კმარა იმისთვის, რომ, მასთან შედარებით, უკანასკნელი მეძავი პატიოსნების განსახიერებად ჩავთვალოთ, თუმცა ასეთი ადამიანები კვლავინდებურად იწოდებიან პოლიტიკოსებად, სინდისის ქენჯნას არ განიცდიან და დროდადრო გვმოძღვრავენ კიდეც, ხოლო ქართული საზოგადოება მათ, მარტივად რომ ვთქვათ, არ ერჩის.**

მსგავსი პრობლემები სხვა ქვეყნებშიც არსებობს, მაგრამ ასეთი მასშტაბი მათ „მესამე სამყაროს“ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში თუ აქვს. მარტო ივანიშვილი ამას ვერაფერს მოუხერხებს (აპირებს თუ ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და რამდენად შორსმიმავალია მისი გეგმები, ცალკე საუბრის თემაა). მას, მისი დიდი გავლენის მიუხედავად, ეს ჭაობი შთანთქავს. წარმატება შეიძლება მხოლოდ კომბინირებულმა შეტევამ მოიტანოს, როგორც „ზემოდან“, ისე „ქვემოდან“ (აუცილებლად ერთდროულად).

**დღეს რადიკალურად განწყობილი კონსპიროლოგები ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლების შიგნით შეიქმნა რაღაც ფარული ოპოზიცია, რომელიც ივანიშვილის პოლიტიკას წინააღმდეგობას უწევს. მსგავსი თეორიები, როგორც წესი, ახალი, ლოგიკურად ძნელად ასახსნელი შეფერხებების გაჩენის კვალობაზე იქმნება.** სერიოზული საუბარი ამაზე, ისევე, როგორც ნებისმიერ კონსპიროლოგიურ თეორიაზე, არ ღირს; არ არსებობს არც ერთი ფაქტი, რომელიც ასეთი ოპოზიციის არსებობაზე მიუთითებს. მაგრამ, რაოდენ უცნაურადაც უნდა გაიჟღეროს, **ეს იდუმალი ოპოზიცია, ალბათ, მაინც არსებობს, ოღონდაც მასზე, სავარაუდოდ, უნდა ვისაუბროთ არა როგორც ოპოზიციაზე კლასიკური გაგებით ან ფარული მტრული ზრახვების მქონე ფრაქციაზე, არამედ ოპოზიციაზე ცვლილებებთან და განახლებასთან კავშირში. იდეოლოგია და ორიენტაცია აქ, სავარაუდოდ, არაფერ შუაშია, საუბარია პოლიტიკოსებზე, რომელნიც საკუთარი მერკანტილური ინტერესებისთვის და უდარდელი ცხოვრების გასახანგრძლივებლად „ნაციონალებს“ და უცხო ქვეყნების რეზიდენტურებს კი არა, ეშმაკსაც შეეკვრებიან.** ალბათ, სწორედ ამ მიდამოებში უნდა მოვძებნოთ იმ ჩუმი, ასე ვთქვათ, „ხავერდოვანი“ შიდასახელისუფლო საბოტაჟის ლოგიკა, რომლზეც ხმამაღლა ძალიან ცოტას საუბრობენ, თუმცა მის გამოვლინებებს სულ უფრო ხშირად ვეჯახებით.

**დიმიტრი მონიავა**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დილიდან შეიკრიბნენ ადამიანები და შესაბამის განცხადებას გაცხოველებით ავსებდნენ. დიდხელმწიფემ მოწყალება მოიღო და მისი წყალობით ციხეგამოვლილ ასიათასობით ქვეშევრდომს უფლება უბოძა, რეგისტრაცია როგორც ადგილზე მისვლით, ასევე ტელეფონის მეშვეობით გაევლო. ვიდრე შეექლო, ყველას იჭერდა, ახლა ყველას უხსნის ნასამართლობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.**

# საპრეზიდენტო მარათონის ზოოლოგიური ვნებანი

**საპრეზიდენტო მარათონი გრძელდება და, თუ მაისში სააკაშვილმა ნერონს დააბრალა სენატში საკუთარი ცხენის შეყვანა, ახლა კალიგულას ხსენებასაც მოერიდა (ისევ რომ არ შეშლოდა) და „ერთ-ერთი რომაელი იმპერატორი“ მოიხსენია: „ხალხს შესთავაზეს ისეთი კანდიდატები, რომლებიც უფრო დაბლა დგანან, ვიდრე ჩვენი ხალხის განვითარების, ინტერესების და ღირსების დონეა. ასე რომ, ერთ-ერთი რომაელი იმპერატორის მსგავსად, რომელმაც სენატში ცხენი აირჩია, ამას ქართველი ხალხი არ გააკეთებს, რადგან ელემენტარულად უხერხულია, მათ ისეთი კანდიდატი შესთავაზეს“...**



„ისეთმა კანდიდატმა“ არც აცია, არც აცხელა და კუს ტბაზე „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ღონისძიებას საკუთარ ძაღლთან ერთად დაესწრო. ამის შესახებ „თავისუფალი ზონა“ სარკასტულად წერს: **„კონცერტს მარგველაშვილი და მისი ოთხფეხა არსება ბოლომდე ერთად დაესწრნენ. თუმცა ჩუმი ჩაკითხვების შემდეგ მალევე გახმაურდა, რომ ახალგაზრდებში ძაღლით გამოჩენა მარგველაშვილს საკუთარმა „ქრთამნაღებმა პიარშიკმა“ შალვა რამიშვილმა ურჩია. თუმცა სანამ ბატონი გ. მარგველაშვილი პრეზიდენტის რანგში ქვეყნის კონსტიტუციაზე „წვერით ან უწვეროდ“ პირველად დაიფიცებს და ინაუგურაციაზე საკუთარ ოთხფეხასთან ერთად გამოჩნდება, მანამდე სხვადასხვა ლიდერმა „პიარშიკ“ შალვა რამიშვილს, როგორც ჩანს, იდეები მოპარეს“** (აქ „თავისუფალი ზონა“ საყვარელ ძაღლებთან გადაღებული ჰიტლერის, და ასლან აბაშიძის ფოტოებს აქვეყნებს. ლენინს აქაც არ გაუღიმა ბედმა — მას ხელში კატა უჭირავს).

მკითხველს ბოდიშს მოვუხდით ამ „შედევრალური“ ტექსტის გასწორებისთვის, რადგან რუსეთთან მებრძოლი „თავისუფალი ზონის“ მესვეურებს ქართული იმდენად არ ეხერხებათ, რომ მათი ნაცოდვილარის ზუსტად ციტირება ქართული ენის შეურაცხყოფა იქნებოდა. **ეს ის „თავისუფალი ზონაა“, რომელიც 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის შექმნილ „ზონას“ ვერ ამჩნევდა, ახლა კი მის „თავისუფალ“ ვერსიას ქმნის ერთი, ვიწრო წრისთვის და გამგელებული იცავს, უკაცრავად პასუხია და, ადვოკატს, რომლის თავისუფლებაც ყოფილ პოლიტპატიმარ გიორგი გაბედავას ცხვირთან არ დამთავრდა.**

**ადამიანები, რომლებმაც ჩიორას ცხვირის გამო ლამის მთელი ევროპარლამენტი შეძრეს, გიორგი გაბედავას ცხვირს ისე თავისუფლად ეხებიან, თითქოს „ცხვირის უფლება“ მარტო მათ ჰქონდეთ! ინციდენტი საქალაქო სასამართლოსთან ბაჩო ახალაიას პროცესის დასრულების შემდეგ მოხდა.** მას შემდეგ, რაც ახალაიას პროცესზე დამსწრეები სასამართლოს ეზოში გამოვიდნენ, ეზოში შეკრებილებმა ისინი სტვენით გააცილეს, რასაც სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა ახალაიას მხარდამჭერებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. სასამართლოს ეზოში მცირე ფიზიკური დაპირისპირებაც, რის შედეგადაც ნანა კაკაბაძესთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად სასამართლოს ეზოში მოსული გიორგი გაბედავა პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. **ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ გაბედავას ონიანმა დაარტყა, თუმცა პოლიციელებმა ონიანის ნაცვლად იგი დააკავეს!**

**ნანა კაკაბაძეს საპროტესტო აქციების მოწყობისთვის კიდევ ერთმა ძალიან თავისუფალმა ნაპროკურორალმა, შეთავსებით „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ მსხვილფეხა რქოსანი უწოდა. ასე, რამდენი საქონელიც „კმარასა“ და „ნაციონალურ მოძრაობაში“ ირიცხებოდა, იმდენი საქართველოს ფერმებში არ დაითვლება,**

თუმცა სტვენისა და ლანძღვისთვის მათი ცემა რომ დაეწყოთ, ე.წ. ვარდების რევოლუციამდე იმდენი უნდა ერტყათ, რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია!

ყოფილი პოლიტპატიმარი სიმწრით აცხადებს, რომ ბაჩო ახალაიას ადვოკატი, გიორგი ონიანი, წლების წინ პოლიტიკური მოძრაობა „კმარას“ წევრი იყო და „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში პოლიციაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. **„გიორგი ონიანი ადამიანებს ჯიბეში ნარკოტიკულ საშუალებას — „სუბოტექსს“ უდებდა და ამ გზით აკავებდა, დღეს კი სამართლიანობაზე საუბრობს. ის თავდაპირველად „კმარას“ წევრი იყო, ხან ხაჭაპურზე აგზავნიდნენ, ხან — რაზე, შემდეგ დააწინაურეს და სამართალდამცველად მუშაობდა, დღეს კი ადვოკატია... მათ არ აქვთ უფლება, სამართლიანობაზე ისაუბრონ. ისინი ან ჩუმად უნდა იყვნენ, ან ხალხს ბოდიშს უხდიდნენ“,** — განაცხადა გიორგი გაბედავამ.

მოსუქებული „კმარელი“ რა მოსატანია, როცა თვით ვანო მერაბიშვილიც დარბოდა ხაჭაპურზე და საბოლოოდ, „ქვეყნის ხერხემლად“ გამოცხადებას ელირსა! მოკლედ, თუ ვინმეს რევოლუციამდე ხაჭაპურზე ან ხაჭაპურით ურბენია, რევოლუციის შემდეგ ყველა თანამდებობაზე აღმოჩნდა. ახლა ისინი საკუთარი ხაჭაპურის ნაჭრისთვის „გადამწყვეტ“ ბრძოლას განაგრძობენ და ხელს ახალი ხელისუფლებისკენ იშვერენ. **„უფლებადამცველი“ გიორგი ონიანი მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოსთან დაგეგმილი აქცია პროკურატურის მიერაა ორგანიზებული.**

**რა პროკურატურა, გიორგი, პროკურორი ვინ მიგდია, ეს ყველაფერი „თავისუფლების ქომაგთა“ მიმართ თვით შევარდნაძის დაგეგმილია, მას კი პირდაპირ კრემლიდან, პუტინისგან აქვს დავალება მიღებული!** გაბედავა კი, იმის ნაცვლად, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ცოცხალ რიგში ჩადგეს და სააკაშვილს ნასამართლობის მოხსნას ეხვეწებოდეს, ისევ უსამართლობას აპროტესტებს!

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ანდრო ბარნოვი, საზოგადოებას ამშვიდებს, რომ პრეზიდენტის შეწყალების აქტი, რომელიც პირობითი მსჯავრისა და ნასამართლობის მოხსნას ითვალისწინებს, ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების გამწვავების საფრთხეს არ შეიცავს. **პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დილიდან შეიკრიბნენ ადამიანები და შესაბამის განცხადებას გაცხოველებით ავსებდნენ. დიდხელმწიფემ მოწყალება მოიღო და მისი წყალობით ციხეგამოვლილ ასიათასობით ქვეშევრდომს უფლება უბოძა, რეგისტრაცია როგორც ადგილზე მისვლით, ასევე ტელეფონის მეშვეობით გაევლო. ვიდრე შეექლო, ყველას იჭერდა, ახლა ყველას უხსნის ნასამართლობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.**

ანდრო ბარნოვი: **„აღნიშნული აქტი არის მნიშვნელოვანი აქტი. ვიდრე პრეზიდენტ სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა ამოეწურება, მან გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ამა თუ იმ მსჯავრდებულს ნასამართლობის შემდეგ დაწესებულ შეზღუდვებს შეუმსუბუქებს და მათ მიეცემათ ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყების საშუალება“.** პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან კი ათობით მადლიერი ყოფილი მსჯავრდებული შეიკრება, რაც „ნაციონალების“ საპრეზიდენტო აქტივში მისათვლელ საარჩევნო ხმებს უნდა ნიშნავდეს.

**„თავისუფალი ზონა“ კი კვლავაც გაცხოველებით იბრძვის და ამჟერად ავჭალის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, მამა ნიკოლოზ ტაბაღუას უფლებებს იცავს.** ორგანიზაცია შეშფოთებულია იმით, რომ მამა ნიკოლოზს ჯვარი ახსნეს. ამის შესახებ მათ ინფორმაცია თავად მამა ნიკოლოზის ოჯახის წევრებისგან მიიღეს. **„თავისუფალი ზონის“ ვერსიით, „ჯვრის ახსნის“ მიზეზი პროკურატურის მხილებაა, სადაც მამა ნიკოლოზმა ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ მიცემული ჩვენება გამოძიებისგან ზეწოლით ახსნა“.**

16 აგვისტოს თავისუფლების კიდევ ერთმა ნაციონალურმა ქომაგმა, „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრმა“ ვიდეოფირი გაავრცელა, რომელშიც მამა ნიკოლოზი გამომძიებელ კახაბერ ჭუმბაძის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს. **მამა ნიკოლოზის თქმით, 13 აგვისტოს ის ქალაქის პროკურატურაში დაიბარეს, სადაც გამომძიებელმა ჭუმბაძემ ყოფილი შს მინისტრის, ბაჩო ახალაიას, წინააღმდეგ ჩვენება ძალდატანებით მიაცემინა. ვიდეოჩანაწერში მამა ნიკოლოზი საუბრობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა მათთვის სასურველი ჩვენების მიცემა, მას დაკავებითაც დაემუქრნენ.**

ადვოკატ **მალხაზ ველიჯანაშვილის** განცხადებით, **მამა ნიკოლოზი აიძულეს, ხელი მოეწერა დოკუმენტზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გირგვლიანის საქმეზე დაკავებული ალანია, ბიბილურიძე, ღაჭავა და მეტრეველი, ახალაიას რეკომენდაციით, სხვა პატიმრებთან შედარებით, უკეთეს პირობებში იხდიდნენ სასჯელს.**

იმავე დღეს მთავარმა პროკურატურამაც გაავრცელა განცხადება, თუმცა მთელმა საქართველომ პროკურატურის გარეშეც მშვენივრად იცოდა, რომ **მამა ნიკოლოზის, იმჟამად სასჯელაღსრულების მე-10 დაწესებულების დირექტორ თემურ ტაბაღუას, ხელში ზემოთ ნახსენები პირები თავს უკეთ გრძნობდნენ, ვიდრე ხუთვარსკვლავიან სასტუმროში.** საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურის წარმომადგენელმა **დავით შარაშენიძემ** კი ჯვრის ახსნა არ დაადასტურა და განაცხადა, რომ **ყოფილ „მეციხოვნეს“, სავარაუდოდ, ღვთისმსახურების შესრულების უფლება დროებით შეუწყდება.**

რამდენ ხანს გასტანს ეს „დროებით“, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ავჭალის მრევლს „მამა“ თემურ ტაბაღუასთვის აღსარების თქმა კიდევ დიდხანს რომ ნამდვილად არ მოუნდება, ამას ვარაუდიც არ უნდა. **ეკლესიის წიაღში ჩანერგილი „ნაციონალების“ შესახებ იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ ამაზე ლაპარაკს აღარ შევუდგებით, ყოველ შემთხვევაში მანამდე, ვიდრე სოსო თოფურიძე მონასტრებს არ მოილოცავს და შინ სხვა „ნაციონალებივით“ მშვიდობით არ დაბრუნდება.**

ცნობისთვის: არასამთავრობო ორგანიზაცია **„თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის“** დამფუძნებლები **ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი,** შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი **თენგიზ გუნავა** და **ადვოკატი გიორგი ონიანი** არიან, ხოლო **ორგანიზაცია „კლუბი თავისუფალი ზონა“** 2013 წლის 21 მაისს დაფუძნდა, სწორედ იმ დღეს, როდესაც ვანო მერაბიშვილი დააკავეს. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან ყოფილი „ნაციონალი“ პარლამენტარი **კობა ხაბაზი** და **გელა ვასაძე.**

მთელი ამ აბსურდის ზოოლოგია კი, ალბათ, „ქართულ ოცნებას“ უკეთ მოეხსენება, რომლის საპრეზიდენტო კანდიდატი საკუთარ ძაღლთან ერთად ხვდება მხარდამჭერებს. **ბოროტი ენები ამბობენ, რომ იგი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ მასაც ჰყავს საკუთარი გოშია,** ხოლო კიდევ უფრო ბოროტები მის მოუგვარებელ ოჯახურ მდგომარეობაზე ქირქილებენ. **„ოჯახს პოლიტიკური ქულების დაწერისთვის ვერ შევქმნი“,** — აცხადებს „ოცნების“ კანდიდატი და ამაში, ძნელია, არ დაეთანხმო; **ადამიანები ოჯახს სულ სხვა მიზნით ქმნიან, მაგრამ ამომრჩეველთან საპრეზიდენტო კანდიდატის ძაღლით სიარულს რომ მომავალი პირველი ლედის წარდგენა სჯობს, ესეც ყველას კარგად მოეხსენება.**

ჯანდაბას ზოოლოგია, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ „მე-9 არხი“ ისევ დაიხურა. თურმე, კარგა ხანია, ყიდიან, მაგრამ მყიდველი ვერ მოძებნეს. არადა, ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ახლა ისევ გამოჩნდებიან მისი 1 ლარად ყიდვის მოსურნენი, მანამდე კი „ფეისბუქს“ მივუგდოთ ყური:

## «მეცხრე არხი» დაიხურა, სამაგიეროდ, «ტაბულა» მუშაობს, ძმებო!»

**საპრეზიდენტო და, რაც მთავარია, ადგილობრივი არჩევნები და შესაბამისი პერიოდი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამჭედლო, რომელშიც დღევანდელი არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ახალი სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ძალა (ერთი ან რამდენიმე) გამოიჭედება. მოთმინებამ შეიძლება ძალიან შთამბეჭდავი შედეგი მოიტანოს, რაც 2012 წლის არჩევნებში ბიძინა ივანიშვილმა დაადასტურა, ხოლო უაზრო აჩქარებას კრახი მოაქვს, რის დემონსტრირებაც, თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა მოახდინა.**



დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვადამდელი არჩევნები და კონტრრევოლუციის სამთავა ჰიდრა

**ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხი მომწიფდა და, ალბათ, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ან დადებითად, ან უარყოფითად. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მუდმივი სპეკულაციის, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების საშუალებად გადაიქცევა. ნებისმიერ გადაწყვეტილებას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები მოჰყვება. ეს ნამდვილი გორდიას კვანძია, რომელშიც უამრავი პრობლემა გადაიხლართა.**



ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივია: **იმ ხმების დიდი ნაწილი, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2012 წლის არჩევნებში მიიღო, მოპოვებულია ამომრჩევლებზე უპრეცედენტო ზეწოლისა და უამრავი „არაკონვენციური“ მეთოდის გამოყენების ხარჯზე. მანდატების განაწილება პარლამენტში ელექტორატის პოზიციას ადეკვატურად არ ასახავს და ამას ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკითხვა ადასტურებს.** ასეთი სიტუაცია დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება და ამ პარლამენტის სასწრაფო დაშლისკენ გვიბიძგებს, თუმცა არსებობს რამდენიმე შემაკავებელი ფაქტორი, რომელთა გათვალისწინება, აგრეთვე, აუცილებელია.

ვინაიდან ცხოვრება სამართლებრივ სახელმწიფოში ჩვენთვის ჯერჯერობით მხოლოდ აუხდენელი ოცნებაა, **ხშირად ძალიან ცუდად ვგრძნობთ ზღვარს კანონდარღვევის იურიდიულ დაფიქსირებასა და „ყველამ ისედაც ყველაფერი იცის“ მიდგომას შორის.** მაგალითად, არის ასეთი, ძალიან ფართოდ გავრცელებული მოსაზრება: **„ყველამ ვიცით, რომ „ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა“.** ისინი, ვინც ამ მოსაზრებას იზიარებენ (ეს ადამიანები, სავარაუდოდ, საკმაოდ შთამბეჭდავ უმრავლესობაში არიან), მოითხოვენ, რომ „ნაციონალებს“ შესაბამისად მოექცნენ, მაშინ, როდესაც ქართულ თემიდას მსგავსი განაჩენი არ გამოუტანია. ასეა პარლამენტის შემთხვევაშიც; **ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება: „ყველამ ვიცით, რომ არჩევნები უსამართლო იყო და პარლამენტი არაადეკვატურია“, მაგრამ არაფერი მსგავსი სამართლებრივ სიბრტყეში არ ფიქსირდება; იურიდიული ფუნდამენტი საკითხის გადაწყვეტისთვის, უბრალოდ, არ არსებობს.**

გასათვალისწინებელია პოლიტიკური ფაქტორიც; **არა მხოლოდ „ნაციონალები“, არამედ მმართველ კოალიციაში შემავალი იმ პარტიების წარმომადგენლები, რომელთაც 2012 წლის არჩევნებმა მათ რეიტინგზე გაცილებით** (არაპროპორციულად) **დიდი წარმატება მოუტანა, ყველანაირად შეეცდებიან მერვე მოწვევის პარლამენტს ოთხი წელი გააძლებინონ, რადგან ვადამდელი არჩევნები საფრთხეს, დიდი ალბათობით, მათ პოზიციებსაც შეუქმნის.** ნუ წარმოვიდგენთ ამას, მხოლოდ როგორც „იქს რაოდენობის“ „ნაცდეპუტატების“ მექანიკურ ჩანაცვლებას არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებით, **ვადამდელი არჩევნების გამართვის შემთხვევაში, სავარაუდოდ, უფრო სერიოზული ცვლილებები მოხდება.**

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც ვადამდელ არჩევნებს მოითხოვენ, მათთვის აქტუალური პრობლემის კომპლექსურ გადაწყვეტაზე ოცნებობენ, ანუ, ერთი მხრივ, საუბარია „ნაციონალების“ საბოლოო გადასახლებაზე ისტორიის სანაგვეზე და ამის შემდეგ გამოთავისუფლებული სივრცის დაკავებაზე; ხოლო, მეორე მხრივ, — ალასანიას ჯგუფისა და „რესპუბლიკელების“ „ჩაჩოჩებაზე“. თუმცა ორივე მიზნის მიღწევა შესაძლებელი, სავარაუდოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუ მმართველი კოალიცია ამ ჰიპოთეტური არჩევნებისთვის დაიშლება ან მის შიგნით ძალთა ბალანსის დრამატული ცვლილება მოხდება, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ **რას მოიმოქმედებს ბიძინა ივანიშვილი. ეს უკანასკნელი ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც ვადამდელ არჩევნებს სერიოზულ იმედებს უკავშირებენ და მათ დამოკიდებულებაზე ახალი არჩევნების მიმართ განმსაზღვრელ გავლენას ახდენს.**

**დემოკრატიის პრინციპების ერთგულება, პრინციპში, ვადამდელი არჩევნების დაუყონებლივ გამართვას, ხოლო საკითხის მიბმა ივანიშვილის პოზიციაზე და პროცესებზე კოალიციის შიგნით მანევრირებას და მომენტის შერჩევას მოითხოვს.** ამას კი დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს, ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური თამაშია, ავტორიტარული ეპოქისთვის დამახასიათებელი წესებით, რომლის დროს, უბრალოდ, ხდება ხმამაღალი აპელირება დემოკრატიისა და სამართლიანობის მიმართ; ამ ნიუანსის დაფიქსირება, ალბათ, მნიშვნელოვანია.

სააკაშვილის რეჟიმი პოლიტიკური სივრცის ფორმატირების პროცესში ნაჯახს იყენებდა, რათა პროცესებისგან მისთვის არასასურველი ჯგუფები მოეკვეთა. ეს ვითარება შეიცვალა, მსგავს ქირურგიულ ექსპერიმენტებს ადგილი აღარ აქვს. **თუ დღეს არსებული გაცილებით თავისუფალი რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნდება, ჩვენ, სავარაუდოდ, მივუახლოვდებით სიტუაციას, როდესაც მოქალაქეები ამა თუ იმ პარტიას მხარს იდენტური მსოფლმხედველობისა და მასზე დაფუძნებული პოლიტიკური იდეების გამო დაუჭერენ და არა იმიტომ, რომ სასწრაფოდ უნდა გააკეთონ ფორს-მაჟორული არჩევანი „ძალიან ცუდსა“ და „გაცილებით უარესს“ შორის ან სიკეთისა და ბოროტების უკანასკნელ ბრძოლაში ჯარისკაცების როლი შეასრულონ.** მარტივად რომ ვთქვათ, **პოლიტიკური სპექტრი ნელ-ნელა წავა კლასიკური დაყოფისკენ თავისი კონსერვატორებით, ლიბერალებით, სოციალისტებით, ნაციონალისტებით და ა.შ. რაც დემოკრატიის განვითარებას, სავარაუდოდ, დიდად წაადგება.**

მაგრამ ეს ხანგრძლივი, ეტაპობრივი პროცესია და მას ხელს ორი გარემოება უშლის: შესაბამისი ტრადიციების ფაქტობრივი არქონა და ის ჰიპერტროფირებული მნიშვნელობა, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში **საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის** საკითხს მიენიჭა. არადა, **ორიენტაციის საკითხის წინა პლანზე წამოწევა, მისი ზეაქტუალიზაცია და პოლარიზება ამ ნიადაგზე არის პირდაპირი გზა სამოქალაქო ომისკენ და ამას არაერთი პატარა ქვეყნის ისტორია მოწმობს, რომელიც გეოპოლიტიკური კონკურენციის ეპიცენტრში აღმოჩნდა.** აქამდე ჯერ არ მივსულვართ, თუმცა არაერთი სიგნალი ამ მხრივ საშიშ ტენდენციებზე მიანიშნებს.

ვადამდელი არჩევნები „კარგი შედეგით“ რომ დასრულდეს (აქ იგულისხმება არა რომელიმე ძალის გამარჯვება, არამედ წინ გადადმული ნაბიჯი სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს შექმნისკენ), ალბათ, სასურველია, რომ პოლიტიკური სპექტრი უფრო დალაგდეს და იდეების (ასე თუ ისე) ჯანსაღი კონკურენცია დაიწყოს. **თუ ჩვენ ვიჩქარებთ, დიდი ალბათობით, ისევ მივიღებთ ჩვეულ მანიპულირებას ტაქტიკური ლოზუნგებით, არაბუნებრივ ალიანსებს, დემაგოგების აღლუმს და, საბოლოოდ, შედეგებს, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ დააკმაყოფილებს.** ცხადია, იდეალურ მდგომარეობას პოლიტიკურ სივრცეში კიდევ ათწლეულების განმავლობაში ვერ მივაღწევთ და ამ პაუზას რაღაც ლოგიკური ზღვარი უნდა დაუწესდეს. შესაძლოა, ამ შემთხვევაში მართებული იქნება შემდეგი მიდგომის გამოყენება, რომელსაც, პირობითად, შეიძლება **„საფეხურების პრინციპი“** ვუწოდოთ.

**პირველი საფეხური** — საპრეზიდენტო არჩევნები, **მეორე საფეხური** — ადგილობრივი არჩევნები და მხოლოდ **მესამე საფეხური** — საპარლამენტო არჩევნები. ეს იდეა, შეიძლება ძალიან არ მოეწონოს იმ ადამიანებს, რომელთაც ყელში ამოუვიდათ მერვე მოწვევის დეფექტური პარლამენტი „ნაციონალების“ არაპროპორციულად დიდი ფრაქციით, ალასანია-რესპუბლიკელების ასევე არაპროპორციული გავლენით და იმ შემთხვევითი ადამიანებით, ზოგჯერ კი აშკარა იდიოტებით, რომელნიც ზედაპირზე 2012 მოვლენებმა ამოტუმბეს. მაგრამ, **შესაძლოა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დალოდება სჯობს; რათა პოლიტიკური სივრცის გადაფორმატებისა და სიტუაციის ზოგადი გაჯანსაღების პროცესი ცოტა უფრო შორს წავიდეს. ზოგი ამ პერსპექტივას ვერ ხედავს და მიაჩნია, რომ აუცილებელია სასწრაფო მოქმედება, რადგან სადღაც კულისებში რესპებისგან, ალასანიას ჯგუფისგან და „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებისგან იქმნება კონტრრევოლუციის სამთავა ჰიდრა** (ეს ძველი ლექსიკა მაინც სულ სხვაა), **რომელიც მალე ქვეყანას მოაჯდება.** ამ ადამიანებს უამრავი არგუმენტი აქვთ, მაგრამ ვინ თქვა, რომ ხსენებული „მოქმედება“ მაინცდამაინც ვადამდელი არჩევნების გამართვა უნდა გახდეს? რამდენად ღირს ამ იდეის შეწირვა არსებითად ტაქტიკური პრობლემის გადაწყვეტისთვის? და, მაღალ მატერიებს თავი რომ დავანებოთ, რამდენად მზად არიან ჩამოთვლილი ძალების ოპონენტები ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის?

**საპრეზიდენტო და, რაც მთავარია, ადგილობრივი არჩევნები და შესაბამისი პერიოდი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამჭედლო, რომელშიც დღევანდელი არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ახალი სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ძალა (ერთი ან რამდენიმე) გამოიჭედება. მოთმინებამ შეიძლება ძალიან შთამბეჭდავი შედეგი მოიტანოს, რაც 2012 წლის არჩევნებში ბიძინა ივანიშვილმა დაადასტურა, ხოლო უაზრო აჩქარებას კრახი მოაქვს, რის დემონსტრირებაც, თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა მოახდინა.**

შემოთავაზებული მიდგომა არ გულისხმობს უარის თქმას ვადამდელი არჩევნების იდეაზე, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ორიენტირად, ალბათ, სასურველია, 2014-2015 წლის მიჯნა განისაზღვროს. ამ არჩევნების გამართვას შეეწინააღმდეგება დღევანდელი პარლამენტარების უმრავლესობა და, სავარაუდოდ, უცხოელი პარტნიორებიც და ამან საკითხის დადებითად გადაწყვეტას შეიძლება ხელი შეუშალოს. მაგრამ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება იმასთან დაკავშირებით, უნდა იარსებოს თუ არა ამ, არანორმალურ პირობებში არჩეულმა, პარლამენტმა, ალბათ, მაინც ღირს.

ძნელი სათქმელია, მიაღწევს თუ არა დასახულ მიზნებს საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც რეფერენდუმის გამართვაზე ცესკოში განაცხადი შეიტანა; სარეფერენდუმო კითხვა ასე ჟღერს: **„ხართ თუ არა თანახმა, საქართველოში 2014 წელს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს?“.** ქვეყნის უახლეს ისტორიაში არსებობს არაერთი მაგალითი იმისა, რომ **ყველა იურიდიული ნორმის ზედმიწევნით ზუსტი დაცვის შემთხვევაშიც კი, ხელისუფლებამ შეიძლება მაინც მოახერხოს საკითხის ტორპედირება.** თუმცა ეს, ნებისმიერ შემთხვევაში, ალბათ, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია (მიუხედავად იმისა, მოგვწონს ეს იდეა თუ არა), **ყვირილი, უფრო სწორად კი წუწუნი, „ვადამდელი არჩევნები გვინდა“, არაფერს შველის და არაფერს ცვლის, საკითხის გადაწყვეტას გაცილებით მყარი ფუნდამენტი სჭირდება.**

თავისთავად ამ საკითხზე რეფერენდუმის გამართვის დაშვება-არდაშვება ხელისუფლებისთვის ერთგვარი ტესტის როლს შეასრულებს. კომენტატორების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ **რეფერენდუმზე, ამომრჩეველთა უმრავლესობა მხარს ვადამდელი არჩევნების გამართვას დაუჭერს. ხელოვნური წინაღობების აღმართვამ შეიძლება სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვიოს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს საკითხი საზოგადოების ყურადღების პერიფერიაზეა; ეს პრინციპული მნიშვნელობის მომენტია — მოქალაქეებმა არ უნდა იგრძნონ, რომ ხელისუფლება მათ მიმართ უნდობლობას გამოხატავს და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხზე აზრის გამოხატვის შესაძლებლობას ართმევს.**

იმედია, ახალი საპარლამენტო არჩევნები, მიუხედავად იმისა, თუ როდის გაიმართება, შესაძლებლობას მოგვცემს, მივუახლოვდეთ იმ სიტუაციას, როდესაც პოლიტიკური ძალების ბალანსი პარლამენტში ადეკვატურად ასახავს ამომრჩეველთა ყველა ჯგუფის შეხედულებებსა და ინტერესებს, რაც ოდნავ მაინც დაგვაშორებს მუდმივი კრიზისის რეჟიმს, რომლის პირობებშიც, ამდენი წელია, ვცხოვრობთ.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ძალოვან სტრუქტურებში კვლავ თბილად სხედან ჯალათები და ნაძირლები, ის ადამიანები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის დამქაშები იყვნენ. დიახ, სამწუხაროდ, ძალოვანი სისტემის სტრუქტურები არ გაიწმინდა ამ ნაძირლებისგან და ესეც არის ამ კოაბიტაციის შედეგი. იმ „ნაციონალებთან“, რომლებიც ჩამძვრალნი იყვნენ სოროებში და ბევრი გაქცეულიც კი იყო, მაგალითად, ადეიშვილი, ახალაია, შაშკინი, მიდის დიალოგი და კოაბიტაცია, სისხლის სამართლის დამნაშავეებთან არის კოაბიტაცია.“**

# როდის დასრულდება სააკაშვილ-ივანიშვილის «ფლირტი» და რას ურჩევს სააკაშვილს ვახტანგ მაისაია?

**დღეს პარლამენტს და მთავრობას მართავენ რესპუბლიკელები (როგორც ჩანს, ივანიშვილს აშშ-მა დაავალა), მაგრამ მათი რეიტინგი არ არის იმხელა, რომ ამ დოზით აკონტროლებდნენ ხელისუფლებას. საზოგადოება წუხს და ხმამაღლა აცხადებს, რომ ეს პარლამენტი ხალხის განწყობას არ გამოხატავს. რა არის გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან? „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია ესაუბრა.**



ვახტანგ მაისაია:

— საქმე ისაა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა ფორსმაჟორულ სიტუაციაში. მაშინ მთავარი ამოცანა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გადარჩენა იყო და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიდიოდა, ანუ ან ხისტი, ავტორიტარული რეჟიმი ტრანსფორმირდებოდა ტოტალიტარულ რეჟიმად (ლუკაშენკოზაციის პროცესი დაიწყებოდა), ან საქართველო დაუბრუნდებოდა დემოკრატიული რეჟიმის ტიპის მართვის წესს. აი, ამ არჩევანზე იყო საუბარი და ბუნებრივია, ქართულმა საზოგადოებამ მიიღო სწორი და ბრძნული გადაწყვეტილება და გადავრჩით. დიახ, სწორედაც, რომ გადავრჩით! აქედან გამომდინარე, **ის საპარლამენტო მდგომარეობა, რომელიც არის დღეს შექმნილი, ბუნებრივია, არ გამოხატავს იმ რეალობას, რომელსაც უნდა გამოხატავდეს. ეს პარლამენტი იყო ტრანზიტული პერიოდისთვის განკუთვნილი, ანუ იმისთვის, რომ გარდამავალი პერიოდი გაევლო საქართველოს და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ალბათ, ლოგიკურია, რომ დღის წესრიგში დადგეს საკითხი ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა, რომელიც სრულად წარმოაჩენს იმ რეალობას, რომელიც ქართულ საზოგადოებას გააჩნია.** ყველა პოლიტიკური ძალისთვის თანასწორი საარჩევნო გარემო იქნება, არ გაიმართება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არსებობისთვის და შედეგიც ადეკვატური დადგება. რაც შეეხება პერიოდს, **ვფიქრობ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ადგილობრივ არჩევნებთან ერთად უნდა ჩატარდეს.**

**— აშშ-მა სულ რომ მწვანე შუქი აუნთოს „ოცნებას“ ვადამდელი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, ახალი არჩევნები ხომ სერიოზული თანხების მობილიზებას მოითხოვს. არის თუ არა ეს თანხები და იქნება თუ არა გამართლებული ეს ხარჯი?**

— მე შემთხვევით არ ვახსენე ახალი საპარლამენტო არჩევნების ადგილობრივ არჩევნებთან ერთად დანიშვნა... ანუ, თუ ერთდროულად ჩატარდება ეს არჩევნები, ხარჯებიც ნაკლები იქნება. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება სწორედ ამ პერიოდში იქნება ადეკვატური და გამართლებული. სხვათა შორის, ახალი პრეზიდენტის მმართველობის გარკვეული ვადაც იქნება გასული და ვნახავთ, თუ როგორ მოქმედებს ახალ პირობებში ახალი კონსტიტუცია.

რაც შეეხება ამერიკის ფაქტორს, მე ამერიკის დემონიზაციას არ მოვახდენდი ჩემი სუბიექტურობიდან გამომდინარე, მაგრამ მინდა ერთი რამ ვთქვა — **გამოწვევები, რომლებიც ქართულმა მყიფე დემოკრატიულმა გარდაქმნამ მიიღო, მოდიოდა არა ამერიკიდან, არამედ ევროპიდან, იმავე ყბადაღებული სახალხო პარტიის მხრიდან. ახლა, მე მგონი, გასაგებია, თუ რომელი პოლიტიკური ძალა უქმნის დღევანდელ დემოკრატიულ ხელისუფლებას რეალურ პრობლემას, ანუ ვინ ცდილობს ყველანაირი მეთოდის გამოყენებით თავისი სატელიტის გადარჩენას. სატელიტში, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილს ვგულისხმობ.**

მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ **აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაცია, ბარაკ ობამას თაოსნობით, მიხეილ სააკაშვილს კარგა ხანია არ სწყალობს; პირიქით, ყველანაირად ერიდებოდა მასთან რაიმე კონსტრუქციული დიალოგის გამართვასაც კი. ეს ფაქტია.** ახლა ამერიკაშიც არიან იმ ნეოკონსერვატორების, ანუ ლიბერტარიანელების მომხრეები, მაკკეინისა და ლიბერმანის მოძმეების სახით და ბუნებრივია, ცდილობენ, გადაარჩინონ თავიანთი სატელიტი, მაგრამ ვიმეორებ: ამერიკის ადმინისტრაცია, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს ქვეყანას, „კოჭლ იხვ“ სააკაშვილს არ სწყალობდა, ეს იყო ცალსახა და მკაფიო.

**ქვეყანაში რომ 50 საპრეზიდენტო კანდიდატი გეყოლება, ეს უკვე არა მარტო პოლიტიკური იუმორის თემაა, არამედ ამაზე შეიძლება პოლიტიკური სატირის ახალი შოუც კი გაკეთდეს**

**— მახსენდება, სააკაშვილის განცხადება 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით...**

— მიხეილ სააკაშვილი, რომ აბსოლუტური დემაგოგია, გასაგებია, მაგრამ ამასთან ერთად პროფანიც ყოფილა. კაცმა ამერიკაში სწავლა-განათლება მიიღო, ამით ამაყობს და ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციები და მოვალეობებიც კი არ იცის, რა არის, თან იურისტია. ჯერ ერთი, კოლუმბიის უნივერსიტეტს რა ვუთხარი, რომ ამ ადამიანს დიპლომი მისცა. დიახ, კაცმა ისიც არ იცის, რომ FBI-ის — ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს არ აქვს საერთაშორისო დონეზე ჩართულობის უფლება, ეს მას კანონით ეკრძალება. CIA — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ან თუნდაც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვა რომ დაესახელებინა, კიდევ გავიგებდი. ეს დაახლოებით იგივე ვარიანტია, ჩვენი სასჯელაღსრულების სამინისტროს წარმომადგენლები ჩართულები რომ ყოფილიყვნენ აშშ-ში FBI-ის მონიტორინგზე. ეს ხომ ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული. **სააკაშვილს, გარდა იმისა, რომ პოლიტიკურად აქვს „კოჭლი იხვის“ სტატუსი, უკვე ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური პრობლემები დაწყებია. მისი განცხადებები ამის რეალურ საფუძველს იძლევა.**

**— „ქართულმა ოცნებამ“ და პრემიერმინისტრმა ივანიშვილმა ამ „კოჭლ იხვთან“ და მის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოაბიტაცია არ უნდა დაასრულონ? ერთი წელი ხდება, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ და რა გააკეთეს, გარდა იმისა, რომ ხალხს ქუჩაში აღარ ხოცავენ? პატიმრები ისევ პირს იკერავენ, უმუშევრობა კვლავ გამეფებულია და ა. შ. რა ჩამოთვლის...**

— მე თუ მკითხავთ, კოაბიტაცია არც უნდა დაწყებულიყო. აქ რა ხდება, იცით? ფიქრობენ, დასავლეთმა ცუდად არ შემოგვხედოსო და აგრძელებენ ამ კოაბიტაციას. აი, ამაზეა საუბარი და რამდენად პარადოქსულიც უნდა იყოს, დასავლეთის ეს ხედვა მოდის სწორედ იმ ყბადაღებული სახალხო პარტიის ფენომენისგან. **ძალოვან სტრუქტურებში კვლავ თბილად სხედან ჯალათები და ნაძირლები, ის ადამიანები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის დამქაშები იყვნენ. დიახ, სამწუხაროდ, ძალოვანი სისტემის სტრუქტურები არ გაიწმინდა ამ ნაძირლებისგან და ესეც არის ამ კოაბიტაციის შედეგი. იმ „ნაციონალებთან“, რომლებიც ჩამძვრალნი იყვნენ სოროებში და ბევრი გაქცეულიც კი იყო, მაგალითად, ადეიშვილი, ახალაია, შაშკინი, მიდის დიალოგი და კოაბიტაცია, სისხლის სამართლის დამნაშავეებთან არის კოაბიტაცია.** აი, ამას რა ვუწოდო, არც კი ვიცი. ეს იგივე ვარიანტია, პოსტნაცისტურ გერმანიაში ლუდვიგ ერჰარდის მთავრობას რომ ეთანამშრომლა ნაციონალ-ურ-სოციალისტური პარტიის მაშინდელ წარმომადგენლებთან. **აი, მარტინ ბორმანი (რომელიც დაკარგულია დღემდე, მაშინ გაქცეული იყო) უცებ რომ გამოჩენილიყო 1949 წელს გერმანიაში და ლუდვიგ ერჰარდთან, რომელიც იმ პერიოდში დემოკრატიულ კოალიციას წარმოადგენდა, დაემყარებინა მჭიდრო თანამშრომლობა, ბორმანს აღედგინა ნაციონალ-სოციალისტური პარტია, შესულიყო პარლამენტში და ყოფილიყვნენ ერთად გადანასკვულნი. ახლა თქვენ ხომ გგონიათ, რომ ეს არის ფანტასტიკა?! დიახ, ეს მარტინ ბორმანის აღზევება იქნებოდა. იგივე მოხდა ახლა „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ანუ ქართველ ნაცისტებთან დაკავშირებით.**

**— ეს არ ყოფილა ქართული საზოგადოების ოცნება, ხალხი მათ „ფლირტს“ უნდა შეეგუოს?**

— ხალხის სახელით ვერაფერს გეტყვით. მე შემიძლია ვახტანგ მაისაიას სახელით გესაუბროთ და მოვიყვანე კიდეც კონკრეტული პოლიტოლოგიური მაგალითი ისტორიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. იგივე ვარიანტია ეს კოაბიტაციაც, მარტინ ბორმანსა და ლუდვიგ ერჰარდს შორის დამყარებული კოაბიტაცია იმ 1949 წლის გერმანიაში. აი, ეს მომენტია დღეს. ახლა ხალხმა თავად უნდა გააკეთოს დასკვნები, მე, ვახტანგ მაისაიას, ასეთი დასკვნა გამომაქვს.

**— და ვინ წარმოგიდგენიათ მომავალ არჩევნებში სერიოზულ ძალად? მოიძებნება კი ასეთი ძალა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, თუ აქაც პრობლემა გვაქვს?**

— ჩვენთან პოლიტიკური პროცესები პოლიტიკური სატირის მომენტში მიდის. **ქვეყანაში რომ 50 საპრეზიდენტო კანდიდატი გეყოლება, ეს უკვე არა მარტო პოლიტიკური იუმორის თემაა, არამედ ამაზე შეიძლება პოლიტიკური სატირის ახალი შოუც კი გაკეთდეს. დიახ, ეს იყო პოლიტიკური სატირის იდეალური დემონსტრირება.** და რამდენი პარტიაა დღეს საქართველოში? 300-ზე მეტი, არა? ჩემი აზრით, ფორმულა უნდა იყოს ასეთი — ყველა პარტია მინუს ნაცისტები, „ნაცმოძრაობა“. დიახ, ეს პოლიტიკური ფორმულა უნდა იყოს, ეს იქნება ყველაზე იდეალური. **მთავარია, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არ აღმოჩნდნენ ახალ პარლამენტში. და თუ ადგილობრივ არჩევნებთან ერთად ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, ხალხი თავის სიტყვას ნებისმიერ შემთხვევაში იტყვის.**

ვიმეორებ: პოლიტიკური ფორმულა უნდა იყოს ყველა მინუს ნაცისტები, მთავარია, დენაციფიკაცია დაიწყოს. კი, ბატონო, სააკაშვილი, „კოჭლი იხვიდან“ მალე გადაიქცევა ჭეშმარიტ იხვად, წავა, მაგრამ მისი პარტია? — თან უნდა მიჰყვეს!

ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ სააკაშვილს, რადგან მას ძალიან კარგი პიროვნული თვისებები აქვს არტისტულ ჟანრში: მინდა, გზა დაგილოცო ქართული სატირისა და იუმორის ჟანრის აღზევებაში. არა მგონია, გაუტოლდე ისეთ კორიფეებს, როგორებიც იპოლიტე ხვიჩია, თენგიზ ჩანტლაძე და ბიძინა მახარაძე არიან, მაგრამ მინდა გისურვო, რომ, აი, ამ გზას დაადგე და რაღაც დონეს მაინც მიაღწიო. თუ მიაღწევ ისეთი მსოფლიო კორიფეების დონეს, როგორებიც ბენი ჰილი ან არკადი რაიკინია, ხომ კარგი. ამით ქართულ სატირას მაინც გაუკეთებ რამეს.

**«მთავარია, «ნაციონალური მოძრაობის» წარმომადგენლები არ აღმოჩნდნენ ახალ პარლამენტში. და თუ ადგილობრივ არჩევნებთან ერთად ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, ხალხი თავის სიტყვას ნებისმიერ შემთხვევაში იტყვის»**

ესაუბრა
**ქეთი ხოშერიკი**

**„საერთოდ ვერ გამიგია, რაზე დავობენ „ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. თუ შენი პოლიტიკა წინამორბედისგან განსხვავებულია, თქვი ხმამაღლა, თუ არა და მაშინ შეიერთე ეს „ნაციონალებიც“ და ეგ იქნება ყველაზე მაგარი კოაბიტაცია...“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# აკაკი ასათიანი: რომელი ერთი დაპირებაა შესრულებული, ან რომელს ეტყობა, რომ ოდესმე შესრულდება?

**მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი აკაკი ასათიანი.**

**— ბატონო აკაკი, თქვენი გადაწვეტილება, რომ მომავალ არჩევნებში კენჭი იყაროთ, ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. კიდევ ერთხელ განუმარტეთ საზოგადოებას, რამ მიგიყვანათ ამ გადაწყვეტილებამდე?**

— ოცდახუთ წელზე მეტია, პოლიტიკაში ვარ და სიმართლე გითხრათ, ამაზე არასდროს მიფიქრია; ძალაუფლებისკენ სწრაფვა არასდროს მქონია მიზნად, მაგრამ ახლა ბევრი რამ შეიცვალა. ამასთან, ძალიან ბევრი ჩვენი ახლობელი, მეგობარი და თანამოაზრე გვთავაზობდა, გადაგვედგა ეს ნაბიჯი. რაც შეეხება თქვენს კითხვას, რამ მიგვიყვანა საბოლოო გადაწყვეტილებამდე, ოცდათხუთმეტი პრეზიდენტობის კანდიდატია და, თუ დააკვირდებით, ყველა გაურბის რაღაც კონკრეტულ თემაზე ლაპარაკს. მხედველობაში მაქვს ის ფუნდამენტური პრობლემები, რომელთა წინაშეც დღეს ქვეყანა დგას. ზუსტად ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ ჩემი ჩამოყალიბებული შეხედულებები საზოგადოებისთვის გამეცნო და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის პოსტი, მიუხედავად მისი შეზღუდული უფლებებისა, საკმაოდ სერიოზული და მნიშვნელოვანი პოზიციაა ამ ამოცანების შესასრულებლად...

**— რა იქნება თქვენი პრიორიტეტი და მთავარი ამოცანა გამარჯვების შემთხვევაში?**

— **ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝᲗ ᲫᲘᲠᲔᲣᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ. ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲘᲛ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ, ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲔᲑᲡ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.** ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს დღეს ამაზე, მაგრამ ვერც პოლიტიკოსები ბედავენ ხმამაღლა ლაპარაკს და ვერც საზოგადოება... არა ერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, **ᲐᲛ ᲔᲢᲐᲞᲖᲔ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ...**

**— რას მისცემს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა საქართველოს?**

— ეს იძლევა საშუალებას, შენარჩუნდეს ნორმალური ურთიერთობა დასავლეთთან იმ ილუზიების გარეშე, რომ ხვალზეგ მიგვიღებენ ევროკავშირში, ნატოში, რომლისგანაც 20 წელია შარის მეტი არაფერი მიგვიღია და, ამავე დროს, იძლევა საშუალებას, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან რაღაც-რაღაცებში გავერკვეთ. მოდი, ვთქვათ პირდაპირ: დღეს რუსეთი თვლის, რომ ნატო მისთვის არის პრობლემა. ახლა სწორია ასეთი მიდგომა თუ არასწორი, ასე მიაჩნია, ამიტომ ხვალვე რომ ღებულობდნენ საქართველოს ალიანსში, ჩვენთვის საფიქრალია, რამდენად გვიღირს ეს.

**— ამ პოლიტიკით შეიძლება, დასავლეთის მხარდაჭერა დავკარგოთ.**

— რატომ უნდა დავკარგოთ, თუ მათ ჩვენთან თანასწორუფლებიანი, ღირსეული ურთიერთობა სურთ, რა არის მიუღებელი იმაში, რომ ჩვენ ჩვენი ინტერესებიდან ამოვდიოდეთ?! რა, ასე არაა ყველა სუვერენული სახელმწიფო?! გარდა ამისა, აქ **ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲓᲒᲐᲡ: ᲠᲐ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲚᲣᲡᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐᲡ, ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲜᲐᲢᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲢᲛᲐᲡᲕᲜᲐᲡ, ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲘᲛ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲕᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲥᲪᲔᲕᲘᲗ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲐᲡ ᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ? ᲓᲐᲪᲕᲐᲡ? ᲥᲝᲚᲒᲐᲡ? ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ, ᲥᲝᲚᲒᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲘᲓᲔᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲒᲐᲡ, ᲘᲛᲐᲡ ᲐᲬᲕᲘᲛᲡ...**

**— თქვენი აზრით, ის ცვლილებები, რომლებიც დასაწყისში ახსენეთ, იქნება საკმარისი იმისთვის, რომ საქართველო მთლიანობაში წარმატებული ქვეყანა გახდეს?**

— ამ შემთხვევაში მე ვსაუბრობდი პრობლემის ერთ კონკრეტულ ასპექტზე, მაგრამ ცხადია, ჩვენ ასევე გვაქვს სხვა პრობლემებიც, ეს იქნება ეკონომიკური, მორალური თუ ფსიქოლოგიური. საერთოდ, ქართველი ხალხი, საზოგადოება უნდა დამშვიდდეს და მშვიდ გარემოში უნდა გავერკვეთ, რა გვინდა. აი, ამის პარალელურად უნდა ვილაპარაკოთ რუსებთან და დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ ისეთ შეთანხმებამდე მივალთ, რომ უახლოეს მომავალში ის უზრუნველყოფს ჩვენი ხალხების ნორმალურ ურთიერთობას.

**— ხალხების ურთიერთობა რადგან ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, რამდენად დადებითად მიიღებს საზოგადოება ნეიტრალიტეტის იდეას? 2008 წელს, ბუქარესტის სამიტის წინ რომ რეფერენდუმი ჩატარდა, მასში მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ალიანსში გაწევრიანებას დაუჭირა მხარი.**

— ის რეფერენდუმი იყო შირმა სააკაშვილის მიერ გაყალბებული არჩევნების დასაცავად. აქ ყველაფერი ძალზედ მარტივია, უბრალოდ, რაღაც გაითამაშეს. **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲘᲤᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ. ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ.**

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— კარგი, მაშინ ვთქვათ, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობოდა ანტირუსული გზით წასვლას და ალიანსში შესვლას, **ᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲢᲝ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ?! ᲐᲜ ᲡᲐᲓ ᲘᲧᲕᲔᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ?! ᲛᲔ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ** და ერთხელ და სამუდამოდ დავარქვათ რაღაც-რაღაცებს სახელი. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც შეუძლია პრეზიდენტს, რომ სამსჯელოდ გაიტანოს საკითხი. მერე საზოგადოებამ გადაწყვიტოს, რას ვირჩევთ და საით მივდივართ.

**— საინტერესოა, თვითონ რუსეთის ხელმძღვანელობა როგორ მიიღებს საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებას...**

— სიმართლე გითხრათ, ამაზე მათთან არასოდეს მისაუბრია, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ: ასეთი პოლიტიკა რუსეთთან, სულ ცოტა, ლაპარაკის საშუალებას იძლევა. მერე გზადაგზა გამოჩნდება, ისინი რას ფიქრობენ და საერთოდ, რა პერსპექტივა აქვს ამ ყველაფერს. ყოველ შემთხვევაში, პროცესებში გაჩნდება შედარებით მეტი სიცხადე.

**— აქამდე არც ერთი მკაფიო მინიშნება, კრემლის მესვეურთა მხრიდან, ნეიტრალიტეტზე არ ყოფილა.**

— არც იქნება, იმიტომ, რომ ისინი არ გკარნახობენ, რას აირჩევ. იქ არის რაციონალური ხალხი, რომელიც, ჩვენგან განსხვავებით, ადეკვატურად აფასებს ვითარებას, ამიტომ რაღაც მზა ფორმულებსა და სქემებს კი არ გაძლევენ, გაკვირდებიან, გამოაქვთ დასკვნები, — რას უნდა ელოდონ შენგან მომავალში. საერთოდ, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის დიდი სახელმწიფო; ის ყველა შემთხვევაში რჩება მსოფლიოს წამყვან ქვეყნად და ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ, ანგარიშგასაწევ ძალად.

**— დავუბრუნდეთ არჩევნების თემას, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა თავადვე განაცხადეს, რომ არათანაბარ პირობებში იმყოფებიან ორ პარტიასთან — „ქართულ ოცნებასთან“ და „ნაციონალურ მოძრაობასთან“. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— რა თქმა უნდა, არ არის თანაბარი პირობები. ეს ობიექტურადაც ვერ იქნებოდა, მაგრამ, **ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘᲡ ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.** თუნდაც დაფინანსება რომ ავიღოთ, — ის მარტო მათ აქვთ და „ნაციონალურ მოძრაობას“. მორჩა, ამით ყველაფერი ნათელია.

**— ეს ყველაფერი ხომ არ გაფიქრებინებთ, რომ კოალიციას „ნაცმოძრაობის“ მეორე ძალად გაყვანა უნდა?**

— ალბათ ასეა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ?! როგორც მოკრივეებს აქვთ დარბაზში სავარჯიშო „გრუშა“, ასევე სჭირდება დღეს „ქართულ ოცნებას“ წინა ხელისუფლება. **ᲮᲐᲚᲮᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲢᲐᲜᲡ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ“. ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲒᲐᲜᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲠᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ! ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲐᲒᲔᲠ ᲡᲐᲓᲐᲪᲐᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ?! ᲔᲠᲗᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲓᲐ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲒᲐᲥᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ.** მოსახლეობა ძალიან კარგად ხედავს ამას, ამიტომ კოალიციის წამზომი, პრაქტიკულად, ჩართულია. საზოგადოება დიდხანს ვერ იქნება მოტყუებული. ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

**— შეუსრულებელი დაპირებებიც ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია მმართველი გუნდისთვის. ადრე ამბობდნენ ხოლმე, ჯერ ხელისუფლების შეცვლიდან ძალიან მცირე დრო გავიდაო...**

— და კიდევ, სააკაშვილი გვიშლის ხელსო. კი, ბატონო, უშლიდა და შეიძლება, უშლის დღესაც, მაგრამ აგერ, ორ თვეში არ იქნება სააკაშვილი, მერე რას იტყვიან? **ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲡ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ? ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲚᲐᲒᲔᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲮᲔᲓᲔᲡ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ. ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲡ ᲕᲘᲗᲮᲝᲕᲓᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ? ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲔᲗᲡ, ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲫᲕᲠᲐᲪ ᲐᲠᲐᲐ ᲯᲔᲠ.**

**— ამას წინათ ივანიშვილმა „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ არც ერთ შემთხვევაში აფხაზებთან და ოსებთან საუბარში ძალა არ უნდა იყოს ნახსენები.**

— განცხადების დონეზე ეს მისასალმებელია, მართლაც არ არიან ესენი წინამორბედივით აგრესიულები, მაგრამ უუნარო ხალხია. არადა, ახლა გადაწყვეტილებების დროა, კონკრეტული ქმედებებია საჭირო და ისინი ამას ვერ აკეთებენ.

**— მიზეზს რაში ხედავთ?**

— უწინარესად, კოალიციის სიჭრელეში, ერთიანი მსოფლმხედველობის არარსებობაში. ასევე მეორე პრობლემაა ის, რომ იქ ძალიან ცოტანი არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური ნება და გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ეს ეხება „ოცნებაში“ შემავალი სუბიექტების აბსოლუტურ უმრავლესობას, დაწყებული მათი ლიდერით, რომელსაც ეგონა, რომ ბიზნესი ჰგავს პოლიტიკას და როგორც ბიზნესში მიაღწია წარმატებას, ასევე იქნებოდა აქაც.

**— რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე რას ფიქრობთ?**

— ეს აუცილებელია და გარდაუვალი. აუცილებელია რამდენიმე ფაქტორით: ერთი ის, რომ „ნაციონალებს“ 40% არ აუღიათ; მეორე ის, რომ ივანიშვილმა განაცხადა, საპრეზიდენტო არჩევნების მერე, შესაძლოა, პოლიტიკიდან წავიდეო და მესამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ესენი რამის გამკეთებლები არიან? ახლა როგორ მოვიქცეთ, ვიჯდეთ და ოთხი წელიწადი ველოდოთ ამ გაურკვევლობაში რა იქნება? გაურკვევლობა ცუდ გარკვეულობაზე უარესია, ამას რა შეიძლება მოჰყვეს, კაცმა არ იცის.

**— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები თუ ჩატარდება, „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, არა მხოლოდ „კრივის მსხალი“ დაკარგოს „ნაცმოძრაობის“ სახით, არამედ თვითონაც ვერ მოხვდეს უმრავლესობით საკანონმდებლო ორგანოში. ამის გათვალისწინებით, როგორ ფიქრობთ, წავა მმართველი გუნდი კომპრომისზე?**

— ეს საზოგადოებაზეა დამოუკიდებული. აბსოლუტურად გეთანხმებით იმაში, რომ **„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲓᲦᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲗᲣ ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ.** პირველზე ვინცაა, ყველამ კარგად ვიცით. ასე რომ, ჯერ არაფერია დამთავრებული. საერთოდ, არა ერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, რომ, რასაც დღეს ვხედავთ, ეს არ არის ხელისუფლება, ესაა გარდამავალი პერიოდი.

**— თავის დროზე ივანიშვილი დაგვპირდა, რომ მისი მმართველობის სიკეთეს ხალხი მეორე და მესამე წელს იგრძნობდა.**

— ღმერთმა ქნას, ჩვენ კი არ ვეწინააღმდეგებით მას, მაგრამ ფაქტია, ჯერჯერობით არაფერი იცვლება. ისევ ნატო, ევროკავშირი და მიტმასვნა ერთ პოლუსთან, აი, ზუსტად ეს იყო ის, რასაც სააკაშვილმა გადააყოლა ყველაფერი. სიმართლე გითხრათ, **ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲘᲒᲘᲐ, ᲠᲐᲖᲔ ᲓᲐᲕᲝᲑᲔᲜ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“. ᲗᲣ ᲨᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲗᲥᲕᲘ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲘᲔᲠᲗᲔ ᲔᲡ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲪ“ ᲓᲐ ᲔᲒ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲙᲝᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲐ...**

**— სხვათა შორის, ამას წინათ მარგველაშვილმა არჩევნების შემდეგ კოაბიტაციის დასასრული დაგვიანონსა. რა აზრის ხართ ამაზე?**

— რა უნდა ვთქვა, იმდენად ზღვარგადასულ უმსგავსობაში გადაიზარდა ეს ყველაფერი, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდათ და მარგველაშვილს ათქმევინეს, დასრულდებაო. ესე იგი რა გამოდის? კარგად სცოდნიათ, ხალხს რა უნდა. ზუსტად ესაა უბედურება, — **ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ, ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲛᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ. ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲥ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲢᲧᲣᲘᲚᲐᲓ ᲜᲣ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗ.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**გრიფით «საიდუმლოდ»**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„7 თებერვალს ჩემთან შემოვიდა და ფულს დამესესხა, 40 მანეთს — მოსკოვში მივდივარ, ეგებ, იქ მაინც ვიპოვო სამართალიო. თუ იქაც ვერაფერს მივაღწიე, მაშინ მე ვიცი, მავზოლეუმთან რასაც გავაკეთებო. 40 მანეთის სესხება მთხოვა, როცა ხელში ეჭირა ჩანთა 30 ათასი მანეთით, იმ ფულით, რომელიც სპეკულანტ ნათელას სახლიდან ჰქონდა ამოღებული. ეს ჩანთა სულ თან დაჰქონდა, ეშინოდა, ეს ნივთმტკიცება არ მოეპარათ, სეიფშიც არ ინახავდა, გამიტეხავენო...“**



# მიხეილ მაჭავარიანმა ბელადის ძეგლს ესროლა

**ზურაბ მაჩაიძე 34 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ გადავიდა, მგონი, არ დარჩენილა უბანი თუ განყოფილება, რომლის უფროსი არ ყოფილიყო. დავუმატოთ ამას შინაგან საქმეთა თბილისის სამმართველოში, სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობაც და ჩვენ წინაშე წარმოდგება დამსახურებული პიროვნება, რომლის თვალწინ, უმეტესად, მისივე მონაწილეობით ვითარდებოდა ბევრი მოვლენა და ფაქტი, რომლებიც იმ პერიოდის სამართალდამცავი სტრუქტურების ისტორიაში საინტერესო და ფრიად საყურადღებოა. ერთგვარი კრიმინალური ქრონიკის მემატიანეა ბატონი ზურაბი, დეტალურად ახსოვს ბევრი ფაქტი, რომელთაც გრიფი „საიდუმლოდ“ ედო და საჯაროდ დღემდე არავის გამოუტანია. შინაგან საქმეთა პოლკოვნიკი ზურაბ მაჩაიძე დათანხმდა „საქართველო და მსოფლიოს“, მოეთხრო ამ ფაქტების შესახებ. დღეს პირველი პუბლიკაციაა.**



ზურაბ მაჩაიძე

## ტრაგედია თბილისის ცენტრში, ლენინის ძეგლის კვარცხლბეკთან

— ეს ამბავი ძალიან კარგად მახსოვს, — **იწყებს ბატონი ზურაბი**, — რადგან ამ ტრაგედიის მსხვერპლი იყო ჩემი თანამშრომელი. ტრაგედია 1976 წლის 8 თებერვალს დატრიალდა.

მიხეილ მაჭავარიანი (ბიჭიკოს ეძახდნენ) ქალაქის სამმართველოში და, ალბათ, რესპუბლიკაშიც ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკად იყო აღიარებული. უპატიოსნესი და საქმისთვის თავდადებული თანამშრომელი იყო. ეს სიკეთე ოჯახიდან მოჰყვებოდა: მამა, ზურაბ მაჭავარიანი, სახელმწიფო უშიშროების ერთ-ერთი დიდი სამსახურის დანაყოფის უფროსი იყო ქალაქ გაგრაში; ბიძა, დავით მაჭავარიანი, რომელიც მე შევცვალე, კალინინის რაიონში ოპერატიულ დარგში მოადგილედ მუშაობდა.

მიშა მაჭავარიანს მილიციის უფროსი ლეიტენანტის წოდება ჰქონდა. ეს ის პერიოდია, როცა 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში შს მინისტრის ძალისხმევით ძალიან გამკაცრდა ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ. კანონმდებლობაც მკაცრი იყო. აქტიურად ჩაერთნენ ამ საქმეში ახალგაზრდა მეცნიერები, მკვლევარები — გელა ლეჟავა და ანზორ გაბიანი. საზოგადოებრიობაც, პრესაც ფეხზე იდგა და შედეგიც ადეკვატური მივიღეთ.

**ეს იყო, შეიძლება ითქვას, გარდამტეხი პერიოდი „თეთრი სიკვდილის“ წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში, საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებისთვის. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ნარკომანიის პრობლემის არსებობაზე ღიად ლაპარაკი საბჭოთა კავშირში მიღებული არ იყო.**

მაღალი ტანის ბიჭი იყო. ქალაქის ნარკომანები შორიდან რომ თვალს მოჰკრავდნენ, იმწამსვე იმალებოდნენ, როგორც თაგვები სოროებში. ეშინოდათ.

მაგრამ, როგორც ხდება, ამ ახალგაზრდა კაცმა თავისი პრინციპულობით ბევრი ადამიანი გადაიმტერა, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფნიც.

საქმე ის არის, რომ ამ **პარტიული თუ საბჭოთა ბობოლების, ასევე, იატაკქვეშა მილიონერების ნაშიერები, რომლებისაც მატერიალური საშუალება ჰქონდათ ნარკოტიკებთან „თამაშის“, მიშა მაჭავარიანმა არაერთხელ ამხილა. ნარკომანი შვილი მამის კარიერაზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებდა და, რა გასაკვირია, რომ ასეთი კარიერისტები ჩასაფრებულები იყვნენ მილიციის უფროსი ლეიტენანტის წინააღმდეგ.**

ასეთი ანტაგონისტური დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდა ერთი ფაქტის შემდეგ, რომელიც მიშას პროფესიული საქმიანობის პროცესში გახმაურდა.

**მის, ასე ვთქვათ, ბადეში მოჰყვა ერთი გოგონა, სანიმუშო ოჯახის შვილი — მამა პროფესორი ჰყავდა, წლების შემდეგ თვითონაც კარგი ოჯახი შექმნა და ამიტომ მის სახელსა და გვარს არ დავასახელებ. სამწუხაროდ, ნარკომანი იყო. ეს გამოავლინა მიშამ და ჩხრეკის დროს მისგან, რბილად რომ ვთქვა, ეროტიული ფოტოსურათები ამოიღო, რომლებზეც ეს გოგონა მთავარი ფიგურა იყო.**

**აღმოჩნდა, რომ ეს ფიგურანტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ გავლენიან თანამშრომელთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. მიშა დაიბარეს, ჩამოართვეს ეს ფოტოები და მკაცრადაც გააფრთხილეს, რომ აღარ გაკარებოდა ამ გოგოს.**

ეს დღე იყო და დაიწყეს მიშას დევნა.

მოხდა ისე, რომ **ერთ-ერთი დაკავებული ნარკოდილერის ოპერატიული დამუშავების პროცესში მიშამ წინასწარი დაკავების საკანში მყოფ საიდუმლო თანამშრომელს ნარკოდილერისთვის გადასაცემად ჩაუტანა ანაშა, რის გაკეთებაც აუცილებელი იყო მრავალი მოსაზრებით, მათ შორის, ნდობის მოპოვებისა და საქმის გახსნისთვის.**

**ეს ფაქტი ცნობილი გახდა სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის. დაიხვიეს ეს ხელზე მისმა არაკეთილმოსურნეებმა, საკითხი შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად გაიტანეს და გაათავისუფლეს მიშა მაჭავარიანი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობიდან.**

ქალაქის სამმართველოს უფროსი მაშინ გივი ბაკურაძე იყო, ახლადგადმოყვანილი პარტიული სამუშაოდან — ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივნობიდან. გივი მიშას კარგად იცნობდა, იცოდა მისი მოუსყიდველობის ამბავი და ამიტომ გადაიყვანა სოციალისტური საკუთრების დაცვის განყოფილებაში, რომელიც „ობხესესის“ სახელით უფრო იყო ცნობილი და, რა დასამალია, ხალხში მაინცდამაინც კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდა. დაქვეითებით ინსპექტორის თანამდებობაზე გადაიყვანა.

იმ პერიოდში განსაკუთრებით დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა სპეკულაციის წინააღმდეგ. მაგრამ ბობოლა სპეკულანტები, თავიანთი კავშირების წყალობით, მაღალი რანგის ბიუროკრატიასთან კვლავ თავისუფლად განაგრძობდნენ „მოღვაწეობას“.

**ერთ-ერთი ქალბატონი, სახელად ნათელა, რომლის გვარი კარგად არ მახსოვს და, რომ არ შევცდე, არ ვასახელებ, დამუშავებაში ჰყავდა ქალაქის სამმართველოს შესაბამის სამსახურს, სადაც სამუშაოდ გადაიყვანეს მიშა. სწორედ მას შესთავაზეს ეს საქმე, რადგან დამუშავებასაც თავისი ვადები აქვს — ექვსი თვიდან ერთ წლამდე.**

მიშამ მოახერხა და ამ ქალის საქმე 10 დღეში დაამთავრა — დაიჭირა ქალბატონი ნათელა გადამყიდველობის ფაქტზე. ამოღებული იქნა 30 ათას მანეთამდე ფული, რაც მაშინ დიდი თანხა იყო **(მინისტრის ხელფასი 450 მანეთი იყო. — ა. ს.)**, ბევრი იმპორტული საქონელი და ყველაფერთან ერთად უბის წიგნაკი, რომელშიც ეს ქალი იწერდა, ვის და რამდენად მიჰყიდა ტანსაცმელი თუ სხვა ნივთები. ჩამოთვლილ გვარებს შორის აღმოჩნდა სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელის ოჯახის წევრის გვარიც.

**აქ მიშამ, ერთი შეხედვით, პატარა შეცდომა დაუშვა: არ დანომრა ამ უბის წიგნაკის გვერდები. ამით ისარგებლა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და ამოხია ის გვერდი, რომელზეც ეს გვარი ეწერა, რითაც საქმის სიძლიერე შესუსტდა და გამოძიებისთვის დაეკარგა ღირებულება. ბრალი კი მიშას დასდეს. მაგრამ ეს არ იყო მთავარი.**

სამინისტროში ყოველდღიურად ადგენდნენ სამართალდარღვევების ფაქტების ჩამონათვალს, ანუ ჯუმს. ფაქტობრივად, გასაიდუმლოებული დოკუმენტი იყო. სპეკულანტ ნათელას დაკავების ფაქტი, ბუნებრივია, ჩაიწერა ჯუმში.

როცა ამ დოკუმენტს გაეცნო სამინისტროს პირველი ხელმძღვანელი (გვარს არ ვასახელებ იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს), დაინტერესდა, ვინ იყო ამ საქმის გამხსნელი. ეს ქალი ცნობილი გადამყიდველი იყო, ისეთი, მაგალითად, როგორიც „ჩაშკა“ გახლდათ, წამლების უბადლო სპეკულანტი, რომელსაც მსოფლიოში არსებული ნებისმიერი უახლესი პრეპარატის შოვნა შეეძლო, გარდა უკვდავების წამლისა, რომელიც არ არსებობს.

**ამ ქალის დაკავება განსაკუთრებით დადებითად შეფასდა და იმ ხელმძღვანელმა, რომლის გვარიც არ დავასახელე, ქალაქის სამმართველოს უფროსს გივი ბაკურაძე ჰკითხა, ვინ იყო ამ საქმის ბოლოს და ბოლოს ლოგიკურ დასასრულამდე მიმყვანი. გივიმ მიშა მაჭავარიანი დაუსახელა.**

**— მიშას „ობხეესესში“ რა უნდა, მიშას ადგილი ციხეშია, — მიიღო პასუხად, — სასწრაფოდ გაათავისუფლეთ!**

**წახალისების ნაცვლად მიიღო ეს.**

**მინისტრთან მოინდომა შესვლა, რათა გაერკვია, რატომ ხდება ასეთი უსამართლობა. მივიდა. უთხრეს, თათბირი აქვსო. მინისტრმა არ მიიღო.**

**ეს ხდება იმ საბედისწერო დღეს.**

გამწარებული წამოვიდა მინისტრის მისაღებიდან მიშა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ბოლომდე ებრძოლა. მივიდა „კავშირგაბმულობის“ სახლში, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობდა და ხალხში უფრო „დომ სვიაზის“ სახელით იყო ცნობილი. დაწერა იქ რამდენიმე წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის — ედუარდ შევარდნაძის, სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის — შელეპინის სახელზე, კიდევ რამდენიმე მისამართით და დანიშნულებისამებრ გააგზავნა.

ერთ მომენტს განსაკუთრებით გამოვყოფ: წინა დღეს, **7 თებერვალს ჩემთან შემოვიდა და ფულს დამესესხა, 40 მანეთს — მოსკოვში მივდივარ, ეგებ, იქ მაინც ვიპოვო სამართალიო. თუ იქაც ვერაფერს მივაღწიე, მაშინ მე ვიცი, მავზოლეუმთან რასაც გავაკეთებო. 40 მანეთის სესხება მთხოვა, როცა ხელში ეჭირა ჩანთა 30 ათასი მანეთით, იმ ფულით, რომელიც სპეკულანტ ნათელას სახლიდან ჰქონდა ამოღებული. ეს ჩანთა სულ თან დაჰქონდა, ეშინოდა, ეს ნივთმტკიცება არ მოეპარათ, სეიფშიც არ ინახავდა, გამიტეხავენო...**

8-ში დაწერილი წერილებიდან, ერთი ჩემ სახელზე იყო: ზურა, ხომ იცი, რომ პატიოსანი კაცი ვარო.

მაგრამ ეს ყველაფერი ტრაგედიის შემდეგ გახდა ცნობილი. იმ მომენტში არავინ არაფერი იცის. **ტრაგედია 11 საათიდან 12-ის ნახევრამდე დატრიალდა. იმედგადაწურული კაცი მიდის ლენინის მოედანზე, დგება ძეგლის კვარცხლბეკთან, ამოიღებს ტაბელურ იარაღს, ესვრის ბელადის ძეგლს და მეორე ტყვიას შუბლში დაიხლის...**

ამ დროს ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეა შოთა ბუხრაშვილი. ურეკავს ბუხრაშვილი ქალაქის სამმართველოს მორიგეს და ეუბნება, რომ ლენინის ძეგლთან კაცმა თავი მოიკლა. მორიგე იმავე წუთს გვატყობინებს, სასწრაფოდ ვჯდებით მანქანაში, მივდივართ შემთხვევის ადგილზე. ჩვენი სამმართველო მაშინ ერეკლეს მოედანზე იყო, სულ რამდენიმე წუთში ძეგლთან ვართ. გვეუბნებიან, რომ მძიმედ დაჭრილი მიშა მაჭავარიანი არამიანცის საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმი იყო ოთარ სიგუა, ნევროპათოლოგი (თავში იყო დაჭრილი მიშა). **6 დღე იცოცხლა ექიმების არნახული ძალისხმევით...**

**იმ დღეს ამ ამბავს შეესწრო დედამისი, ქალბატონი მზია, რომელიც ტროლეიბუსში იჯდა და ვაკეში, შინ მიდიოდა. ვილაცას ამბავი შემოუტანია, უბედურმა ახალგაზრდამ თავი მოიკლაო. შინ რომ მივიდა, მაშინღა გაიგო, რომ ის ახალგაზრდა მისი შვილი იყო. სასწრაფოდ მოვიდა საავადმყოფოში, რომ დავინახეთ, ცრემლები ვერ შევიკავეთ და ყველა ავტირდით.** მაშინ გვითხრა საოცარი რამ, რაც ცხოვრებაში არ დამავიწყდება:

— მაგ გლახაკს, ჯერ ისინი უნდა დაეხოცა, ვინც მოსაკლავი იყო და შემდეგ უნდა მოეკლა თავიო.

ძლიერი ქალი იყო, ძლიერი პიროვნება.

მამა, გაგრიდან რომ ჩამოიყვანეს, თავზარდაცემული იდგა, ხმას არ იღებდა!

**14 თებერვალს, ისე, რომ გონზე ვერ მოვიდა, მიშა მაჭავარიანი, ჩვენი ბიჭიკო, გარდაიცვალა.**

ეს სამწუხარო ამბავი ასე არ დამთავრებულა. მილიციის თანამშრომლის მიერ თავის მოკვლა საბჭოთა კავშირში ექსტრაორდინალური ამბავი იყო. საქმის გამოსაძიებლად მოსკოვიდან, საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის კომისია ჩამოვიდა. ამ კომისიის წევრები ჩვენც შეგვხვდნენ და მრავალ შეკითხვასთან ერთად, ერთი ასეთიც დაგვისვეს, ხომ არ შეგიმჩნევიათ მის ქცევაში ნორმიდან გადახვევებიო — გიჟად უნდოდათ გამოეცხადებინათ.

მაშინ ვერ მოვითმინე და პირდაპირ ვუთხარი:

**— ეს ახალგაზრდა კაცი სამი წლის განმავლობაში ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად მუშაობდა. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ პარტორგანიზაციის მდივნად გიჟი?!**

ეს შეკითხვა აღარ გაუმეორებიათ. ▶

„რუსეთში მცხოვრებ ქართველებს დღემდე არ ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთის მხარეებს შორის მედიატორად გვევლინება შვეიცარია. უცნობია, რა ნაბიჯებს დგამს ქართული მხარე იმისთვის, რომ, აი, ეს კონსტიტუციური უფლება აღუდგინოს ქართველ ამომრჩეველს.“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

* * *

**◀ მეორე ფაქტი, რომელიც ასევე ლენინის ძეგლთან იყო დაკავშირებული, კურიოზული შემთხვევების რიგს განეკუთვნება.**

თუმცა, შეიძლება, ვცდები.

ახლოვდებოდა 1971 წლის 22 აპრილი, ლენინის დაბადების 100 წელი, საიუბილეო თარიღი, რომლისთვისაც სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკა საგანგებოდ ემზადებოდა.

ემზადებოდა საქართველოც და, უპირველესად, — დედაქალაქი თბილისი. გადაწყვიტეს ლენინის მოედნის რეკონსტრუქცია. რადგან ერთი ცნობილი ლექსის მიხედვით, თუ „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი — შიგ ჩასმული ბადახში“, ხოლო თბილისის გულში დგას გრანიტის ძეგლი ლენინის, მაშასადამე, ის უნდა იყოს უპირველესად რეკონსტრუირებული, ყოველ შემთხვევაში, ისე უნდა იდგეს, რომ მოედანზე მოძრავ ტრანსპორტს პრობლემებს არ უქმნიდეს. ამისთვის კი პოსტამენტის ოთხკუთხა ფორმის მომრგვალება გახდა საჭირო.

შემორაგვეს ძეგლი ღობით და დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები. რამდენიმე კვირა ისე საქმიანობდნენ მუშები, რომ არავინ აქცევდა ყურადღებას.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როცა შემოვლაზე ვიყავი (კალინინის რაიმილიციის უფროსის მოადგილე გახლდით და შემოვლები ჩემი ჩვეულებრივი რუტინული მოვალეობა იყო). **ვხედავ, ძეგლის კვარცხლბეკს მისდგომია ვიღაც კაცი და გრანიტის ქვის კრიალა ზედაპირზე უკვე ამოუკვეთია ერთიანი, მიუწერია ნული და მეორე ნულის ამოკვეთას შედგომია.**

ვიცოდი, რომ რეკონსტრუქცია მხოლოდ ძეგლის საფუძველს ეხებოდა, ამიტომ, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა ამ ქვისმთლელის საქმიანობა.

დავურეკე კალინინის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს — ბათუ იაკობაშვილს (პარტრაიკომის პირველი მდივანი სერგო რიგვავა იყო) და ვკითხე, რა ხდება ამ ძეგლთან დაკავშირებით-მეთქი.

არაფერი ვიცით.

მაშინ ვუთხარი, რაც ჩემი თვალით ვნახე. **იმ წუთში ჩააყენეს საქმის კურსში პარტიული ხელმძღვანელობა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. მივიდნენ და ხედავენ: ერთი ჯანიანი კაცი მისდგომია ძეგლს და ურახუნებს ჩაქუჩს საჭრეთელს — ალამაზებს, თავისი აზრით.**

გივი ლომიძე აღმოჩნდა, ცოტა ვერ იყო ჭკუაზე. ჯერ ჩვენთან ჩამოიყვანეს, მილიციის განყოფილებაში და, როცა ვკითხეთ, რას აკეთებდა, გვიპასუხა, ლენინის 100 წლის თარიღი მოდის და, აბა, რა გინდათ, ჩვენი ბელადის იუბილეს მეც ჩემებურად აღვნიშნავო.

კარგია, არა?

არ დაუჭერიათ მაშინ ეს კაცი. როგორც ვიცი, საგიჟეთში გაამწესეს სამკურნალოდ.

საუბარი ჩაიწერა
**არმაზ სანებლიძე**

# ქართული საზოგადოების ნდობის მანდატი მოქმედებს მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებამდე

**„ქართული ოცნების“ უმრავლესობით დაკომპლექტებულმა დღევანდელმა პარლამენტმა რომ ვერ გაამართლა, ამაში, მგონი, თავად პარლამენტის თავმჯდომარეც დარწმუნებულია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ორგანოში არსებულ ძალთა თანაფარდობა ოდნავადაც არ ასახავს რეალობას. არის თუ არა ამ სიტუაციიდან გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საზოგადოება ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების წინაშე დადგება

— დღევანდელი პარლამენტი არამც თუ ვერ გამოხატავს საზოგადოებრივ ინტერესს, არამედ საერთოდ ვერართმევს თავს მის წინაშე არსებულ იმ პრობლემებს, რომელთაც უნდა ეხმიანებოდეს საკანონმდებლო და, ამავე დროს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ორგანო. სხვათა შორის, ასეთი მოლოდინი ნამდვილად არ იყო, ყოველ შემთხვევაში, **ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ წინა მოწვევის პარლამენტი, რომელიც თავისი არსით მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იმართებოდა, ამ პარლამენტს აჯობებდა, ანუ დღეს შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ იმ პარლამენტშიც კი გაცილებით უფრო სერიოზული ხასიათის დებატები იმართებოდა, გაცილებით უფრო სერიოზულად აკონტროლებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას და ძალიან მწვავე კრიტიკული შეფასებებიც იყო** (ამ შემთხვევაში ერთადერთი ოპოზიციური ფრაქციის სახელით ვლაპარაკობ). გახსოვთ, პეტრე მამრაძესა და ჯონდი ბაღათურიაზე გალაშქრება, იგივე ჩემ წინააღმდეგ დავით ბაქრაძის ცილისმწამებლური კამპანია... დღევანდელი პარლამენტი კი, აბსოლუტურად მკვდრადშობილია, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა და დაუშვებდა.

**ამ პარლამენტში არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური დაპირებებითა და პოლიტიკური ამოცანების ამოხსნის მიზნით შევიდნენ საკანონმდებლო ორგანოში. და დღეს მე ვეკითხები თითოეულ მათგანს** (ვისაც აქვს თავმოყვარეობა), **რა აკავებთ ამ პარლამენტში და რას ცვლიან? მაინტერესებს, ოქტომბრიდან ოქტომბრამდე, ერთი წლის თავზე, რა ანგარიშს ჩააბარებენ საზოგადოებას.** მე არ მომისმენია ამ ხნის მანძილზე ელემენტალურად სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული დებატები, კონკრეტული ანგარიშები იგივე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო — ამნისტიის აქტის მიღება (რა თქმა უნდა, აქ მე შეკითხვები არ მაქვს), თუმცა მთელი რიგი პოლიტიკური მიმართულებების კუთხით აქაც ძალიან სერიოზული კრიზისი შეინიშნება.

**— თქვენი აზრით, რატომ დაავიწყდათ „ოცნების“ ლიდერებს ის დაპირებები?**

— მე თავის დროზე ვაკეთებდი განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბატონი ბიძინას გუნდი, „ქართული ოცნება“ მონოლითური არ არის. ჩვენ ყველა ვთანხმდებით, რომ ეს არის ეკლექტური გაერთიანება, სადაც არიან ურთიერთდაპირისპირებული ძალებიც, რომლებიც, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, ერთმანეთს იტანენ, მაგრამ **აქ არის ბატონი ბიძინა ივანიშვილის ძალიან პრინციპული ხედვა — მას არ სურს, გააწბილოს დასავლეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და, როცა არჩევანის წინაშე დგება, სამწუხაროდ, არჩევანი კეთდება დასავლეთის ინტერესების სასარგებლოდ ქართველი ხალხისა და ამომრჩევლის ინტერესის ხარჯზე.** სამწუხაროდ, ამ პროცესს, რომელსაც დასავლეთში კოაბიტაციის ვალდებულება უწოდეს, მმართველი უმრავლესობის მხრიდან პირნათლად ასრულებს ბატონი ბიძინას გუნდი. ეს პოლიტიკური მოქმედება ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს, ვინაიდან **ქართული საზოგადოების ნდობის მანდატი მოქმედებს მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებამდე. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების წინაშე დადგება საზოგადოება.**

**— რა პროცესების? რას გულისხმობთ?**

— სწორედ იმ დაპირებულ სამართლებრივი გარემოს აღდგენის პროცესს, რომელსაც დღემდე არ ასრულებს მმართველი უმრავლესობა; ძალიან ბევრი ადამიანი ელოდება წართმეული ქონების დაბრუნებას, რეაბილიტაციას და ა. შ.

**— და ვინ არის ის ძალა, რომელიც ამას ითავებს?**

— მოვერიდები კონკრეტული პოლიტიკური ძალის შეფასებაზე საუბარს, ვინაიდან დღეს ძალიან ბევრმა ძალამ, რომლებიც თავს ოპოზიციურად მიიჩნევენ, გარკვეული გარიგებების საფუძველზე მოახერხეს „ქართულ ოცნებასთან“ და კოაბიტაციის პროცესთან საერთო ენის გამონახვა და, რა თქმა უნდა, ამ ზოგიერთ თითოკაციანი პარტიის ლიდერს არ ვგულისხმობ იმ ამინდის შემქმნელად, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში. მადლობა ღმერთს, არიან პოლიტიკური ძალები და სუბიექტები, რომელთა ერთობამაც შეიძლება საბოლოოდ, სასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს. ეს არის სახალხო მოძრაობის დაწყების პირდაპირი პირობა საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე, სხვათა შორის, არჩევნების, რომელსაც არ ექნება გამჭვირვალეობისა და დემოკრატიულობის მაღალი სტანდარტი. ეს არჩევნები, ისევე, როგორც აქამდე ჩატარებული ყველა არჩევნები, გაიმართება ძველი საარჩევნო სისტემით და იმ საარჩევნო სიებით, რომელთაც არა და არ დაადგა საშველი მთელი ამ წლების განმავლობაში.

**ბიძინა ივანიშვილის გუნდშიც უხვად მოიძებნებიან პოლიტიკოსები, რომლებიც ბიომეტრიული საშუალებით სიების შედგენის საფუძველზე არჩევნების ჩატარებას წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, რომ ჰკითხოთ, ვერ გიპასუხებენ, თუ რატომ ვერ მოხერხდა თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება ბიომეტრიული სიების გამოყენებით. აღარაფერს გეუბნებით ერთიანი ამომრჩევლის საერთო ციფრზე, რომელზეც „ქართული ოცნების“ ლიდერები პირდაპირ იმაღლებდნენ ხმას** (ამომრჩეველთა ერთიანი სიის ხარვეზის დამდგენი კომისიის წინააღმდეგ, ე.წ. კაციტაძის კომისიის წინააღმდეგ), მაგრამ დღეს ეს ლიდერები ძალიან არხეინად და მშვიდად მიდიან ამ არჩევნებზე, თითქოს კაციტაძის კომისიის მიერ დადებული შედეგები სამართლიანი იყოს და პასუხობდეს იმ ელემენტალურ არითმეტიკულ გათვლებს, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში ვეხმიანებოდით.

3 მილიონ 693 ათას ამომრჩეველს ითვლის დღეს ცესკო, რაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არის სასაცილო იმ ფონზე, როდესაც საქართველოდან მილიონზე მეტი ადამიანია გასული. მაშინ, როდესაც იმავე რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ქართველები, რომელთა რაოდენობაც 800 ათასს აღემატება, არჩევნებში ვერ მონაწილეობენ. თქვენ იცით, რომ **რუსეთში მცხოვრებ ქართველებს დღემდე არ ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთის მხარეებს შორის მედიატორად გვევლინება შვეიცარია. უცნობია, რა ნაბიჯებს დგამს ქართული მხარე იმისთვის, რომ, აი, ეს კონსტიტუციური უფლება აღუდგინოს ქართველ ამომრჩეველს.**

**— ფიქრობთ, საუბრები „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცების“ გარიგების შესახებ რეალურია?**

— ეჭვი არ მეპარება, რომ დასავლეთს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მეორე ადგილზე გასვლის ძალიან დიდი სურვილი აქვს და ვფიქრობ, რომ **„ქართულ ოცნებაშიც“ მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას არჩევნების გაყალბებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ადგილზე გაყვანის მიზნით** (დასავლეთთან პარტნიორული ურთიერთობების გამყარების გამო). დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენ არ ვიქნებით მოწოდების სიმაღლეზე, ასეთი ფაქტის წინაშე ნამდვილად დავდგებით — მეორე ადგილი შეიძლება „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს მიენიჭოს.

**— და ახლა რომ დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, დაახლოებით იმავე შედეგს არ მივიღებთ? პოლიტიკურ სპექტრში ის პარტიები, რომლებიც დაასუსტეს ან თამაშიდან გაიყვანეს „ნაცებმა“, ისევ სუსტებად რჩებიან. ახალი რეალობა ახალ პოლიტიკურ სპექტრს მოითხოვს, სპექტრის მომზადებას კი დრო სჭირდება და საერთოდაც ვინ წარმოგიდგენიათ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად?**

— „თავისუფალ საქართველოში“ შემავალმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა შევძელით, შუალედურ არჩევნებში დაგვემარცხებინა „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ფინანსური რესურსი ათასჯერ აღემატებოდა ჩვენს ძალიან მწირ შესაძლებლობებს. ბატონმა კუკავამ გადალახა ეს ბარიერი, მან შეძლო, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ გაესწრო. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიმართ ხალხმა სიმპათია გამოხატა?! გაინტერესებთ, არის თუ არა პოლიტიკური სპექტრი, რომლის მიმართაც მხარდაჭერა იქნება გარანტირებული საზოგადოების მხრიდან? ვფიქრობ, არის... დიახ, არის იმ სუბიექტების დონეზე, რომლებიც თავიანთი აზროვნებითა და იდეოლოგიით დამოუკიდებელნი არიან, რომლებიც ერთგულნი არიან თავიანთი სამოქმედო გეგმის, რაც არა ერთხელ უჩვენებიათ კიდეც. **არსებობს რეალური არასამთავრობო ორგანიზაციებიც; ვფიქრობ, საზოგადოება ხვდება, რომელ არასამთავრობო ორგანიზაციასაც ვგულისხმობ. ასეთი ძლიერი გუნდის შექმნის წინაშე ქართული საზოგადოება შეიძლება ძალიან მალე დადგეს. დიახ, მძლავრი გაერთიანება მოხდება იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც არ არიან გაცვეთილნი, მხილებულნი და დისკრედიტებულნი.**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ადრე თუ სახელმწიფოს მართავდა გიჟი, ეკლესიას — შიში, ახლა სახელმწიფოს შიშით გაგიჟებული ხელისუფლება მართავს და ეკლესია დუმს. ეკლესიაში ძველი ხელისუფლების მომხრეები ხელისუფლების დაბრუნებას ელოდებიან და ნახტომისთვის ემზადებიან, მეორე ნაწილი კი, რომელსაც იმედი ჰქონდა, გაიწმინდებოდა ეკლესია, ჩუმად არის, ვინაიდან ახალმა ხელისუფლებამ განაცხადა, ეკლესია მე საერთოდ არ მაინტერესებს; ეკლესია სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს და, რაც უნდა, ის უქნიაო.“**

# მამა ელიზბარი (დიაკონიძე): ახალი ძალა უნდა გამოვიდეს ასპარეზზე, რომელიც რადიკალურად და ძირეულად შეცვლის ვითარებას

**„ხელისუფლების ქმედებები ერთ ქართულ მულტფილმს მაგონებს — თაგვი რომ ვეფხვად გადაიქცევა და მაინც თაგვის გული აქვს. ციხეში დაჭერილი ბაჩო ახალაიასი ეშინიათ“, — აცხადებს სამების ტაძრის დიაკონი მამა ელიზბარი (დიაკონიძე) და ამბობს, რომ ამ ყველაფერს ახალი ხელისუფლების სისუსტე განაპირობებს. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე მამა ელიზბარი „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება.**



**— მამაო ელიზბარ, მოგეხსენებათ, ავჭალის წმიდა გიორგის სახელობის მონასტრის მღვდელი, მამა ნიკოლოზ ტაბაღუა, რომელმაც ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჯერ ჩვენება მისცა, შემდეგ კი განაცხადა, რომ მასზე ზეწოლა მოახდინეს, პოლიციის პოლკოვნიკი და სასჯელაღსრულების №1 დაწესებულების დირექტორი თემურ ტაბაღუა აღმოჩნდა. რატომ ხდება მსგავსი ფაქტები ეკლესიაში?**

— უპირველესად, ქართველ ერს ფერისცვალების დღესასწაულს ვულოცავ. იქნებ ვინებოთ და სიკეთისკენ ვიცვალოთ ფერი.

**მამა ნიკოლოზ ტაბაღუას მე ძალიან კარგად ვიცნობ. 2004-2006 წლებში, როდესაც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ დამაპატიმრა, მამა ნიკოლოზი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს, ე.წ. რესბალნიცის დირექტორი გახლდათ.** ვერ ვიტყვი, რომ ის პატიმრების მიმართ ლმობიერი იყო, მაგრამ არც ცუდად ექცეოდა ვინმეს. უბრალოდ, შეიძლება ითქვას, რომ ზემოდგომი ორგანოების დავალებებს ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა. თემურ ტაბაღუა ბაჩო ახალაიას დანიშვნისთანავე დაწესებულების დირექტორად მოიყვანეს. იმ დროს მან ვერ დაძლია შიში, რომელიც მაშინდელ სისტემასთან თანამშრომლობას ახლდა. ამ შიშის გამო, ის იძულებული იყო, ბევრ რამეზე თვალი დაეხუჭა. სწორედ მისი დირექტორობის პერიოდს განეკუთვნება ქურდებზე გავრცელებული ფარული ვიდეოჩანაწერები, იმ პერიოდში შემოაბრძანეს გირგვლიანის მკვლელები და ა.შ.

**სავლე პავლედ იქცა და ის, რომ პოლიციის პოლკოვნიკი მღვდელი გახდა, გასაკვირი არ არის. უამრავი სასულიერო პირი ვიცით, რომლებიც ძველად სხვა ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მე, უბრალოდ, ძალიან გამაკვირვა მამა ნიკოლოზ ტაბაღუას ნათქვამმა, გამომძიებელი ჩამჭრელ კითხვებს მისვამდაო, რომ განაცხადა, პოლკოვნიკ კაცს გამომძიებლის ჩამჭრელი კითხვა გაუკვირდა? მას ძველი შიში ისევ გამოჰყოლია. რადგან, როგორც ჩანს, ისიც დარწმუნდა, რომ ძველი და ახალი ხელისუფლება ერთმანეთთან კოაბიტაციაში არიან და არაა გამორიცხული, ხვალ ბაჩო ახალაია ციხიდან გამოუშვან, ის კი არავის დაინდობს. ბაჩო ახალაიასთვის საერო და სასულიერო პირი სულერთია.**

## «ეკლესიას შიში მართავს და, სამწუხაროდ, საზოგადოებას ყოფილი ხელისუფლების შიში ისევ აქვს»

ერთ ფაქტს გეტყვით: ტაბაღუას მოადგილე გახლდათ ნიკა ქარჩავა, რომელიც მეგის ქარდავას ბიძაშვილის გამო ჯერ თანამდებობიდან გაათავისუფლეს და შემდეგ დაიჭირეს. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ მეგის ქარდავას პატიმარ ბიძაშვილს ციხეში ნარკოტიკი არ შეუტანა.

## «როგორც საერო ხელისუფლების, ასევე სასულიერო დასის ქმედებები ქართული ეროვნული ცნობიერებისგან შორს არის»

**— თუმცა წინა ხელისუფლება დღესაც აცხადებს, რომ ციხეში ნარკოტიკი არ შედიოდა...**

— რას ამბობთ, ასე იყო და დღესაც ასეა. მაჩვენეთ ციხე, რომელშიც წამალი არ შედის. წინა ხელისუფლება ნარკოტიკებით გამდიდრდა.

**— ცოტა ხნის წინ მარგვეთისა და უბისის ეპარქიაში ოთხ სასულიერო პირს მღვდელმსახურება შეუჩერეს. რას ნიშნავს ეს ყველაფერი, რა ხდება ეკლესიაში?**

— მათ დროებით შეუჩერეს მღვდელმსახურება, სანამ ყველაფერი გაირკვევა. თქვენი გაზეთის მეშვეობით ჩვენ არა ერთხელ გვისაუბრია, რომ **ეკლესიას შიში მართავს და, სამწუხაროდ, საზოგადოებას ყოფილი ხელისუფლების შიში ისევ აქვს.** 17 მაისის მოვლენების გამო ორი სასულიერო პირი დასაჯეს. გაამართლესო, იძახიან. გამართლების მიუხედავად, როგორც ამ მამაოებს მოექცნენ, ეს უკვე მათ დასჯას ნიშნავდა.

როდესაც ბიძინა ივანიშვილს ერთმა ტვინგახურებულმა ჟურნალისტმა გოგონამ ჰკითხა, როდის შეწყდება საქართველოში რელიგიური ექსტრემიზმიო, მან არ უპასუხა, რომ საქართველოში რელიგიური ექსტრემიზმი არ არის, პირიქით, ბატონმა ბიძინამ განაცხადა, ორი სასულიერო პირი უკვე სასამართლოს წინაშე წარსდგა და ექსტრემიზმს მალე აღმოვფხვრითო. **რას ნიშნავდა ეს განცხადება: მალე სხვა სასულიერო პირებსაც ჩავავლებთ ხელსო? იქნებ რელიგიური ექსტრემიზმი საქართველოში სასულიერო პირების დევნაა? არ ვიდევნებით? რამდენი სასულიერო პირი ახერხებს სიმართლის თქმას? სასულიერო დასი უფრო მეტად ომახიანად საუბრობდა წინა ხელისუფლების დროს, ვიდრე ახლა.** მათ მინდა შევეხმიანო, მეუფენო, მოძღვარნო, დიაკონნო, ისევ მტკიცედ უნდა ვსდგეთ ჩვენს სარწმუნოებასა ზედა. ეკლესიის დუმილი მაშფოთებს.

**— თქვენ სასულიერო პირებზე გადაღებული ფარული ვიდეოკადრების არსებობის შესახებ განაცხადეთ. სად ინახება ეს ფირები და რა არის მათზე ასახული?**

— ეს ვიდეოფირებიც სხვა კადრებთან ერთად შსს-ში ინახება. ათასი სისულელეა გადაღებული, მაგრამ სასულიერო პირს, რომელიც, უფლის კი არა, საერო მმართველის შიშით არის დამორჩილებული, ყოველთვის შეეშინდება.

**— თქვენ ახალ ხელისუფლებას მხარს უჭერდით, ბიძინა ივანიშვილს წერილითაც მიმართეთ ჩვენი გაზეთის მეშვეობით, თუმცა ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებთ. რა არ მოგწონთ ახალი ხელისუფლების ქმედებებში?**

— დიახ, მივწერე წერილი, მაგრამ არა მგონია, წაეკითხა. მთლიანად ხელისუფლების საქმიანობა არ მომწონს. ძველის მსგავსად, ახალ ხელისუფლებასაც ხალხთან მისვლას სიკვდილი ურჩევნია. თავიდან, როცა ახალმა ხელისუფლებამ საქმიანობა დაიწყო, მასმედიასთანაც განვაცხადე, რომ რამდენიმე მინისტრის, მათ შორის, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის საქმიანობაც მომწონს-თქო და ახლა ვფიქრობ, უკან ხომ არ წავიღო ჩემი ქება. **ძალიან სუსტები არიან. ამ ხელისუფლების ქმედებები ერთ ქართულ მულტფილმს მაგონებს, თაგვი რომ ვეფხვად გადაიქცევა და მაინც თაგვის გული აქვს — ციხეში დაჭერილი ბაჩო ახალაიასი ეშინიათ.**

ახალი ხელისუფლების წევრებს ძალაუფლება აქვთ, მაგრამ ვერ იყენებენ. **ადრე თუ სახელმწიფოს მართავდა გიჟი, ეკლესიას — შიში, ახლა სახელმწიფოს შიშით გაგიჟებული ხელისუფლება მართავს და ეკლესია დუმს. ეკლესიაში ძველი ხელისუფლების მომხრეები ხელისუფლების დაბრუნებას ელოდებიან და ნახტომისთვის ემზადებიან, მეორე ნაწილი კი, რომელსაც იმედი ჰქონდა, გაიწმინდებოდა ღვთის სახლი, ჩუმად არის, ვინაიდან ახალმა ხელისუფლებამ განაცხადა, ეკლესია მე საერთოდ არ მაინტერესებს; ეკლესია სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს და, რაც უნდა, ის უქნიაო.**

**— მამაო, ეკლესია დამოუკიდებელი არ უნდა იყოს?**

— რას ჰქვია დამოუკიდებელი უნდა იყოს?! დღეს რომ ძალიან მოგვწონს, რუის-ურბნისის კრება, სწორედ დავით აღმაშენებელმა მოაწყო, მეფემ — საერო ხელისუფალმა. სააკაშვილისა და შევარდნაძის ხელისუფლების გამარჯვებაც იმან განაპირობა, რომ ეკლესია გარყვნეს. ზვიადის პირველი დამარცხების მიზეზი ის იყო, რომ ეკლესიის უზნეო ნაწილს დაარტყა და იქვე „მოახრჩეს“.

**— საზოგადოების ნაწილი გამოსავალს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში ხედავს. როგორ ფიქრობთ, არსებული ვითარებისა და პოლიტიკური სპექტრის ფონზე, რამდენად იქნება ეს არჩევნები გამოსავალი?**

— ქათამი შეძლებს არწივივით ფრენას? ეს ხომ წარმოუდგენელია? იგივე სიტუაციაა აქაც. ხშირად ვამბობდი ხოლმე, ისე არ გამოგვივიდეს, აზრაზე მარტო გვარები გამოვცვალოთ-მეთქი და ვშიშობ, ახლაც იგივე არ მოხდეს. ამიტომ **ახალი ძალა უნდა გამოვიდეს ასპარეზზე, რომელიც რადიკალურად და ძირეულად შეცვლის ვითარებას. როგორც საერო ხელისუფლების, ასევე სასულიერო დასის ქმედებები ქართული ეროვნული ცნობიერებისგან შორს არის.**

**— მაგრამ ახალი ძალისთვის, ცვლილებებისთვის მზად არის საზოგადოება?**

— ხალხმა, ხელისუფლებამ უნდა მოამზადონ ნიადაგი. პირველი, რამაც ეს ხელისუფლება დაღუპა, ის იყო, რომ ხალხის გამორჩევა დაიწყო, შენ კარგი ხარ და მოდი ჩემთან და შენ — ცუდი და არ მოხვიდეო. **საპრეზიდენტო არჩევნები კარსაა მომდგარი და გვეუბნებიან, გინდა თუ არა, მარგველაშვილმა უნდა გაიმარჯვოსო. რატომ, რა ღირსებები აქვს მარგველაშვილს, გარდა იმისა, რომ არაფრისმქნელი ორგანიზაციის — „ქართული ოცნების“ წევრია?** ზურაბ ხარატიშვილს ორი წელი ჰქონდა ვადა დარჩენილი, ცესკოს თავჯდომარეობის საკითხს პრეზიდენტი წყვეტს და ახლა რომ არ აირჩიონ მარგველაშვილი პრეზიდენტად, პირველ ადგილზე გასული პარტიის, ანუ „ქართული ოცნების“ წევრებს, თავმჯდომარის ასარჩევ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ. ასე რომ, ზურაბ ხარატიშვილის ცესკოს თავმჯდომარეობიდან წასვლა კოაბიტატორთა დახმარებით მოწყობილი „ნაციონალების“ კიდევ ერთი ფანდია.

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

## «გვეუბნებიან, გინდა თუ არა, მარგველაშვილმა უნდა გაიმარჯვოსო. რატომ, რა ღირსებები აქვს მარგველაშვილს, გარდა იმისა, რომ არაფრისმქნელი ორგანიზაციის — «ქართული ოცნების» წევრია?»

„უბიწოდ ცხოვრება დიდი შრომის, მოთმინების, უძილო ღამეების, ცრემლის, დიდი რწმენის ფასად მიიღწევა. იქნებ სწორედ ამიტომ ერიდებიან ადამიანები ამ მეტად ძნელ საქმეს და უფრო ადვილად მისაღწევ, მოუთმენლობის, სიზარმაცის, შურის, დაჩაგვრის, ცოდვის გზას შედგომიან?! თითქოს ცდილობენ, გულის წუხილი და სულის ტკივილი ცოდვაში განაქარვონ. ჭრილობას მალამო კურნავს. ადამიანს კი ცოდვასთან მეგობრობა არ გამოადგება. ის სამოთხეში უფლის ხატად და მსგავსადაა შექმნილი საუკუნო სიცოცხლისთვის, ბედნიერებისთვის.“

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ადამიანო, რად გადაგიწყვეტია ტალახში გორაობა და მყრალი წყლის დალევა?!

**რიგითი ადამიანები, ფემინისტები თუ გენდერული ბალანსის მომხრე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ბევრს საუბრობენ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე. ამას, ხშირ შემთხვევაში, თავისუფლებითა და დღესდღეობით მსოფლიოს მასშტაბით გამეფებული დემოკრატიით ხსნიან. ან ვერ აცნობიერებენ წმინდა წიგნებში დაწერილ ჭეშმარიტებას ქალწულობისა და უბიწობის შესახებ, ან მათ მიმართ, უბრალოდ, ინდიფერენტულები არიან. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის დეკანოზი, მიქაელ გვარამაძე.**



დეკანოზი მიქაელ გვარამაძე:

## ეკლესია, ადამიანების უძლურების გამო, იმ დოზით ჩაერევა საერო საქმეებში, რამდენადაც მას საშუალებას მისცემენ

**— სიტყვა „ქალიშვილობა“ ძველ დროში უბიწოებასთან ასოცირდებოდა და ეს ძალზე დასაფასებელი იყო, ახლა კი ის ერთგვარ დაცინვადაც იქცა. თითქოს ქართველის ბუნება და ხასიათი სხვა რელსებზე გადავიდა. სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი და უნდა შევაჩეროთ თუ არა ამგვარი დამოკიდებულება?**

— ჯერ მოდით, სიტყვა „ქალიშვილობა“ ჩავანაცვლოთ სიტყვით „ქალწულობა“ (როგორც უწინ ერქვა). ეს უფრო კარგად გამოხატავს სიტყვის შინაარს. ქალწულობა ადამიანის სულიერი მდგომარეობაა, რომელიც მისი ცოდვასთან შეუხებლობით ხასიათდება. უბიწოება კი მისი თვისებაა, რომელიც ცხოვრების წესით განისაზღვრება. **ადამიანს ევალება ქალწული იყოს სულითაც და ხორცითაც, რაც, უპირველესად, წმინდად ცხოვრებას ნიშნავს. ცოდვა კი სიწმინდის შელახვაა. ქალწულობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ღმერთმა იგი მცნებაშიც კი ჩადო. მრუშობა ცოდვაა და უბიწოების დაკარგვის მიზეზია.**

ადამიანებმა, უპირველეს ყოვლისა, არ იციან, რა არის ცოდვა. ჯერ ამის ცოდნაა აუცილებელი, რის შემდეგაც შეიძლება ვისაუბროთ, რატომაა ცოდვა ესა თუ ის ქმედება, ყველაფერი მაინც ადამიანის სულიერი უვიცობის ბრალია, თუ ის საკუთარ თავს არ იცნობს, მაშინ არც ის იცის, რა უნდა. შესაბამისად, მისი არჩევანი ხშირად შეიძლება მცდარი იყოს. პიროვნების განვითარების ეტაპები მეტად რთულია და გარემო პირობებზე ბევრადაა დამოკიდებული. სამწუხაროდ, დღეს ადამიანებს სჭირდებათ განმარტება, თუ რით განსხვავდებიან ცხოველებისგან. ფესვები ადამიანის სულიერი უვიცობისა ძალიან შორსაა და ძნელი მოსაძიებელია. რაც საზოგადოებისთვის შეიძლება ნორმა იყოს, ის ყოველთვის როდი არის სწორი და მისაღები. ცრუ რეალობა ამახინჯებს ადამიანის სულიერ სამყაროს და არასწორ ფოკუსში წარმოაჩენს ცხოვრების არსს. ზნეობრივი ნორმები სულის მცნებების გამოძახილია. თუ ადამიანი საკუთარ თავს ცხოველზე ოდნავ განვითარებულად წარმოაჩენს, მაშინ მისთვის სულიერი კანონები არ იარსებებს და ყალბი ზნეობის კანონებით იცხოვრებს.

**უბიწოებას შეიძლება იმან დასცინოს, ვის სულშიც ცოდვაა, რადგან სიწმინდე მამხილებელია ყოველი დაბინძურებული შინაგანი სამყაროს მქონე ადამიანისთვის. სწორედ ეს მხილება აყვირებთ, რადგან სჯობს, თავს დაესხნენ, ვიდრე მხილებულები იყვნენ. მწარედ ცდება ცოდვის ამრჩევი ადამიანი, რადგან უბიწოება და სიწმინდეა ის იარაღი, რომელიც საუკუნეებს უძლებს. სწორედ ამ იარაღის მოპარვას ცდილობენ ღვთის მოწინააღმდეგენი.** საზოგადოებას ცოდვა უფრო უყვარს, ვიდრე მადლი. ამის უპირველესი მიზეზი კი ამპარტავნებაა. მცოდნე ადამიანი ცდილობს, თავი წარმოაჩინოს, ყურადღება მიიქციოს და თავისი წესები შესთავაზოს გარშემომყოფთ. საკუთარი თავის შემცნობნი კი მოკრძალებით, თავმდაბლად აკეთებენ თავიანთ საქმეს. ქართველი ერის სულიერი გამოცოცხლება საკუთარი თავის შეცნობაშია. შეიძლება ტაძარში იდგე, ქადაგებას უსმენდე, წიგნებს კითხულობდე, მაგრამ საკუთარ თავში ღმერთი ვერ იპოვო, რადგან უამრავი ნაგავი აყრია შენს სულს, რის გამოც ადამიანი ოხრავს და გმინავს. ის თითქოს სხეულით ჯანმრთელია, მაგრამ მაინც ცუდად არის, ვერ გაუგია მიზეზი უბედურების.

**სულის სახლი სხეულია და სული მისი საშუალებით სჩადის ცოდვას ან მადლს. რატომ ერიდება ადამიანი ტალახის გუბეს, რატომ არ წვება შიგ და არ ნებივრობს, როგორც ღორი?! მაშ, რად აჭირვებს თავის სულს მრუშობით, მკვლელობით, ქურდობით?! მას ვერ გაურკვევია, რომ ცოდვა სულისთვის ის ტალახის გუბეა, რომელშიც ჩაწოლას არ ისურვებდა. ვინ სვამს ამღვრეული და დაბინძურებული წყაროდან წყალს?! მაშ, ადამიანო, რად გადაგიწყვეტია ტალახში გორაობა და მყრალი წყლის დალევა?!**

ცოდვა და მადლი ნაყოფით იცნობა. ღმერთმა ყველაფერი მშვენიერი შექმნა და ჩვენ რატომ ავირჩიეთ ცოდვა სამოთხეში, რის გამოც დავეხეტებით დედამიწაზე და ჩვენი ადგილი ვერ გვიპოვია?! ადამიანი მუდმივად ეძიებს თავის საქმეს, შემდეგ კი იწყებს იმაზე ფიქრს, თუ რა მიზნისთვის უნდა გააკეთოს ის. ვინაა ის, ვისთვისაც მთელი ცხოვრება უნდა დახარჯოს და ვის უნდა მიართვას საბოლოოდ სიყვარულით გაკეთებული საქმე. ის, ვისაც ჩვენს გაკეთებულ საქმეს მივართმევთ სახილველად და მოსასმენად, მშვენიერი უნდა იყოს. ჩვენ, ყველანი ხომ ვცდილობთ, შესაძლებლობების მიხედვით, საუკეთესო ამოვირჩიოთ. **უბიწოდ ცხოვრება დიდი შრომის, მოთმინების, უძილო ღამეების, ცრემლის, დიდი რწმენის ფასად მიიღწევა. იქნებ სწორედ ამიტომ ერიდებიან ადამიანები ამ მეტად ძნელ საქმეს და უფრო ადვილად მისაღწევ, მოუთმენლობის, სიზარმაცის, შურის, დაჩაგვრის, ცოდვის გზას შედგომიან?! თითქოს ცდილობენ, გულის წუხილი და სულის ტკივილი ცოდვაში განაქარვონ. ჭრილობას მალამო კურნავს. ადამიანს კი ცოდვასთან მეგობრობა არ გამოადგება. ის სამოთხეში უფლის ხატად და მსგავსადაა შექმნილი საუკუნო სიცოცხლისთვის, ბედნიერებისთვის.**

ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ ადამმა და ევამ არ იცოდნენ, რა იყო წუხილი, დარდი, ჯავრი. ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ სამოთხეში. **ბედნიერება, რომელსაც ასე გამალებით ეძებს ადამიანი, ამ ქვეყანაში ცოდვისგან გარიდებაში და ღმერთთან დაახლოებაშია. ნებისმიერი საშუალებით უნდა ეცადოს ადამიანი, რომ გარშემო ყველაფერი სამოთხეს დაამსგავსოს. რასაც დავცინით, იქნებ იქიდან დავიწყოთ ბედნიერების ძებნა?** ადამიანი ცოდვამ სამოთხიდან გამოაძევა და მემკვიდრეობით სიკვდილი მიიღო. ყველა ადამიანს აქვს სამშობლოში დაბრუნების შანსი. მისი ცხოვრება, რომელიც საკუთარი თავისა და უფლის შეცნობაში უნდა გაატაროს, მის მიერ მოპოვებული სათნოებები და უკიდეგანოდ დიდი სიყვარულია, რომლის საშუალებითაც თითოეულს შეუძლია დიდი ბედნიერება იპოვოს.

**— არაერთხელ მომისმენია ერთსა და იმავე ადამიანისგან ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ქალიშვილობის ინსტიტუტის გაუქმებასთან და ქალიშვილობის დამადასტურებელ დოკუმენტთან დაკავშირებით, თითქოს სიტუაციიდან გამომდინარე საუბრობენ და საკუთარი აზრი არ გააჩნიათ. მექმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველთა გარკვეული ნაწილი გარეგნულად ევროპელებს ბაძავს, ხოლო შინაგანად სრულიად საპირისპირო შეხედულებები გააჩნია. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? თვითონ ქართველობა თავისი მენტალიტეტით ხომ არ გახდა ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის სასირცხვილო?**

— სანამ ვინმეს მიბაძავ, კარგად უნდა გაიცნო. შემდეგ კი, თუ რამე აქვს კარგი, უნდა შეისწავლო და განვითარდე. სირცხვილია მსჯელობა იმაზე, რაც არ გესმის, უთუოდ შერცხვები არა მარტო თანამოაზრეებთან, არამედ საზოგადოების წინაშე, რომელიც გამადიდებელი შუშით გიყურებს. თუ რამის თქმას გადაწყვეტ, რამე ფასეული უნდა თქვა, შენს გვერდით მდგომს რომ გამოადგება, სხვა შემთხვევაში კი, დუმილი სჯობს. ბრძენი სხვის შეცდომებზე სწავლობს, სულელი კი — თავისაზე. ეს ყოველივე კი იმის შედეგია, რომ **ვეღარ გაერკვა ქართველი ადამიანი, თუ რა არის მისთვის ფასეული, ან შეგნებულად, არასწორი ხერხებით ცდილობს მის დაცვას. ევროპას სანამ მივბაძავთ, საკუთარი ქვეყნის ისტორია უნდა შევისწავლოთ და კარგად დავუკვირდეთ იმ წმინდანების ცხოვრებას, რომლებიც სიწმინდის შელახვას სიკვდილს ამჯობინებდნენ.** ხომ არ ჯობია, ყველამ საკუთარ თავს მოვთხოვოთ უბიწოების, უცოდველობის, მიმტევებლობის დოკუმენტი, სიყვარულით ბეჭედდასმული?! იქნებ უფრო მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ და ვიზრუნოთ ერთმანეთზე, მაშინ ამდენ გაურკვეველ და დასაცინ სიტუაციაში არ აღმოვჩნდებით.

**— ქორწინება, ქალისა და მამაკაცის კავშირი, მაშინ არის ღირსეული, როდესაც ის ურთიერთნდობაზეა დაფუძნებული (ჩვენი სარწმუნოებაც სწორედ ამ აზრის გამტარებელია). აქედან გამომდინარე, ეს დოკუმენტი ერთგვარ იარლიყს ხომ არ წარმოადგენს ქალისთვის, როგორც უბრალოდ გასაყიდი საქონლისთვის?**

— ქორწინება საიდუმლოა, ორი ადამიანის კავშირი უფლისა და ერთმანეთის სიყვარულზე დაფუძნებული. სიყვარული, უპირველესად, სულიერი კავშირია, რომელიც ურთიერთპატივისცემაზეა დაყრდნობილი. სადაც სიყვარულია, იქ შეცდომების მიტევებაა. შეუცდომელი კი არავინაა და, როგორც მიუტევებ, ისე მოგეტევება. **სიყვარულს შეუძლია უძლური ძლიერად გადააქციოს, ცოდვილი — უცოდველად, მრუში კი — უბიწოდ. ქორწინების უპირველესი საქმე შვილიერებაა. თუ გინდა კარგი მოსავალი მიიღო, მარცვალი ნოყიერ და წმინდა ნიადაგზე უნდა დათესო.** ქორწინება საიდუმლოა, რომლის წარმატებულობა სულიერ და ხორციელ უბიწოებაზე, ერთგულებაზეა დამოკიდებული. ოჯახი ის ქურაა, რომელშიც მომავალი თაობები იჭედებიან დიდი და სასახელო საქმეებისთვის.

**— თქვენი აზრით, როგორ და რა დოზით უნდა ჩაერიოს ეკლესია საერო საკითხებში?**

— რატომ ეშინიათ ასე ეკლესიის? ალბათ, იმიტომ, რომ, ვინც სიწმინდეს შეეხება, მხილებულ იქნება თავის საქმეებში. **ყველამ კარგად იცის, რომ უზენაესი ღმერთის მცნებებია, რომელზეც დგას მთელი ქვეყნიერების სამართალი. იციან, რომ, თუ ეკლესია ჩაერევა საერო საქმეებში, ყველას მოუწევს პასუხისგება უფლისა და ერის წინაშე.** ყოველ ადამიანს მოუწევს, შერცხვეს თავისი უმოქმედობისა თუ არასწორი ქმედების. ვის აძლევს ხელს, საკუთარი ცოდვები მთელი ქვეყნის წინაშე გამოამზეუროს?! რატომ ეშინია ადამიანს ასე სიმართლის?! რატომაა ასე ძნელი აღიარება იმის, რაც სწორია და გწამს? რამდენი ქრისტიანის სისხლით მორწყულა ქუჩები! **ეკლესია, ადამიანების უძლურების გამო, იმ დოზით ჩაერევა საერო საქმეებში, რამდენადაც მას საშუალებას მისცემენ. უფალი ხსნას სთავაზობს, ადამიანი კი თავისი თავისუფალი ნებით იღებს ან არ იღებს შემოთავაზებებს.**

**ორშაბათს ფერიცვალების დღესასწაული იყო. მთელ ერს ვუსურვებ სულიერ ფერიცვალებას, ყოველ ადამიანს ეპოვოს საკუთარ გულში უფალი.**

ესაუბრა
**შორენა ღვაჩლიანი**

პრემიერმინისტრის საყურადღებოდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ანაკლიის პორტი ყულევის პორტს გადაფარავდა, რადგან ანაკლიის შემთხვევაში მას პერსპექტივა არ ჰქონდა, ყულევის აშენებას მხარს არ უჭერდა არც ერთი კვლევითი ცენტრი. ამ მშენებლობასთან დაკავშირებით საგულისხმო იყო შევარდნაძის განკარგულებაც. ის წერდა, რომ მშენებლობასთან დაკავშირებით ყველა წვრილმანიც კი ჩემთან შეათანხმეთო. ეს პრეზიდენტის საქმე არ იყო, უბრალოდ, პირადი დაინტერესება ჰქონდა.“

# სააკაშვილმა ანაკლიის პორტის იდეა მოიპარა და იქ სასტუმროები ააშენა!



წინა საუკუნიდან მოყოლებული ანაკლიის პორტის მშენებლობას აქტუალობა არ დაუკარგავს. სხვადასხვა დროის პრეზიდენტები, მეცნიერები და ბიზნესმენები ანაკლიის პორტის მნიშვნელობასა და მის სტრატეგიულობაზე გამუდმებით საუბრობდნენ. წლები გადის და ზოგმა პიარის კარგ საშუალებად გამოიყენა, ზოგმა — ფულის მოსაზიდად. ყველა პოლიტიკურმა ძალამ იცის მეგრელებისთვის რამხელა მნიშვნელობა აქვს ანაკლიის მშენებლობის სწორად წარმართვას და ამას წინასაარჩევნოდ კარგადაც იყენებენ.
1999 წელს ანაკლიის პორტის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც შემდგომ გაურკვეველი მიზეზებით ჩაიშალა. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, ანაკლიის პორტის მშენებლობაზე საუბარი პრეზიდენტთან ერთად ინგლისში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა თემურ ქარჩავამ დაიწყო, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებას რამდენიმე მილიონსა და დაწყებული მშენებლობის ჩაშლას ედავება. ანაკლიის პორტის თემით ჩვენი დაინტერესებაც სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია. როგორ დაიწყო ანაკლიაზე საუბარი და როგორ ჩაიშალა? რა ხდება დღეს ანაკლიაში? რა საფრთხეს გვიქადის პლატინა, რომელიც ენგურჰესის მშენებლობის დროს ჩადგეს? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის განყოფილების ყოფილ გამგეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს — **ჯუნა მხეიძეს** ეწვია.

## ჯუნა მხეიძე: ანაკლიის პორტი ერთ-ერთი უმთავრესი გზაა აფხაზებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად. აქ 12 ათასზე მეტი ადამიანი დასაქმდება. აფხაზეთიდანაც ბევრი ჩამოვა სამუშაოდ

— ანაკლიის პორტის იდეა რომ გაჩნდა, მაშინ მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე ვიყავი, აკადემიკოსი არჩილ კიკნაძე კი — ნაპირდაცვის გაერთიანების უფროსი. როდესაც ანაკლიაზე საუბარს ვიწყებდით, ჩვენი მთავარი სატკივარი ანაკლიასთან ახლოს მდებარე პლატინა იყო. გახსოვთ, ალბათ, **ენგურჰესი რომ აშენდა, მდინარეს მიმართულება შეუცვალეს, ანაკლიიდან 62 კილომეტრში კი დამბა ჩადგეს. დრო გადის და ამ ნაგებობას დაცვა სჭირდება, ოდნავადაც რომ რამე შეეხოს და გაიბზაროს, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს სერიოზული საფრთხე ემუქრება.**

ენგურს მიმართულება რომ შეუცვალეს, იმ ადგილას ჭაობი დარჩა. მთავრობამ დავალება მოგვცა, რომ დაჭაობებული ტერიტორია აგვეთვისებინა. ეს იყო 5 ათასი ჰექტარი. ნაპირდაცვასთან ერთად, აღნიშნული ტერიტორიის ათვისების გეგმა შევიმუშავეთ. დავწერეთ პროექტი და გავიტანეთ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, პროექტი დამტკიცდა. **პროექტში შედიოდა არხის გაყვანა, რომელიც დამბის დაცვას შეძლებდა. ჩვენ მიერ შემუშავებულ პროექტში არსებული არხის მეშვეობით წყალს ჭურიის ჭაობებისკენ გავიყვანდით, მისი სიგანე 300 მეტრი უნდა ყოფილიყო, რომელიც მოსახლეობას წყალვარდნისგან დაიცავდა.**

გავიდა დრო და დამტკიცებული პროექტი ჩავარდა, ხან უფულობას იმიზეზებდნენ და ხან რას. დღემდე თითი თითზე არ დაუკარებიათ. არხი, რომელიც პროექტში ჩავსვით, მომავალში ანაკლიის პორტსაც დაიცავდა.

**წლები გადის და არავის ახსენდება დამბის არსებობა და საშიშროება, რომელიც მას ახლავს.**

**— რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს დამბას?**

— დივერსია, მიწისძვრა...

**— სააკაშვილი ანაკლიის მშენებლობას რომ იწყებდა, თუ გიცდიათ, რომ შეხვედროდით, თქვენი პროექტი გეჩვენებინათ და თან საშიშროების შესახებ მოგეხსენებინათ?**

— ვცადეთ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. დამბაზე ხმამაღლა საუბარს ცოტა ვერიდებოდით-ხოლმე, რადგან შესაძლებელია, ამან მოსახლეობაში პანიკა გამოიწვიოს.

სააკაშვილი პრეზიდენტი რომ გახდა, მე და არჩილ კიკნაძემ წერილი გავუგზავნეთ, რომელშიც აღწერილი გვქონდა ანაკლიის პორტის მნიშვნელობის დეტალები, ანაკლიის პორტი შავ ზღვაზე ყველაზე პერსპექტიული იქნებოდა. ჩვენ გვქონდა ასეთი გეგმა: **პორტის პირველი რიგი წელიწადში 5-დან 7 მილიონ ტონამდე ტვირთს მიიღებდა, ამის შემდეგ იქნებოდა მეორე რიგი, რომელიც 90-100 მილიონ ტონა ტვირთის მიღებას შეძლებდა. ასეთი ტვირთის მიღება არც კონსტანცას, არც ბურგასს არ შეეძლო. აკვატორია და სიღრმე ჩვენ ამის საშუალებს გვაძლევდა.**

ყულევში რომ ნავსადგური გააკეთეს, მისი სიღრმე სულ ექვსი მეტრია, რომც გააღრმავონ, ისეთი ტერიტორიაა, რომ სამბალიანი შტორმის შემთხვევაშიც კი ამოივსება.

**— ყულევი ანაკლიის პორტის პროექტის დამტკიცების შემდეგ გააკეთეს?**

— დიახ, ყულევის პორტის მშენებლობას ჩვენი პროექტის დამტკიცების შემდეგ მოეწერა ხელი. ჩვენი პროექტის ჩაშლაში, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცოდნენ ანაკლიის პორტის მნიშვნელობა, დიდი წვლილი შეიტანეს: დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ, ტრანსპორტის მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა, ერაგიამ, მაგრამ ეს შევარდნაძის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ჩვენს გუნდს ინვესტორიც ნანახი ჰყავდა. სენაკში გაზრდილი ებრაელი იყო მოსიაშვილი. იგი ჩემთან ერთად მუშაობდა; აქედან რომ წავიდა, ხშირად მიკავშირდებოდა, მკითხულობდა. ერთ დღესაც მითხრა, რამე კარგი გეგმა შევიმუშაოთ და დავაფინანსებო. მე ანაკლიის პროექტის შესახებ ვუთხარი, ის დაფიქრდა და რამდენიმე დღეში დამირეკა, თავის ბიზნესგუნდთან ერთად მზად იყო, რომ 750-მილიონიანი პორტის მშენებლობა დაეფინანსებინათ.

**ჩვენმა პროექტმა სახელმწიფო ექსპერტიზა გაიარა, ის მოიწონა მშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკურმა საბჭომ, ასევე ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის საკითხთა სამთავრობო კომისიამ, ყველამ განაცხადა, რომ ეს არის საქართველოს ხსნა. პროექტი ჩავარდა. ასევე ჩავარდა მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული 62-კილომეტრიანი ტრასის ათვისების გეგმაც. მაშინ იქვე გვითხრეს, რომ პორტზე ხმა არ ამოიღოთო. მიზეზად თანხის არარსებობას ასახელებდნენ. მათ იცოდნენ, რომ ჩვენ სპონსორი გვყავდა, ყველა საბუთი მზად გვქონდა.**

პროექტის წარდგენიდან რამდენიმე დღეში დამირეკეს და მითხრეს, რომ გაზეთში ანაკლიის პორტის ასაშენებლად საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდაო, განაცხადს ხელს აწერდა ტრანსპორტის მინისტრი მერაბ ადეიშვილი.

მოვითხოვე, რომ შევარდნაძის განკარგულება ეჩვენებინათ. შევარდნაძის განკარგულება ტენდერის გამოცხადების შესახებ ათი დღის თავზე გამოქვეყნდა. წარმოგიდგენიათ, ასეთი რაღაცებიც ხდებოდა.

ჩვენი პროექტი ჩააგდეს და ყულევის აშენება დაჩქარებული ტემპით დაიწყეს.

**ანაკლიის პორტი ყულევის პორტს გადაფარავდა, რადგან ანაკლიის შემთხვევაში მას პერსპექტივა არ ჰქონდა, ყულევის აშენებას მხარს არ უჭერდა არც ერთი კვლევითი ცენტრი. ამ მშენებლობასთან დაკავშირებით, საგულისხმო იყო შევადნაძის განკარგულებაც. ის წერდა, რომ მშენებლობასთან დაკავშირებით ყველა წვრილმანიც კი ჩემთან შეათანხმეთო. ეს პრეზიდენტის საქმე არ იყო, უბრალოდ, პირადი დაინტერესება ჰქონდა.**

**— სააკაშვილმა რომ დაიწყო ანაკლიაზე საუბარი, თქვენ მის გეგმას ეთანხმებოდით, სწორად დაიწყო მან მშენებლობა?**

— არა, რა თქმა უნდა. ანაკლიის მშენებლობა პორტიდან უნდა დაწყებულიყო. ანაკლიაში ნახევარი წელიწადი წვიმაა, ამიტომ იქ ტურისტისთვის სახარბიელო ადგილი არ არის, შესაბამისად, მომგებიანიც არ არის.

**სააკაშვილი ავადმყოფი კაცია, მას ასეთი რაღაცები ახასიათებს. ფოთში აეროპორტი დაინგრა, მეცნიერებისთვის არ უკითხავს, რატომ დაინგრა და განკარგულება გასცა, რომ ახალი საერთაშორისო აეროპორტი ააშენეთო. ფოთში, როდესაც შტორმი იწყება, მიწის ფენები მოძრაობს, ამიტომ დაინგრა აეროპორტიც.**

**— ჩვენ აღარ გავაგრძელეთ იმაზე საუბარი, სააკაშვილს რომ წერილი მისწერეთ, მოვლენები როგორ განვითარდა?**

— ძალიან საინტერესოდ, თუმცა არაფრის დადასტურება არ შემიძლია. მოგიყვებით, რა მოხდა. ჩვენ წერილი შევიტანეთ, არჩილი თავად მივიდა, როგორც აკადემიკოსი, მის მიღებაზე სააკაშვილმა თანხმობა განაცხადა. იმ დღეს სააკაშვილს არ ეცალა, ელჩებს ხვდებოდა, ამიტომ წერილი მდივანთან დავტოვეთ და მან შეიტანა. დრო რომ გავიდა, წერილის პასუხი მოვითხოვეთ, წერილში გეგმის შესახებ ყველაფერი იყო ნათქვამი. პასუხი ვერ მივიღეთ, მაგრამ მდივანმა თქვა, რომ მან წერილი შეუტანა. მერე მდივანი შევიდა და თქვა, რომ წერილი მაგიდაზე აღარ დევსო. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?

**— ფიქრობთ, რომ იდეა მოიპარა?**

— შესაძლებელია, ოღონდ გადააკეთა და სასტუმროები და სისულელეები ააშენა.

ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტში მეტეოროლოგების 50-წლიანი დაკვირვების შედეგები იდო, მასში ნათლად ჩანდა, რომ ნახევარი წელიწადი იქ წვიმებია, ანუ ტურისტისთვის მომხიბლავი არ არის, ეს მაინც გაეთვალისწინებინა... ასე და ამგვარად, სააკაშვილთან მოლაპარაკება ჩაიშალა.

**— ახალ ხელისუფლებასთან ამ საკითხზე საუბარი სცადეთ?**

— ასე წერილობითი და პირდაპირი არა, მაგრამ გაზეთის საშუალებით მივწერე. მითხრეს, რომ პრემიერი გაზეთებს კითხულობსო, მაგრამ რა ვიცი... იმედი ძალიან გაცრუებული მაქვს, არადა, მინდა ბიძინა ივანიშვილმა იცოდეს, რას ნიშნავს **ანაკლიის პორტი — ეს ერთ-ერთი უმთავრესი გზაა აფხაზებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად. აქ 12 ათასზე მეტი ადამიანი დასაქმდება. აფხაზეთიდანაც ბევრი ჩამოვა სამუშაოდ. ამ გზით, ჩვენი ეკონომიკა გზას გაჭრის მათი ეკონომიკისკენ.**

ტვირთი ჩინეთიდან, შუა აზიის რესპუბლიკებიდან, სადაც ჭარბი და იაფი მუშახელია, ევროპაში მიეწოდება სუეცის არხით ან აფრიკის შემოვლით. ანაკლიის პორტის აშენების შემდეგ კი ტვირთი წამოვა რკინიგზით კასპიის ზღვამდე, ბორანით აზერბაიჯანში და იქიდან რკინიგზით — ანაკლიამდე, ანაკლიიდან კი ბორანით — ილიჩკოვსკში (უკრაინა), კონსტანცაში, ბურგასში და ა.შ. ტვირთი აღმოსავლეთ ქვეყნებიდან ევროპაში ორჯერ უფრო იაფად, სწრაფად და მოკლე გზით მიეწოდება.

დაბოლოს, **მნიშვნელოვანია არხი, რომელიც წყალს ჭურიისკენ გადაისვრის და მოსახლეობასა და პორტს დაიცავს.**

«ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტში მეტეოროლოგების 50-წლიანი დაკვირვების შედეგები იდო, რომლებშიც ნათლად ჩანდა, რომ ნახევარი წელიწადი წვიმები იქნებოდა, ანუ ტურისტს არ მოიზიდავდა»

ესაუბრა **ეკა ნასყიდაშვილი**

„თუ სახელმწიფოს აინტერესებს, თუ ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლოა, დაე, იყოს. მაგრამ, არა მგონია, რომ განათლებულმა თანამეგობრობამ მოგვიწონოს ასეთი პროვინციალიზმი. სჭირდება კი ქვეყანას? ეჭვი მეპარება. ეს სააკაშვილის კაპრიზი იყო და, რაც მალე მოვიცილებთ, უკეთესია.“

დედაქალაქი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნაგავს გასაყოლებელი მიშიზმები

**თბილისის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი ინიციატივით გამოდის. გასულ კვირაში გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ თბილისის აეროპორტს, ვარდების მოედანსა და რიყის პარკს ახალი სახელები უნდა დაერქვას, კერძოდ, აეროპორტს — ზვიად გამსახურდიას სახელი, ვარდების მოედანს — მერაბ კოსტავასი, ევროპის მოედანს — ასი ათასი მოწამის, რიყის პარკს კი — ევროპის პარკი. ბატონ შიხიაშვილს არაფერი უთქვამს ბუშისა და კაჩინსკის ქუჩების სახელწოდების შეცვლაზე. ეტყობა, ტოვებენ. არადა, თუ რამ სასირცხვილო დაგვრჩა ამ სფეროში სააკაშვილის ობივატელური აზროვნების გადმონაშთის სახით, სწორედ ესაა. ხომ არ ვცდებით ამგვარ შეფასებაში? „საქართველო და მსოფლიომ“ სთხოვა ქვეყნის თვალსაჩინო ადამიანებს, გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამასთან დაკავშირებით.**



## „ყველა თავისთვის ქულებს აგროვებს“

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:**

— ჩემი პირადი აზრი ასეთია: **კარგა ხანია, პარტიიდან პარტიაში მორბენალების არაფერი მჯერა და ძალიან მეპარება ეჭვი ბევრის გულწრფელობაში.** იმისი არ იყოს, ქრისტიან-დემოკრატებმა რომ დაიწყეს ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვება. ყველა თავისთვის ქულებს აგროვებს.

რაც შეეხება ბუშს და კაჩინსკის, ყველამ თავის ბ... მამიდას მოუაროს. მე იმ ქუჩაზეც არ გავივლი, რომელთაც ეს სახელები აწერია. ასეთია ჩემი პასუხი.



## „რა უნდა ბუშის ქუჩას თბილისში? ან კაჩინსკის ქუჩას?“

**თემო გოცაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი:**

— ნაცები რომ დასცინოდნენ კომუნისტებს, როზა ლუქსემბურგისა და ბებელის, რევოლუციონერების სახელებს არქმევდნენო ქუჩებსა და მოედნებსო, თვითონ უარესს არ აკეთებდნენ?

**რა უნდა ბუშის ქუჩას თბილისში? ან კაჩინსკის ქუჩას? მიშა ბუშის პროექტი რომ იყო, იმიტომ? კაჩინსკის და მიშას ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა რომ ჰქონდათ, იმიტომ?**

ქლესაობის ნიმუშია მიშას მხრიდან. ბუშის ქუჩა აშშ-ში არ აქვთ, არც ლესოტოში, არც საუდის არაბეთში და მაინცდამაინც თბილისში რატომ უნდა იყოს?



## „ლოგიკიდან სრულიად ამოვარდნილად მეჩვენება, რომ სობჩაკს აქ დაუდგეს ძეგლი“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— ბუშის სახელი ამერიკაშიც კი ამოსაძირკვია — დაღუპა მთელი მსოფლიო. რა უნდა საქართველოში?!

არც კაჩინსკის, არც პოლიტკოვსკაიას, არც სობჩაკის ქუჩები და ძეგლი არ უნდა იყოს საქართველოში. რა დამსახურებისთვის?

**ბუშს და კაჩინსკის საქართველოსთან ისეთი არაფერი აკავშირებს, რომ მათი ქუჩები იყოს თბილისში.** სააკაშვილის ხუშტურები იყო, თორემ ნორმალური კაცი ნორმალურ საზოგადოებაში ამ სისულელეს არ გააკეთებდა. **ობივატელურობის გამოვლენაც არ არის, საზიზღრობაა.**

კაჩინსკის ურთიერთობა საქართველოსთან გადიოდა სააკაშვილზე და ამ დამპალ „ნაცებზე“. ბუშის კავშირი გადიოდა არა საქართველოზე, არამედ სააკაშვილზე.

**ქვეყნის მეთაურმა არ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, დედაქალაქის ქუჩას ან მოედანს მიანიჭოს მავანის სახელი მხოლოდ იმიტომ, რომ მავანი მასთან კარგად იყო. ასეთი ნაბიჯი დროს ვერ უძლებს, როგორც ვერ გაუძლებს დროს, მაპატიონ, მაგრამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მთაწმინდაზე დასაფლავება...**

მით უფრო, — პოლიტკოვსკაიას ქუჩის არსებობა თბილისში.

ან, თუნდაც, სობჩაკის ძეგლი საქართველოს დედაქალაქის გულში. მას მე პირადად ვიცნობდი და ვმასპინძლობდი იმ კომისიას, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის საკითხებს იძიებდა. მაგრამ **ლოგიკიდან სრულიად ამოვარდნილად მეჩვენება, რომ სობჩაკს აქ დაუდგეს ძეგლი. და ამ დროს მემედ აბაშიძის სახელობის ქუჩა თბილისში არ გვაქვს.**

ათეული წლების განმავლობაში აყენებდა ამ საკითხს ასლან აბაშიძე, კერძოდ, ითხოვდა, რომ ნაფარეულის ქუჩას ვაკეში, რომელიც სულ ორი მტკაველია და ჭავჭავაძის პროსპექტსაა მიმდგარი, მინიჭებოდა მემედ აბაშიძის სახელი, დღემდე არაა გადაწყვეტილი; ჩვენ კიდევ — ბუში, კაჩინსკი, პოლიტკოვსკაიაო და ა. შ.



## „ეს სააკაშვილის კაპრიზი იყო და, რაც მალე მოვიცილებთ, უკეთესია“

**ანზორ მაისურაძე, უშიშროების გენერალ-მაიორი:**

— მე მგონი, გაგიჭირდებათ ისეთი თბილისელების მონახვა, რომლებიც მხარს დაუჭერენ ბუშისა და კაჩინსკის ქუჩების არსებობას საქართველოს დედაქალაქში. რა უნდა ბუშისა და კაჩინსკის ქუჩებს თბილისში?!

საერთოდ, ჩემი აზრი ასეთია: **თუ სახელმწიფოს აინტერესებს, თუ ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლოა, დაე, იყოს. მაგრამ, არა მგონია, რომ განათლებულმა თანამეგობრობამ მოგვიწონოს ასეთი პროვინციალიზმი.**

**სჭირდება კი ქვეყანას? ეჭვი მეპარება. ეს სააკაშვილის კაპრიზი იყო და, რაც მალე მოვიცილებთ, უკეთესია.** სხვა არავინ გვყავს? ბრწყინვალე სახელებია: ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე. ეს მხოლოდ პოეზიაში... სააკაშვილი პოეზიის რა მცოდნეც არის, ყველას კარგად მოეხსენება...



## „რატომ უნდა იყოს ამერიკის პრეზიდენტის, რეიგანის, ძეგლი თბილისში, რიყეზე?! არ მესმის!“

**ნოდარ მგალობლიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი:**

— ბუშისა და კაჩინსკის ქუჩები? რა სისულელეა! ჯერ ერთი, **რატომ უნდა იყოს ამერიკის პრეზიდენტის, რეიგანის, ძეგლი თბილისში, რიყეზე?! არ მესმის! ეს, პროვინციალიზმი კი არა, ისეთი მლიქვნელობაა** („პოდხალიმაჟი“ უფრო მოუხდება), **რომლის მსგავსი მსოფლიოში არ ახსოვს არც ერთი ქვეყნის ისტორიას. ეს სისულელეა, რაღაც ავხორცობაა.**

მაგრამ ეტყობა, ასეთად და-



იბადა საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი. მაგ კაცზე საუბარი, მე მგონი, აღარც არის საინტერესო. მის გამოსვლებს რომ ისმენ, იმდენ სისულელეს, რასაც წამოროშავს, ვერ ამჩნევ. მაგრამ, როცა წავიკითხე გაშიფრული და გაზეთში გამოქვეყნებული მისი ბოლო ინტერვიუ, ეს ჭკუათმყოფლის ნალაპარაკევს არ ჰგავს... მერე ვახტანგ მეექვსეზე რაღაცებს რომ ყვება, უბედურებაა! ვის ედრება?! დაიჯერა, რომ დავით აღმაშენებელს ჰგავს და მისი საქმის გამგრძელებელია... რაღა ვთქვა მეტი — ანალიზის უნარი მეკარგება, როცა საკითხი სააკაშვილს შეეხება.

**რესპონდენტებს ესაუბრა**
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. სფერო არ დარჩა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის, ურბანიზაციაშიც, საკომუნიკაციო სექტორშიც კი, სააკაშვილს მიშიზმებით რომ არ წაერყვნა. დედაქალაქის საკრებულო ამ „უნიკალური“ მემკვიდრეობისგან გათავისუფლებას თუ აპირებს, — სადაც თქვა „ანი“, იქ „ბანიც“ უნდა მიაყოლოს.**

# მმართველ კოალიციაში რესპუბლიკელების სახით არის ძალა, რომელიც გარდაცვლილ პირველ პრეზიდენტს ებრძვის

**მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ საჯაროდ მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს და თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის ქვეყნის პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხის დედაქალაქის საკრებულოში დაბლოკვაში „ნაცმხედრიონელებთან“ ერთად რესპუბლიკელებიც დაადანაშაულა.**

„როგორც ირკვევა, **რესპუბლიკურმა პარტიამ და საკრებულოში თავმოყრილმა ნაცმხედრიონელებმა ცეცხლი დაანთეს და ყველაფერი იღონეს, რათა თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი არ დარქმეოდა.** მე მაინტერესებს ერთი რამ: როგორ შეიძლება თქვენს მმართველ კოალიციაში რესპუბლიკელების სახით იყოს ძალა, რომელიც გარდაცვლილ ადამიანს ებრძვის, მითუმეტეს, რომ ეს პიროვნება გახლავთ საქართველოს ეროვნული გმირი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამომცხადებელი ზვიად გამსახურდია.

მე ეს არასდროს არ მითქვამს, არც ვაპირებდი თქმას, მაგრამ **რესპუბლიკელების თავხედობის და ამაზრზენი საქციელის შემდგომ უფლება მაქვს განვაცხადო, რომ ჩვენი შეხვედრებისას თქვენ არაერთხელ მოგვეცით პირობა, რომ არც რესპუბლიკელებს და არც სხვას ვინც კოალიციაში იყო გაერთიანებული, არ მისცემდით იმის საშუალებას, რომ ებრძოლა გარდაცვლილი პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ.**

დღეს გამოდის, რომ ეროვნულად მოაზროვნე, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას პიროვნებების თუ იდეოლოგიის თაყვანისმცემელთა მრავალათასიანი არმიის ხმების მხარდაჭერით ხელისუფლებაში მოიყვანეთ ის მტრული ძალა, რომელიც ამ მრავალრიცხოვან ადამიანთა იდეების დაუძინებელი მტრები არიან და გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგაც ცდილობენ რევანში აიღონ საქართველოს პირველ პრეზიდენტზე.

**ბატონო ბიძინა!** თქვენ სიტყვის კაცად გიცნობენ და იმედია ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა მიმართ ნათქვამ კაცურ სიტყვას შეასრულებთ და სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებთ. არ მინდა მჯეროდეს, რომ ეს მრავალი ათეულობით ათასი ადამიანი რესპუბლიკელთა ბედნიერებისთვის იქნენ გამოყენებულნი და ამ ქვეყანაში კაცურად ნათქვამ სიტყვას ფასი არა აქვს!“

ჩვენი პუბლიკაციის კვალდაკვალ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენ ახლა ვაზიანის ბუნებრივ გაზზე მომუშავე მაღალი წნევის მთლიანი ლითონური ბალონების დამამზადებელ ქარხანაზე ვსაუბრობთ, ყოფილ ქარხანაზე, რადგან დღეს ამ ორჯერ გაქურდული, ყოფილი ხელისუფლების მიერ სპეკულაციის საგნად ქცეული, პურის საცხობიდან მოყვანილი და მედროვე ეკონომიკის მინისტრების ხელში იავარქმნის პირზეა მიყვანილი: გამოშიგნულია დაზგა-დანადგარები, დაჟანგულია მოწყობილობა და ჯერ კიდევ ძველ პეწშენარჩუნებულია თეთრკედლება საამქროები და შესანიშნავად მოწყობილი დამხმარე სათავსოები, გასახდელები, საშხაპე.**

# ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაკარგული მილიონები

## ერთი სურათის ისტორია

ეს ფოტო 2006 წლის 9 სექტემბერსაა გადაღებული. ის პერიოდია, როცა მიხეილ სააკაშვილი ერთმანეთის მიყოლებით საზეიმოდ ხსნის საავადმყოფოებს, ქარხნებს, ფაბრიკებს — ერთი ღამის პეპლებს, რომლებსაც არსებობის დიდი დღე არ უწერიათ.

ამ ფოტოზე აღბეჭდილია ვაზიანის მაღალი წნევის მთლიან ლითონური ბალონების საწარმოში მიხეილ სააკაშვილის სტუმრობა.

სტუმრობას გააჩნია:

„მაყრიონით“ მივიდა სააკაშვილი, ორი ავტობუსი ხალხი მიიყვანა და საწარმოს ფაქტობრივ ხელმძღვანელს — გენადი უშვერიძეს დავალება მისცა: ყველანი სამუშაოდ უნდა მოაწყოო. საქვეყნოდ, საჯაროდ.

ნოუ ჰაუ! პრეზიდენტი ზრუნავს თავისი ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმებაზე საჯაროდ და საჯაროდვე იხსნის პასუხისმგებლობას: ჩემი ხელიდან დავასაქმე და დანარჩენი ამას მოჰკითხეთო.



## რაც იყო

**ეს მოხდა, როგორც ვთქვით, 2006 წლის 9 სექტემბერს.**

— მოვიდა სააკაშვილი, ხელი ჩამოგვართვა და გვკითხა: ამხელა ქარხანა რომ აგიშენებიათ, ახლა რა გინდათო, — **იხსენებს იმ დროს თერმული საამქროს მთავარი სპეციალისტი თამაზ შუბლაძე,** — ვთხოვეთ კრედიტი. რადგან ეს ქარხანა სახელმწიფო საკუთრება იყო, არც ერთი ბანკი კრედიტს არ იძლეოდა. პრობლემა არ არისო. წავიდა და 1 ოქტომბერს მოვიდა ბრძანება, — ქარხანა იკეტება პრივატიზაციის რეჟიმში გადაყვანასთან დაკავშირებითო.

**— ვისი ბრძანება?**

— ეკონომიკის მინისტრ არველაძის. ვთხოვეთ, დამზადებული პროდუქციის გაყიდვის უფლება მაინც მოეცათ, მუშებისთვის ხელფასი რომ გადაგვეხადა. პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც უნდა მიგვეცა ფული, რომლებმაც სააკაშვილის მოყვანილი ახალგაზრდები ამ ქარხანაში სამუშაოდ მოამზადეს. მინისტრის მოადგილე დამენიამ (ახლა ციხეშია) უარით გვიპასუხა.

**აი, ასე ხელმძღვანელობდა სააკაშვილი და მისი გუნდი ქვეყნის ეკონომიკას, რაც ახლა სატრაბახოდ გაუხდია საპარლამენტო უმცირესობას, „ნაციონალების“ ე.წ. ელიტას.**

— სპეციფიკა არ ესმოდათ და არ ესმით ამ ქარხნის, — **სიტყვას ურთავს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, პროფესორი ალექსანდრე გორდეზიანი,** — სასწრაფოდ უნდათ ფულის გაკეთება „კოკა-კოლას“, ლუდის გაყიდვით. მაგრამ ხომ ელემენტარულია, რომ, თუ საქართველოში ეკონომიკა არ განვითარდა, თუ ქარხნები არ აშენდა და ამუშავდა, ხალხი არ დასაქმდა, ეკონომიკა არ შეიქმნება, საუკუნეებიც რომ გავიდეს. შვიდი წლის განმავლობაში, რაც ეს ქარხანა გაჩერებულია, გაძარცულ-გაკულაკებულია და გაპარტახებულია, 20 მილიონი ლარი მაინც შეუვიდოდა ბიუჯეტს.

**ქარხნის გაყიდვით ერთბაშად ფულის გაკეთება მოუნდათ ბიჭებს — 2 მილიონ 700 ათასის. ერთბაშად. ეს ფასი დაადო ეკონომიკის სამინისტრომ. გაიტანეს აუქციონზე, ვერ გაყიდეს.**

**სანამ ეს ქარხანა ნიავდებოდა, მიხეილ სააკაშვილი სხვაგან ახალ საწარმოებს ხსნიდა, რომლებიც რიგ-რიგობით ლეთას მიჰქონდა, როგორც სოფელ ნორისში დიდი ხმაურით, საზეიმოდ გახსნილი ჩაის საშრობი ქარხანა, რომლის ადგილზე დღეს ცარიელი კედლებიც აღარ არის.**

**რაიონებში გახსნილი „ხუთვარსკვლავიანი საავადმყოფოების“ ზღაპარიც დამთავრდა...**

**ჩვენ ახლა ვაზიანის ბუნებრივ გაზზე მომუშავე მაღალი წნევის მთლიანი ლითონური ბალონების დამამზადებელ ქარხანაზე ვსაუბრობთ; ყოფილ ქარხანაზე, რადგან დღეს ამ ორჯერ გაქურდული, ყოფილი ხელისუფლების მიერ სპეკულაციის საგნად ქცეული, პურის საცხობიდან მოყვანილი და მედროვე ეკონომიკის მინისტრების ხელში იავარქმნის პირზეა მიყვანილი: გამოშიგნულია დაზგა-დანადგარები, დაჟანგულია მოწყობილობა და ჯერ კიდევ ძველ პეწშენარჩუნებულია თეთრკედლება საამქროები და შესანიშნავად მოწყობილი დამხმარე სათავსოები, გასახდელები, საშხაპე.**

**ამ ქარხანაზე, მის გასაჭირზე „საქართველო და მსოფლიო“ ჯერ კიდევ 2011 წლის შემოდგომაზე წერდა, ამიტომ, ეგებ, ღირს ორი წლის თავზე ჩვენს მკითხველს მოკლედ შევახსენოთ მისი აღზევებისა და დაცემის ისტორია.**

**„მაყრიონით“ მივიდა სააკაშვილი, ორი ავტობუსი ხალხი მიიყვანა და საწარმოს ფაქტობრივ ხელმძღვანელს — გენადი უშვერიძეს დავალება მისცა: ყველანი სამუშაოდ უნდა მოაწყოო. საქვეყნოდ, საჯაროდ...**

## გლობალური პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტი

**გასული საუკუნის 90-იან წლებში გაეროს მიერ მიღებული კონცეფცია-რეკომენდაცია, რომელიც გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ იყო მიმართული, 2020 წლამდე დაახლოებით 25 მილიონი ავტომობილის თხევად და ბუნებრივ გაზზე გადაყვანას ითვალისწინებდა.**

— ავტორიტეტულ კვლევებზე დაყრდნობით სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ 2050 წლისთვის ბენზინის საწარმოებლად ნავთობი თანდათან ამოიწურება არაბეთის ქვეყნებში, 2100 წელს კი მხოლოდ გაზი დარჩება მის მომპოვებელ ქვეყნებში და შემდეგ ისიც გაქრება, — **ამბობს ამ საწარმოს ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე, ფაქტობრივად კი ხელმძღვანელი, გენადი უშვერიძე, უკრაინის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,** — ერთ მშვენიერ დღეს დამიკავშირდა სატრანსპორტო სამინისტროდან ერთ-ერთი ფირმა და შემომთავაზა გაზის ბალონების დამამზადებელი ქარხნის ამუშავება. ამ დიდი საქმისთვის თავის დასადგმელად ჯერ საჭირო იყო შესაბამისი დაზგის გაკეთება. უკრაინელ მეცნიერ-სპეციალისტებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ აქ, საქართველოში, შევქმენით ასეთი დაზგა — ბალონის თავისა და ძირის ჩასაგლინი დანადგარი.

ეს დანადგარი მზად იყო, როცა ბერძენმა ინვესტორმა შემოგვთავაზა ასეთი ქარხნის მის ქვეყანაში ამუშავება. დავთანხმდით. სრულად გადაიხადა ჩვენ მიერ დახარჯული ფული. და როცა უნდა შევდგომოდით საქმეს, ჩვენმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საბერძნეთში აცნობა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის თავმჯდომარეს — ვაშაკიძეს, რომელიც მაშინ იმ ქვეყანაში იმყოფებოდა, ჩვენი პროექტის შესახებ. მან ხელიდან არ გაუშვა ეს სარფიანი წამოწყება და წინადადება მომცა, რომ ეს ქარხანა საქართველოში აგვემუშავებინა. დავთანხმდი და საოცრება შევძელით — 8 თვეში ავამუშავეთ ევროსტანდარტების დონის ქარხანა.

**— რომელი წელია?**

— 2005. ჩვენი, მეტალურგიული ფაკულტეტის 40 კურსდამთავრებული შევარჩიეთ, ვასწავლეთ, რისი ცოდნაც სჭირდებოდათ ამ სპეციფიკურ ქარხანაში და მუშებად ვამუშავეთ.

— ქარხანას ჩვენი ხელით ვაშენებდით, — **აზუსტებს პროფესორი ალექსანდრე გორდეზიანი,** — დოქტორები, მეცნიერებათა კანდიდატები. მიზერულ გასამრჯელოს ვიღებდით, მაგრამ ვიცოდით, რომ ამ საწარმოს კარგი პერსპექტივა ექნებოდა და, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე გეტყვით, ენთუზიაზმით ვმუშაობდით.

— 12 პროფესორი ათმეთაურებად გვყავდა, მუშებად — უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე ახალგაზრდები, — **ღიმილით იხსენებს ბატონი გენო.**

**— თქვენ?**

— მე, ჩემი მაღალი აკადემიური წოდებიდან გამომდინარე, — სამუშაოთა მწარმოებელი გახლდით, საჭიროების შემთხვევაში — შავი მუშა. დღე და ღამე გაერთიანებული გვქონდა, ორ წყებად ვმუშაობდით.

უკრაინელებიც ჩვენთან ერთად იყვნენ, რადგან ხურების სისტემა მათი იყო, მათი გამოგონება, და პირველად ჩვენთან კეთდებოდა.

2006 წლის 1 ივნისისთვის ყველაფერი მზად გვქონდა, მაგრამ ნავთობის კორპორაცია აპრილში გააუქმეს, გაზის კომპანიას შეუერთეს და ჩვენ ჰაერში გამოკიდებულები დავრჩით. მაგრამ ვაშაკიძემ, ნავთობის კორპორაციის ყოფილმა თავმჯდომარემ, გვითხრა, პრეზიდენტს მოვიყვან საზეიმო გახსნაზე და დაგეხმარებათ, აბა, რას იზამსო.

**9 სექტემბერს მოვიდა პრეზიდენტი, არაფერი ნანახი რომ არ ჰქონდა ისე, თავზე დაგვაყენა ორი ავტობუსი უმუშევრები, ესენი უნდა დაასაქმოთო.** ქარხანას რომ ათვალიერებდა, თანმხლებებს ჰკითხა, ეს მერამდენე ასეთი ქარხანააო საქართველოში?

ყველა მე მომიბრუნდა.

**— თქვენ რით გაახარეთ?**

— მე ვუთხარი, რომ საქართველოში პირველია, მსოფლიოშიც პირველია, სადაც უახლესი ტექნოლოგიით კეთდება ხურება.

— სანამ სააკაშვილი მოვიდოდა, მარიკა ვერულაშვილმა (თქვენ იცით, ვინაა მარიკა ვერულაშვილი), რამდენიმეჯერ გადაგვალებინა ქარხნის ფასადი, კედლები. ეს ფერი არ უყვარს, ის ფერი არ უყვარს და ა. შ. — **ამატებს ბატონი თამაზ შუბლაძე.**

**— საქმეზე როდის გადავიდა?**

— მთლიანი ციკლის დათვალიერების შემდეგ მეკითხება, — **აგრძელებს ბატონი გენო,** — რა გინდათ, რა გიშლით ხელსო. ვუპასუხე, რომ ხელს არაფერი გვიშლის, წარმოების გადიდება-გაფართოების მიზნით კი სტაციონარული დანადგარების შესა-

**„ახალი მთავრობა რომ მოვიდა საქართველოში, გამიხარდა. ორჯერ შევხვდი ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქუმსიშვილს, სამჯერ — დეპარტამენტის უფროსებს, ორჯერ თურქეთიდან ინვესტორები ჩამოვიყვანე. ტენდერს მაინც არ აცხადებენ. ვერ გავიგე, რა ჭირი და ჯანდაბა უნდათ?! არაფერს აკეთებენ... ახლა დაბოღმილი ვარ, ვფიქრობ, რომ ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან. არ მინდა, მკვეთრი შეფასებები მივცე და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენს მთავრობაში დახშული გონების ადამიანები სხედან, ან მეტი არ შეუძლიათ, ან საბოტაჟია.“**

ჩვენი პუბლიკაციის კვალდაკვალ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ძენად გვჭირდება მილიონ-ნახევარი დოლარი, რომელსაც ერთ წელიწადში დაგიბრუნებთ-მეთქი.

**— ორი ავტობუსი ხალხი?**

— ეს ხალხი დაგვიტოვა. შევასწავლეთ ახალგაზრდებს, რაც საჭირო იყო. პოლიტექნიკურის პროფესორები ასწავლიდნენ, კაცო! ყოველდღე ლექციები ტარდებოდა. 55-მა ახალგაზრდამ სერთიფიკატი მიიღო, მათ შორის ოთხმა — საერთაშორისო. ჩაფიქრებული მქონდა, ახლომდებარე სოფლებში პუნქტების გახსნა და გლეხებისთვის სასოფლო-სამეურნეო იარაღის დამზადებაში დახმარების გაწევა.

ვინ გაცალა!

**მოვასწარით და დავამზადეთ 1000 ცალი ბალონი. 285 ირანმა იყიდა. დაგვიკვეთა 200 ათასი ბალონი. ჩვენი სიმძლავრეებით კი მხოლოდ 60 ათასის გამოშვება შეგვეძლო, ამიტომაც გვჭირდებოდა საწარმოს გაფართოება. სახელმწიფოს მოგებაც შესაბამისად გაიზრდებოდა. ამისთვის ვითხოვეთ დაფინანსება. ყველაფერი გათვლილი გვქონდა.**

**წავიდა „მაღალი სტუმარი“ და არ ვიცი, რა ბუზმა უკბინა, ნავთობკომპანიას ჩამოართვეს ჩვენი საწარმო და ეკონომიკის სამინისტრომ გასაყიდად გაიტანა.** სახელმწიფო საწარმო იყო და გამოიყენეს საკუთარი უფლება.

**— რატომ ვერ გაყიდეს?**

— პირველი მყიდველები თურქები იყვნენ, ისინიც ჩვენ მივუყვანეთ. მაგრამ სამინისტრომ ორი-სამი თვე გაწელა ტენდერის გამოცხადება, თურქები გაბრაზდნენ და წავიდნენ. როცა ბოლოს და ბოლოს გამოაცხადეს, კაციშვილი არ მოვიდა.

ხუთი მინისტრი გამოვიცვალეთ ამასობაში და ამ საქმეს თავი ვერც ერთმა ვერ დაადგა.

**— მიზეზი?**

— ერთ ამბავს მოგიყვებით. ჩასული ვიყავი თავრიზში. 2007 წლის ნოემბერია. მოველაპარაკეთ ირანის ერთ-ერთ ფირმას, შევთანხმდით და მათაც მზადყოფნა გამოთქვეს, რომ შეისყიდიდნენ ჩვენს ქარხანას.

ვბრუნდები თავრიზიდან. სტამბოლში მოგვიწია დაფრენა. **აეროპორტში რუსი სპეციალისტები გამოგვეცნაურნენ. მოვყევით იქითურს, აქეთურს და ბოლოს საოცრებას მეუბნებიან: თქვენმა პრეზიდენტმაო, ისე გამოლანძღა პუტინი, რომ ამას წინათ არმიის გენერალიტეტის წარმომადგენლები მივიდნენ პრეზიდენტთან და უთხრეს: — ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, ჩვენ ვერ მოვითმენთ რუსეთის პრეზიდენტის შეურაცხყოფას. მოგვეცით უფლება, უბრალოდ, თანხმობა, ერთ ბომბს ჩამოვაგდებთ და პირისაგან მიწისა წავშლით საქართველოსო.**

**— რა უპასუხა პუტინმა?**

— როგორც ჩემმა თანამოსაუბრეებმა მითხრეს, **პუტინს ასე უპასუხია: — ღმერთი ჩვენ ამას არ გვაპატიებს. მომეცით დრო და მე დავსჯი ქართველ ხალხს, რომელმაც ეს ჟლვინტიანი მახინჯი პრეზიდენტად აირჩიაო.**

გავვოგნდი, ეს რომ გავიგონე! ანერვიულებული ჩამოვედი თბილისში, თან ვერაფერს ვამბობ... ახლა რომ გამოვიდა ტელევიზიით სააკაშვილი და პუტინის სიტყვები რომ მოიხმო — დაახვიე ეგ ქალალდები და ერთ ადგილზე შეირჭეო, ახლა მივხვდი, როგორ უგინებია მიშას პუტინი.

გადმოვინაცვლოთ საქართველოში. ჩვენთან იმდენი რაიონია, იმდენი გამგებლით, რამდენჯერაც მეტია რუსეთი საქართველოზე. დაახლოებით ასეა. მოდი და რომელიმე გამგებელს მიშასთვის ეთქვა: — შე შობელძაღლო (ან უარესი), ჩამოდი თვითმფრინავიდან, მაღლა-მაღლა რომ დაფრინავ და საქართველოს მოუარეო, ხომ დედაბუდიანად ამოწყვეტდნენ იმ რაიონს?

შენ ამხელა ქვეყნის პრეზიდენტს რომ აგინებ, ვინ გაპატიებს...

**2008 წლის 27 ივლისს თავრიზიდან თბილისში ჩამოვიდა ქალაქის მერის მოადგილე, მასთან ერთად — დიზელის ძრავების უნიკალური ქარხნის თანამეპატრონე, დავწერეთ ხელშეკრულება, ყველაფერზე შევთანხმდით. 5 აგვისტოს ისინი გავისტუმრე, 8-ში ომი დაიწყო! 15-ში ირანიდან მირეკავენ და მეუბნებიან, ჩვენთან გააკეთე ეს ქარხანაო.**

**ის დღე იყო და დაიწყო ქარხნის ძარცვა. ღუმელებს ხელი ვერ ახლეს, მძიმეა, კაბელები მიაჭრეს ძირში, მახურებელი დანადგარი** (150 ათასი ევრო ღირს თითო) **6 კილოგრამი სპილენძის გულისთვის დაშალეს, ტრანსფორმატორში ზეთი არ დატოვეს, თუ კი სადმე რამე ღირებული იყო, ყველაფერი მოიპარეს.**

**— აღდგენა შესაძლებელია?**

— რა თქმა უნდა. ჩემი გამოთვლით, ქარხნის მწყობრში ჩასაყენებლად 800 ათასი დოლარია საჭირო. ვისთან არ ვიყავით, ვის არ მივწერეთ — ქობალიას, გილაურს, ბაქრაძეს. პასუხი ერთი იყო — ტენდერში მიიღეთ მონაწილეობაო. ტენდერს კი არ აცხადებდნენ.

**— ბიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით კი, საქართველო მსოფლიოში მოწინავე ქვეყნად იყო გამოცხადებული.**



ქარხნის საერთო ხედი საზეიმოდ გახსნის დღეს

**იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ სამინისტროს ხელმძღვანელობა, პირადად მინისტრი, ბატონი — გიორგი კვირიკაშვილი, არ დაიზარებს, გამონახავს დროს საკითხის გადაწყვეტით დაინტერესებულ ადამიანებთან შესახვედრად და შვიდწლიანი პერიოდით მოცდენილი ქარხანა ამუშავდება**

## დღეს რა ხდება?

ბატონ გენო უშვერიძეს მიაჩნია, რომ დღევანდელ პირობებში, ყოველ შემთხვევაში, ამ ქარხანასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, არაფერი შეცვლილა.

**— იქნებ არ არის მოთხოვნილება თქვენს პროდუქციაზე და იმიტომ?**

— როგორ გეკადრებათ! ბალონების წარმოება გათვლილი იყო ექსპორტისთვის: **ჩვენი პროდუქციით დაინტერესებული იყო ირანი, ინდოეთი, თურქეთი, ისრაელი, პაკისტანი და სხვა ქვეყნები. სანამ ჩვენ აქ ბიუროკრატიის კარზე ვმათხოვრობდით, ბალონების წარმოება დაიწყო სომხეთმა.** მართალია, იქაური პროდუქცია ჩვენსას ხარისხით ვერ შეედრება, მაგრამ აწარმოებენ; აწარმოებს ჩინეთიც და რუსეთიც და ამ პირობებშიც ბალონებზე მოთხოვნა არ შემცირებულა. ჩვენ ნაწარმოებ ჟანგბადის ბალონებზე ჯანდაცვის დარგის მოთხოვნა 10 ათას ერთეულს შეადგენს: რუსეთიდან შემოტანილი ბალონები, რომლებსაც ახლა დარგში იყენებენ, კარგა ხნის ამორტიზებულია და შეცვლას მოითხოვს.

**ახალი მთავრობა რომ მოვიდა საქართველოში, გამიხარდა. ორჯერ შევხვდი ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქუმსიშვილს, სამჯერ — დეპარტამენტის უფროსებს, ორჯერ თურქეთიდან ინვესტორები ჩამოვიყვანე. ტენდერს მაინც არ აცხადებენ. ვერ გავიგე, რა ჭირი და ჯანდაბა უნდათ?! არაფერს აკეთებენ... ახლა დაბოღმილი ვარ, ვფიქრობ, რომ ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან. არ მინდა, მკვეთრი შეფასებები მივცე და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენს მთავრობაში დახშული გონების ადამიანები სხედან, ან მეტი არ შეუძლიათ, ან საბოტაჟია.**

როგორ შეიძლება, დახშული გონების ეკონომისტი ინჟინრის საქმეს აგვარებდეს?! საშუალო დონის ინჟინერი შეიძლება გახდეს უმაღლესი დონის ეკონომისტი, პირიქით კი — არასოდეს — უმაღლესი დონის ეკონომისტი საშუალო ინჟინერი ვერ გახდება.

ესაა, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ხელშემშლელი პირობა; მეორე, უთუოდ, სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტია.

**— ისიც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამ დონეებზე დარგების მართვის გამოცდილება არ გააჩნიათ.**

— კი, ბატონო. მაგრამ მაშინ დაგვიგდონ ყური ჩვენ, სპეციალისტებს — იქნებ, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს ვთავაზობთ? ჩვენს ქარხანას, რომელიც ახლა გაჩერებულია, ამუშავების შემდეგ წელიწადში მინიმუმ 7 მილიონი ლარის მოგება შეუძლია მისცეს ქვეყანას; გაფართოების შემთხვევაში, — გაცილებით მეტის.

ცოტაა?

**— მაგრამ ამისთვის გჭირდებათ სახსრები.**

— დასაწყისისთვის გვჭირდება. **გადმოგვცენ ქარხანა, მოგვცენ 3 მილიონი, რომელსაც ერთ წელიწადში დავუბრუნებთ. ყველაფერი რეალურად მაქვს გათვლილი — წარმოების გაფართოებაც, ხალხის დასაქმებაც და ა.შ.**

**— ჯერჯერობით კი ადგილიდან არაფერი იძვრის?**

— სამწუხაროდ, ასეა. მაგრამ უძრაობას შეჩვეული არ ვარ და თურქეთში ვაკეთებ უნიკალურ მეტალურგიულ ქარხანას. ვერ მივაღწიე საქართველოში იმავეს გაკეთებას რუსთავის მეტალურგიული ქარხნისთვის, მისი რეკონსტრუქციისთვის. ტექნიკურ დეტალებზე არ შევჩერდები, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩემი შეთავაზება რომ მიეღოთ (არადა, უკრაინელების — „გიპრომესის“ დახმარებით უსასყიდლოდ გავუკეთე ბიზნესგეგმა, 700 მილიონი ევროც ვიშოვე პირველი რეკონსტრუქციისთვის), ეს კომბინატი 3 წელიწადში 2 მილიარდი ლარის მოგებას მოგვცემდა; მომდევნო 5 წელიწადში — 5 მილიარდამდე. სრულიად ახალი ტექნოლოგიის — მყარი აღდგენითი რეაქტორის ამუშავებით მივაღწევდით ამ დონეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ გამონაბოლქვი ათჯერ შემცირდება. რაც მთავარია, ამ პროცესისთვის საჭირო ელექტროენერგიას კომბინატი თვითონვე გამოიმუშავებდა.

მაგრამ ეს თემა შემდეგისთვის გადავდოთ.

ახლა კი გეტყვით, რომ **საჭირო ფინანსური დახმარების მიღებიდან 6 თვეში ჩვენს ქარხანას ავამუშავებთ. ამ პროცესში 60 სპეციალისტს დავასაქმებთ, აღდგენისთანავე დამატებით 150 კაცს მივიღებთ, ოღონდ ფულადი სახსრებით დაგვეხმაროს მთავრობა.**



ასეთი იყო მოგლინვის დანადგარი 2006 წლის ივლისში



ეს კი საამქროს ხედია 2013 წლის 16 აგვისტოს (ავტორის ფოტო)

## დასკვნის მაგიერ

**დღეისთვის ქარხანა, რომელზეც ამდენი ვილაპარაკეთ, ეკონომიკის სამინისტროს ხელშია. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ სამინისტროს ხელმძღვანელობა, პირადად მინისტრი, ბატონი — გიორგი კვირიკაშვილი თავისი წინამორბედი ქალბატონისგან განსხვავებით, რომელმაც არ იკადრა თავისი ნაზი თითის თითზე დაკარება გაზეთში გამოქვეყნებულ მასალაზე რეაგირების მოსახდენად, არ დაიზარებს, გამონახავს დროს საკითხის გადაწყვეტით დაინტერესებულ ადამიანებთან შესახვედრად და შვიდწლიანი პერიოდით მოცდენილი ქარხანა ბოლოს და ბოლოს ამუშავდება.**

**თორემ ახლანდელი სიტუაცია იმას ჰგავს, როცა ძაღლი თივაზე ზის და არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევს.**

**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სპეციალურმა რაზმმა დაკავების სცენარი ავტომატიზმამდე დაამუშავა. გატაცებულს ჯერ აშიშვლებდნენ და დამამშვიდებლებს უკეთებდნენ, შემდეგ ციხის პატიმრებისთვის განკუთვნილ კომბინეზონს აცმევდნენ და ბორკილებს ადებდნენ. ამის შემდეგ დაკავებულს ყოველგვარი კონტროლის გვერდის ავლით აგდებდნენ თვითმფრინავში და ჯაჭვებით აბამდნენ სკამზე ან უბრალოდ კედელთან. ბოლოს ტყვეს უკეთებდნენ ყურსასმენებს და ურთავდნენ კლასიკურ მუსიკას, რომელიც ფრენის დასრულებამდე არ წყდებოდა.**

# საგანგებო დავალება

## ცსს-ს აგენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ადამიანებს იტაცებენ

**მსოფლიოს ათობით ქვეყანაში, სხვადასხვა კონტინენტზე, ადამიანები ყოველგვარ მიზეზგარეშე, უბრალოდ, წყვეტენ არსებობას. ისინი ისე ქრებიან უკვალოდ, რომ არანაირ შეტყობინებას არ ტოვებენ ნათესავებისთვის, არ ტოვებენ კვალსა და ხელჩასაჭიდს მილიციისა თუ პოლიციისთვის. ასე გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, ვიდრე ერთხელაც შემთხვევით ადამიანის გაქრობას მოწმეები არ მოიძებნენ.**

ბრიტანელი ჟურნალისტი **სტივენ გრეი** სომალიში თავისი თანამემამულის, სკოლის მასწავლებელ რეზას გატაცებიდან ნახევარი წლის შემდეგ ჩაფრინდა. მან გაიგო იმ თვითმფრინავის ნომერი, რომლითაც გატაცებული ადამიანები გადაჰყავდათ. თვითმფრინავი რომელიღაც კენიურ ავიაკომპანიას ეკუთვნოდა. აფრიკელმა უფლებადამცველმა ამინ ალ-კიმატიმ მოახერხა იმ რეისის მგზავრების სიის მოპოვება. ეს მგზავრების ზუსტი, ფაქტობრივი სია იყო. იმ დღეს სტივენ გრეიმ პირველად ნახა, რომ ადამიანებს სიის მიხედვით იტაცებდნენ და მათ სახელებს ოფიციალურ დოკუმენტში აფიქსირებდნენ.

**ავიაკომპანიის სიაში 85 მგზავრი იყო ჩამოთვლილი. ესენი იყვნენ სხვადასხვა ქვეყანაში გატაცებული და სომალის ციხეში გადაყვანილი ადამიანები. მათ შორის ოთხი ბრიტანეთის მოქალაქე იყო. სწორედ მათ გამო დაიწყო სტივენ გრეიმ საკუთარი გამოძიება, მაგრამ, როდესაც მგზავრების სია იხილა, თანამემამულეებზე მეტად დააინტერესა სხვა რამდენიმე მგზავრმა — ბავშვებმა! მხოლოდ ამ რეისზე 11 ბავშვი იყო სიაში.**

13 წლის ჰაირა, 11 წლის ზეინაბი, 8 წლის ფატმა — ამ ბავშვებთან დაკავშირებით სტივენ გრეიმ ფოტოების გარდა ვერაფერს მიაგნო. ცხადია, ვერ მიაგნეს თავად ამ ბავშვებსაც. მათი სახელებიც შემთხვევით გახდა ცნობილი — თვითმფრინავი შემთხვევით გადაიღეს მოყვარულებმა.

საფრენი აპარატის საბორტო ნომერს ბევრი რამის თქმა შეუძლია. სხვადასხვა ქვეყანაში მფრინავ საბედისწერო გოლდსტრიმს N379P ჰქონდა საბორტო ნომრად. პირველი ასო თვითმფრინავის ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის კუთვნილებას აღნიშნავს. დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ **N379P-ს ამერიკის სამხედრო ბაზებზე დაშვების უფლება ჰქონდა. ავიახომალდების საერთაშორისო რეესტრში ამ თვითმფრინავის მფლობელად დაფიქსირებულია კერძო კომპანია premier executive transport, რომლის მუდმივი მისამართია მასაჩუსეტსის შტატი, ვაშინგტონსტრიტ 339, ცსს-ს ოფისიც იქვე ახლოსაა...**

მერი-ელენ მაკგინესი, ზემოხსენებული ავიაკომპანიის წარმომადგენელი, სატელეფონო საუბრისას აცხადებს, რომ კომპანია მხოლოდ ამერიკის ხელისუფლებასთან თანამშრომლობს, რადგან იჯარის გრძელვადიანი შეთანხმება აქვს.

**კონკრეტულად ვის ატარებს ლუქსის კლასის ეს პატარა თვითმფრინავი?** ცხადია, კომპანიაში ამ კითხვაზე პასუხს არავინ იძლევა, ამბობენ, რომ **ეს შეთანხმება აბსოლუტურად გასაიდუმლოებულია. ჟურნალისტები პიტერ იაკავი და ანა მეტა საიდუმლოებით მოცულ ავიაკომპანიას დაუკავშირდნენ და კლიენტებად გააცნეს თავი. მაგრამ კომპანიის წარმომადგენლისგან ინტერვიუს აღების მცდელობა მოკლე-მოკლე, წყვეტილი ზუმერებით დასრულდა.**

პიტერი და ანა აშშ-ში, ჩრდილო კაროლინის შტატში, პირდაპირ კომპანია „ავიაკონტრაქტორსის“ ასაფრენი მინდვრისკენ გაემგზავრნენ. ადგილზე მათ მომცრო ზომის კერძო აეროდრომი და გაძლიერებული დაცვა დახვდათ. ისინი გალავანთან მივიდნენ და ხმოვანი კავშირის საშუალებით დარეკვა სცადეს.

ვიდრე ზარს ვინმე უპასუხებდა, ანამ შენიშნა, რომ მათ ადგილობრივი პოლიციის შერიფის მანქანა უახლოვდებოდათ. ჟურნალისტებთან მიახლოების შემდეგ შერიფი მანქანიდან გადმოვიდა და იკითხა, რა ხდებოდა. ჟურნალისტებმა უთხრეს, რომ კომპანია „ავიაკონტრაქტორსის“ წარმომადგენლებთან ინტერვიუს ჩაწერა სურდათ. შემდეგ კი იკითხეს, რატომ მოვიდა პოლიცია — ვინმემ იჩივლა მათ გამო თუ რაიმე დარღვევას ჰქონდა ადგილი. შერიფმა განუმარტა, რომ პოლიციაში შესული საჩივრის თანახმად, მათ კერძო საკუთრების ტერიტორია გადაკვეთეს უნებართვოდ, მაგრამ კითხვაზე, თუ ვინ იყო მომჩივანი, მან უპასუხა, რომ ეს უბრალოდ სატელეფონო ზარი იყო პოლიციის განყოფილებაში.



სტივენ გრეი



საუბრის დასრულებამდე ადგილზე კიდევ ერთი შერიფი მივიდა. **პატარა კერძო აეროპორტის დასაცავად ადგილზე ორი საპატრულო მანქანა მივიდა. არადა, ჟურნალისტებს კერძო საკუთრების ტერიტორიაზე ფეხი არ დაუდგამთ. არაოფიციალურად პოლიციელებმა აღიარეს, რომ ამ ობიექტის სტატუსი სინამდვილეში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე უბრალოდ კერძო საკუთრება, რომ აქედან აფრენილი თვითმფრინავები სახელისუფლო დავალებების შესასრულებლად მიემართებიან.**

## რაც ყველაზე მთავარია, დივერსანტები თითქმის არასდროს ემალებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას









პატარა თვითმფრინავის გოლდსტრიმ N379P-ის ძებნამ ამერიკის ხელისუფლებამდე მხოლოდ კოპენჰაგენელი ჟურნალისტები არ მიიყვანა. იგივე კვალს ყოველკვირეული გამოცემა The New Yorker-ის მიმომხილველი, პულიცერის პრემიის ლაურეატი, ამერიკელი სეიმონ ჰერშიც გაჰყვა. სწორედ მისი სტატიებიდან გაიგო პირველად მსოფლიომ აბუ-გრეიბის ციხეში ერაყელი პატიმრების მიმართ უსასტიკესი მოპყრობის თაობაზე. მაშინ სეიმონ ჰერშის გამოძიებამ თვით ერაყში სამხედრო შეჭრის მომხრეებიც კი ფეხზე დააყენა.

**ახლა ჰერში სხვა გამოძიებითაა დაკავებული და ამ გამოძიების თემა სახელმწიფო თუ კერძო თვითმფრინავების საიდუმლოებით მოცული ფრენებია.** ჟურნალისტმა ათობით მოწმე გამოჰკითხა, შეადარა და ერთმანეთთან დააკავშირა ავიადამკვირვებლების უამრავი ფოტო და ცსს-ში საკუთარი წყაროებიდან მიიღო ინფორმაცია.

**სეიმონ ჰერში, The New Yorker-ის მიმომხილველი:**

**— 11 სექტემბრის ტერაქტებიდან სამი თუ ოთხი თვის შემდეგ აშშ-მა შექმნა სპეციალური ცალკე რაზმი, რომელიც პირდაპირ პენტაგონს ემორჩილებოდა თავდაცვის მინისტრის — რამსფელდის საშუალებით. ეს სპეცრაზმი, ანუ დივერსიული ჯგუფი საერთო კლასიფიკაციაში არ შედის.**

დივერსიულ ჯგუფში დაახლოებით 50 ადამიანი შედის. როგორც წესი, ერთ დავალებაზე მაქსიმუმ ათ აგენტს აგზავნიან.

**სეიმონ ჰერში:**

**— ისინი თავად ცსს-ში ამ რაზმს საგანგებო დავალებების ჯგუფს უწოდებენ. ეს პროგრამა საჭიროა ყველაზე გასაიდუმლოებული ოპერაციებისთვის. ეს ცსს-ს ყველაზე ელიტური რაზმია.**

ცსს-ში ელიტურ რაზმს ელიტური თვითმფრინავი გოლდსტრიმი შეურჩიეს. სწორედ მას მიჰყავს ხოლმე ჯგუფი დავალების ადგილზე — იქ, სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს საკუთარი ინტერესები აქვს. თვითმფრინავი გათვლილია 15 დასაჯდომ ადგილზე, მაგრამ ჟურნალისტი დარწმუნებულია, რომ უკანა გზაზე ყოველთვის უფრო მეტი მგზავრია.

**სეიმონ ჰერში:**

**— დივერსიული ჯგუფის ფუნქცია, როგორც ამბობენ, ტერორისტებთან ბრძოლაა. როდესაც საჭიროა ადამიანების პოვნა, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი და ვინც არ უნდა იყვნენ, აგენტებმა უნდა აიყვანონ ისინი ნებისმიერ ფასად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.**

სპეციალურმა რაზმმა დაკავების სცენარი ავტომატიზმამდე დაამუშავა. **გატაცებულს ჯერ აშიშვლებდნენ და დამამშვიდებლებს უკეთებდნენ, შემდეგ ციხის პატიმრებისთვის განკუთვნილ კომბინეზონს აცმევდნენ და ბორკილებს ადებდნენ. ამის შემდეგ დაკავებულს ყოველგვარი კონტროლის გვერდის ავლით აგდებდნენ თვითმფრინავში და ჯაჭვებით აბამდნენ სკამზე ან უბრალოდ კედელთან. ბოლოს ტყვეს უკეთებდნენ ყურსასმენებს და ურთავდნენ კლასიკურ მუსიკას, რომელიც ფრენის დასრულებამდე არ წყდებოდა.**

## ცსს-ს ადამიანები ევროპიდან სხვა ქვეყნებში იმიტომ გაჰყავს, რომ ეს ათი ათასობით ექვემიტანილის წამების ყველაზე კარგი საშუალებაა. შემდეგ კი თავისუფლად შეუძლიათ თქვან, რომ ამერიკელები ამას არ აკეთებენ

## ცსს-ს შტაბბინაში არსებობს მსოფლიოს სპეციფიური რუკა, რომელზეც ქვეყნები მხოლოდ სამ ფერად არის დატანილი. ყველაზე ნათელი ფერის ის ქვეყნებია, რომლებიდანაც ადამიანის გატაცება შეიძლება, მაგრამ იქვე წამება არ არის სასურველი. ნაცრისფერით აღნიშნულია ქვეყნები, რომლებშიც შეიძლება ადამიანის დაკითხვა წამების გამოყენებით. ყველაზე მუქი ფერით კი რუკაზე შეღებილია ცსს-ს პარტნიორი ქვეყნები, რომლებშიც თავისუფლად შეიძლება ციხეში პატიმრის მოკვლა და სადაც მას არასდროს არავინ მოძებნის.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რაც ყველაზე მთავარია, **დივერსანტები თითქმის არასდროს იმალებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისგან.**

ეს ისტორია ისე იწყებოდა, როგორც ერთ-ერთ ფილმშია — ცსს-სთვის საჭირო ადამიანის საცხოვრებელ ქალაქ მილანში საიდუმლო აგენტები ჩადიან. ჯგუფში სულ 19 ადამიანია გაერთიანებული, მაგრამ ისინი ცალ-ცალკე, ჩვეულებრივი სამგზავრო თვითმფრინავებით ჩადიან დანიშნულების ადგილას. ბილეთებს ყიდულობენ საკუთარი ნამდვილი პასპორტებით. აგენტები მილანის საუკეთესო სასტუმროებში სახლდებიან და საკუთარი პასპორტების ქსეროასლების გაკეთების უფლებასაც კი აძლევენ ოტელის თანამშრომლებს. მათ არ ეშინიათ, რომ ფოტოების მიხედვით ვინმე ამოიცნობს. ისინი მრავალ საათს ატარებენ ტერასებზე განლაგებულ კაფეებში, ეწევიან სიგარებს და ლამაზ გოგონებთან ერთად კაზინოებში დადიან. ეს სიამოვნება მათ რამდენიმე ათეულათასობით დოლარი უჯდებათ და **ასე გრძელდება დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში, ვიდრე ცსს-ს თანამშრომლები პირდაპირ ქალაქის მეჩეთში არ მივლენ და ძალით არ გაიტაცებენ სამიზნეს — ადგილობრივ მოძღვარს აბუ ომარს.**

**აეროპორტამდე მიყვანა, თვითმფრინავში ჩაგდება და საგანგებო გადაფრენა, ამჯერად ეგვიპტეში. გატაცებული ქაიროში მდებარე ციხეში მიიყვანეს. მან იქ ნახევარი წელი გაატარა ყოველგვარი ბრალდების გარეშე.**

ბრიტანელმა ჟურნალისტმა სტივენ გრეიმ მოძებნა აბუ ომარი, რომელიც ბოლოს და ბოლოს ციხიდან კი გაათავისუფლეს, მაგრამ იტალიაში დაბრუნება აუკრძალეს. ყოფილი ტყვე ინტერვიუს დათანხმდა. გატაცებული ადამიანების მარშრუტების სურათი ერთ საშინელ ტილოდ იქცა და ამ ტილოზე მთავარი მოქმედება ადამიანთა წამებაა.

**აბუ ომარი, მილანის მეჩეთის მოძღვარი, გატაცების მსხვერპლი:**

**— ისინი არა მხოლოდ დამკითხავდნენ, არამედ გენიტალიებში მირტყამდნენ, იატაკზე მაგდებდნენ და მთელავდნენ. რაღაც მომენტში გონებას ვკარგავდი. მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ მოვიდნენ და მითხრეს, რომ ყველაფერი გაარკვიეს და დაადგინეს, რომ უდანაშაულო ვარ.**





სეიმონ ჰერში





აბუ ომარი

ეს ევროპაში ცსს-ს ყველაზე წარუმატებელ ოპერაციად იქცა. აგენტები იტალიის პოლიციის დაკვირვების ობიექტებად იქცნენ. მათ სატელეფონო საუბრებს ისმენდნენ. სასტუმროებში დაქსეროქსებული პასპორტებით კი მათი სახელების დადგენა გახდა შესაძლებელი. **მონიკა ადლერი, დრიუ ჩენინგი, ანი ჯენკისნი, ჯეიმს კირკლენდი და სხვები ახლა ევროპაში ძებნილებად ითვლებიან. მაგრამ ეს სულაც არ უშლის მათ ხელს კეთილდღეობაში იცხოვრონ და ცსს-ზე მუშაობა განაგრძონ ამერიკაში.** ცნობილი გახდა მათი საუბრები და სატელეფონო ნომრებიც კი, რომლებითაც სარგებლობდნენ მილანიდან უდანაშაულო ადამიანის გატაცების დღეს.

**რობერტ ბაერი, ცსს-ს ყოფილი თანამშრომელი:**

**— თვითმფრინავები, ადამიანთა გატაცება... კი, ეს ყველაფერი საგანგებო დავალების პროგრამის შტრიხებია. მე ახლო აღმოსავლეთში ცსს-ს ოპერაციებს 21 წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი. ვიყავი ბეირუთში, ერაყში, საუდის არაბეთში, ტუნისში, მაროკოში... ყველგან. ვცდილობ გითხრათ, რომ კარგად ვიცი, როგორ მუშაობენ ამერიკელები ამ ქვეყნებში და რისთვის ჩაჰყავთ იქ ადამიანები მთელი მსოფლიოდან.**

რობერტ ბაერი 20 წელი მუშაობდა სპეცსამსახურებში. იგი დარწმუნებულია, ცსს-ს ადამიანები ევროპიდან სხვა ქვეყნებში იმიტომ გაჰყავს, რომ ეს ათობით ათასი ეჭვმიტანილის წამების ყველაზე კარგი საშუალებაა. შემდეგ კი თავისუფლად შეუძლიათ თქვან, რომ ამერიკელები ამას არ აკეთებენ.

**კონდოლიზა რაისი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 2008 წლამდე:**

**— ეს ეწინააღმდეგება ამერიკულ კანონს. აწამო ადამიანები, ხელი შეუწყო მათ წამებას, ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვალდებულებებს. ეს არის ჩვენი პოზიცია, რომელსაც მუდამ ვიცავდით და ამერიკის პრეზიდენტმა საკმაოდ ნათლად მიანიშნა ამაზე.**

**რობერტ ბაერი:**

**— ასე უვლიან ისინი გვერდს წამების ამკრძალავ ჟენევის კონვენციას. დავუშვათ, არის ადამიანი, რომელიც ცსს-სთვის ეჭვმიტანილია, მაგრამ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. იყო ასეთი ადამიანი. მას ზამარი ერქვა. არ არსებობდა მონაცემები მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ვერ დააპატიმრებდნენ, მაგრამ ცსს-ს სურდა მისი დაკითხვა. ჩვენ დაინტერესებულნი ვიყავით მისით და დაპატიმრების შესახებ მოველაპარაკეთ მაროკოს ხელისუფლებას. ამის შემდეგ ეს ადამიანი იორდანიაში გავგზავნეთ, შემდეგ სირიაში, სადაც, სავარაუდოდ, მოკვდა ან შეიძლება ცოცხალიც იყოს, მაგრამ ეს ძალზე საეჭვოა, რადგან სირიაში წამების შემდეგ ადამიანის ძვლებსაც კი ველარ შეაგროვებ.**

რობერტ ბაერი იხსენებს, რომ **ცსს-ს შტაბბინაში არსებობს მსოფლიოს სპეციფიური რუკა, რომელზეც ქვეყნები მხოლოდ სამ ფერად არის დატანილი. ყველაზე ნათელი ფერის ის ქვეყნებია, რომლებიდანაც ადამიანის გატაცება შეიძლება, მაგრამ იქვე წამება არ არის სასურველი. ნაცრისფერით აღნიშნულია ქვეყნები, რომლებშიც შეიძლება ადამიანის დაკითხვა წამების გამოყენებით. ყველაზე მუქი ფერით კი რუკაზე შეღებილია ცსს-ს პარტნიორი ქვეყნები, რომლებშიც თავისუფლად შეიძლება ციხეში პატიმრის მოკვლა და სადაც მას არასდროს არავინ მოძებნის.**



გახსოვთ ის ორი კაცი, რომლებიც გაიტაცეს და სტოკჰოლმის აეროპორტიდან გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს? შვედეთის მთავარი საინფორმაციო გადაცემის ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ **ტყვეები ეგვიპტეში გადაიყვანეს. შვედეთის ხელისუფლება საქმის კურსში იყო, რომ ცსს-ს ასე გაჰყავდა ადამიანები მისი ქვეყნიდან.**

**გან-ბრიტ ანდერსონი, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2011 წლამდე:**

**— მივიღე საგარანტიო წერილი, პირობა მოგვცეს, რომ პატიმრებს ცუდად არ მოექცეოდნენ და ეგვიპტელები არ დაარღვევდნენ საერთაშორისო კონვენციებს.**

**რობერტ ბაერი:**

**— ეს იგივეა, რაც ბავშვის მინდობა სკოლის ხულიგანისთვის და მისთვის პირობის ჩამორთმევა, რომ ბავშვს არაფერს დაუშავებს.**

კოლუმბიის უნივერსიტეტი ნიუ იორკში. პროფესორი პიტერ როზენბლუმი სტუდენტებს საერთაშორისო სამართალს ასწავლის. პროფესორი ყველა სტოკჰოლმის აეროპორტში მომხდარი შემთხვევის შესახებ — სწორედ ასე გამოემშვიდობა შვედეთი სამართლებრივი სახელმწიფოს რეპუტაციას.

**პიტერ როზენბლუმი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი:**

**— ეს არის ცინიზმი და ორმაგი სტანდარტები. ჩვენ ვამბობთ, რომ ვიცავთ ადამიანთა უფლებებს და ამავე დროს პასუხს არ ვაგებთ იმაზე, თუ რა დაემართებათ ადამიანებს, რომელთაც საწამებლად ვაგზავნით.**

შვედი ჟურნალისტები ქაიროში ჩავიდნენ, რომ შვედეთიდან გატაცებული ერთ-ერთი პატიმარი ენახათ. მისი სახელია ახმედ აგიზა. ისინი რამდენიმე კვირის განმავლობაში ელოდნენ ციხეში გადაღების უფლებას. ეს უფლება ბოლომდეც ვერ მოიპოვეს. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც რამე იცოდა მათთვის საინტერესო პატიმრის შესახებ, დედამისი იყო.



**ხამიდა შალაბაი, შვედეთიდან გატაცებული ახმედ აგიზას დედა:**

**— ჩემი შვილის ლეიბს ელექტროსადენები უერთდება. თავად ჯაჭვებით მიბმული წევს ამ ლეიბზე. მიჯაჭვული აქვს ხელებიც და ფეხებიც. როდესაც ელექტროდენს რთავენ, დენი მის სხეულს ზემოთ ისვრის, შემდეგ კვლავ ეცემა და ასე გრძელდება, ვიდრე დენს არ გათიშავენ.**

ევროპაში ადამიანების მასობრივი გაუჩინარებისა და მათი წამების რეალობამ ევროპარლამენტი აიძულა, საკუთარი გამოძიება დაეწყო. **აქ პირველად გაისმა ოფიციალურად ცსს-ს რაღაც საიდუმლო პროგრამის და მასში ევროპული ხელისუფლებების მონაწილეობის შესახებ.**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



რობერტ ბაერი



გან-ბრიტ ანდერსონი



პიტერ როზენბლუმი

**ევროპაში ადამიანების მასობრივი გაუჩინარებისა და მათი წამების რეალობამ ევროპარლამენტი აიძულა, საკუთარი გამოძიება დაეწყო. აქ პირველად გაისმა ოფიციალურად ცსს-ს რაღაც საიდუმლო პროგრამის და მასში ევროპული ხელისუფლებების მონაწილეობის შესახებ**



დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაერთიანებულ სამეფოში იზრდება რელიგიური ფანატიზმი, სუპერტოლერანტულობა კი ბრიტანელებს დიდ განსაცდელს უქადის. რიგითი ბრიტანელები, უბრალოდ, შიშობენ, რომ მალე ბრიტანელებს პირდაპირ საკუთარ სახლებში გამოსჭრიან ყელს და ისინი ხმასაც ვერ ამოიღებენ, რომ ვინმემ რასიზმში არ დაადანაშაულოს.**

# ბრიტანეთს სექსჯიჰადი გამოუცხადეს

**მუსლიმანური ქვეყნებიდან ჩასული მიგრანტები ძალადობენ თეთრკანიან გოგონებზე. პოლიტკორექტული ბრიტანელები კი დუმან. ერთ-ერთ მსხვერპლს მკერდზე ამომწვარი აქვს ასო „მ“, ეს მისი მწამებლის — მუჰამედ კარარის ინიციალია. „შენ მხოლოდ მე მეკუთვნი, — უთხრა მამაკაცმა მას და დასძინა, — ამას უმალ მიხვდება ნებისმიერი, ვინც შენთან სექსს მოინდომებს“.**

მუჰამედი მისი სუტენიორი გახდა. **როდესაც აუპატიურებდნენ, გაკოჭეს და პირში ნაჭერი ჩაუტენეს, რომ მისი კივილი და კვნესა არავის გაეგონა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც ნარკოტიკებს შეაჩვიეს, 12 წლისა კი აიძულეს, პირველი აბორტი გაეკეთებინა. მრავალჯერ გადაიყვანეს ერთი ბუნაგიდან მეორეში...**

**მეორე გოგონას ბეისბოლის ჯოხით ურტყამდნენ. იგი უგონოდ ეგდო ძირს და სისხლისგან იცლებოდა, ამ დროს კი რამდენიმე კაცი ერთდროულად ძალადობდა მასზე...**

ამ და კიდევ რამდენიმე ათეულ ასეთ საზარელ ისტორიას განიხილავდნენ ოქსფორდის სასამართლოში. სხდომა ოთხნახევარი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. იქ, **უძველესი სახელგანთქმული უნივერსიტეტის ქალაქში, ახლა სექსჯიჰადი ყვავის. პაკისტანიდან და ერითრიიდან ჩასულმა შვიდმა იმიგრანტმა ჩამოაყალიბა ბანდა, რომელსაც ბავშვები სექსმონობაში ჰყავდა.**

**მსხვერპლი გოგონები 11-დან 15-წლამდე ასაკისანი იყვნენ. და, რაც ყველაზე მთავარია, ყველა მათგანი თეთრკანიანი ინგლისელია.** მათი უმრავლესობა პრობლემური ოჯახებიდანაა, ზოგიერთი სახლიდან გამოიქცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ძირძველი ბრიტანელები იყვნენ და **მუსლიმანური ქვეყნიდან იმიგრირებული მოძალადეები მხოლოდ იმის გამო აწამებდნენ, რომ გოგონები თეთრკანიანი რასის წარმომადგენლები იყვნენ.**

რა არ დამართეს ამ საბრალოებს მთელი რვა წლის განმავლობაში — 2004-დან 2012 წლამდე! თვით სასამართლოს მთავარმა მოსამართლემ, რომელსაც თითქოს აღარაფერი აკვირვებს და აშფოთებს, შეძრწუნებულმა განაცხადა: **„საზღვარი არ აქვს იმ საზიზღრობებს, რომელთაც დამნაშავენი ჩადიოდნენ! გოგონები მათთვის ყველაზე იოლად მოსახელთებელი ნადავლი იყვნენ — სუსტები, მგრძნობიარენი და დაუცველნი!“**

ბანდის მეთაურს მუჰამედ კარარს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მისი ძმა — ბასამი გისოსებს მიღმა 15 წელს გაატარებს. დანარჩენი ძმები — ახტარი და ანუმ დოგარი ასევე სიცოცხლის ბოლომდე ციხეში იქნებიან გამომწყვდეულნი, „განსაკუთრებული სიმძიმის დანაშაულის“ ჩადენის გამო.

**„აისბერგის მწვერვალი“** — **ასე უწოდებენ ექსპერტები იმას, რაც ოქსფორდში მოხდა. იმიტომ, რომ ლივერპულში ადგილობრივი სასამართლოს წინაშე წარსდგა 9 იმიგრანტი, რომლებიც სექსუალურ ძალადობას რეგულარულად ახორციელებდნენ 13 წლის 12 გოგონაზე. სულ 50-მდე მსხვერპლია.** დამნაშავეთაგან ერთ-ერთი მეჩეთში მუდმივად დადის და ხუთი შვილი ჰყავს. მეორე სახლში ეპატიჟებოდა მეგობრებს, რომ ეჩვენებინა, როგორ ძალადობდა მოზარდებზე. **ყველა პედოფილი 40 წელზე მეტი ასაკისაა და ყველა ინდოეთიდან და ავღანეთიდანაა ჩასული.** განაჩენი: 4-დან 12-წლამდე პატიმრობა.

**უკანასკნელი მონაცემებით, ორ ათასზე მეტი არასრულწლოვანი უკვე გახდა სექსჯიჰადის მსხვერპლი. სულ კი პედოფილების ვნების ობიექტებად 20 ათასზე მეტი მოზარდი იქცა.** და ეს ხდება ძველ, კეთილ ინგლისში, რომელიც საკუთარ თავს ბავშვების უფლებებისა და სქესთა თანასწორობის დაცვის საქმეში სამაგალითოდ მიიჩნევს.

**„დაუსრულებლად და ყველგან ვიხვეწებოდი დახმარებას, მაგრამ ადეკვატურ რეაქციას ვერ მივაგენი“,** — განაცხადა სასამართლოზე ერთ-ერთი მსხვერპლის დედამ. მისი თქმით, ბანდიტები ემუქრებოდნენ გოგონას დასახიჩრებით, სახის დანით დასერვით, მისთვის და მისი ქმრისთვის კი ყელის გამოჭრით. ოჯახი იძულებული გახდა, ოქსფორდიდან გადასახლებულიყო.

მეორე მოზარდის დედა იტყობინება, რომ **პოლიციელები, სოციალური მუშაკები და ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების თანამშრომლები ერთსა და იმავეს ურჩევდნენ: არ გაემწვავებინათ სიტუაცია! თავად კი პრაქტიკულად არაფერს აკეთებდნენ.**

რეპორტიორებიც კი ბოლო დრომდე დიდი მონდომებით არ აშუქებდნენ პედოფილთა სასამართლო პროცესებს. **თუ ვინმე წერდა ამაზე, ბანდის წევრებს აზიიდან ჩამოსულებად მოიხსენიებდნენ, ისე, რომ თავს არიდებდნენ უმნიშვნელო მინიშნებასაც კი მათ რელიგიურ მრწამსზე. ღმერთმა არ ქნას, ბრიტანეთში ისლამოფობიაში დაგდონ ბრალი!**



**ინგლისში აღარ დარჩა ქალაქი, სოფელი ან დასახლება, რომელშიც ბავშვები არ ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი**

თუმცა ამ საქმეში ბრიტანელები ორიგინალურნი არ არიან. **საფრანგეთში, ანალოგიურად, თითქმის არასდროს ასახელებენ დამნაშავის ეროვნებასა და რელიგიურ კუთვნილებას. ანალოგიურად იქცევიან სკანდინავიის ქვეყნებშიც, სადაც აღმოსავლეთიდან „სტუმრების“ მოზღვავების გამო ქერა გოგონები უკვე შავად ილებავენ თმას, რათა როგორმე თავიდან აიცილონ ძალადობის მსხვერპლობა.**

ტაჯ ჰარგეი ძალზე პოპულარული პიროვნებაა, თუმცა საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავს. იგი მუსლიმანური საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორია ოქსფორდში და ადგილობრივი ისლამური კონგრეგაციის იმამიც. მეჩეთში მისი ქადაგებისას იმდენი ხალხია, რომ ნემსი ვერ ჩავარდება. იმამი ხშირად გამოდის ტელევიზიით, რადიოში და გაზეთებშიც ხშირად წერს. მისი ყველა გამოსვლა არის გულახდილი, მკაცრი.

ამ ადამიანმა რამდენიმეჯერ გაიმეორა: **საჭიროა ახალგაზრდა მუსლიმანების სწორად სწავლება, რომ ისინი წინ აღუდგნენ რადიკალიზმს.**

თუმცა ლონდონური Daily Mail-ისთვის მიწერილ წერილში მან საკუთარი აზრი გაცილებით უფრო მკაცრად ჩამოაყალიბა: **„ოქსფორდული ბანდის საშინელი ქმედებები დაკავშირებულია რელიგიასა და ეროვნებასთან: რელიგიასთან, რამდენადაც ყველა ბოროტმოქმედი მუსლიმანი იყო, და ეროვნებასთან, რადგან მათ მსხვერპლად მხოლოდ თეთრკანიანი გოგონები აირჩიეს. ზოგიერთი ისლამისტი მოძღვრის შეხედულებები თეთრკანიანი ქალების მიმართ, უბრალოდ, საშინელია. მათი აზროვნების თანახმად, თეთრკანიანი ქალები ისე იქცევიან, რომ იმსახურებენ, ძალადობითა და დამცირებით დაისაჯონ“.**

**„ეს არის ჯიჰადი, სექსუალური ჯიჰადი, რომელიც თანმიმდევრულად გააღვივეს რადიკალმა იმამებმა“,** — ფაქტის კონსტატირებას ახდენს ტაჯ ჰარგეი. სხვათა შორის, იმამი თავს ესხმის არა მხოლოდ თავის ერთმორწმუნეებს. მისი კიდევ ერთი მომაკვდინებელი განცხადების თანახმად, **„დაშინებულ და პოლიტკორექტულ ბრიტანეთში სინამდვილეს სულმოკლედ გაურბიან. პოლიტიკოსები და კომენტატორები მიწას ტკეპნიან პრობლემის ირგვლივ და მალავენ მას ორაზროვან გამონათქვამებში“.**

ოქსფორდში ქუჩაში მოძრავ ავტომანქანებს უკანა შუშაზე მიკრული აქვთ მოკლე ლოზუნგი: **go home!** ცხადია, ამ ლოზუნგს არანაირი კავშირი არ აქვს ამერიკელ იანკებთან. ეს არალათინურ იმიგრანტებს ეხება.

ლონდონშიც უკვე ბევრი მანქანა დადის ამგვარი წარწერით, განსაკუთრებით ფურგონები. თუმცა ამ შემთხვევაში მოწოდება მუქარით მთავრდება: **go home or face arrest! („წადი სახლში ან დაგაპატიმრებენ!“).** დედაქალაქის ექვსი რაიონი უკვე შეუერთდა აქციას „ცივილიზებული იმიგრაციისთვის“.

ეს აქცია მწვავე დისკუსიების საბაბი გახდა. ზოგიერთი ამგვარ მოთხოვნას რასისტულს უწოდებს, მაგრამ **ლონდონის მერი, ბორის ჯონსონი,** განმარტავს: **ალბიონზე თავიდან ვერ ავიცილებთ ჯიჰადს, ამ შემთხვევაში სექსუალურს, თუ მოსახლეობა წინ არ აღუდგება მას.**

ბრიტანელებმა უკვე შემოკრეს განგაშის ზარებს. საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვის შედეგების თანახმად, ისინი ქვეყნის უმთავრეს პრობლემად იმიგრაციას მიიჩნევენ, უპირველეს ყოვლისა კი, უკანონო იმიგრაციას. **„თეთრკანიანი გოგონების გაუპატიურების საქმე ძალზე საგანგაშო პრობლემაში გადაიზარდა. ამ პრობლემას ძალზე დიდხანს მალავდნენ ჩვენს ქვეყანაში, სათანადოდ არ აფასებდნენ, არ აღიარებდნენ და სათანადო ზომებს არ იღებდნენ“,** — განაცხადა **ბავშვთა საქმეების მინისტრმა ტიმ ლოუტონმა.**

თემთა პალატაში შეტანილია ბავშვთა საქმეების ბრიტანული კომისიის ანგარიში. ამ ანგარიშის სათაურში ყველაფერი უკვე ნათელია: **„ბავშვებზე სექსუალური ძალადობა და მისი საწინააღმდეგო ზომები“.**

გამომძიებლები ამბობენ, რომ **ინგლისში აღარ დარჩა ქალაქი, სოფელი ან დასახლება, რომელშიც ბავშვები არ ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი.** ბავშვთა საქმეების კომისიის წევრი სიუზენ ბერელოვიჩი აღიარებს, რომ, სამწუხაროდ, ეს სწორედ ასეა. როდესაც ამ ყველაფრის მიზეზებზე იწყება საუბარი, მისის ბერელოვიჩი ჯერ იმპულსურად ასახელებს სადიზმსა და სიმახინჯეს, შემდეგ კი დასძენს: **„სახელმწიფო ორგანოები უგერგილოდ განიხილავენ ამგვარ საქმეებს, როგორც ჩანს, იმის შიშით, რომ საზოგადოებაში განხეთქილება არ გამოიწვიონ და ისლამოფობიაში არ აღმოჩნდნენ დადანაშაულებულნი. ამასობაში კი მულტიკულტურიზმის იდე-** ▶




**გადამეტებული პოლიტკორექტულობა ისლამისტი იმიგრანტების მიმართ ბრიტანეთს თვითმყოფადობის დაკარგვას უქადის**

**აკრძალვები, რომლებიც ბრიტანეთის სკოლამდელი აღზრდის რამდენიმე დაწესებულებაში შემოიღეს და რომლებიც ბავშვთან „უკონტაქტო“ მოპყრობას მოითხოვს, მართლაც გამაოგნებელია. დღითიდღე მატულობს მტკიცებულებები, რომ ბავშვის დასამშვიდებლად და მხარდასაჭერად ემოციური და ფიზიკური კონტაქტის ნაკლებობა როგორც აღმზრდელების, ასევე მშობლების მხრიდან ნეგატიურად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ამ ჩვენს ქვეყანაში კრახი განიცადა“.**

ექსპერტები ამბობენ, რომ **გაერთიანებულ სამეფოში იზრდება რელიგიური ფანატიზმი, სუპერტოლერანტულობა კი ბრიტანელებს დიდ განსაცდელს უქადის. რიგითი ბრიტანელები, უბრალოდ, შიშობენ, რომ მალე ბრიტანელებს პირდაპირ საკუთარ სახლებში გამოჭრიან ყელს და ისინი ხმასაც ვერ ამოიღებენ, რომ ვინმემ რასიზმში არ დაადანაშაულოს.**

რამდენიმე თვის წინ უელსის ქალაქ კარდიფეში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს 33 წლის სარა იგს. მის მიერ ჩადენილმა დანაშაულმა მთელი ალბიონი შეძრა. **ქალმა სიკვდილამდე სცემა ჯოხით თავისი შვიდი წლის შვილს იასინს, დაუმტვრია ხელები, ფეხები, მიაყენა უამრავი შინაგანი დაზიანება და ეს ყველაფერი მხოლოდ იმის გამო, რომ ბავშვმა ვერ შეძლო ყურანის ზეპირად სწავლა. შვილის დასახიჩრებული ცხედარი სარამ ბაღში დაწვა.**

პროკურორმა განაცხადა, რომ გარდაცვალებამდე ბავშვი საშინელი ტკივილებისგან იტანჯებოდა, მაგრამ დედას აზრადაც კი არ მოსვლია, სამედიცინო დახმარებისთვის მიემართა. სკოტლენდ-იარდის წარმომადგენლის თქმით კი, სწორედ ესაა აისბერგის მწვერვალი, რადგან **გაერთიანებულ სამეფოში მუსლიმანურ ოჯახებში მკვეთრად იმატა რელიგიურმა ფანატიზმმა.**

**ბრიტანეთში ახლა ყველაზე მწვავედ დგას საკითხი, თუ როგორ უნდა ებრძოლონ არა მხოლოდ ამ ფანატიზმს, არამედ მთელი ქვეყნის ისლამიზაციას.** ლონდონელი ექსპერტები, უკვე კარგა ხანია, აღიარებენ, რომ **გადამეტებული პოლიტკორექტულობა ისლამისტი ემიგრანტების მიმართ ბრიტანეთს თვითმყოფადობის დაკარგვას უქადის.**

ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ლონდონის ქუჩებში მეზობლები ერთმანეთს სახელებით მიმართავდნენ, მოიკითხავდნენ ოჯახის წევრებს, სალამოობით იკრიბებოდნენ, ერთმანეთის სახლ-კარს ყურადღებას აქცევდნენ... ყველაფერი შეიცვალა. სახელგანთქმულ ჰაიდ-პარკში თითქმის არასდროს ისმის ინგლისურად საუბარი. ბილიკები სავსეა ხიჯაბებში გამოწყობილი ქალებით, რომელთაც უამრავი ბავშვი ახლავთ.

**ყავისფერი აგურით ნაგებ ორსართულიან სახლს, რომლის ყველა ფანჯარაზე მუქი ფარდებია დაშვებული, მუდმივად ყარაულობენ წესრიგის მცველნი. მაგრამ იქ რომელიმე პოლიტიკოსი ან პოპ-ვარსკვლავი კი არა, ერთ დროს ევროპაში უსამა ბენ ლადენის მარჯვენა ხელად წოდებული აბუ კატადი ცხოვრობს. მართალია, ბენ-ლადენი აღარ არის, მაგრამ 52 წლის კატადი კვლავაც განაგრძობს მოწოდებებს ბრიტანეთის წინააღმდეგ წმიდა ომისკენ.** რაღაც მომენტში ბრიტანეთში იგი დააკავეს, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს. უფრო მეტიც, საიმიგრაციო სააპელაციო კომისიამ გადაწყვიტა, არ გაუშვან ეს ადამიანი მშობლიურ იორდანიაში, სადაც ტერორიზმში ედება ბრალი და სადაც შეიძლება აწამონ!

**ბრიტანეთის ხელისუფლებამ ამგვარი ჰუმანიზმის წინააღმდეგ პროტესტი გამოხატა, მაგრამ სასამართლო ამ საქმის გარჩევას რამდენიმე წელს მოანდომებს, მანამდე კი „ალ ქაიდას“ იდეოლოგი ლონდონში 450 ათას ფუნტად ღირებულ აპარტამენტებში დაასახლეს. თუმცა ეს არაფერია, ჟურნალისტებმა დაითვალეს, რომ ბრიტანელ გადასახადების გადამხდელებს ამ ადამიანის საქმე უკვე 3 მილიონ ფუტზე მეტი დაუჯდათ. გარდა უფასო სახლისა, იგი იღებს ყველანაირ შემწეობას ოთხივე შვილზე, როგორც უმუშევარი და ასე შემდეგ. რაც შეეხება მუდმივ დაცვას, ეს ბრიტანეთს წელიწადში ხუთი მილიონი ფუტი უჯდება.**

რაც ყველაზე საინტერესოა, კატადი უკმაყოფილოა და სულ ახლახან ცხოვრების პირობების გაუმჯობესება მოითხოვა. მისი თქმით, ხუთი ოთახი ცოტაა, რაიონი ბინძურია, მუსლიმანური სკოლა კი შორსაა.

**ახლა გაერთიანებულ სამეფოში თითქმის მილიონი უკანონო ემიგრანტია — ორჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, გერმანიასა თუ საფრანგეთში.**

„საპირისპირო კოლონიზაციის“ პროცესი, რომელიც მთელს დასავლეთში მიმდინარეობს, ნაწილობრივ აიხსნება პოლიტიკური ტოლერანტობისა და კორექტულობის დიქტატურით. შედეგად, **დაახლოებით 50 წლის შემდეგ ბრიტანეთი, შესაძლოა, იქცეს ქვეყნად, რომელშიც მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმანი იქნება.** მთელი ევროპა გაითელება ვანდალების ფეხქვეშ, როგორც რომი გაითელა V საუკუნეში. შოკისმომგვრელი პერსპექტივაა, მაგრამ, თუ ეს მართლაც მოხდება, დამნაშავენი მხოლოდ რადიკალი ისლამისტები კი არა, ტოლერანტი ევროპელებიც იქნებიან.

kp.ru




**ტაჯ ჰარგეი,**
**მუსლიმანური საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი ოქსფორდში და ადგილობრივი ისლამური კონგრეგაციის იმამი:**

**ზოგიერთი ისლამისტი მოძღვრის შეხედულებები თეთრკანიანი ქალების მიმართ, უბრალოდ, საშინელია. მათი აზროვნების თანახმად, თეთრკანიანი ქალები ისე იქცევიან, რომ იმსახურებენ, ძალადობითა და დამცირებით დაისაჯონ**

# პედოფილიის პროფილაქტიკა ბრიტანულად

**რამდენიმე დღის წინ მინისტრმა საბავშვო ბაგა-ბაღების ხელმძღვანელებს მოუწოდა, გააუქმონ ავბედითი წესები, რომელთა თანახმადაც აღმზრდელებს ბავშვების ჩახუტება და კოცნა ეკრძალებოდათ, რათა მათ მიმართ შეუსაბამო მოპყრობაში არ ყოფილიყვნენ ბრალდებულნი. მინისტრის განცხადებით, მსგავსი აკრძალვები ბავშვის სრულფასოვან განვითარებას საფრთხის წინაშე აყენებს.**



დოქტორმა დენ პოულტერმა — ბავშვთა ჯანდაცვის მინისტრმა, მოითხოვა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღების ხელმძღვანელებმა გადახედონ სასტიკ პოლიტიკას, რომლის შედეგადაც ათასობით ბავშვი მთელ დღეს ისე ატარებს ბაგაში, რომ მოკლებულია ნაზ ზრუნვასა და ალერსს აღმზრდელების მხრიდან.

მისივე განცხადებით, აღშფოთებული და შეძრულია იმ ფაქტით, რომ **აღმზრდელებს ეშინიათ სამსახურიდან გათავისუფლების იმის გამო, რომ მოეფერნენ და დაამშვიდეს ბავშვი, რომელსაც მშობლები ენატრება, ან დაეცა და მუხლები გადაიყვლიფა.**

მინისტრი, რომელიც ჯერ კიდევ მუშაობს ექიმად საავადმყოფოში, სადაც ბავშვები და ქალები მკურნალობენ, ირწმუნება, რომ **ამგვარი აკრძალვები განაპირობებს ბავშვის ნორმალური განვითარების დარღვევას, აუარესებს ბავშვის კეთილდღეობას და ზღუდავს სამომავლოდ მის შესაძლებლობებს.**

ბრიტანეთში პრესა უკვე წერდა, რომ საბავშო ბაგა-ბაღის თანამშრომლის, შემდგომში პედოფილიაში ბრალდებული ვანესა ჯორჯის გახმაურებული საქმის გამო **ბოლო დროს ბრიტანეთში მომრავლდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რომლებშიც აღმზრდელებს ეკრძალებათ ბავშვების კოცნა და მოფერება.**

როგორც კვლევებმა ცხადყო, **არის ისეთი ბაღები, რომლებშიც აღმზრდელებს არ ურჩევენ ბავშვების ჩახუტებას, მათ კალთაში ჩასმას და ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ სინაზისა და ალერსის გამომხატველი მარტივი მოქმედებები ვითომდა ვნებს ბავშვებს და ზღუდავს მათ დამოუკიდებლობას.**

მაგრამ ბავშვთა განვითარების სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ტაქტილური შეგრძნებების ნაკლებობა საფრთხეს წარმოადგენს ბავშვისთვის. ისინი აცხადებენ, რომ **ბავშვისთვის ალერსსა და სინაზეზე უარის თქმა განაპირობებს მისი განვითარების შეფერხებას, უხშობს მას ბედნიერების შეგრძნებას და განაცდევინებს ძლიერ სტრესს.**

ამიტომაც მიმართა დოქტორმა პოულტერმა საბავშვო ბაღებს ზემოხსენებული მოთხოვნით.

**„ეს ხომ ადამიანურად ბუნებრივი ქმედებაა — მოეფერო განაწყენებულ ბავშვს, გაუწოდო ხელი, თუ დაეცა; დაამშვიდო, თუ დაეცა და ამ ყველაფერში ფიზიკური კონტაქტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს“,** — აცხადებს იგი.

აკრძალვები, რომლებიც სკოლამდელი აღზრდის რამდენიმე დაწესებულებაში შემოიღეს და რომლებიც ბავშვთან „უკონტაქტო“ მოპყრობას მოითხოვს, მართლაც გამაოგნებელია. დღითიდღე მატულობს მტკიცებულებები, რომ ბავშვის დასამშვიდებლად და მხარდასაჭერად ემოციური და ფიზიკური კონტაქტის ნაკლებობა როგორც აღმზრდელების, ასევე მშობლების მხრიდან ნეგატიურად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე.

ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვების შედეგები უკვე იქცა დაეჭვების მიზეზად, კვლავაც არის თუ არა ბაგა-ბაღები ბავშვთა აღზრდისთვის საუკეთესო ადგილი.

**პროფესიონალური აღზრდისა და ბავშვებზე ზრუნვის ასოციაციის პრეზიდენტი პენი ტასონი** ამბობს, რომ **ფაქტობრივად, ყველა, ვისაც მცირეწლოვან ბავშვებთან უწევს მუშაობა, ვალდებულია, მათთან ურთიერთობაში ფიზიკური კონტაქტი გამოიყენოს. მშობლების გარეშე დარჩენილ პატარებს, როგორც წესი, გამოუმუშავდებათ სტრესის ჰორმონი, რომელსაც კორტიზოლი ჰქვია. მათთვის უფროსებთან ჩახუტება ან თუნდაც მათთვის ხელის მოკიდება მღელვარებისა და შფოთვის შემცირების საუკეთესო საშუალებაა.**

მკაცრი წესი, რომელიც ბავშვების მოფერებას კრძალავს, არ შეესაბამება აღზრდის მიზნებს, რადგან მასში გათვალისწინებული არ არის ბავშვის უფლება თანაგრძნობასა და სინაზეზე.

ერთ-ერთი ბაგა-ბაღის წესებში წერია: **„ბავშვები უნდა წახალისდნენ დამოუკიდებლობისთვის, ამიტომ აღმზრდელებს არ აქვთ უფლება, დიდხანს ჩაიხუტონ ან დიდხანს იყოლიონ ბავშვი კალთაში. აკრძალულია ბავშვების კოცნა და ამ წესების დარღვევას, შესაძლოა, დისციპლინარული დევნა მოჰყვეს“.**

კიდევ ერთი ბაგა-ბაღის განაწესში წერია: **„ცხადია, გარკვეული ფიზიკური კონტაქტი გარდაუვალია (მაგალითად, საფენების გამოცვლისას), მაგრამ არსებობს სხვა ქმედებები, რომელთა ინიციატორებიც თავად ბავშვები არიან და რომლებიც დაუშვებლად მიგვაჩნია. ამგვარ ქმედებებს განეკუთვნება ნებისმიერი კოცნა ერთ-ერთი მშობლის თანდასწრების გარეშე“.**

ადრეულ ასაკში ბავშვთა აღზრდის ყველა მეთოდური რეკომენდაცია და თეორია ღაღადებს ერთსა და იმავეს: **ბავშვისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ფიზიკური კონტაქტი და ტაქტილური შეგრძნებები.** აღმზრდელმა კი თავად უნდა იცოდეს ზუსტად, თუ სად გადის ზღვარი ბავშვის ალერსსა და ამაზრზენ დანაშაულს შორის.

Daily Mail

სხვისი თვალით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიზნესმენთა „ჯოგები“ მიდიოდნენ პროკურატურაში და „ჩუქნიდნენ“ ბიზნესს სახელმწიფოს. შედავება უაზრო იყო — დაუყოლიებელს უგდებდნენ ჰეროინის რამდენიმე გრამს და ის ილებდა ვადას ქონების კონფისკაციით. შედეგად, მსხვილ ბიზნესს პრაქტიკულად მთლიანად აკონტროლებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.**

# დიდი ქართული უტოპია

**თანამედროვე საქართველო იქცა პოსტსაბჭოთა სივრცეში უპრეცედენტო ექსპერიმენტის ჩატარების ლაბორატორიად, რომელსაც უნდა გაეუმჯობესებინა არა მხოლოდ სახელმწიფო სისტემა, არამედ ქართული მენტალიტეტიც. შეძლეს ქართველებმა, უკეთესები გამხდარიყვნენ?**

**მიხეილ სააკაშვილმა ქართული სახელმწიფოს რადიკალური რეფორმირება სცადა, მისი პოლიტიკური ავანსცენიდან წასვლის მიზეზი კი არც შეთქმულება იყო და არც არაკეთილმოსურნე მეზობელი სახელმწიფოს მოქმედებები, ეს იყო ქართველი ხალხის ნება, გახმაურებული ციხის სკანდალის შემდეგ.**

**მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობას სხვადასხვაგვარად აფასებენ. სააკაშვილისეული ქართული რეფორმების შეფასების არაერთი ცდა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იმ მანკიერებების უმეტესი ნაწილი დამახასიათებელი იყო პოსტსაბჭოური სახელმწიფოებისთვის.**

**სააკაშვილის მოტივაცია გასაგებია. 2003 წელს, როდესაც იგი ხელისუფლებაში მოვიდა, საქართველო ძალზე სავალალო მდგომარეობაში იყო: მისი თითქმის ხუთმილიონიანი მოსახლეობის ნახევარი სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა, საშუალო ხელფასი 50 დოლარს შეადგენდა, პენსია — 15-ს, ინფრასტრუქტურა, საცხოვრებელ-კომუნალური მეურნეობა ინგრეოდა, ხოლო შრომისუნარიანი მოსახლეობის უმრავლესობა ლუკმაპურის საშოვნელად რეგულარულად მიემგზავრებოდა რუსეთში. თუ ამას დავუმატებთ სახელისუფლო ვერტიკალის ჩამოშლას, კორუფციის მაღალ დონეს, ბანდიტიზმს და მრავალრიცხოვანი ნახევრადსამხედრო დაჯგუფებების არსებობას, ნათელი გახდება, რომ ვითარება აუცილებლად გამოსასწორებელი იყო. აშშ-ში განათლებამიღებულ სააკაშვილს, რომელიც მოხიბლული იყო დასავლური ცივილიზაციის მიღწევებით, გულწრფელად სწამდა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მშენებლობის რეცეპტები მიესადაგებოდა ნებისმიერ ქვეყანას. მან გადაწყვიტა, განეხორციელებინა დასავლური ფასეულობებისა და ინსტიტუტების ქართულ საზოგადოებაზე მორგება და ქვეყნის დაჩქარებული მოდერნიზაცია.**

**უპირველეს ყოვლისა, მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა, დაეხსნა საქართველო რუსული ზემოქმედებისგან, რომელიც „ხრწნიდა და ამუხრუჭებდა“ ქვეყნის განვითარებას; შემდეგ კი გადაწყვიტა, ჩაეტარებინა მასშტაბური ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მიზანი იქნებოდა დასავლეთის ბაზარზე ორიენტირებული ღია და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნა; მის გეგმებში შედიოდა სამართალდამცავი სისტემის რეფორმაც, კორუფციის მოსპობაც და, შედეგად, თვით ეროვნული მენტალიტეტის შეცვლა; ამით კი შრომისმოყვარე, განათლებული, კანონმორჩილი, დასავლური ცივილიზაციის ორბიტაში ჩართული ახალი ქართველი მოქალაქის ჩამოყალიბება.**

**ჩვენ შევეცადეთ, გავრკვეულიყავით, რას მიაღწია სააკაშვილმა და რატომ უარყო ეს რეფორმატორი საკუთარმა ხალხმა.**

## კრედიტები იმპორტზე

როგორც ნებისმიერი მოდერნიზაცია, სააკაშვილის რეფორმები დაიწყო ფულის მოძიებით მათ განსახორციელებლად. თანხის ნაწილი ბეგარის გაზრდითა და სახელმწიფო სექტორის მასობრივი პრივატიზებით შეაგროვეს. 2005 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა პრივატიზებიდან შეადგინა 231,4 მილიონი დოლარი, რაც აღემატა ყველა იმ შემოსავალს, რომელიც შევიდა ბიუჯეტში ამ მხრივ 1996-2004 წლებში. თუმცა ფულის ლომის წილი რეფორმებისთვის მიღებულ იქნა საზღვარგარეთიდან: **დასავლეთისთვის საქართველო წარმოადგენდა ძალზე სასარგებლო აქტივს, რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა რუსეთის ზემოქმედების შესუსტება პოსტსაბჭოთა სივრცეზე, ამიტომ „ვარდების რევოლუციის“ მეორე წლისთავზე დონორმა ქვეყნებმა, კრედიტებისა და გრანტების სახით, სააკაშვილს გამოუყვეს 1 მილიარდი დოლარი** (მაშინდელი შიდაწარმოების პროდუქტის 25%). **2008 წელს ქვეყანამ მიიღო კიდევ 4,5 მილიარდი დოლარი, რომელიც უნდა გამოეყენებინა ქართულ-რუსული სამხედრო კონფლიქტით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად** (უკვე აღარაფერს ვამბობთ მსოფლიო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სესხებზე).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სააკაშვილმა მართლაც შეძლო გარკვეული სახსრების აკუმულირება, მაგრამ აქ მან კატასტროფული შეცდომა დაუშვა. **ამერიკელმა მასწავლებლებმა და დასავლელმა კონსულტანტებმა არ აუხსნეს სააკაშვილს, რომ ქმედითუნარიანი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ამუშავებს და ახორციელებს აქტიურ სამრეწველო პოლიტიკას.** ასეთი პოლიტიკა კი ითვალისწინებს საკვანძო სექტორების გამოყოფას და მათ დაჩქარებულ განვითარებას, რაც გულისხმობს პირდაპირ სახელმწიფო ფინანსირებას, დროებითი შეღავათებისა და პრეფერენციების შექმნას ამ სექტორებისთვის, რათა დაიცვან ისინი იაფი იმპორტისგან.

## სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობისას საქართველოს ციხეებში 300 ათასი ადამიანი მოხვდა



## ციხეებში პატიმრებს აკითხავდნენ ბანკების წარმომადგენლები, რომლებიც ტუსაღებს სთავაზობდნენ კრედიტებს ბანკში უძრავი ქონების ჩადების სანაცვლოდ

**მიხეილ სააკაშვილი ნეოლიბერალური ეკონომიკური თეორიის მსხვერპლი გახდა, რომლის მიხედვითაც წარმატებისთვის სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ყველაფრის პრივატიზება, რისი შესაძლებლობაც აქვს, გახსნას ბაზარი და მოსპოს კორუფცია. ამ ზომების მიღების შემდეგ კი ეკონომიკა თავისთავად დაიწყებს ზრდას.**

სააკაშვილმა საგრძნობლად შეამცირა ან სულაც გააუქმა საიმპორტო საბაჟო გადასახადების უმრავლესობა, რის შედეგადაც ქვეყანაში ნიაღვარივით შემოვარდა იაფი საქონლის ნაკადი. იმპორტის მოცულობა 2003 წლიდან 2008 წლის ჩათვლით, თითქმის ექვსჯერ გაიზარდა — 1,1 მლრდ დოლარიდან 6,3 მილიარდამდე, ხოლო, ვინაიდან საქართველოს გასატანი დიდად არაფერი აქვს, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 2004 წლიდან 2012 წლამდე გაიზარდა 1,2 მლრდ დოლარიდან 5,5 მლრდ დოლარამდე. აღმოჩნდა, რომ ადგილობრივმა წარმოებამ ვერ გაუწია კონკურენცია იაფ თურქულ საქონელს.

**საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა სახელმწიფო მოსამსახურეების ხელფასებისა და პენსიების მომატებაზე. საშუალო პენსია გაიზარდა 76 დოლარამდე, ხოლო საშუალო ხელფასი — 300-500 დოლარამდე. აღსანიშნავია, რომ საშუალო ხელფასის ასეთი საგრძნობი ზრდა მოხდა უმუშევრობის 60%-მდე ზრდის პარალელურად და სახელმწიფო სექტორში ხელფასის რადიკალური მომატების გამო.**

**სააკაშვილის მთავრობამ უამრავი თანხა გაფლანგა ძვირადღირებული შენობების მშენებლობაში, რომლებსაც უნდა მოეხდინა სააკაშვილის რეჟიმის მიღწევების დემონსტრირება. პრეზიდენტის განსაკუთრებული სიამაყის საგანი გახდა ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის აგება, რომელიც ბიუჯეტს 200 მილიონი დოლარი დაუჯდა.**

## ნიანგებსა და ბაყაყებზე

ეკონომიკის ლიბერალიზაციის ჩარჩოებში სააკაშვილმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა იმ დროისთვის შედარებით სიცოცხლისუნარიან სოფლის მეურნეობას. უკვე 2004 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში გაუქმდა საბაჟო ტარიფი ხორბლის შემოტანაზე. **ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ პროტექციონიზმზე უარის თქმა აიძულებს ადგილობრივ მწარმოებლებს, აამაღლონ პროდუქციის ხარისხი, რაც მას კონკურენტუნარიანს გახდის. თუმცა სინამდვილე საწინააღმდეგო აღმოჩნდა — ბაჟის გაუქმებით ქვეყანა წაილეკა თურქული და აზერბაიჯანული სასოფლო სამეურნეო პროდუქციით. გარკვეულ მომენტამდე ვითარებას აწონასწორებდა მხოლოდ რუსული ბაზარი, მაგრამ ურთიერთობის გამწვავებამ ის ჩაკეტა** (რუსეთმა აკრძალა ქართული მინერალური წყლის შეტანა, რომლის 75% ექსპორტი მიდიოდა მის ტერიტორიაზე და ღვინის ექსპორტი, რომელიც შეადგენდა ქართული ღვინის ექსპორტის 85%-ს). **„ნაციონალური“ ხელისუფლების ხმამაღალი განცხადებები იმის თაობაზე, რომ მან ნახა ახალი საექსპორტო ბაზრები, მხოლოდ განცხადებად დარჩა.**

ქართველი მეღვინეები დღესაც გაღიზიანებით იხსენებენ, თუ როგორ ლიბერალურად უდგებოდა მთავრობა სოფლის მეურნეობის განვითარებას, რაც გულისხმობდა სპეციალიზაციას არდაკავებულ სექტორზე. სრული სერიოზულობით ფერმერებს შესთავაზეს, არაშემოსავლიანი მეღვინეობის მაგივრად, ხელი მოეკიდებინათ ნიანგებისა და ბაყაყების გამრავლებისთვის.

**პროტექციონიზმის ყოვლად უსაფუძვლო გაუქმებამ, ტრადიციული ბაზრების დაკარგვამ, სუბსიდიებზე უარის თქმამ, მებაყაყეობამ, მენიანგეობამ — ყველაფერმა ამან კატასტროფამდე მიიყვანა სოფლის მეურნეობა.**

**მიხეილ სააკაშვილის ეკონომიკური რეფორმების შედეგად, ეკონომიკა ნგრევის პირას მივიდა, კატასტროფულად გაიზარდა უმუშევრობა. მისი დონის ზუსტი ციფრი დღევანდელ საქართველოში არ არის. მოსახლეობის 60 პროცენტი მუშაობს ან არარეგულარულად, ან სეზონურად.**

## მონოპოლია კორუფციაზე

**სააკაშვილის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ კორუფციასთან ბრძოლას იგი იყენებდა ბიზნესმენების შანტაჟისთვის და ამ გზით ბიუჯეტის შესავსებად.** იურიდიულ პრაქტიკაში არსებობს ისეთი გაგება, როგორიცაა საპროცესო გარიგება. კონკრეტულად საქართველოში ეს ნიშნავდა, რომ მსჯავრდებული იხდიდა ჯარიმას და არ ჯდებოდა ციხეში. **2004 წლის მხოლოდ პირველ ოთხ თვეში ედუარდ შევარდნაძის მომხრეების „ჯიბეებიდან“ პროკურატურამ ამოიღო 25 მილიონი დოლარი.** ამით დღესაც ამაყობენ „ნაციონალები“. მაგრამ, მაღალჩინოსანი კორუფციონერების გარდა, ასეთ ხელშეკრულებებს ხელს იძულებით აწერდნენ რიგითი პატიმრებიც, რომლებსაც კაპიტალი არ გააჩნდათ. ამ პრაქტიკამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ **ციხეებში პატიმრებს აკითხავდნენ ბანკების წარმომადგენლები, რომლებიც ტუსაღებს სთავაზობდნენ კრედიტებს ბანკში უძრავი ქონების ჩადების სანაცვლოდ. ახლა, როდესაც გაირკვა, როგორ შემობრუნდა „ნულოვანი მოთმინების“ პოლიტიკა სასჯელაღსრულების ადგილებში, ცხადია, როგორ აცდუნებდნენ პატიმრებს თავისუფლების ყიდვის მოტივირებით.**

მოსახლეობის ნდობა პოლიციის მიმართ დაიკარგა მას შემდეგ, რაც ამ გარიგებებიდან **შემოსულ თანხას ხელისუფლება იყენებდა პირადი გამდიდრებისთვის და ოპოზიციის ჩასაქოლად.**

გაირკვა, რომ ასეთმა თავგამოდებულმა ბრძოლამ ქურდობასთან და კორუფციასთან დაბალ და საშუალო დონეზე „ნაციონალები“ მიიყვანა „კორუფციის მონოპოლიზაციამდე“.

**ბიზნესმენთა „ჯოგები“ მიდიოდნენ პროკურატურაში და „ჩუქნიდნენ“ ბიზნესს სახელმწიფოს. შედავება უაზრო იყო — დაუყოლიებელს უგდებდნენ ჰეროინის რამდენიმე გრამს და ის ილებდა ვადას ქონების კონფისკაციით. შედეგად, მსხვილ ბიზნესს პრაქტიკულად მთლიანად აკონტროლებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.**

## რუსული ენის გარეშე ძნელია

ახალი ქართველი მოქალაქის ფორმირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ენობრივი პოლიტიკა გახდა, თუმცა, ჩანს, არშემდგარი. **მცირერიცხოვან ერებს, რომლებიც თავის ენაზე საუბრობენ, ყოველთვის აქვთ მეორე ენა დიდი მეზობლისა, რომლის დახმარებით ისინი ახორციელებენ კავშირს მსოფლიო ცივილიზაციასთან და კულტურასთან. საქართველოსთვის ასეთი ენა იყო რუსული და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართული და რუსული კულტურები იყო წყარო ურთიერთგამდიდრებისა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა, გამოეყვანა საქართველო დამღუპველი რუსული გავლენიდან და დასავლური სამყაროს ნაწილად ექცია ის.** სააკაშვილმა დაისახა მიზანი — განდევნოს ქართული კულტურული სივრციდან რუსული ენა და დაამკვიდროს ინგლისური.

**„ახალ ქართველს“ უნდა სცოდნოდა ინგლისური ენა. ამისათვის ხელისუფლებას ჩამოჰყავდა საზღვარგარეთიდან მასწავლებლები და სტიმულირებდა ადგილობრივ პედაგოგებს.**

ხელისუფლების აზრით, ინგლისურ ენაზე გადასვლა რამდენიმე ამოცანას ხსნიდა — კერძოდ, ხელს უწყობდა საქართველოს ევროინტეგრაციას და ეხმარებოდა ქვეყნის რიგ რეგიონებში ეთნიკური სეპარატიზმისთვის თავის გართმევაში.

პრაქტიკულად კი „ახალი ქართველის“ შექმნა მხოლოდ რუსული ენის განდევნით დასრულდა, მაგრამ მისი შეცვლა ინგლისურით არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

**სააკაშვილის 9-წლიანმა მმართველობამ ვერ შეძლო, მნიშვნელოვნად შეეცვალა ენობრივი ვითარება ქვეყანაში. დღეს საქართველოში საერთოდ არ ლაპარაკობს რუსულად მოსახლეობის მხოლოდ 4% და არა იმიტომ, რომ ისინი სააკაშვილის პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ, არამედ იმიტომ, რომ მიყრუებულ სოფლებში ცხოვრობენ.**

**www.expert.ru-ს მიხედვით**

**ხალხისთვის სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოში, დემოკრატიის კი არა, მისი ყურმოჭრილი და მისი ხელის შემყურე ყოფილი ხელისუფლების („ნაცბანდის“!) ბედი აწუხებს, მის რეაბილიტაციასა და ხელისუფლებაში „მეორედ მოსვლას“ გეგმავს. თუმცა ახლა უკვე იმდენად შავია მათი პროტეჟე „ნაცბანდის“ სახე, რომ მათი თეთრად აღიარება ვერანაირი დიპლომატიით ველარ შეიფუთება.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვიდრე არ გვიკივლია: YANKEE, GO HOME!

**პატარა ქვეყნის ხვედრი მძიმეა. ისტორიის დაუნდობელ ქარტეხილებში ის თავს ვერ გაიტანს, თუ რომელიმე ძლიერი ახლო ან შორეული მეგობარი არ ჰყავს, რომელიც გასაჭირში მხარში ამოუდგება და ვაგლახად არავის დააჩაგვრინებს.**




მეგობრის პოვნა ადვილი არ არის. როგორც კერძო კაცმა, ისე ქვეყანამ ისეთი ვინმე უნდა მონახოს სამეგობროდ, რომელსაც საერთო ინტერესებითა და შეხედულებებით დაუკავშირდება. ამის გარეშე ორი კაცისა თუ ორი ქვეყნის ურთიერთობა ნაცნობობის საზღვრებს ვერ გასცდება, ხოლო თუ გასცდა, მაშინ ძლიერისა და სუსტის ბატონობა-მორჩილება იქნება მხოლოდ.

ამიტომ იყო, რომ **საქართველოს ისტორიული ურთიერთობა ძლიერ მეზობლებთან — სპარსეთთან და თურქეთთან მეგობრობად ვერ იქცა. საერთო ინტერესები და საერთო ღირებულებები არ ჰქონდათ და იმიტომ. სწორედ, საერთო ინტერესებისა და საერთო ღირებულებების ძიებამ მიიყვანა ქართველი მეფეები ახალ პოლიტიკურ ორიენტაციამდე, რომლითაც საქართველოს ბედ-იღბალი რუსეთის ისტორიულ ბედ-იღბალს დაუკავშირდა. ამ კავშირის შედეგია ის, რომ საქართველო ჯერ კიდევ მოიხსენიება დიდ საკაცობრიო ოჯახში.**

ამ ორი ათეული წლის წინათ ისე მოხდა, რომ ის დიდი ოჯახი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, შინაური და გარეშე მტრების ერთიანი ძალისხმევით დაინგრა. ვისაც სხვაზე მეტი ჭკუა ჰქონდა, ნგრევას ასე თუ ისე თავი გაარიდა, ვისაც ჭკუა არ ეყო, ნანგრევებში მოჰყვა.

ნანგრევებში მოვყევით ჩვენც!

ნანგრევებში მოყოლილებს აუცილებლად სჭირდებათ დახმარება გარედან. უამისოდ თავს ვერ დააღწევენ ხიფათს. ასეთი დახმარება გვჭირდებოდა ჩვენც, მაგრამ მაშინ მეგობრების გამონახვის არც თავი გვქონდა და არც დრო. მავანნი მეგობრისა და დახმარების ხელს თვითონ გვიწვდიდნენ. ჩვენი ასარჩევი იყო, ვის ხელს ჩავებღაუჭებოდით.

**ერთ-ერთმა პირველმა იმ ქვეყანამ გამოგვიწოდა დახმარების ხელი, რომელსაც ყველა ჩვენი უბედურება ბრალდებოდა** (მკითხველმა იცის, ალბათ, რომ ჩვენი „მამაცური ბრძოლის“ შედეგად დამწვარი ისტორიული პირველი საშუალო სკოლა ფერფლიდან აღადგინა მოსკოვის მერიამ)**, ამიტომ მისი მეგობრობა ცოცხალი თავით არ მივიღეთ. იყვნენ სხვებიც. ზოგი ცარიელ ხელს გვიწვდიდა, ზოგს მაჯა ჰქონდა მეტისმეტად სუსტი... სწორედ მაშინ გამოჩნდა ძლიერი ხელი — აშშ, რასაც სიხარულით მოვეჭიდეთ...**

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც მთელი მსოფლიო, მარტივად, ამერიკას უწოდებს (თითქოს ამერიკის კონტინენტზე სხვა სახელმწიფოები არ არსებობდეს!), ჩვენში საოცნებო ქვეყნად მიაჩნდათ. საყოველთაო კეთილდღეობა, სრული პიროვნული თავისუფლება, ყველასთვის თანაბარი შანსი, კანონის უზენაესობა, ანუ საყოველთაო სამართლიანობა — აი, ასე გვქონდა წარმოდგენილი ამერიკა. **ერთი სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიის ბურჯად და ფორპოსტად მიგვაჩნდა. ის კი აღარ გვახსენდებოდა, რომ „დემოკრატიის ეს ბურჯი“ სულ რაღაც საუკუნე-ნახევრის წინათ მონათმფლობელური სახელმწიფო იყო და თომას ჯეფერსონი თუ ჯორჯ ვაშინგტონი მონათმფლობელური სახელმწიფოს ლეგიტიმური ხელმძღვანელები იყვნენ. ისიც „გადაგვავიწყდა“, რომ რასისტული კანონები ჩვენს დღეებამდე არსებობდა აშშ-ში. სწორედ ამ კანონების წინააღმდეგ ბრძოლას არ შეეწირა 60-იან წლებში მარტინ ლუთერ კინგი?!**

რას იზამ, ასეთი ყოფილა ადამიანის ბუნება. სიძლიერე და გარეგნული ბრწყინვალება მარტო ველურებს კი არ ახვევს თავბრუს და მარტო მათ თვალში კი არ იქცევა კერპად.

**ჩვენი ცხოვრებით უკმაყოფილოებს თვალი სხვათა ცხოვრებისკენ გაგვირბოდა, განსაკუთრებით იქითკენ, სადაც სრული თავისუფლება გვეგულებოდა** (რა იყო ეს „სრული თავისუფლება“, ამას იშვიათად აცნობიერებდა ვინმე!)**. ჩვენთან ხომ ყველაფერი რეგლამენტირებული იყო, მათ შორის ჩაცმა-დახურვა და თმის ვარცხნილობაც კი. და საბჭოური პროპაგანდა რაც უფრო აქებდა საბჭოური ცხოვრების წესს და რაც უფრო ლანძღავდა კაპიტალისტურს** (კონკრეტულად ამერიკულს!)**, მით უფრო მომხიბლავი ხდებოდა იგი ჩვენთვის**.

ამერიკაში, ვისაც როგორ უნდა, ისე ცხოვრობს (კი, აბა!), როგორც მოეპრიანება, ისე იცმევს და იხურავს, თუ უნდა, სულაც ტიტლიკანა ივლისო, — ამბობდნენ და ჩვენც შევნატროდით.

**აი, ამერიკის გამოწვდილ ხელს ჩავებღაუჭეთ და თავი ბედნიერად ჩავთვალეთ, რადგან ღმერთმა ასეთი „მეგობარი“ მოგვივლინა.** ამერიკა აგვაღორძინებს და აგვაყვავებს, ჩვენ მისი კიდევ ერთ ჯორჯიის შტატად გადავიქცევითო, — სიხარულით ჭყლოპინებდა დიდი თუ პატარა, განსაკუთრებით კი თინეიჯერები.

თინეიჯერები რატომ არ გაიხარებდნენ, რა! უთხრეს, ამერიკული ცხოვრების წესი უნდა გადმოვიღოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ გოგო-ბიჭებმა ერთად (ანუ წყვილ-წყვილად!) „იგორაონ“ ბუჩქებშიო. ბიჭი ბიჭთან თუ „იგორავებს“, არც ეს იუხერხულოთო.

**ახალი კეთილისმყოფელის დახმარება ისეთი იყო, ნანგრევებში ულუკმაპუ-როდ ჩარჩენილს პირველ რიგში რომ სჭირდება: მოდიოდა და მოდიოდა ჰუმანი-ტარული ტვირთები — მშრალი თუ წვნიანი კონსერვები; ნახმარი, მაგრამ ჩვენს ახლებს რომ სჯობდა, ისეთი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ცოტა სული მოვითქვით. თოკსაც რომ ჩამოგვიგდებდნენ და ნანგრევებიდან ამოგვიყვანდნენ, ხომ გავკეთდებით და ეგ არისო, — ფიქრობდა ხალხი. თოკის ჩამოგდებას რატომღაც აგვიანებდნენ.**

ჩემი თაობის ადამიანებმა, ერთი პირობა, კი ვიფიქრეთ, — ნეტავი, ასე რამ შეაყვარა ჩვენი თავი ორი ოკეანის იქით მცხოვრებ ამ დალოცვილ კეთილისმყოფელსო. საკუთარი მეზობლები ვერ აუყვავებია და ჩვენს ასაყვავებლად რატომ ირჯება? — ეს კითხვა გვიღრღნიდა გულს.

**თანდათან მოეფინა ნათელი ყველაფერს: საერთო ინტერესები არ აღმოგვაჩნდა, არც შეხედულებანი და მრწამსი!**

**ჩვენი ინტერესები ეროვნულ-სახელმწიფოებრიობას უკავშირდება. ჩვენ გვსურს ქართული ენის, ქართული კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება მართლმადიდებლური რწმენის** (გნებავთ, იდეოლოგიის!) **საფუძველზე. ყოველივე ეს არა თუ არ ეწინააღმდეგება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, არამედ მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.**

**ჩვენს ახალ მზრუნველს სხვა ინტერესები ამოძრავებს: მის მიერ შემუშავებული ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება, საკუთარი ცხოვრების წესის დამკვიდრება ყველგან და ყველაფერში, მსოფლიოს გადაქცევა ინგლისურენოვან სამყაროდ, ყველა ხალხის აზროვნების ერთ ჩარჩოში** (ერთ თარგზე) **მოქცევა, განათლებისა და ეკონომიკის სრული მონოპოლია.**

ჩვენს ხალხს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ამერიკას თანამედროვე მსოფლიოში მესიანური ფუნქცია ეკისრებოდა: უნდა ეხსნა მსოფლიოს ხალხები ტირანიისა და ჩაგვრისგან, ყველგან დაემყარებინა დემოკრატია და სამართლიანობა. **ახლა ბავშვებსაც კი აღარ სჯერად იმისა, რომ ავღანეთში, ერაყში, ლიბიაში, ეგვიპტეში თუ სირიაში სამართლიანობის დასამყარებლად, დემოკრატიის შუქურების გასაბრწყინებლად იბრძვიან ამერიკელები და მისი ნატოელი ოპრიჩნიკები.**

შორს რად მივდივართ! პედერასტების აღლუმი რატომ ჩაშალეთ რუსთაველის გამზირზეო, ისე დაგვტუქსა ამერიკის ელჩმა, თითქოს მკაცრ ბიძას ხულიგნობაზე წაესწროს ძმისშვილისთვის.

**2012 წელს და უფრო ადრეც, წინასაარჩევნო პერიოდში ისეთი უსინდისობა, ისეთი უკანონობა, ისეთი აშკარა ძალადობა ხდებოდა საქართველოში, ისეთ სიგიჟეებს სჩადიოდა „ნაცბანდა“, რაც ჯანმრთელი გონებისთვის სრულიად წარმოუდგენელია და არც ანალოგი მოეძებნება აწმყოსა და წარსულში. ამ დროს ამერიკელი „დამრიგებლები“ თავიანთ ელჩიან-ექსპერტებიანად ენაგადაყლაპულე-ბივით იდგნენ და არც არაფერი ესმოდათ და ვერც ვერაფერს ხედავდნენ.**

მართლმადიდებლობაზე, ჩვენს ისტორიულ მრწამსზე, იელოველთა აგრესიულ შეტევას რომ გადაეღობნენ და ის სატანის ნაშიერები ეკლესიიდან რომ დაიფრინეს, ამერიკის დეპარტამენტმა იკივლა: ე, მანდ ადამიანის უფლებებს ნუ არღვევთ თორემო... მერე **დიდგორობის უდიდეს ეროვნულ დღესასწაულზე ხალხი რომ არ მიუშვეს, აქ „ნაცმოძრაობის“ პარტიული კრება ტარდებაო, ხმა რატომ არ ამოიღო „დემოკრატიის ფორპოსტმა“? ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის პრივატიზაციას** (პრიხვატიზაციას!) **რომ ახდენდა „ნაცელიტა“, ეს ნორმალურად მიაჩნდა და მიაჩნია ჰილარი კლინტონისა და ჯონ კერის მსოფლიო დიპლომატიის მონიტორინგის უწყებას?**

ასე თუ არის, რა უნდა გვქონდეს მათთან საერთო?!

ხედავს ამას ხალხი და თანდათან უცივდება გული ოკიანისგაღმელ „მესიაზე“, თანდათან უძლიერდება წარსულის ნოსტალგია. **ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას იმაზე ვჩიოდით, რატომ არის ორენოვანი წარწერები ორგანიზაცია-დაწესებულებებისა თუ მაღაზიების აბრებზეო** (სხვათა შორის, ყველგან ჯერ ქართული წარწერა იყო, შემდეგ რუსული!)**. ახლა მთელი რუსთაველი რომ გაიარო, ქართულ წარწერებს აქა-იქ თუ დაინახავ.** ქართულს ბევრად სჭარბობს ინგლისური. ზოგან ინგლისურთან ერთად ქართული წარწერებიც არის, მაგრამ რად გინდა? აი, მაგალითად, სასტუმრო „რადისონის“ (ყოფილი „ივერიის“!!!) კაფე-რესტორანს ქართული ასოებითაც აწერია მისი ინგლისური სახელწოდება „რადისონ ბლუ ივერია“. გაიგე ახლა, რას გვეუბნება ეს წარწერა! როგორც ჩანს, მართლა ბლუები ვგონივართ. ასე ფიქრობს რიგითი ქართველი.

**იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ენა ქართულია, დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ მოზარდებს: წარმატებული ადამიანი ვერ იქნები, თუ ინგლისური ენა არ გეცოდინება სრულყოფილადო.** რატომო, — ფიქრობს ქართველი კაცი, — მევენახე, მეცხვარე, მსახიობი, პოეტი, შოფერი, მემანქანე, მეჩაიე და ა. შ. რატომ ვერ იქნება წარმატებული ინგლისური ენის ცოდნის გარეშე? **უცხოური ენის ცოდნა დიდი სიკეთეა, მაგრამ აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონში თუ ცხოვრობენ, ინგლისური კი არა, აზერბაიჯანული ენის ცოდნაა წარმატების აუცილებელი პირობა, ხოლო სტავროპულის მხარის სოფელ პლასტუნკელ ქართველებს ინგლისური ენის ცოდნა ბიბლიოთეკაში თუ გამოადგებათ ხანდახან, ხოლო რუსული ენის ცოდნას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.**

იციან ეს ჭკუათმყოფელმა ქართველებმა და იმასაც ხვდებიან, ვისი კარნახით ჩაგვჩიჩინებენ ჩვენი „განმანათლებლები“ ზემოთ ნახსენებ „სიბრძნეს“.

და მაინც, გასულ წელს წინასაარჩევნო პერიოდმა, განსაკუთრებით კი ამ ბოლო ხანებში ავადსახსენებლმა კოაბიტაციურმა მოთხოვნებმა სრულიად აშკარა გახადა ამერიკის ინტერესები ჩვენში. **ხალხისთვის სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოში, დემოკრატიის კი არა, მისი ყურმოჭრილი და მისი ხელის შემყურე ყოფილი ხელისუფლების** („ნაცბანდის“!) **ბედი აწუხებს, მის რეაბილიტაციასა და ხელისუფლებაში „მეორედ მოსვლას“ გეგმავს. თუმცა ახლა უკვე იმდენად შავია მათი პროტეჟე „ნაცბანდის“ სახე, რომ მათი თეთრად აღიარება ვერანაირი დიპლომატიით ველარ შეიფუთება.** თუმცა რა ვიცი, „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“, ნათქვამია...

მე ვინ მიმიშვებს ამერიკის ელჩთან, თორემ ვეტყოდი: **თქვენ კიდევ გაქვთ შანსი, შეინარჩუნოთ ამერიკისადმი ჩვენში ჯერ კიდევ არსებული სიმპათია, რათა მომავალში კეთილი ურთიერთობის შანსი არ დაკარგოთ.** ქართველებს მცირეოდენი სიკეთე თუ გაუკეთე, მის თავმოყვარეობას ოდნავი ანგარიში თუ მაინც გაუწიე, გუშინდელ თავში ჩაზრაგუნებასაც დაგივიწყებს და იმასაც, ცრუ წაქეზებით მამლუქებად რომ მიგყავდა შენს ომში ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით. აი, ახლა სწორედ ის დროა, რომ დაგმოთ ჩვენი (უფრო კი, თქვენი!) „ნაცბანდის“ ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩადენილი ზღვარგადასული უკანონობა და კრიმინალების დაპატიმრებას პოლიტიკური დევნა აღარ უწოდოთ. **ჯერ კიდევ გაქვთ საამისო დრო და ძალა, ვიდრე არ ავსებულა ქართველთა მართლაც უძირო მოთმინების ფიალა და მთელ ერსა და ბერს ერთად არ უხუვლია: YANKEE, GO HOME!**

ეს ლოზუნგი-მოწოდება თქვენთვის არც ახალია და არც უცხო, მაგრამ, არა მგონია, სასურველი იყოს.

**ზურაბ ცუცქირიძე**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა მინისტრი სასწავლო პროცესის ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევა, კაცი, რომელიც სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიას, საატესტაციო კომისიისგან ვერ არჩევდა, როცა სასწავლო დაწესებულებებს ახალი კონტიგენტის მიღების გეგმას მისაღები გამოცდების ჩატარების შემდეგ უგზავნიდა, როცა კონკურსის შედეგად უკვე ჩარიცხულ სტუდენტებზე სასწავლებლის დირექტორს, სარეკომენდაციო წერილს უგზავნის და სასწავლო ჯგუფის გაუქმებას ურჩევს, ასეთ მინისტრს, სულ მცირე, თანამშრომლები მაინც ხომ უნდა ჰყავდეს პროფესიონალები, მაგრამ შენც არ მომიკვდე, რაც ალხანა ის ჩალხანა.**

# გვეყო «ნაციონალებზე» მორგებული კანონებით მუშაობა, განათლების კანონში ცვლილება აუცილებელია!

**სააკაშვილმა და მისმა დანიშნულმა განათლების მინისტრმა, სოროსელმა ლომაიამ, რომელმაც გამართული ქართულით წერაც კი არ იცის და „ბავშვის“ ნაცვლად წერს „ბაშვი“, დაანაგვიანა და დააბინძურა მოსაპყრობად ერთობ სათუთი, ხოლო სამართავად მეტად რთული და მგრძნობიარე განათლების სისტემა. იგი ძირითადად კმარელებისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ჭუპრიდან გამოჩეკილი 25 წლის „პროფესორი“ გოგო-ბიჭებით დააკომპლექტა და მთელი სისტემა მათზე მოარგო. ეს ის კმარელები არიან, რომელთა უმრავლესობამ წერა-კითხვა ასფალტსა და შენობის კედლებზე „კმარას“ წერით ისწავლეს. ხომ წარმოგიდგენიათ ასეთი „განათლებული“ ხალხი განათლების სისტემას რას უზამდა და ამ სფეროს რა დღეში ჩააგდებდა? ამიტომ ეს დარგი, დიდი ხანია, ამ ნაგვისგან გასაწმენდია და იქ მკაცრი და საღი რეფორმებია ჩასატარებელი.**





ლომაიამ, რეფორმის ნიღბით, იმისათვის, რომ სასწავლო დაწესებულებებიდან გაეყარა და თავიდან მოეშორებინა პრინციპული და კომპეტენტური პროფესორ-მასწავლებლები, მათ ადგილზე კი „ნაციონალი“ აქტივისტები დაესაქმებინა, ცრუდემოკრატია მოიშველია. სისტემის დემოკრატიზაციისა და სტუდენტ-ახალგაზრდობის უფლებების დაცვის საბაბით, იმ მოტივით რომ, თითქოს სასწავლო დაწესებულებებში პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ უმნიშვნელო დასჯის, თუნდაც მკაცრი ტონით შენიშვნის მიცემით, თურმე მათი უფლებები ირღვეოდა. ამიტომ **ლომაიამ „მყარად“ გადაწყვიტა ამ „დაჩაგრული“ და „უფლებადარღვეული“ სტუდენტი ახალგაზრდობის დაცვა. ამ საბაბით დაიწყო ე. წ. რეფორმების გატარება, რასაც მოჰყვა ასევე ე. წ. კონკურსები, რომელთა მიზანი სასწავლო-დაწესებულებებში სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების ხელშეწყობა კი არა, ამ სასწავლებლებიდან გამოცდილი, პრინციპული და პროფესიონალი ღირსეული კადრების საქმიდან ჩამოშორება იყო.** ამისათვის იყენებდნენ ე.წ. ლოტოტრონით არჩეულ და სკოლისთვის ყოვლად შეუფერებელი დირექტორების უმრავლესობას, ასევე, ვითომდა უფლებაშელახულ სკოლის ჩამორჩენილ და მოხულიგნო, უდისციპლინო მოსწავლეთა ნაწილს. ამათ უერთდებოდა ამ პრინციპულ მასწავლებლებზე განაწყენებული მშობელთა ერთი ნაწილიც, და ასე იწერებოდა საპროტესტო წერილები ამა თუ იმ მასწავლებელზე, რომელსაც შემდგომ მოჰყვებოდა მათი სკოლებიდან თუ უმაღლესი სასწავლებლებიდან განდევნა. მათ ადგილებზე კი უმაღლეს სასწავლებლებში უფრო ადვილად სამართავი 25 წლის „პროფესორი“ გოგო-ბიჭები მიიყვანეს, ხოლო სკოლებში, ძირითადად, — ილიას უნივერსიტეტდამთავრებული „ნაციონალი“ აქტივისტი მასწავლებლები, რომელთა დიდმა უმრავლესობამ ხეირიანად თავისი საგანიც არ იცის.

**ამიტომ იყო, რომ სამინისტროში პირველად ჩატარებულ სასერთიფიკაციო გამოცდებზე მათი უმრავლესობა ჩაიჭრა და სერთიფიკატიც კი ვერ მიიღეს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ცოდნის „ბაგაჟით“ იქნებოდნენ აღჭურვილი სკოლაში გამწესებული ეს ოროსანი მასწავლებლები, რომლებმაც შემდგომში თავიანთი დაღი დაასვეს და სოლიდური წვლილი შეიტანეს სწავლების დონის ასე მკვეთრად დაცემის მანკიერ საქმეში. ჩაჭრილთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მაშინდელი პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, გაბაშვილი, აღშფოთებული ამბობდა, როგორც ჩანს, 60%-იანი თამასა მაღალია და უნდა დავწიოთო. როგორც ბატონი გოკას გენიოსური მსჯელობიდან გამოდის, აუცილებელი არ არის, მასწავლებელმა საგანში პროგრამით გათვალისწინებული მასალის 60% იცოდეს, ოღონდ გამოცდა ჩააბაროს და ნაკლები ცოდნაც დასაშვებიაო. აი, როგორ მსჯელობდნენ განათლების მამები, მასწავლებელთა ცოდნის გაღრმავებასა და მათ სათანადო აღჭურვაზე.**

სამინისტროს მხრიდან სასწავლო დაწესებულებებში ასეთი პოლიტიკის გატარების შედეგად ძალზე დაეცა და დაკნინდა პროფესორ-მასწავლებელთა ავტორიტეტი. ამის პარალელურად კატასტროფულად დაეცა სწავლების დონე. ამასთან, აღზევდა და თავხედობაში გადაიზარდა, ჩამორჩენილ და მოხულიგნო მოსწავლეთა ქმედებები. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ეს უქნარა და ჩამორჩენილი მოხულიგნო მოსწავლეები წესიერ, ფრიადოსან და ბეჯით მოსწავლეებს დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ, მათ „დედიკოს ბიჭებს“ ეძახდნენ. ასევე აგდებულად ექცეოდნენ მასწავლებლებსაც და მათ „დაჩმორებულ თაობას“ უწოდებდნენ. ამის გამო სასწავლო დაწესებულებებში, ფაქტობრივად, ნულზე დაჱვიდა სასწავლო და საშემსრულებლო დისციპლინა. ხშირ შემთხვევაში მასწავლებლებს გაკვეთილის ჩატარების საშუალებასაც არ აძლევდნენ, რითაც უხეშად ირღვეოდა კლასში მოსწავლეთა უმრავლესობის, ანუ წესიერი მოსწავლეების კონსტიტუციური უფლება, ცოდნის მიღების უფლება, მაგრამ ამაზე არავინ წუხდა.

**როცა უკვე სწავლის დონის დაცემასთან ერთად, სკოლებში საშემსრულებლო დისციპლინაც საერთოდ მოიშალა, ამის გამოსასწორებლად მოიგონეს მანდატურის ინსტიტუტი. მანდატურები სკოლაში წესრიგის დაცვაზე მეტად სხვაგვარად მოაზროვნე მასწავლებლებზე ინფორმაციის შეგროვებით იყვნენ დაკავებულნი და, სადაც ჯერ არს, სასწრაფოდ იქ ატყობინებდნენ.** მათი პრივილეგია ხელფასშიც საგრძნობზე მეტი იყო, რადგან მასწავლებლებთან შედარებით ისინი თითქმის 3-ჯერ მეტ ხელფასს იღებდნენ. ეს ნონსესია და ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ, რომ „კარისკაცი“ მასწავლებელზე მეტ ხელფასს იღებდეს, თანაც ამდენჯერ.

**სამინისტროში დანერგილი მახინჯი ფორმებიდან ერთ-ერთი უმთავრესი სახელმძღვანელოების თემაა, რომელიც, სამწუხაროდ, კორუფციის წყაროდ იქცა და მასზე ძალიან ბევრი ჩინოვნიკი ითბობდა ხელს.** ეს ცალკე განხილვის თემაა, რადგან ამას გაზეთის ფორმატი ვერ დაიტევს.

**საკამათო არაა, რომ, თუ სასწავლო დაწესებულებას არ ჰყავს გამოცდილი და სასწავლო პროცესის მცოდნე პროფესიონალი დირექტორი, ტყუილია, იქ ვერავითარი მანდატური დისციპლინას ვერ დაამყარებს.** როგორც ახლა ამბობენ, „იმ ავადსახსენებელი კომუნისტების დროს“, როგორი რეკომენდატორიც არ უნდა ჰყოლოდა სკოლის დირექტორობის მოსურნეს, თუ მას პედაგოგიური მუშაობის 5 წლის სტაჟი მაინც არ ექნებოდა, მამაზეციერიც რომ ჩარეულიყო საქმეში, სკოლის დირექტორად მაინც არავინ დანიშნავდა. ამიტომ იყო, რომ სკოლებში დისციპლინაც მაღალი იყო და სწავლის დონეც. მარტო ის რად ღირდა, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორის ავტორიტეტი, არა მარტო ქალაქის, არამედ რესპუბლიკის მასშტაბითაც ისეთ დონეზე იყო ცნობილი, რომ მათ სკოლებს არა თავისი სახელწოდებით, არამედ დირექტორის სახელით მოიხსენიებდნენ. მაგალითად: როგორიც იყო კობახიძის სკოლა, ქავთარაძის სკოლა და ა.შ. დღეს კი ვის აღარ ნახავთ ლოტოტრონით არჩეულ სკოლის დირექტორებში — გასტრონომის მოლარე-გამყიდველიდან დაწყებული, ციხის ზედამხედველით თუ მანდატურით დამთავრებული.

**მთავრობის მიერ გატარებული ასეთი პოლიტიკის ბრალია, რომ სასწავლო დაწესებულებებში სწავლების დონე კატასტროფულად დაეცა, ავტორიტეტი შეელახა და საბოლოოდ მოისპო და განადგურდა განათლების სისტემა.**

დაახლოებით ასეთივე სქემით მოხდა სამინისტროშიც გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომლების სამსახურიდან გაყრა. მოიგონეს რაღაც კონკურსი, რომლის საფუძველზე სამინისტროს 169 თანამშრომლიდან 165 გამოცდილი და პროფესიონალი მუშაკი სამსახურიდან გაათავისუფლეს და მხოლოდ 4-5 კინკილა კაცი დატოვეს. სამაგიეროდ, გამოუცდელი და დილეტანტი ახალგაზრდა გოგო-ბიჭებით დააკომპლექტეს მთელი სამინისტროც. ასე დანიშნეს იურიდიული დეპარტამენტის უფროსად, ეს მწყერჩიტა თუ ჩიორა თაქთაქიშვილი, კადრების მთავარი სამმართველოს უფროსად — უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი, ვინმე მერი გაბაშვილი, ხოლო გენერალური ინსპექციის უფროსად, ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ჯერ ლომაიასთან ძალზე დაახლოებული პირი, კონტროლის პალატაში „რევიზორად“ ნამუშევარი შალვა ნოზაძე, რომელიც, როგორც ჩანს, „კარგი მუშაობისთვის“ მალევე გაუშვეს უფროსობიდან და მოადგილედ გადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე მისივე დისშვილი, სრულიად გამოუცდელი და სასწავლო პროცესის ელემენტარული საკითხების უცოდინარი და უვიცი დედაკაცი, ვინმე კაკუტია მოიყვანეს.

**როცა მინისტრი სასწავლო პროცესის ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევა, კაცი, რომელიც სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიას, საატესტაციო კომისიისგან ვერ არჩევდა, როცა სასწავლო დაწესებულებებს ახალი კონტიგენტის მიღების გეგმას მისაღები გამოცდების ჩატარების შემდეგ უგზავნიდა, როცა კონკურსის შედეგად უკვე ჩარიცხულ სტუდენტებზე სასწავლებლის დირექტორს, სარეკომენდაციო წერილს უგზავნის და სასწავლო ჯგუფის გაუქმებას ურჩევს, ასეთ მინისტრს, სულ მცირე, თანამშრომლები მაინც ხომ უნდა ჰყავდეს პროფესიონალები?! მაგრამ შენც არ მომიკვდე, რაც ალხანა, ის ჩალხანა.**

ამიტომაც დაინგრა და გაპარტახდა განათლების სისტემა. საქართველო, რომელიც 1000 სულ მოსახლეზე უმაღლესდამთავრებული სპეციალისტების მიხედვით, მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო, ახლა აფრიკულ ქვეყნებსაც კი ჩამორჩება. ლომაიას პერიოდს ეხება კონტროლის პალატის მიერ განათლების სამინისტროში აღმოჩენილი საკმაოდ გახმაურებული 13-მილიონიანი აფიორა, ამხელა თანხა, რომელიც მინისტრმა არამიზნობრივად გახარჯა. კაცი, რომელიც ტრაბახობდა სისტემა კორუფციისგან გავასუფთავეო, თვითონ აღმოჩნდა კორუფციის ჭაობში. საკითხი იმდენად რეზონანსული იყო, რომ იგი პარლამენტის მსჯელობის საგანი გახდა, საიდანაც გამტყუნებული ლომაია იქ მიტანილ რამდენიმე ტომარა საბუთებთან ერთად კუდამოძუებული გამოაბუნძულეს. მაგრამ რად გინდა, ლომაიას უძლეველობას ხომ საზღვარი არ ჰქონდა. **იმის მაგიერ, რომ მინისტრი დაესაჯათ, სამსახურიდან გაათავისუფლეს შემმოწმებლები. აი, ასეთი განუკითხაობა, დაუსჯელობის სინდრომი, ორმაგი სტანდარტები და შერჩევითი სამართალი იყო გამეფებული ქვეყანაში. „ნაციონალებისა“ და მათი მხარდამჭერებისთვის უკანონობა კანონიერი იყო, ხოლო ყველა დანარჩენისთვის კანონიერი — უკანონო.**

ამ ფონზე ძალზე სასაცილოდ გამოიყურება და ცინიზმის ყველა ზღვარს სცილდება პრეზიდენტის მიერ ახლახან გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ: „ქვეყანაში ჩემზე მეტი ქომაგი სამართლიანობას არავინ ჰყავსო“.

**ქვეყანაში ასეთი მახინჯი სტანდარტების დამკვიდრების შედეგია, რომ განათლების სამინისტროსაც მაფიოზური კლანები მართავდნენ ლომაიას მეთაურობით.** განათლების სამინისტროში იმდენი განუკითხაობა და უსამართლობა ხდებოდა, ყველა რომ ჩამოვთვალო, ამას გაზეთის ვერც ერთი ფორმატი ვერ დაიტევს, მაგრამ ერთ არსებით საკითხს აუცილებლად უნდა შევეხო და სააშკარაოზე გამოვიტანო. მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ სამინისტროში აღარ არსებობს და დიდი ხანია, გააუქმეს სტრუქტურა, რომელიც სასწავლო დაწესებულებებში აკონტროლებდა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი ნორმალურად წარმართვის საქმეს. ასეთი იყო განათლების სამინისტროსთან არსებული „სასწავლო დაწესებულებების სახელმწიფო ინსპექცია“, რომელიც უშუალოდ მინისტრს ან მის პირველ მოადგილეს ექვემდებარებოდა. მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, ეს სამსახური რესპუბლიკის ყველა სკოლაში, უმაღლეს თუ საშუალო სპეციალურ სასწავლებელში სასწავლო პროცესის დაგეგმვას და მის ნორმალურ წარმართვას უწევდა ზედამხედველობას. **ალბათ, სადავო არ არის, რომ სასწავლო დაწესებულებების ძირითადი და უმთავრესი მიზანია, სასწავლო პროცესი ნორმალურად დაიგეგმოს და მის წარმართვას ხელი არ შეეშალოს. ყველა დანარჩენი, დაწყებული სამინისტროდან, თვით სასწავლო დაწესებულებები და იქ დასაქმებული ათიათასობით ადამიანი შექმნილია მხოლოდ იმისთ-** ▶

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა რომ ხმაშეწყობით გაჰკივიხართ, განათლების შესახებ კანონის მიღებით საბჭოთა ეპოქაში ვბრუნდებითო, და ამას მკვეთრი კნინობითი ფორმით გამოხატავთ, საბჭოთა ეპოქის სწავლის დონე ბევრს ენატრება უკვე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა სკოლა ერთ-ერთი უძლიერესი იყო მსოფლიოში. სწორედ ეს ვერ გვაპატიეს ჩვენმა ოკეანისგაღმელმა მეგობრებმა და ლომაის მეშვეობით ბანანის რესპუბლიკის დონეზე დაიყვანეს ქვეყნის განათლება.**

**◀ვის, რომ სასწავლო პროცესი შეუფერხებლად განხორციელდეს და მოსწავლეებმა და სტუდენტებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება და არა ისე, როგორც ეს ლომაის დროს იყო.**

როცა ეს ე.წ. გენერალური ინსპექცია მათთვის არასასურველი დირექტორების წინააღმდეგ სადამსჯელო ორგანოდ იყო ჩამოყალიბებული და ძირითადად მას, თავიანთი სურვილისა და დაკვეთების შესასრულებლად იყენებდნენ. საქმისადმი მათი ასეთი არასერიოზული მიდგომა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ **შემმოწმებლები ამოწმებდნენ ყველაფერს: რამდენი „სკრეპი" იყიდე, რამდენი ქაღალდი მოიხმარე, რამდენი საშლელი გახარჯე, რამდენი ლურსმანი დააჭედე და ა. შ., მაგრამ არავის აზრად არ მოსდიოდა, შეემოწმებინა მთავარი, რისი გულისთვისაც ეს სასწავლო დაწესებულება იყო შექმნილი. Aარავის აინტერესებდა, როგორ ტარდებოდა გაკვეთილი; როგორი იყო ჩატარებული გაკვეთილის შინაარსი და ახლადახსნილი მასალის გადმოცემის ხარისხი; რა დონეზე ხდებოდა მასწავლებლის მიერ მოსწავლეებზე გადაცემული მასალის ათვისება; ახლად ახსნილი მასალა როგორ შესაბამისობაში იყო კალენდარული გეგმით (ანუ, როგორც ახლა ამბობენ, სილაბუსით) გათვალისწინებულ საკითხებთან.** ამას ვერც შეამოწმებდნენ, რადგან ამისთვის არც ცოდნა გააჩნდათ და არც კომპეტენცია ჰყოფნიდათ.

ეს კი არა, ამ რეფორმატორმა მინისტრებმა დირექტორსა და მის მოადგილეს მასწავლებლის გაკვეთილზე დასწრებაც კი აუკრძალეს, რითაც მათ მიერ ლოტოტრონით არჩეულ დირექტორებს სასათბურე პირობები შეუქმნეს და გაკვეთილზე დასწრების შემდეგ მათი უმეტესობა, ეს უვიცი და არაკომპენენტური დირექტორები, გაკვეთილის გარჩევის უხერხულობისგან იხსნეს, მასწავლებლები კი — პასუხისმგებლობისგან. ამით გათამამებულმა მასწავლებელთა ნაწილმა უკვე მასობრივად დაიწყეს გაკვეთილებზე მოუმზადებლად მოსვლა, რამაც მკვეთრად გააუარესა ჩატარებული გაკვეთილის ხარისხი და უარყოფითად იმოქმედა მოსწავლეთა ცოდნაზე. ეს ქვეყნის „განათლების მამები" პირდაპირ აცხადებდნენ: აუცილებელი არაა, დირექტორი პედაგოგი იყოს; მთავარია, ის კარგი მენეჯერი იყოსო. კი მაგრამ, კარგმა მენეჯერმა, რომელმაც სასწავლო პროცესის ანი-ბანი არ იცის და არც პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება გააჩნია, როგორ უნდა ჩაატაროს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, როგორ უნდა გააანალიზოს ჩატარებული გაკვეთილის ხარისხი, როგორ და რა კრიტერიუმებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პედაგოგის წახალისების, დასჯის ან სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, თუ ამ საკითხებში კომპეტენტური არ არის და ვერაფერში ერკვევა?

მაგრამ მათ ხომ მასწავლებლების კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი ფეხებზე ეკიდათ, **ისინი მათ ხომ მხოლოდ ერთი ნიშნით, პოლიტიკური ნიშნით, ათავისუფლებდნენ. ამ რეპრესიული მეთოდებით მიაღწიეს იმას, რომ სამსახურის დაკარგვისა და ულუკმაპუროდ დარჩენის შიშით, დააშანტაჟეს და მონად აქციეს გაჭირვებულ მასწავლებელთა თითქმის მთელი კორპუსი. არჩევნების დროს კი ისინი, ფაქტობრივად, თავიანთი ნება-სურვილის შემსრულებლებად გაიხადეს და დამნაშავეებად აქციეს.** დღეს რატომღაც ყველა წამებულის მანტიას ისხამს და თავს დაჩაგრულად გვაჩვენებს, ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ეს „ფრონტის ხაზიდან გადმოპარული დეზერტირები" კარგად უნდა შევიცნოთ, რათა შემდგომში მათი დივერსიული ქმედებები სანანებელი არ გაგვიხდეს.

**უმაღლესი სასწავლებლებიდანაც ასეთივე მეთოდით გაყარეს დამსახურებული და ღირსეული პროფესურის დიდი ნაწილი. მათ ადგილზე კი თუთბერიძეები, ლადარიები, რატიანები, ნოდიები, თუმანიშვილები და მათი მსგავსი ალმზრდელები მიიღეს. ასეთი კონტიგენტით დააკომპლექტეს უნივერსიტეტების, როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ასევე აკადემიური საბჭოების შემადგენლობაც.**

ყველას კარგად გვახსოვს, რაც მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჯერ იყო და უნივერსიტეტს, პროფესურისა და სამეცნიერო საბჭოს დაშინებითა და შანტაჟით, თავს მოახვიეს და რექტორად აარჩევინეს ვინმე რუსუდან ლორთქიფანიძე. ქალი, რომელსაც საამისოდ არც ავტორიტეტი და არც სხვა რაიმე დამსახურება გააჩნდა. მისი ერთადერთი დამსახურება, პრეზიდენტის დედის, გიული ალასანიას, დაქალობა იყო და მეტი არაფერი, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ ქალბატონს ქვეყნის ყველაზე საპატიო და პატივსაცემი თანამდებობა დაეკავებინა. ამასთან, აღსანიშნავია და უნდა ითქვას, რომ მისი შემცვლელისგან განსხვავებით, ამ ქალბატონს აღმოაჩნდა შინაგანი სინდისი, თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობა, რის გამოც რექტორის ამპლუაში თავი უხერხულად იგრძნო და დროზე გაეცალა იქაურობას, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მის შემცვლელ ხუბუაზე, რომელიც **მთელმა ქვეყანამ ნახა, თუ როგორ სამარცხვინოდ აირჩიეს უნივერსიტეტის რექტორად პოლიციის ძალის გამოყენებით; როგორ ჩაკეტეს აუდიტორიაში უნივერსიტეტის პროფესორთა ღირსეული ნაწილი, რომელსაც არა თუ არჩევნებში მონაწილეობის, ტუალეტით სარგებლობის უფლებაც კი არ მისცეს. ამხელა ომი გადაიტანეს და უზარმაზარი სახელმწიფო მანქანა ჩართეს საქმეში იმისთვის, რომ უნივერსიტეტის რექტორად ვინმე ხუბუა აერჩიათ.**

ლორთქიფანიძისგან განსხვავებით, ხუბუას თავმოყვარეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სამწუხაროდ, მას არც შინაგანი სინდისი აღმოაჩნდა და არც ღირსება, უნივერსიტეტიდან კაცურად რომ წასულიყო. ქვეყანამ ნახა, როგორ იყო ჩაბღაუჭებული სკამს, რომელიც საჯდომიდან ვერაფრით ააგლიჯეს და ხელიდანაც ვერაფრით გააგდებინეს. **რაც შეეხება ბიბლიოთეკიდან მის მიერ მოპარულ წიგნებს, დღესაც არავინ იცის უკან მოატანინეს თუ სკამთან ერთად** **ისიც „შეიხვილიფა" და ხახვივით შერჩა. აი, ასე ინიშნებოდნენ, ასეთი მლიქვნელური მეთოდებით ეფარისევლებოდნენ და უაზრო ხუშტურებს უსრულებდნენ მისი მონა ხელქვეითები თავის მამა-მარჩენალ სააკაშვილს.** არადა, სააკაშვილი თურმე სიმართლის ქომაგი ყოფილა. ამის შემდეგ გამოდის კიდევ ეს ნადირაშვილი და ახალ ხელისუფლებას ნეპოტიზმში ადანაშაულებს. კარგით რა, ნამუსი სულ დაკარგეთ?

**სამწუხაროდ, აი, ასეთ კაცთან, ხუბუასთან, ერთად, ბატონი ბიძინა ივანიშვილის კაბინეტის წევრები, ბატონი ხადური და ბატონი ნარმანია, „ადმინისტრაციულ-მეცნიერებათა ინსტიტუტს" აფუძნებენ. ამის შემდეგ მას უნივერსიტეტში პროფესორად აბრუნებენ და ამ ინსტიტუტის დირექტორად ნიშნავენ.** ბატონო მინისტრებო, ქვეყანამ იცის, რომ 2012 წლის აგვისტოში უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ვერ გაიმარჯვეთ. ოქტომბერში, „ქართული ოცნების" საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მინისტრები გახდით. კვიტაშვილმაც არ დააყოვნა და, თავის გადარჩენის მიზნით, ნოემბერში, ფაქტობრივად თქვენთვის, ახალი კონკურსი გამოაცხადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეთ და უნივერსიტეტის პროფესორებად აგირჩიეს. **თუ აგვისტოში ვერ აკმაყოფილებდით საკონკურსო მოთხოვნებს, 2 თვეში ისეთი რა მეცნიერული ნაშრომი შექმენით, რომ პროფესორობა დაიმსახურეთ?! სამწუხაროდ, სინამდვილეში პროფესორობა თქვენ კი არა, თქვენს სავარძელსა და თანამდებობას, მინისტრობას მიანიჭეს.** უხერხულია ყველაფერი ეს, ბატონო მინისტრებო, ხალხი ამას ხედავს და ბატონი ბიძინას მიმართ უკმაყოფილების გრძნობა უჩნდებათ. ჩემი გადასახედიდან, არც ერთი თავმოყვარე კაცი, აგვისტოს კონკურსში დამარცხების შემდეგ, იმავე უნივერსიტეტში ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებდა.

**განათლების სფეროში საღი რეფორმების გატარება არ უნდათ და მდინარის პირას მიმდგარი ჯორივით კოლექტიურად ეწინააღმდეგება ეს პოლიტიკურ სამარეში ჩასვენებული, დაღმავალ „ნაციონალთა" ერთიანი გუნდი.** გასაგებია, რომ მათზე მორგებული კანონის საფუძველზე განცხრომაში მყოფ „ნაციონალებს", ხელს არ აძლევთ მათთვის სასათბურე პირობების შეცვლა და ამ სფეროში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე დაფუძნებული საღი რეფორმების გატარება. როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდება, ისე ეს ხალხი არ გამოსწორდება. სანამ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა იქნება, მანამდე არ მოისვენებენ, მათ გაჩერებას საშველი არ დაადგება და მუდამ საბოტაჟის მცდელობას ექნება ადგილი.

**ახლა რომ ხმაშეწყობით გაჰკივიხართ, განათლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანით საბჭოთა ეპოქაში ვბრუნდებითო, და ამას მკვეთრი კნინობითი ფორმით გამოხატავთ, საბჭოთა ეპოქის სწავლის დონე ბევრს ენატრება უკვე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა სკოლა ერთ-ერთი უძლიერესი იყო მსოფლიოში. სწორედ ეს ვერ გვაპატიეს ჩვენმა ოკეანისგაღმელმა მეგობრებმა და ლომაის მეშვეობით ბანანის რესპუბლიკის დონეზე დაიყვანეს ქვეყნის განათლება.** როგორც ჩვენი „ნაციონალები" იტყვიან, იმ „ავადსახსენებელ" საბჭოთა კავშირის დროს, 1990 წელს საქართველოს 22 უმაღლეს სასწავლებელში მისაღები კონტიგენტის გეგმა იყო 7420 კაცი. სკოლას ამთავრებდა 70-80 ათასამდე მოსწავლე. ამას ემატებოდა წინა წლებში დამთავრებული და ე. წ. მუდმივი აბიტურიენტები, რომლებიც წლების განმავლობაში რეპეტიტორებთან ემზადებოდნენ და ასე იმაღლებდნენ ცოდნის დონეს. ლომაიას რეფორმირებულ განათლების სისტემაში ლოტოტრონით დანიშნული სკოლის დირექტორების მიერ გამოშვებული მოსწავლეებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ნახევარმა გამრავლების ტაბულაც კი არ იცის ზეპირად.Aაი, ასეთი დონის აბიტურიენტები აბარებენ დღეს და ხდებიან სტუდენტები. ეს რომ ასეა, ფაქტებით დასტურდება. თუ არ ვცდები, 2011 წელს სკოლა დაამთავრა 32 ათასმა მოსწავლემ, აქედან უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა და სტუდენტი გახდა 29 ათასი, ანუ თითქმის ყველა სკოლადამთავრებული. ასე რომ, საბჭოთა დროის და ახლანდელი სტუდენტების ხარისხობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო.

**ძვირფასო მკითხველო, ძალიან რთული და მძიმე პერიოდი უდგას საქართველოს. ქვეყნის შიდა და გარე მტრები ერთმანეთს ეჯიბრებიან, საქართველოს ვინ უფრო ღრმად ჩასცემს მახვილს გულში და სუნთქვას შეაწყვეტინებს. როგორც არასდროს, ისე გვჭირდება დღეს თავდადება და ერთად დგომა. ეს დედისგან დაწყევლილი „ნაციონალებიც" ხომ ქართველები არიან. ვიმედოვნებ, რომ, თუ ყველა არა, მათი საღი ნაწილი მაინც გონს მოეგება, დაგმობს თავის საქციელს, ქართველ ხალხს ბოდიშს მოუხდის და, თუ სასიკეთოდ არაფერს გააკეთებს, ხელს მაინც აღარ შეუშლის ქვეყნის აღმშენებლობას.**

**ომარ გოცაძე,**
**პროფესორი**



**გამოცდაზე გასული ფიზიკის მასწავლებელთა 96%, ქიმიის მასწავლებელთა 82%, მათემატიკის მასწავლებელთა 91% ჩაიჭრა. ეს არის ამ სისტემის სრული კრახი და იმ მახინჯი რეფორმების შედეგი, რომელსაც ამ სფეროში თავიანთი იდეოლოგიური მხარდამჭერების — ბოკერიას, გაბაშვილისა და თევზაძის ძალისხმევით, ლომაია, ნოდია შაშკინი და გვარამია ატარებდნენ**

P.S. **წერილი გამოსაქვეყნებლად რედაქციაში მიტანილი მქონდა, როცა ეროვნულმა საგამოცდო ცენტრმა მასწავლებელთა ახლადჩატარებული სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგები გამოაცხადა. ამ შედეგმა ზუსტად დაადასტურა ამ წერილის შინაარსი და ის არგუმენტები, რომლებიც ამ წერილშია მოტანილი. მაგრამ ასეთ კატასტროფულ შედეგს არავითარ შემთხვევაში არ ველოდი. ეს იმდენად შოკისმომგვრელია, რომ პირდაპირ გაოგნებული ვარ და აღშფოთებისგან სათქმელს თავს ველარ ვუყრი. გამოცდაზე გასული ფიზიკის მასწავლებელთა 96%, ქიმიის მასწავლებელთა 82%, მათემატიკის მასწავლებელთა 91% ჩაიჭრა. ეს არის ამ სისტემის სრული კრახი და იმ მახინჯი რეფორმების შედეგი, რომელსაც ამ სფეროში თავიანთი იდეოლოგიური მხარდამჭერების — ბოკერიას, გაბაშვილისა და თევზაძის ძალისხმევით, ლომაია, ნოდია შაშკინი და გვარამია ატარებდნენ. ამ კატასტროფის ერთ-ერთი იდეოლოგი თევზაძე კი ილიაუნის რექტორად მოგვევლინა და მასწავლებელთა მომზადების ძირითად კერას ჩაუდგა სათავეში, რომელშიც მთელი სიმძლავრით აამუშავა მასწავლებელთა მომზადების საფალსიფიკაციო მანქანა და კონვეიერული მეთოდით შეუდგა ფალსიფიცირებული მასწავლებლების დაშტამპვას.**

**ახლა ვინმემ არ იფიქროს, ეს კაცი რას გადაეკიდა ამ თევზაძეს, სხვაგან რა, უკეთესი მდგომარეობაა თუ რაო?! და მართალიც იქნება. ეს, უბრალოდ, მაგალითად მოვიყვანე იმიტომ, რომ გიგი თევზაძე სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმების მთავარი იდეოლოგი იყო, რომელმაც ეს იდეოლოგია ასევე წარმატებით გააგრძელა შემდეგ ილიაუნში, თორემ ასეთივე მდგომარეობაა ქვეყნის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში.**

**ქალბატონ მაია მიმინოშვილის კომენტარი — „არასწორი იქნება, ყველაფერი მასწავლებლებზე გადავტეხოთ, ამ მიმართებით სახელმწიფომ უფრო მეტი უნდა გააკეთოსო" — ჩემთვის გაუგებარია. კი, ბატონო, იყო მასწავლებელთა დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესანიშნავი ინსტიტუტი, რომელშიც რესპუბლიკის გამორჩეული მასწავლებელი გრანდები, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები კითხულობდნენ ლექციებს, თქვენ არ გააუქმეთ? პირადად თქვენ უშუალო მონაწილეობას იღებდით განათლების სისტემაში მიმდინარე ყოველდღიურ ცხოვრებაში და, სანამ შაშკინმა სამინისტროდან არ გამოგაგდოთ, მანამდე ხმა არ ამოგიღიათ. არც მაშინ ამოგიღიათ ხმა, როცა მინისტრი იყავით. მართალია, მინისტრი რამდენიმე თვე იყავით, მაგრამ განათლების სისტემაში არსებული ათასობით პრობლემიდან ერთის გადაჭრა ხომ მაინც შეგეძლოთ?Mმაგრამ ეს რომ გაგეკეთებინათ, მერე ლომაიას ხომ ველარ შეაქებდით? ახლა ყველას წამებულის მანტია გაქვთ მოსხმული და თქვენი წარსული აღარავის გახსოვთ.**

**თუ თქვენ გულისხმობთ, რომ ფიზიკის მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდის პროგრამაში ფიზიკის საკითხების ნაცვლად სხვა საკითხები იყო შეტანილი და ამიტომ ჩაიჭრა ამდენი მასწავლებელი, ეს დანაშაულია და ამაზე პასუხი უნდა აგოს მან, ვინც ეს ჩაიდინა. სხვანაირად ჩემთვის გაუგებარია იმ ჩაჭრილი მასწავლებლების დაცვა, რომლებმაც გამოცდა ვერ ჩააბარეს. ჩემი აზრით კი, საქმე აქამდე სასწავლო დაწესებულებების ავტონომიუროობის ძახილმა, სამინისტროს მხრიდან სასწავლო პროცესში ჩაურევლობისა და მისი თვითდინებაზე მიშვების პოლიტიკამ მიიყვანა. არ შეიძლება სასწავლო პროცესის თვითდინებაზე მიშვება, იგი ცოცხალი პროცესია და მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს. პირადად ჩემთვის სასწავლო პროცესის დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის თაობაზე მსჯელობა და მისი ცხოვრებაში დანერგვა მიუღებელია. რადგან სასწავლო პროცესი თავისი შინაარსით კონსერვატულია, სწორედ მისმა ლიბერალიზაციამ და გადემოკრატებამ მიგვიყვანა ამ სამარცხვინო შედეგამდე, რომელიც მომავალში არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა დავუშვათ.**

ვაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სუფრას სერალში უდგებოდნენ, როგორც უაღრესად სერიოზულ საქმეს. სულთნის სამზარეულოებისთვის მორეკავდნენ ყველაზე ჯიშიან ცხვარს — ყივირჯიკს, ქამაის და ქურჯაკს. უსუფთავესი თოვლის ჩამოსატანად, რომელიც აუცილებელი იყო შერბეთის (შარბათის) დასამზადებლად, ოლიმპოს მთაზე აგზავნიდნენ აღალს, იოგურტები მხოლოდ საუკეთესო მერძევეებისგან მოჰქონდათ, ყველი და ბრინზა დილის „მსუბუქი საუზმისთვის“ მხოლოდ სპეციალური ხარისხის უნდა ყოფილიყო, ამზადებდნენ ვერცხლის ჭურჭელში და ამარაგებდნენ მხოლოდ სულთნის სასახლეს.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-30 (204-217)

## რას და როგორ მიირთმევდნენ და სვამდნენ ჰარამხანაში

**კვება ჰარამხანაში სულაც არ იყო მეორეხარისხოვანი სიამოვნება, რაზეც მეტყველებს სამზარეულოებისა და მზარეულთა რაოდენობა, რომლებიც იქ მცხოვრებთ ემსახურებოდა.**

სამზარეულოში დასაქმებულთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მათთვის ცალკე მეჩეთი ააშენეს, ხოლო სულთნის სუფრის ნარჩენებით ყოველდღიურად უამრავი ღატაკი იკვებებოდა. **150 მზარეული დღე და ღამე დაუღალავად შრომობდა 20 სამზარეულოში, რომელთა აღჭურვილობა და სისუფთავე უცხოელთა გაოცებას იწვევდა.**

ცალკეული კერძებისა და სასმელების მოსამზადებლად ცალკე სამზარეულოები იყო გამოყოფილი: საკონდიტრო, საშერბეთო, სასალათე და სხვ. არსებობდა სანოვაგე დერეფანიც, სადაც მასიურ ქვის თაროებზე, რომელთაც მთელი კედელი ეკავა, გაწყობილი იყო კერძები. მომსახურე ქალებს ეს ნაირ-ნაირობა ჰარამხანის მკვიდრთათვის აქედან მიჰქონდათ. კერძებს პატარა მაგიდებზე აწყობდნენ, ჭამდნენ ხელით, უფრო ზუსტად, თითის წვერებით, მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ ასე შეიძლებოდა საკვების ნამდვილი გემოს გაგება. დანა-ჩანგლის გამოყენება დაიწყეს მხოლოდ ულამაზეს ემე დე რივერის გამოჩენის შემდეგ, ყოფა-ცხოვრებაში კი მისი ვაჟის მაჰმუდ II-ის გამეფების შემდეგ დაინერგა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჭამის პროცესი უსუფთაო და უხეში იყო. **ოდალისკები ხელით კი ჭამდნენ, მაგრამ მოხდენილად, ვირტუოზულად ხმარობდნენ მარჯვენა ხელის სამ თითს. ამ ხელოვნებას მათ საგანგებოდ და დიდხანს ასწავლიდნენ და შედეგი დახარჯულ შრომას ამართლებდა — მათ ცქერას არაფერი სჯობდა.**

მაგიდაზე ბრწყინავდა ვერცხლი და ძვირფასი ქვები, რომლებითაც მორთული იყო ჭურჭელი, **ყოველი ტრაპეზი იწყებოდა სიტყვებით: „იყოს ეს თქვენთვის შაქარი“ (შდრ. ქართულად — „შაქრად“!), რასაც მოსდევდა ზრდილობიანი პასუხი: „გმადლობთ, თქვენც იმავეს გისურვებთ“.** ტრაპეზის დამთავრების შემდეგ თითებს თასში ჩაიბანდნენ და იმშრალებდნენ ოქროსა და ვერცხლის ძაფებით მოქარგული პირსახოცებით.

**საუზმე საკმაოდ მსუბუქი იყო. შედგებოდა გამდნარი ნაღებისგან, თაფლისგან, ზეთისხილისგან, ბრინზასგან, ყველისგან, რუსული მაგარი ჩაისგან, რომელსაც სამოვარში ხარშავდნენ და რომლის გამოგონებას თურქები მიიწერენ** (ლაპარაკია ჩეფირ ჩაიზე). **ყავას თურქები დილით არ სვამდნენ. სადილი და ვახშამი ყოველთვის მსუყე და ხვავრიელი იყო: ცხვრის ხორცი, ხბოს ხორცი, ფლავი, ნაირ-ნაირი ღვეზელი, ბოსტნეული და დესერტი ბარაქიანად.**

**სამი ზღვა, რომელიც თურქეთს გარს ერტყმის, სულთნის სამზარეულოს გამოულევლად ამარაგებდა თევზეულით, რის გარეშეც ზღვისპირელ ქალებს ცხოვრება ვერ წარმოედგინათ.**

ბოსტნეულისგან მრავალ კერძს ამზადებდნენ, მაგრამ ბადრიჯანი მაინც სუფრის ყველაზე პოპულარული შემადგენელი იყო. ბადრიჯნისგან ორმოცამდე კერძს ამზადებდნენ, რომელთა რეცეპტებს სულთნის მზარეულები არავის უმხელდნენ. **ნაპოლეონ III-ს ცოლს, იმპერატრიცა ევგენიას, რომელიც სუეცის არხის გახსნაზე მიემგზავრებოდა და 1869 წელს სტამბოლს ეწვია, ძალიან მოეწონა ბადრიჯნის ხიზილალა, მაგრამ მისი მზარეული, რომელიც საგანგებოდ მიავლინეს რეცეპტის ჩამოსატანად, ხელცარიელი დაბრუნდა.** მაგრამ ევროპამ სულ მალე სათანადოდ დააფასა თურქული სამზარეულო. ინჟინრებმა, რომლებიც სუეცის არხის გაყვანაზე მუშაობდნენ (ეგვიპტე მაშინ თურქეთის კულინარულ არეალში შედიოდა), ისწავლეს ნამდვილი ფლავის დამზადება, **ალექსანდრე დიუმამ კი თურქეთის საზღვრიდან საფრანგეთში მწვადის საიდუმლო ჩამოიტანა და პარიზში პირველი სამწვადე გახსნა.**

**ვახშმით ჰარამხანაში კვების ციკლი არ მთავრდებოდა და საღამოს, ნავახშმევს ლამაზმანებს ხილსა და ღვეზელს მიართმევდნენ.** ჰარამხანის მონოტონურ ცხოვრებაში საკვების მიღება გართობაც იყო და მსახურნი, რომელთაც ტკბილეული მიჰქონდათ ქალებისთვის, მთელი დღე შეუჩერებლად მიმოდიოდნენ ჰარამხანის დერეფნებში.

**სუფრის ფავორიტი შერბეთი იყო, რომელსაც ამზადებდნენ ნაირ-ნაირი ხილის წვენებისგან, რომელთაც, უმატებდნენ ვარდის ექსტრაქტს, კასპიის ჟასმინს, ცაცხვის ყვავილს, ვარდის ფურცელს და ყავის მარცვლებს. ეს სასმისი თურქეთში მოდური უცებ არ გამხდარა — თურქები მას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეჩვეოდნენ.**

სირიელმა ვაჭრებმა XVI საუკუნეში ჩაიტანეს თურქეთში მარცვლები, რომელთაც ფერი და სურნელება და ცხელი სული შავი მონაქალებისა ჰქონდა. გაიხსნა ყახვე-ხანე, რომელსაც მიაშურეს სიახლეების მოყვარულმა სტამბოლელებმა, მაგრამ ყავის ეკზოტიკურმა გემომ რაღაცით დააეჭვა მოლები, რომლებმაც მიმართეს მუფტის, აეკრძალა იგი. შემდგომ უკვე გააუქმეს აკრძალვა და **XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ყავა არაჩვეულებრივად პოპულარული გახდა. ხოლო იმით, თუ როგორ და რანაირ ყავას ამზადებდა ქალი, ფასდებოდა მისი, როგორც დიასახლისის, უნარი და ღირსება.**



**ყველა, გამონაკლისის გარეშე, მდიდრულად იმოსებოდა და არც ერთი თავისი ქალი სულთანს ერთსა და იმავე კაბაში არასოდეს უნახავს**

**სწორედ თურქეთს უნდა უმადლოდეს ევროპა ღია ცის ქვეშ კაფეტერიების შემოღებას. ეს ტრადიცია პირველმა ვენამ აიტაცა, შემდეგ კი დახვეწა და სრულყოფილებამდე მიიყვანა პარიზმა.**

ფორმათა ზედმეტი სიფაფუკე, რაც ჰარამხანის ქალებს ახასიათებდათ, სილამაზეზე აღმოსავლური წარმოდგენიდან კი არ მოდიოდა, არამედ ცხიმით მდიდარი საკვებისა და ტკბილეულისადმი მიდრეკილების შედეგი იყო. ტკბილეულის მოყვარული ბევრი ქალი თავადაც ოსტატურად ამზადებდა საოცარ ტკბილეულს და მეგობრებს უწილადებდა. სულთნის საკონდიტროში დამზადებული ტკბილეულით აჯილდოებდნენ გამორჩეულ მოსამსახურე პერსონალს, ხოლო რამაზანის მეთხუთმეტე ღამეს ათასობით ადამიანს ურიგებდნენ უგემრიელეს ფახლავას.

**თურქეთში ამზადებდნენ ისეთ ტკბილეულს, რომელსაც სამკურნალო თვისებები ჰქონდა, ხარშავდნენ არომატულ საპონსაც.**

**სუფრას სერალში უდგებოდნენ, როგორც უაღრესად სერიოზულ საქმეს.** სულთნის სამზარეულოებისთვის მორეკავდნენ ყველაზე ჯიშიან ცხვარს — ყივირჯიკს, ქამაის და ქურჯაკს. უსუფთავესი თოვლის ჩამოსატანად, რომელიც აუცილებელი იყო შერბეთის (შარბათის) დასამზადებლად, ოლიმპოს მთაზე აგზავნიდნენ აღალს, იოგურტები მხოლოდ საუკეთესო მერძევეებისგან მოჰქონდათ, ყველი და ბრინზა დილის „მსუბუქი საუზმისთვის“ მხოლოდ სპეციალური ხარისხის უნდა ყოფილიყო, ამზადებდნენ ვერცხლის ჭურჭელში და ამარაგებდნენ მხოლოდ სულთნის სასახლეს.

## სულთნის ძვირფასეულობის ჩარჩო

სულთნის ყველა ქალი, გამონაკლისის გარეშე, ლამაზი იყო. გარეგან სილამაზეზე პასუხისმგებლობა საჭურისებს ჰქონდათ დაკისრებული, რომლებიც გოგონებს მონათა ბაზარზე შეარჩევდნენ. ისინი იმგვარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ამ მოვალეობას, რომელიც პირდაპირ პროპორციული იყო სასჯელის, რომელიც უეჭველად მოჰყვებოდა „უხარისხო შენაძენს“.

აღმოსავლური სილამაზის იდეალთან შეფარდებული სილამაზე ასეთად ჰქონდათ წარმოდგენილი: **„სიმაღლით ქალი უნდა იყოს როგორც ბამბუკი მცენარეთა შორის, სახე მრგვალი, როგორც სავსე მთვარე, თმები — ღამეზე უშავესი, ლოყები — თეთრი და ვარდისფერი, დამშვენებული ხალით, რომელიც არ განსხვავდება ამბრის წვეთისგან ალებასტრის ფილაზე, თვალები ძალიან შავი, დიდი, როგორც გარეული ირმისა, ქუთუთოები — ძილმორეული ან დამძიმებული, ტუჩები — პატარა, კბილები — მარგალიტისებრი, მკერდი — ბროწეულის ვაშლებივით, თეძოები — ფართე, თითები — თანდათან დავიწროებული, ფრჩხილებით, რომლებიც ხასხასა წითელი ფერითაა შეღებილი“.** ამგვარი რეგლამენტაცია არ ნიშნავდა, რომ ყველა ტყვე ქალი შავთვალება და შავგვრემანი იყო, ბევრი რამ დამოკიდებული იყო მმართველის გემოვნებასა და მიდრეკილებაზე, „სიხარულის სახლი“ მას არჩევანის განუსაზღვრელ შესაძლებლობას აძლევდა.



ქალთა სიმრავლე, რომლებითაც თურქეთის ჰარამხანებს ავსებდნენ, საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევადაროთ სილამაზის განსხვავებული ტიპები ეროვნების მიხედვითა და ტემპერამენტით. სახელოვანი თურქი პოეტი ენდერუნლუ ფაზილ-ბეკი, რომელიც ცნობილი იყო ეროტიული ნაწარმოებებით, ავტორია „ზენანამესი“ (ქალთა შესახებ), რომელშიც ასახულია ოსმანთა წარმოდგენები სხვადასხვა ეროვნების ქალთა შესახებ:

**„ინდოელები.** მათი სახე, თვალები და კანი მუქია, მათ უყვართ კედლების სურათებით დამშვენება... მაგრამ მათთან სექსი უსიამოვნოა, რადგან ისინი ფრიგიდულები არიან.

**ბერძნები.** რა სილამაზეა, რა მომხიბვლელობა! მართალი რომ ვთქვა, ასეთი ქალის დაყოლიება დიდი წარმატებაა. ისინი ცდილობენ, სანამ თავიანთ საყვარელს ქანცს არ გააცლიან, მაგრამ მათ ცუდი ხასიათი აქვთ.

**პოლონელები.** შესანიშნავნი არიან, აღგზნებული ლამაზმანები. თვალს ვერ მოაცილებთ მიმავალ პოლონელ ქალს, მის ჩამოსხმულ ტანს. პოლონელ ქალებს სასიამოვნო, ფაქიზი უკანალი აქვთ.

**ბრიტანელები.** როცა მათი ტუჩები გაიხსნება, ბულბულის სტვენას გაიგონებთ. ისინი ბუნებრივად კარგი აღნაგობისანი არიან და ლამაზი სახე აქვთ. ამ ქალებს თავდავიწყებამდე უყვართ მორთვა-მოკაზმვა და ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობა.

**ავსტრიელები.** ცელქი, ეშმაკები არიან, აბრეშუმის თმებითა და სახის ბროლის ტონით, ძალიან ჭირვეულები არიან.

**ესპანელები.** ესპანეთის გამორჩეული ლამაზმანები მაღლები და ტანწერწეტანი არიან. მათი ტანი ძალიან კარგი ჩანს.

**ფრანგები.** ელეგანტურობის განსახიერებაა. მოვერცხლისფრო კანის წყალობით, ამ ქვეყნის სილამაზის სასიამოვნო ტიპისანი არიან. ისინი ყოველთვის კოხტად იცვამენ.

**სპარსელები.** ნუშისთვალება დიდებული პიროვნებები არიან. მათი სხეული, მათი ხმა, მათი მოძრაობა მომხიბვლელი ნაზავია...“

დიდ სერალში ლამაზ- ▶

# ჰარამხანისთვის ჭეშმარიტად „ეპოქალური“ გახდა თურქეთში საფრანგეთის იმპერატრიცას — ევგენიას ვიზიტი. ევროპის ყველაზე გემოვნებიანი ქალბატონის კაბებმა, რომლებიც შეკერილი იყო სახელგანთქმული მოდელიერის ვორტის მიერ, უაღრესად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სულთნის ქალებზე და თურქ არისტოკრატ ქალბატონებზე, რომლებმაც მზეთუნახავი ევგენია მიბაძვის ნიმუშად გაიხადეს.

ჰაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ების ყველაზე ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი, ყველა მათგანი თავისებურად ლამაზი იყო, მაგრამ ყველას ერთი თვისება აერთიანებდა: **ყველა, გამონაკლისის გარეშე, მდიდრულად იმოსებოდა და არც ერთი თავისი ქალი სულთანს ერთსა და იმავე კაბაში არასოდეს უნახავს.**

ტანსაცმელი და ძვირფასეულობა მათი უპირველესი და უმთავრესი საზრუნავი იყო. ამით განისაზღვრებოდა, ჰარამხანის იერარქიულ სტრუქტურაში ვინ რომელ საფეხურზე იდგა, ფადიშახის ხაზინიდან ვინ რა გასამრჯელოს იღებდა. **XVI საუკუნეში დამტკიცებული ეტიკეტი ზუსტად ითვალისწინებდა, სულთნის კარზე მომსახურეთაგან ვის რა ფერის ტანსაცმლის ტარება შეეძლო, როგორი ფეხსაცმლის, ვის როგორი ვარცხნილობა უნდა ჰქონოდა თავის რანგთან შესაბამისი.**

**ყველაზე უფრო მდიდრულად იყვნენ ჩაცმულნი ვალიდე, სულთნის ცოლები და პრინცესები.**

გავლენა, რომელიც ფავორიტ ქალს ჰქონდა, იმდენად ბევრის მომცემი იყო, რომ ქალის გარეგნობას, მაშასადამე, მის ჩაცმულობას ჭეშმარიტად „სტრატეგიული მნიშვნელობა“ ენიჭებოდა, და, ამა თუ იმ ფავორიტის მხარდამჭერნი დიდ დროს ანდომებდნენ იმ პრობლემის გადაწყვეტას, თუ როგორ უნდა შეემოსათ თავიანთი მფარველი, როგორი ვარცხნილობა უნდა გაეკეთებინათ მისთვის, როგორი კოსმეტიკით უნდა გაელამაზებინათ, მბრძანებლის გული რომ დაეპყრო.

ამ მხრივ ჰარამხანის შესაძლებლობანი უსაზღვრო იყო. მბრძანებლებიც ხელგაშლილები იყვნენ. მაგალითად, სულთან ბაიაზიდ II-ის (1451-1481) ცოლებისთვის ყოველწლიურად 15 ათასი მონეტა (აკჩე), ევროპული ქსოვილები და სიასამურის ორი ბეწვი იყო გათვალისწინებული, ქალიშვილებისთვისაც 15-15 ათასი მონეტა, ევროპული ქსოვილები და სიასამურის ორი ბეწვი.

**სულთნის ქალები იმოსებოდნენ ხავერდით, ტაფტითა და ატლასით, რომლებიც ოქროს ძაფით იყო ნაქარგი, ასევე ბრწყინვალე ვერცხლისა და ოქროსფერი ფარჩით. უძვირფასესი ქსოვილები, რომლებითაც მათ ოთახებს ალამაზებდნენ, ხშირად მზადდებოდა სასახლის კარის საამქროებში, ხოლო ძვირფასეულობა, რომლებითაც ამკობდნენ მათ, სპეციალურად სულთნის სასახლისთვის იქმნებოდა. ჰარამხანისთვის ქსოვილებს ევროპაშიც ყიდულობდნენ, სავაჭრო არხებით ჩამოჰქონდათ ინდოეთიდანაც, ჩინეთიდანაც, შორეული და ახლო აღმოსავლეთიდანაც. მოდა იცვლებოდა, მაგრამ ფუფუნება, სინატიფე და დახვეწილობა რჩებოდა.**

კაბის თითოეული დეტალი გულდასმით იყო გათვლილი, რათა სრულად წარმოეჩინა იმ ქალის ღირსება, ვისთვისაც იკერებოდა. აუცილებელი დეკოლტე წარმოაჩენდა ულამაზეს მკერდს, რომლის სითეთრეს ან შავგვრემანობას ხაზს უსვამდა ძვირფასი ყელსაბამი, რომლის ქვებს გულდასმით არჩევდნენ და უსადაგებდნენ კანის ფერს. სხეულს არ აშიშვლებდნენ, მაგრამ მის მომხიბვლელობას ოსტატურად უსვამდნენ ხაზს.

**დიდი სერალის ყველა ქალის განმასხვავებელი ნიშანი მეფური შესახედაობა იყო, დახვეწილი მოძრაობები, გასაოცარი პლასტიურობა, და, რა თქმა უნდა, სექსუალობა, რადგან მბრძანებლის ვნების გამოწვევა, მათი სეფექალური მოვალეობა იყო.** აღმოსავლელი ქალბატონების მოხდენილობა უბადლო იყო, და თავად ისინი უფრო ხელოვნების ნიმუშებს ჰგავდნენ, ვიდრე მოკვდავ ქალებს.

**XVII საუკუნის ლიტერატორმა სინან ჩელებიმ** ნორჩი თურქი გოგონების მომხიბვლელობა ასე გადმოგვცა: **„ორი ლამაზმანი, ერთი ლიმონისფერ-ყვითელში, მეორე ვარდისფერში გამოწყობილები მწვანე მინდვრისკენ მომხიბლავი, მსუბუქი ნაბიჯებით მიემართებიან. მათი ზიიაშმაკები კრისტალურად სუფთაა, ლოყები ვარდისფერია, კისრები ვერცხლივითაა, თავები, ვითარცა გიაცინტი. მათ არ ეშინიათ გათვალვის, ჩედიკბით მოსილი კოხტა ფეხებით პატარ-პატარა ნაბიჯებს ისე დგამენ, როგორც მშვენიერი მტრედები“.**

მოდას ჰარამხანაში ყურადღებით მისდევდნენ. ასე, მაგალითად, XVI საუკუნეში ყველაზე უფრო პოპულარული იყო სხვადასხვა ფერის, მიხაკისმაგვარი ნაყშიანი კაბები, თურქ ქალებს მოსწონდათ ლურჯ ფონზე თეთრწინწკლებიანი ქსოვილებიც. იმ ეპოქის ჩვენამდე მოღწეული ტანსაცმლის ნიმუშების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სულთნის კარზე ყველა მოდური ტენდენცია დაცული იყო. მდიდრული ფეხსაცმელი მაღალ ქუსლებზე ოქროთი და ვერცხლით იყო გაწყობილი, ზოგჯერ ძვირფასი ქვებითაც იყო ინკრუსტირებული, წინდის ყელი მარგალიტით იყო გაწყობილი.**

მათ, ვისაც განსაკუთრებით მაღალი მდგომარეობა ეკავა, ნება ეძლეოდა, თავიანთი ტანსაცმელი ექსტრავაგანტული აქსესუარებით გაემრავალფეროვნებინათ, კერძოდ, ქალებს შეეძლოთ ქამარზე ხანჯლის დაკიდება. ამ დეტალს ხშირად ემატებოდა ისეთი კოლიე, ცხადია, ძვირფასი ქვებით გაწყობილი, რომელიც აბჯრის როლს ასრულებდა და არაერთხელ გადაურჩენია პატრონი მუხანათური დარტყმისგან.

საათები, ზოგჯერ კი დღეები, რომლებსაც ქალბატონები სარკის წინ ატარებდნენ, საოცარ შედეგს იძლეოდა. ინგლისელმა **თომას დილანმა**, რომლის ხელითაც დედოფალმა ელისაბედმა სულთან მეჰმედ III-ს (1595-1603) საჩუქრად ორღანი გამოუგზავნა, შეძლო თვალი მოეკრა ჰარამხანის ლამაზმანებისთვის, რომლებიც აღწერა თავის წიგნში **„ხანგრძლივი მგზავრობა და მოგზაურობა აღმოსავლეთში“: „მცირე ზომის ოქროს ნაქსოვი ქუდები თავზე თხემს უფარავს; შიშველ ყელზე — მარგალიტის მძივები მკერდზე დაფენილი; ყურებში — იაგუნდი; მხრებზე — ხიფთანი წამოსხმული, როგორც დიდებულებს სჩვევიათ, წითელი და ცისფერი და სხვა ფერის ატლასის შარვლები — თოვლივით თეთრი ატლასის. ისეთი**



## დიდი სერალის ყველა ქალის განმასხვავებელი ნიშანი მეფური შესახედაობა იყო, დახვეწილი მოძრაობები, გასაოცარი პლასტიურობა, და, რა თქმა უნდა, სექსუალობა

**გამჭვირვალე, თეძოების კანის ხილვა რომ შეიძლება; ფეხებზე ხავერდის ფეხსაცმელი — ოთხი თუ ხუთი დუიმის სიმაღლის“.**

ცნობისმოყვარე დილანი ისე გაიტაცა ამ არაჩვეულებრივმა სანახაობამ, ვერ მოსცილდა სარკმელს, სანამ მისი თანმხლები თურქი, რომელიც ძალიან რისკავდა, სულთნის ქალების ცქერის საშუალებას რომ აძლევდა, არ გააფთრდა ისე, რომ **„ავ სიტყვებს ამბობდა და წიხლს მითავაზებდა, რათა შემეწყვიტა მათი ყურება. მენანებოდა წასვლა, ისე მიხაროდა მათი ცქერა“.** სურათი მართლაც მომაჯადოებელი იყო და, არ არის გასაკვირი, რომ ნისლიანი ალბიონის მცხოვრებს ასეთი სილამაზის ხილვისგან თავბრუ დახვეოდა.

ასეთი, წარმოუდგენლად მდიდრული ტანსაცმლისა და თვალისმომჭრელი ძვირფასეულობის ხილვა ევროპელ ქალებზეც ძლიერ ზეგავლენას ახდენდა. ლედი **მერი მონტეპო**, რომელმაც ევროპელ ქალთაგან პირველმა მოინახულა ჰარამხანა, ასე აღწერდა 1717 წელს მის მკვიდრთა მორთვა-მოკაზმულობას: **„ქამარი, ყველაზე ფართო ლენტზე უფრო ფართო, ბრილიანტებით იყო სრულად მორთული. კისერზე სამი წყება მძივი, რომლებიც მუხლებამდე სწვდებოდა: ერთი — მსხვილი მარგალიტის მძივი, რომელსაც აბოლოებს ინდაურის კვერცხისხელა ზურმუხტი; მეორე შედგება ორი ასეული, ერთმანეთზე მჭიდროდ აკინძული ზურმუხტისგან... თითოეული ნახევარი კრონის ზომისაა“...** ნორჩი პრინცესების ტანსაცმელი არანაკლებ მიმზიდველი იყო: **„ორი პატარა ანგელოზი მდიდრული კაბებით, რომლებიც მთლიანად ბრილიანტით იყო გაწყობილი“.**

ღირსეულად იყო გამოწყობილი თვითონ ლედიც ჰარამხანის სტუმრობისას: **„ჩემი ტუალეტის მთავარი დეტალი იყო შარვალი, ძალიან ფართო და ფეხსაცმლამდე დაშვებული... ფერადი დამასტისგან იყო შეკერილი და ვერცხლისფერი ფარჩის ყვავილებით გაწყობილი. ჩემი ფეხსაცმელი თეთრი ტყავისგან იყო შეკერილი და ოქროთი მოვარაყებული. მეცვა აბრეშუმის ქალის ბლუზი, რომელიც კიდეებზე მოქარგული იყო. ამ ბლუზს ფართო სახელოები აქვს და კისერზე ბრილიანტის ღილით იკვრება, გამჭვირვალეა და კარგად ჩანს მკერდის ფორმა და ფერი. შემდეგ — ანტერი, სხვაგვარად, ტანზე შემოჭერილი ჟილეტი, თეთრი, ოქროთი, მარგალიტისა და ბრილიანტის ღილებით. ხაფთანი, იმავე მასალისა, რომლისგანაც ჩემი შარვალი იყო შეკერილი, პრაქტიკულად, იგივე ხალათია, მაგრამ ტანზეა მომდგარი და ქუსლებამდეა დაშვებული, ძალიან გრძელი სახელოებით. ამ ყველაფერზე შემოჭერილია ქამარი, რომლის სიგანე ოთხი თითის სისქისაა და ბრილიანტებით არის გაწყობილი...“**

## თავიანთი ექსტრავაგანტური და მდიდრული ტანსაცმლის დემონსტრირება თურქ ლამაზმანებს მხოლოდ ჰარამხანის კედლებში შეეძლოთ. ქუჩაში ისინი გამოდიოდნენ ერთფეროვანი, გრძელი, უფორმო მოსასხამებით — ფერაჯახებით



ჰარამხანის ლამაზმანები ცდილობდნენ მდიდრულად და ძვირფასეულობით მორთულიყვნენ თავიდან ფეხებამდე, სამკაულის არჩევანი იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთი ქალბატონი უპირატესობას ანიჭებდა გარკვეულ ძვირფას ქვებს და ბრძანებდა მათი კაბები და თავსაბურავები მოერთოთ მხოლოდ ზურმუხტით, ლალით ან საფირონით.

**ძვირფასეულობისადმი განსაკუთრებული ლტოლვა და სიყვარული შეიმჩნეოდა XVII საუკუნეში, და ვენეციასთან ომმაც ვერ შეაჩერა ყელსაბამების, სამაჯურების, გულსაბნევების ნაკადი, რომელიც ვაჭრებისგან სასახლეში მოედინებოდა. თავსაბურავებს რთავდნენ ოქროს ყვავილების თაიგულებით, რომელთა ცენტრში ძვირფასი ქვა იყო ჩადებული. ზოგჯერ ცოცხალი ყვავილების თაიგულებსაც კადრულობდნენ, მაგრამ უპირატესობა მაინც ოქროს ენიჭებოდა...**

ფერთა შეხამება ტანსაცმელში სხვადასხვა იყო. ერთ-ერთ ალბომში, რომელსაც XIX საუკუნეს მიაკუთვნებენ, თურქი ქალბატონი გამოსახულია კაბაში დიდი დეკოლტეთი, რაც წინა საუკუნის მოდიდან იყო გადმოყოლილი, გრძელი სახელოებით, ყვითელი ჩუქურთმებით დამშვენებულ პატარა აბრეშუმის კაბის ქვეშ მწვანე შარვალი მოუჩანს. საყელოს, სახელოების, იდაყვების დაბოლოება დაფარულია ყვითელი ბაფთით, მოკლემკლავებიანი მწვანე მოსასხამის სარჩული ვარდისფერია.

წელზე ვარდისფერი ქამარი აქვს შემორტყმული, მწვანე ნართითა და ძვირფასი ქვებით მორთული. კაბის ქვეშ ჩანს გამჭვირვალე ქალის ბლუზი.

ახურავს ვარდისფერი ქუდი — ხოტოსი, რომელიც ბრილიანტის ვარსკვლავითაა დამშვენებული, შუბლი მწვანე, კეფაზე გაფსკვნილი ბაღდადით აქვს დაფარული. შავი ფერი, იმის გამო, რომ ქრისტიანებში იყო გავრცელებული, მუსლიმთა შორის არაპოპულარული იყო.

**თავიანთი ექსტრავაგანტური და მდიდრული ტანსაცმლის დემონსტრირება თურქ ლამაზმანებს მხოლოდ ჰარამხანის კედლებში შეეძლოთ. ქუჩაში ისინი გამოდიოდნენ ერთფეროვანი, გრძელი, უფორმო მოსასხამებით — ფერაჯახებით. ევროპელების წარმოსახვაში ისინი მოჩვენებებად აღიქმებოდნენ. შინიდან გასული ქალი სახეს ჩადრით იფარავდა, იაშმაყით, რომელიც გოგოებს უნდა ჩაეცვათ პირველი მენსტრუაციის შემდეგ.** იაშმაყის ტარება ჰარამხანის ქალებმა დაიწყეს 1453 წლიდან — კონსტანტინოპოლის დაპყრობის დროიდან. მანამდე სახეს მალავდნენ ტილოს ნილბით, რომელსაც ჰქონდა ორი ჭრილი თვალებისთვის. XIX საუკუნემდე მკლავებს არ იფარავდნენ. მაგრამ ამ დროს სხეულს ამ ნაწილის გამოჩენა საძრახად ჩაითვალა და ამიტომ ხელთანმანების ტარება აუცილებელი გახდა.

გაგრძელება იქნება

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სირაქლემის ფიტული ვერტმფრენად აქციეს

**ჰოლანდიელმა მხატვარმა ბარტ იანსენმა სირაქლემა ვერტმფრენად აქცია.** მან სირაქლემისგან, რომელიც ფერმაში რამდენიმე თვის წინ მოკვდა, ფიტული გააკეთა, ზედ პროპელერები დაამაგრა და აღჭურვა სენსორებით, რომელთაც სპეციალური პულტით მართავს. სირაქლემა-ვერტმფრენს რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე შეუძლია ფრენა. ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც იანსენი მკვდარი ცხოველებისგან მფრინავ ობიექტებს აკეთებს. შარშან მან კატა-ვერტმფრენი გააკეთა. პატრონმა საყვარელი კატის, ორვილეს დაკარგვა ვერ აიტანა და ვერტმფრენად გადააქცია. იანსენი ამ გამოგონების გამო ამსტერდამის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალზეც მიიწვიეს.





## მამაკაცი, რომელიც დაბადებიდან საავადმყოფოში ცხოვრობს

**ბრაზილიელმა პაოლო ენრიკე მაჩადომ მთელი ცხოვრება საავადმყოფოში გაატარა. პოლიომიელიტის მწვავე ფორმის გამო დაბადებიდან პარალიზებული მამაკაცი, 45 წელია, ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული. ამის მიუხედავად, მან შეუძლებელი შეძლო — პაოლო მაჩადო ანიმატორია და სატელევიზიო ფილმებს ქმნის.**

„სავარძლით დავდიოდი დერეფნებს შორის, ვეცნობოდი და ვმეგობრობდი პაციენტებთან, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ — ასე აღმოვაჩინე, ჩემი, განსხვავებული სამყარო. რადგან არ შემეძლო მეთამაშა ფეხბურთი ან სხვა თამაშები, როგორც ჩემს თანატოლებს, მე წარმოსახვას ვიშველიებდი", — იხსენებს პაოლო. სწორედ წარმოსახვამ შეაძლებინა მაჩადოს, 3D ანიმაციაში წარმატებული კარიერა გაეკეთებინა.

ამგვარი დაავადებით ადამიანი იშვიათად აღწევს ზრდასრულობის ასაკს. მაჩადო — ეს იშვიათი შემთხვევაა. მისი ათამდე მეგობრიდან, რომლებიც მასთან ერთად მკურნალობდნენ, მხოლოდ ერთი — ელიანა გადარჩა. დანარჩენები 12 წლამდე ასაკში თითქმის ერთმანეთის მიყოლებით დაიღუპნენ.

პაოლო ამბობს, რომ სულ 50-ჯერ ყოფილა საავადმყოფოს გარეთ, თუმცა გარეთ გატარებული ყოველი დღე განსაკუთრებულად ახსოვს. 32 წლის ასაკში პაოლომ და ელიანამ პირველად ნახეს ზღვა. ექთნებმა მათი სავარძლები წყალში ჩადგეს, ნაპირთან ახლოს. ასე შედგა მეგობრების პირველი და დაუვიწყარი შეხვედრა ზღვასთან.

ახლა პაოლო მაჩადო მუშაობს ანიმაციურ სერიალზე, რომელშიც თავისი და ელიანას, ასევე მათ მსგავსად დაავადებული ადამიანების, შესახებ მოყვება. „ეს იმისთვის, რომ დიდებმა, ბავშვებმა დაინახონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არაფერს ზღუდავს! პირიქით, ეს ეხმარება ადამიანს, იყოს ძლიერი და მომთმენი", — ამბობს პაოლო.



## თვითმკვლელი საცვლებმა იხსნა

**ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის მკვიდრმა ლინგ სუმ მეუღლე, რომელიც თვითმკვლელობის მიზნით ფანჯრიდან გადახტა, საცვლებით დაიჭირა და სიკვდილს გადაარჩინა.**

45 წლის ვან ლიმ ცოტა ხნის წინ სამსახური დაკარგა. უმუშევარი ქმრის სტატუსმა მასზე იმდენად იმოქმედა, რომ ღრმა დეპრესია განუვითარდა. ლის ცოლს მეუღლის ტანჯვა შეუმჩნეველი არ დარჩენია და მის ქცევას გამუდმებით აკვირდებოდა. სწორედ ამის წყალობით გადარჩა ჩინელი.

ერთ დღეს ვან ლი ფანჯრებიან აივანზე გავიდა და გადახტომა სცადა, მაგრამ შორიახლოს მდგომმა მეუღლემ მისი დაჭერა მოასწრო.

**„ყვირილი შემოგვესმა, როდესაც ფანჯრიდან გავიხედეთ დავინახეთ, რომ ფანჯრიდან მამაკაცი იყო გადმოკიდებული და ის ქალს ფეხით ეჭირა. ბინის ნომერი შევიტყვეთ, რის შემდეგაც წყვილის დახმარება ვცადეთ, მაგრამ სახლის კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა",** — იხსენებს ერთ-ერთი თვითმხილველი. კარის გაღება ვერც მეზობლებმა შეძლეს და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები გამოიძახეს. მაშველების მოსვლამდე ლიგ სუმ ქმრის შეკავება შეძლო.

სახანძროს წამომადგენლები და პოლიცია შემთხვევის ადგილზე 20 წუთში მივიდნენ. თვითმკვლელის გადარჩენის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.



## მოდის ყველაზე დიდი შეცდომა

**სანდლებისა და წინდების შეხამება ყველა დროის ყველაზე დიდ მოდურ შეცდომად აღიარეს. ამას ბრიტანულ მაღაზიათა ქსელის — Debenhams-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვა მოწმობს.**

Debenhams-ის წარმომადგენლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ეს „ანსამბლი" — წინდა და სანდლები, სულ ცოტა ხნის წინ ყველაზე პოპულარულმა მოდურმა ბრენდებმა Christian Dior-მა და Chanel-მა თავიანთ ახალ კოლექციებში ჩართეს, მომხმარებლებს ეს შეხამება მაინც არ მოსწონთ.

**„წინდა და სანდლები ლამაზად გამოიყურება მოდის ჩვენებებზე, თუმცა არა ყოველდღიურ ცხოვრებაში",** — აცხადებს Debenhams-ის წარმომადგენელი.

მეორე ადგილი ყველა დროის ყველაზე უგემოვნო სტილის სიაში მამაკაცის პლატფორმიანმა ფეხსაცმელმა დაიკავა, ხოლო მესამე — ზედმეტად დაბალწელიანმა და „ჩაჩაჩულმა" შარვლებმა.

მოდური „გაუგებრობების" სრული რეიტინგის გაგრძელება კი ასე გამოიყურება: ველიურის სპორტული სამოსი, ქალის გრძელუბიანი შარვალი (harem pants), მოკლე ბლუზები და მაისურები, სპორტული, წელზე დასამაგრებელი ჩანთები, 1980-იანი წლების სპორტული სამოსი, ე.წ. „ბეისბოლკები" და მოცულობითი თმის სამაგრები.



## მილიონერთა ქალაქი

**ლონდონის კვლევითმა კომპანია Wealth Insight-მა იმ ქალაქთა რეიტინგი შეადგინა, სადაც ყველაზე მეტი მილიონერი ცხოვრობს. მილიონერთა სიაში შევიდა ყველა ის ადამიანი, რომელსაც პირად ანგარიშზე 1 მილიონ აშშ დოლარზე მეტი თანხა აქვს. ამ თანხაში არ იგულისხმება უძრავი ქონების ღირებულება.**

კვლევის მიხედვით, ყველაზე მეტი მილიონერი ტოკიოში ცხოვრობს. ამ ქალაქში დარეგისტრირებულია 461 000 ადამიანი, ვისი საბანკო ანაგრიშიც 6 ნულით დაბოლოებულ უმცირეს რიცხვს აღემატება. მეორე ადგილი, 389 000 მილიონერით, ნიუ იორკმა დაიკავა. საპატიო მესამე ადგილზე ლონდონი გავიდა, რომელშიც 281 000 მილიონერი ცხოვრობს. პარიზში 219 000 მილიონერია, ფრანკფურტში — 2 170 000.

სიაში ასევე მოხვდნენ პეკინი, ოსაკა, შანხაი და სინგაპური. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2020 წელს ყველაზე მეტი მილიონერი ჩინეთში იქნება. ჩინეთს კი იაპონია მოსდევს.





## ანტისოციალური მაგიდები სტუდენტებისთვის

**იაპონელმა სტუდენტებმა ტოკიოს უნივერსიტეტის კაფეში ანტისოციალური მაგიდების დამონტაჟება მოითხოვეს. მაგიდებს ერთმანეთისგან 50 სმ-ის სიმაღლის დაფა ჰყოფს.**

უამრავ ქვეყანაში კომპანიებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში სასადილო ის ადგილია, სადაც ადამიანები საუბრით იქცევენ თავს, მაგრამ იაპონელი ახალგაზრდები ამას ყველა შესაძლო ხერხით გაურბიან.

სტუდენტები იმდენად არიან სწავლით დატვირთულნი, რომ არ სურთ, დრო ჭორაობაში დახარჯონ. მართალია, კაფეში არის მაგიდები გამყოფი დაფების გარეშეც, მაგრამ ახალგაზრდების უმეტესობა მაინც bocchi seki-სთან სადილს ანიჭებს უპირატესობას. bocchi seki ქართულად „მარტოსულ ადგილს" ნიშნავს. გაუმჭვირვალე ბარიერი მეზობელ მაგიდასთან მჯდომ ადამიანთან ურთიერთობის საშუალებას გამორიცხავს.

**„ჩვეულებრივ მაგიდასთან როდესაც ზიხარ, მარტოსული ჩანხარ. ამასთან, ნებისმიერ დროს შეიძლება ვინმე მოგიჯდეს და უარის თქმა უხერხულია. როდესაც მეჩქარება და უაზრო საუბარზე დროის დახარჯვა არ მსურს, bocchi seki-სთან ვჯდები და მივირთმევ",** — აცხადებს ერთ-ერთი სტუდენტი.

იდეა იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ, ტოკიოს უნივერსიტეტის მსგავსად, ანტისოციალური მაგიდები კობეს უნივერსიტეტშიც დაამონტაჟეს.



## სნაიპერი ბებო

**78 წლის ინდოელი ქალი ჩანდრო ტომარი მსოფლიოში ყველაზე მხცოვანი მსროლელია.** მიუხედავად ასაკისა, ის შესანიშნავად ხედავს და მიზანს არასდროს აცილებს. ადგილობრივებიცა და მისი შვილიშვილებიც ჩანდროს სნაიპერ ბებოს ეძახიან. მას 6 შვილი და 15 შვილიშვილი ჰყავს. ინდოეთის მასშტაბით, 25-ჯერ გაიმარჯვა მიზანში სროლის ეროვნულ ჩემპიონატში. როდესაც პირველად კლუბში მივიდა, გარშემო მხოლოდ კაცები იყვნენ. ახალგაზრდა გოგონამ ძლიერ სქესს პირველივე დღეს დაუმტკიცა, რომ იარაღი მხოლოდ კაცების საქმე არაა. „როდესაც რევოლვერიდან პირველად გავისროლე, ძალიან შემეშინდა. თუ მიზანს ფოკუსში მოაქცევ და არ იჩქარებ, ყველაფერი გამოგივა“, — ამბობს ის.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქალწულობის გამყიდველი მოატყუეს

**21 წლის კატარინა მიგლიორინი, რომელიც აუქციონზე ქალწულობის „გაყიდვას“ აპირებდა, რეალითიშოუს მესვეურებს ექსპლუატაციაში ადანაშაულებს.**

ბრაზილიელი ლამაზმანი დათანხმდა შემოთავაზებას, მონაწილეობა მიეღო რეალურ შოუში, რომლის ბოლო სერიაში უბიწოებას დაკარგავდა მასთან, ვინც ყველაზე მეტ ფულს გადაიხდიდა. გოგონას ქალწულობაში რეკორდული თანხის — 780 ათასი დოლარის გადახდაზე თანხმობა 53 წლის იაპონელმა მამაკაცმა განაცხადა. ახლა კი კატარინა აცხადებს, რომ რეალითიშოუს პროდიუსერმა ის მოატყუა. მიგლიორინის რეალითიშოუს მოგებიდან 20% უნდა მიეღო, ასევე, მთლიანი თანხა, რასაც იაპონელი იხდიდა, მაგრამ შოუს ვარსკვლავი უფულოდ დატოვეს.

„კლიენტს ერთ-ერთ რესტორანში უნდა შევხვედროდი, მაგრამ, როდესაც დათქმულ ადგილას მივედი, იქ არავინ დამხვდა ისეთი, როგორიც შოუს ხელმძღვანელმა ჯასტინ სისლიმ ამიწერა. ვფიქრობ, ეს ადამიანი არც არასდროს არსებობდა და მე მხოლოდ შოუსთვის გამომიყენეს“, — აცხადებს კატარინა.

ის ირწმუნება, რომ ჯერ ისევ ქალწულია, თუმცა მისი უბიწო რეპუტაცია სულაც არ უშლის ხელს, მონაწილეობა მიიღოს ძალიან თამამ ფოტოსესიებში. ცოტა ხნის წინ კატარინამ ბრაზილიური „ფლეიბოისთვის“ ეროტიკული ფოტოსესია მოაწყო.



# სპილო მარტოობისგან გაგიჟდა

**კიევის ზოოპარკის ბინადარ სპილოს ფსიქიკური აშლილობა დაუდგინეს. სპილო სახელად ჰორასი ჯერ ერთ ფეხს ეყრდნობა, შემდეგ — მეორეს და სულ ერთ წერტილსაა მიშტერებული. დაავადების მიზეზი მარტოსულობაა.**

სპილო, რომელიც ზოოპარკში გასულ წელს მოიყვანეს, ყურადღების უკმარისობით იტანჯება და მისი დახმარება მხოლოდ მდედრობითი სქესის სპილოებს შეუძლიათ.

„მას მეგობარი სჭირდება. სამწუხაროდ, რაიმე თუ არ შეიცვლება, შესაძლოა, სპილო მთელი ცხოვრება ასე დარჩეს, ერთ წერტილს უყუროს“, — განაცხადა ზოოპარკის დირექტორმა.

ზოოპარკის თანამშრომლების თქმით, სპილო საათობით არ იცვლის პოზას და ზოგჯერ ვოლიერის გისოსებს თავით ეჯახება.

„რამდენიმე წლის წინ ჩვენს ზოოპარკში ასე იქცეოდა დათვიც, რომელსაც საბოლოო ჯამში თავის ქალა დაუზიანდა და მოკვდა“, — აცხადებენ ზოოპარკის თანამშრომლები.



# კულინარებმა ხელოვნური ხორცი დაამზადეს

**ლონდონში სინთეტიკური ხორცისგან დამზადებული ბურგერი დააგემოვნეს. ბურგერის ხორცი ძროხის ღეროვანი უჯრედებისგან შეიქმნა. ხელოვნურ ფარშს გემოს გასაუმჯობესებლად მარილი, კვერცხის ფხვნილი, პურის ორცხობილა, ზაფრანა და ჭარხლის წვენი დაუმატეს.**

უჩვეულო 140-გრამიანი საჭმელი კულინარიის ორმა ექსპერტმა წარმოადგინა. დეგუსტატორები კულინარული წიგნების ავტორი ამერიკელი ჯოშ შონვალდი და ავსტრიელი გასტრონომიის მკვლევარი ჰანი რუტცლერი იყვნენ. ბურგერის გემოს აღწერისას, რუტცლერმა აღიარა, რომ უფრო მეტად ნაზ და წვნიან კონსისტენციას ელოდა.

მისი თქმით, ხორცს მშრალს ცხიმის ნაკლებობა ხდის. ზოგადად კი მათ ბურგერის გემო მოეწონათ.

სინთეტიკური ხორცის შექმნაზე 30 000-ზე მეტი ევრო დაიხარჯა. კულინარიული გამოგონების ერთ-ერთი სპონსორი Google-ის თანადამფუძნებელი სერგეი ბრინია. ბრინის თქმით, იგი ყოველთვის მზადაა, მხარი დაუჭიროს ტექნოლოგიებს, რომლებიც ადამიანებს სამყაროს ახლებურად დანახვის საშუალებას აძლევს.

ბურგერის შემქმნელი ჰოლანდიელი მეცნიერი, მასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორი მარკ პოსტია. მისი თქმით, ხელოვნური ხორცი 10-20 წელიწადში ხორცის პროდუქტებს ჩაანაცვლებს. მეცნიერმა განაცხადა, რომ ხელოვნური ხორცი ადამიანებს სასურსათო კრიზისის დაძლევაში დაეხმარება.



# რიგი აუზში ფეხის ჩასაყოფად



ჩინეთის საცურაო აუზები ყოველთვის გადაჭედილია და შესაბამისად, ჭუჭყიანიც. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა ღია საცურაო აუზებშია.

შაბათ-კვირას ხალხი სიცხისგან თავის დასაღწევად საცურაო აუზებს სტუმრობს. თუმცა რთულია, ამ დაწესებულებებს საცურაო აუზი უწოდო — ათასობით ადამიანი ერთდროულად ჩადის წყალში, ათასობით კი რიგში დგას, რათა დღის რომელიმე მონაკვეთში ცალი ფეხი მაინც ჩადგას წყალში.

წყალში თავისუფალი სივრცე თითქმის აღარ რჩება. წყალში ჩასული ადამიანი მხოლოდ ერთ ადგილზე ჩერდება, ვინაიდან ცურვა შეუძლებელია. ხალხით სავსე აუზში „მოცურავეებზე“ უკეთ ფოტოგრაფები ერთობიან.

ასეთ პირობებში წყალი, ცხადია, ადვილად ბინძურდება. 2008 წელს 1 ადამიანი დაიღუპა და 3 158 მოიწამლა, როდესაც აუზის წყალი შემთხვევით გადაეყლაპათ.



# ყველაზე ცეცხლოვანი ქალები

**მსოფლიოში ყველაზე ცეცხლოვან ქალებად კვლავ ბრაზილიელები დაასახელეს. ბოლო რამდენიმე წელია, რეიტინგის ლიდერი ბრაზილიაა.**

ბრაზილიელების გარუჯული ტანი და გრძელი შავი თმა გულგრილს ვერავის ტოვებს. ოფიციალური სტატისტიკით, ქვეყნის მასშტაბით ყოველი მესამე გოგონა სამოდელო ბიზნესშია ჩართული ან ადგილობრივ სამბას სკოლაში ცეკვავს. ტელევიზიებში ახალი ტელესერიალის გადაღების კასტინგი რამდენიმე თვე გრძელდება, რადგანაც რეჟისორებს ნამდვილი თავსატეხი აქვთ — რიგში ყოველთვის უნაკლო ტანისა და ლამაზი სახის ნაკვთების მქონე რიგითი ბრაზილიელი გოგონები დგანან, რომელთა შორის არჩევანის გაკეთება ყველას უჭირს.

წელს გამოკითხვაში, რომელშიც სუსტმა სქესმა მიიღო მონაწილეობა, ყველაზე მიმზიდველ კაცებად ბრიტანელებთან და იტალიელებთან ერთად, ბრაზილიელი კაცებიც დაასახელეს.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე კომფორტული კინოთეატრი

**წარმოიდგინეთ კინოთეატრი დიდი რბილი სავარძლებით, რომელზეც თავისუფლად შეგიძლიათ წამოწოლა, რბილი კიბით და უახლესი სისტემით. ასეთი რამ უკვე არსებობს მალაიზიაში.** წელს მალაიზიაში კინოთეატრების ქსელმა TGV Cinemas-მა მსოფლიოში ყველაზე კომფორტული კინოთეატრი — Beanieplex-ი გახსნა. აქ, სტანდარტული კინოდარბაზისგან განსხვავებით, დიდი კომფორტული „ტომარა სავარძლებია" განთავსებული. როგორც TGV-ის საიტზე წერია, უახლესი კინოთეატრი Beanieplex უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს მაყურებლებში.





## ჩინეთში მოზრდილებსაც ჩვილებივით გამოკვებავენ

**ჩინეთში მეძუძურ ქალებს ფულის სანაცვლოდ ზრდასრული ადამიანების გამოკვებას სთავაზობენ. კადრების სააგენტოებმა უკვე დაიწყეს განცხადებების გამოქვეყნება იმ ახალგაზრდა ქალების დასაქმების თაობაზე, რომლებსაც ბავშვები დაეღუპათ და ახლა არ იციან, რძეს რა უყონ.**

აღსანიშნავია, რომ ასეთი ქალების კლიენტები შეძლებული, მდიდარი ადამიანები იქნებიან, რომლებიც მზად არიან, ერთ ვიზიტში 2000-3000 აშშ დოლარი გადაიხადონ. სამხრეთ ჩინეთის რამდენიმე ქალაქის მდიდარი მცხოვრებლები ბავშვობას მას შემდეგ „უბრუნდებიან", რაც ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა სტატია იმის შესახებ, რომ დედის რძე საუკეთესო წამალია სტრესის წინააღმდეგ და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

„ჩვენი კლიენტების ნაწილი მეძუძურ დედებს თავიანთ სახლებში ცხოვრების უფლებასაც აძლევენ, რათა რძე დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეუფერხებლად მიიღონ. კლიენტებს დედის რძის პირდაპირ მკერდიდან დალევა შეუძლიათ. მათ, ვისთვისაც ასე ჭამა მოუხერხებელია, რა თქმა უნდა, ბოთლის გამოყენების უფლება აქვთ", — აცხადებს Xinxinyu Household Service Company-ის წარმომადგენელი ლინ იუნი.



## მანქანის გარეცხვა 100 000 ევროდ

**კომპანია The Ultimate Shine-ის მფლობელი პოლ უილკინსი ძვირადღირებული ავტომანქანების მფლობელებს ექსკლუზიურ მომსახურებას სთავაზობს. ავტოსამრეცხაოში მანქანის გარეცხვა 100 ათასი ევრო ღირს.**

თანხა ახალი ლუქს კლასის ავტომობილის ღირებულებას უტოლდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრ მდიდარ ადამიანს არ ენანება 100 000 ევრო იმისთვის, რომ მისი ექსკლუზიური ავტომობილი, როგორც იტყვიან, „ბოლო ჭანჭიკამდე" პრიალებდეს.

პოლ უილკინსი აცხადებს, რომ მისი კომპანიის საქმიანობა არაა განკუთვნილი საშუალოსტატისტიკური მძღოლისთვის, რომელსაც ჰყავს „ფორდი" და მანქანას საკუთარი სახლის ავტოფარეხში აჩერებს. ის თანამშრომლობს მხოლოდ მდიდარ ადამიანებთან და ავტომობილის ფანატ კოლექციონერებთან, რომლებიც მანქანებს სადემონსტრაციო დარბაზებში ინახავენ.

შესაბამისად, ამ ადამიანებს სურთ, რომ მათი საყვარელი „სათამაშოები" იდეალურად გამოიყურებოდეს. კლიენტების ვინაობას პოლი არ ამჟღავნებს, მაგრამ ამბობს, რომ წელიწადში 3-4 მანქანას რეცხავს.

მანქანის ექსკლუზიური გასუფთავების ეტაპები ასეთია: თავდაპირველად პოლი და მისი თანამშრომლები ავტომობილის ყოველ კვადრატულ დიუმს აპრიალებენ და ყველა დეტალს ასწორებენ. ამას, შესაძლოა, ერთი თვეც კი დასჭირდეს. შემდეგ ავტომობილი სპეციალური გამწმენდი საშუალებით იწმინდება, რათა მანქანაზე გამწმენდი მასალის ერთი ლაქაც არ დარჩეს. ამის შემდეგ კი ჯერი ცვილით დამუშავებაზე დგება. ცვილი უილკინს სპეციალურად ჩამოაქვს ბრაზილიიდან და მისი ფასი 65 000 ევროა.



## ყველაზე მოდური ბავშვი

5 წლის ბავშვებს სათამაშოები უფრო იზიდავთ, ვიდრე ჩაცმა, თუმცა არსებობენ ისეთი გამონაკლისები, როგორიც მატეო ალონსოა.

მართალია, მატეო მხოლოდ 5 წლისაა, მაგრამ მას ცნობილი ბრენდების პერანგები და ინდივიდუალური, ექსკლუზიური კოსტუმები აცვია. სოციალურ ქსელებში მატეო ალონსოს ათიათასობით თაყვანისმცემელი ჰყავს, რომლებიც ყოველდღიურად უქებენ მატეოს სტილის შეგრძნებას. არიან ისეთებიც, ვინც თვლიან, რომ ეს ყველაფერი ზედმეტია 5 წლის ბიჭისთვის და ამ გატაცების გამო მატეოს, შესაძლოა, ნორმალური ბავშვობა არ ჰქონდეს.

მატეოს დედა — ლუიზა ფერნანდა ესპინოსა აცხადებს, რომ არასდროს წაუქეზებია შვილი.

„როდესაც მისთვის კოსტუმს ვყიდულობდით, აღვნიშნე, რომ მას ძალიან მოუხდებოდა შარფი ან ქუდი. მატეომ ეს სიტყვები დაიმახსოვრა და 3-4 წლის ასაკში უკვე თავად მთხოვდა კოსტუმებისთვის ჰალსტუხების შეძენას", — აცხადებს ლუიზა.

მატეომ პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც დედამისმა შვილის ფოტო სოცქსელ Instagram-ზე გამოაქვეყნა. დღეისთვის მატეოს გვერდის ხელმომწერი 130 000 ადამიანია. სხვა სოცქსელებში კი 5 წლის მოდის მიმდევარს რამდენიმე ფან-გვერდი შეუქმნეს.

ცნობილი სტილისტები, რომლებიც კრის ბრაუნთან, ბიონსესთან და კელი როულენდთან მუშაობენ, თვლიან, რომ მატეოს არაჩვეულებრივი გემოვნება აქვს.

სამოსის შესაძენად მატეო ალონსო ისეთი ბრენდის მაღაზიებს სტუმრობს, როგორიცაა „მარკ ჯეიკობსი", „სტელა მაკარტნი", Dolce&Gabanna.

„როდესაც მაღაზიაში ვართ, თუ რაიმე მოეწონა და საშუალება მაქვს, ვცდილობ, ვუყიდო", — აცხადებს ლუიზა.

სკოლაში წასვლის წინ, ყოველ დილით ალონსო თავად არჩევს გარდერობიდან სამოსს. ბიჭი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მის სახლთან ყოველთვის დგას რამდენიმე ადამიანი ფოტოაპარატით ხელში.

## 92 წლის ერაყელი კაცი 70 წლით უმცროს გოგოზე დაქორწინდა

**ერაყის დედაქალაქ ბაღდადში მცხოვრები 92 წლის ფერმერი ასაკს არ ნებდება. მუსალი მოჰამედ ალ-მუჯამაი 70 წლით უმცროს გოგონაზე დაქორწინდა.**

მისი რჩეული 22 წლის მუნა მუხლიფი მუსალის მეორე ცოლია. მუსალისთან ერთად იქორწინა მისმა ორმა შვილიშვილმაც. ბაბუა-შვილიშვილების საქორწინო ცერემონია 4 საათს გაგრძელდა. როგორც ის ამბობს, თავს 20 წლის ბიჭივით გრძნობს.

მას 16 შვილი ჰყავს და ამბობს, რომ ახალგაზრდა მეუღლე ძალიან უყვარს. მუსალის პირველი მეუღლე 3 წლის წინ გარდაიცვალა.



## სმარტფონები პატრონის ხასიათს გამოიცნობენ

**Microsoft-ში დარწმუნებულები არიან, რომ მომხმარებლის ხასიათის შესახებ ინფორმაციის ფლობა სმარტფონებს კიდევ უფრო მოსახერხებელ და გამოსადეგ მოწყობილობად აქცევს. კორპორაცია ისეთი ტექნოლოგიის შექმნაზე მუშაობს, რომელიც სმარტფონს საშუალებას მისცემს, დაადგინოს მისი მფლობელის ხასიათი და ავტომატურად გააგზავნოს ეს ინფორმაცია სოციალურ ქსელში.**

ახალ ტექნოლოგიას უკვე აქვს სახელი Moodscope. ეს არის აპლიკაცია, რომელიც ხასიათის კლასიფიკაციას რამდენიმე კატეგორიის მიხედვით ახდენს: აღელვება, ბედნიერება, დაძაბულობა, მოწყენილობა, სიმშვიდე, განცდა და გაბრაზება.

ადამიანის განწყობა რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით დგინდება — ამა თუ იმ აპლიკაციის გამოყენება, ზარი, მიმოწერა, ბრაუზერის ისტორია, ადგილმდებარეობა.

მეცნიერებმა უკვე ჩაატარეს ტესტები 32 მოხალისის მონაწილეობით და 66%-იან სიზუსტესაც მიაღწიეს. ზოგ შემთხვევაში სიზუსტე 93%-იც კი იყო.

მოხალისეები 2 თვის განმავლობაში იყენებდნენ მოწყობილობას და მიღებული შედეგის პარალელურად, აღწერდნენ საკუთარ მდგომარეობას. სმარტფონების მიერ განსაზღვრული ხასიათი, უმეტეს შემთხვევაში, მფლობელის ხასიათს დაემთხვა.



რა თქმა უნდა, ასეთი ტექნოლოგიის გამოყენება ერთგვარად ხელს უშლის პრივატულობას. ამასთან, Microsoft-ი დარწმუნებულია, რომ სისტემა ადამიანებს ურთიერთობაში დაეხმარება და უბიძგებს, რომ ერთმანეთისადმი მეტი ყურადღება გამოიჩინონ.

გაბრაზებულ მომხმარებელთან მალევე მივლენ მეგობრები, რომლებიც ამის შესახებ სოცქსელში წაიკითხავენ, ხოლო გაბრაზებულ უფროსს თანამშრომლები მოერიდებიან.



## პროთეზი, რომელსაც შეგრძნებები აქვს

**ებრაელმა მეცნიერებმა პროთეზებისთვის შექმნეს ბრტყელი და მოქნილი სენსორები, რომელთაც მფლობელისთვის შეხების, ტემპერატურისა და ტენიანობის შეგრძნების გადაცემა შეუძლიათ.**

მექანიკური მგრძნობელობითი სიახლე ადამიანის კანის მგრძნობელობას ვერ უტოლდება, მაგრამ ბევრი პრაქტიკული დავალების შესრულება შეუძლია. სენსორებს მექანიკური დატვირთვის, ერთი გრადუსის ფარგლებში ტემპერატურის ცვლილების აღმოჩენა და ერთ პროცენტამდე ტენიანობაზე რეაგირება შეუძლია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მცდარი «მეცნიერული» ფაქტები

**არსებობს ბევრი მითი, „მეცნიერული ფაქტი“ თუ, უბრალოდ, გაგონილი ამბავი, რომლისაც უამრავ ადამიანს სჯერა, მაგრამ არ შეესაბამება სიმართლეს:**



**1.** ღამურები ბრმები არ არიან. მართალია, ისინი სივრცეში ექოლოკაციის დახმარებით გადაადგილდებიან, მაგრამ, ამასთან, კარგი მხედველობაც აქვთ.

**2.** თმები და ფრჩხილები სიკვდილის შემდეგ ზრდას არ განაგრძობს. ასეთი შთაბეჭდილება იმის გამო რჩება, რომ ცხედრის კანი შრება.

**3.** სირაქლემები შიშის დროს თავს ქვიშაში არ მალავენ. საფრთხის შეგრძნების დროს მათ აქვთ ჩვევა, რომ მიწაზე დაეცნენ და თავი მოიმკვდარუნონ.

**4.** შაქრის მიღების შემდეგ ბავშვები ჰიპერაქტიურები არ ხდებიან. რამდენიმე კვლევამ დაამტკიცა, რომ ბავშვების აქტიურობა იგივე რჩება, თუ ისინი უშაქრო გაზიან სასმელს მიიღებენ.

**5.** ტყუილია, თითქოს ადამიანები ტვინის მხოლოდ 10%-ს იყენებენ. ჩვენ მთლიან ტვინს ვიყენებთ — უბრალოდ, სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა პერიოდში.

**6.** ფაქტი, რომ ზვიგენებს კიბო არ ემართებათ, არ შეესაბამება სიმართლეს. ისინიც ავადდებიან ონკოლოგიური დაავადებით.

**7.** ჩინეთის დიდი კედელი არ არის ადამიანის ხელით შექმნილი ერთადერთი რამ, რისი დანახვაც კოსმოსიდან შეიძლება. დედამიწიდან დაშორების მანძილის მიხედვით, შესაძლოა დაინახოთ ბევრი სხვა მსხვილი კონსტრუქციაც, ან ვერ დაინახოთ საერთოდ ვერც ერთი ობიექტი.

**8.** არ არსებობს „ფოტოგრაფიული მეხსიერება“, არსებობს მხოლოდ ძალიან კარგი მეხსიერება. იმ ადამიანებსაც კი, რომლებიც გამოირჩევიან უნიკალური მეხსიერებით, არ შეუძლიათ ვიზუალური დეტალების ისე დამახსოვრება, რომ ეს ფოტოგრაფიას შეედრებოდეს.

**9.** არ არის მართალი, რომ ჩაყლაპულ საღეჭ რეზინს ორგანიზმი 7-8 წლის განმავლობაში ინელებს. სინამდვილეში, ამისთვის ორგანიზმს რამდენიმე საათი სჭირდება.



# 110 წლის ბრიტანელი დღემდე სვამს ვისკის

**ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ხნიერი მოქალაქე, 110 წლის რალფ ტარანტი, განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა, რათა დიდხანს ეცოცხლა. მისი თქმით, ის აქტიურად ეწეოდა 70 წლამდე და დღემდე სვამს ვისკის.**

ბრიტანელი, რომელსაც უკვე ზრდასრული შვილთაშვილები ჰყავს, დღემდე სხვისი დახმარების გარეშე, თავად უვლის საკუთარ თავს და ვერ ხვდება, რატომ დაინტერესდა პრესა მისი პიროვნებით ასე ძალიან.

**„ვერ ვგრძნობ ჩემს ასაკს, ყოველ შემთხვევაში, გონებით. ზოგჯერ რაღაც მტკივდება, მაგრამ ძალა ყოველთვის მიბრუნდება“,** — აღნიშნა ტარანტმა.

2011 წელს ტარანტი და მისი მეუღლე ფელისი ბრიტანეთის ყველაზე „წარმატებულ წყვილად“ აღიარეს. მათ ერთად 79 წელი იცხოვრეს. ფელისი 103 წლის ასაკში გასულ წელს გარდაიცვალა. რალფს 2 შვილი, 7 შვილიშვილი, 11 შვილთაშვილი და 3 შვილთაშვილის შვილი ჰყავს.




## ყველაზე უჩვეულო მაღალანაზღაურებადი სამსახურები

**აშშ-ში არსებობს რამდენიმე უცნაური სამსახური, სადაც სპეციალისტები კვირაში ათასობით დოლარს გამოიმუშავებენ. ამგვარი სამსახურების რეიტინგი შემდეგნაირად გამოიყურება:**

1. **ბალზამის სპეციალისტი** — წლიური შემოსავალი **43 680** დოლარი.
2. **ჰოთ-დოგის გამყიდველი** — წლიური შემოსავალი **30 000**-დან **100 000** დოლარამდე.
3. **კონსულტანტი** — წლიური შემოსავალი **25 000**-დან **100 000** დოლარამდე.
4. **დაკრძალვის სერვისის მენეჯერი** — წლიური შემოსავალი **79 930** დოლარი.
5. **ნაყინის დეგუსტატორი** — წლიური შემოსავალი **56 000** დოლარი
6. **ცოცხალი მანეკენი — 100 დოლარი საათში.**
7. **სხეულის ნაწილების მოდელი** (მაგალითად: რეკლამირება წინდების, სამაჯურის, თვალის ჩრდილის და სხვა) — **საათში 20-დან 1 000 დოლარამდე.** თუ შუადღის შემდეგ იმუშავებთ, ანაზღაურება მატულობს.
8. **საკრუიზო გემის მსახიობი** — თვიური ანაზღაურება **3000-დან 4 500 დოლარამდე.**

# აშშ-ში მანიაკი–მკვლელი ფსიქოლოგიის პროფესორი გახდა

**ილინოისში უნივერსიტეტის 61 წლის პროფესორმა დამალა ფაქტი, რომ 46 წლის წინ საკუთარი ოჯახი ამოხოცა, ის უდანაშაულოდ სცნეს.**

პროფესორის წარსულს ტეხასში, ჯორჯთაუნის ერთ-ერთი გაზეთის რეპორტიორმა ახადა ფარდა. სწორედ მან გამოაქვეყნა ყველასთვის პატივსაცემი პედაგოგის ჯეიმს სენტ-ჯეიმსის ცხოვრების აქამდე უცნობი დეტალები.

ფსიქოლოგიის დოქტორი სენტ-ჯეიმსი, რომელმაც სასწავლო დაწესებულებაში 30 წელი იმუშავა, მანიაკი მკვლელი აღმოჩნდა, რომელმაც 1967 წლის 4 აგვისტოს 15 წლისამ საკუთარი ოჯახის წევრები დახვრიტა.

ჟურნალისტური გამოძიების შემდეგ დადგინდა, რომ მამაკაცის ნამდვილი სახელი და გვარი ჯიმ ვოლკოტია.

46 წლის წინ მან მამა გორდონი, 17 წლის და ლიბი და დედა ელიზაბეტი დაიხოცნენ.

როდესაც ვოლკოტების სახლში პოლიცია მივიდა, ბიჭმა დაუყოვნებლივ აღიარა დანაშაული.

დაკითხვაზე ჯიმი ირწუმებოდა, რომ ფსიქიკური აშლილობით იტანჯებოდა და დაავადება მაშინ გაურთულდა, როდესაც წებოს შესუნთქვა დაიწყო.



მკვლელმა განაცხადა, რომ ვერ იტანდა ოჯახის წევრებს და ეგონა, რომ ყველა მისი ჭკუიდან გადაყვანას ცდილობდა. ბიჭმა თქვა, რომ დედამისი საჭმელს ხმამაღლა ღეჭავდა. ჯიმის აზრით, ეს მისი განადგურების მცდელობა იყო. რაც შეეხება მამას, ის ბევრ რამეს უკრძალავდა, მათ შორის ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო სიმბოლოების ტანსაცმელზე დამაგრებას. დის ლაპარაკი კი ნერვებს უშლიდა.

სასამართლო პროცესი 6 თვეს გაგრძელდა. 15 წლის ჯიმს მკვლელობაში დასდეს ბრალი. საბოლოოდ, სასამართლოს ექიმებმა მას დიაგნოზი — პარანოიდული შიზოფრენია დაუსვეს. ჯიმ ვოლკოტი ფსიქიკური მდგომარეობის გამო უდანაშაულოდ სცნეს და ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს.

ექვსი წლის შემდეგ ვოლკოტის საქმე გადაიხედა. ის ჯანმრთელად სცნეს და გაათავისუფლეს.

1988 წელს ჯიმმა სახელი შეიცვალა და ჯეიმს სენტ-ჯეიმსი დაირქვა. მოგვიანებით დოქტორის ხარისხი მიიღო და უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა.

**„მხოლოდ ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ დოქტორ სენტ-ჯეიმსის წარსულის შესახებ. ჩვენ ვთვლით, რომ ახალგაზრდობისას მოხდარი ისტორიის შემდეგ, მისი მცდელობა, ნორმალური ცხოვრებით ეცხოვრა, დაუჯერებელია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის კვლავაც განაგრძობს ჩვენს უნივერსიტეტში მუშაობას“,** — აცხადებენ უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები.

სენტ-ჯეიმსს მხარი თანამშრომლებმაც დაუჭირეს.

**„ის მართლაც კარგი ადამიანია. მასთან უამრავი კარგი მოგონება მაქვს. ძალიან მეცოდება. ახლა მთელი მისი ცხოვრება გადატრიალდება“,** — აცხადებს კოლეჯის ყოფილი მოსწავლე ლანა ჰინშოუ კლანი.

უმაღლესში მისი მუშაობის გაგრძელების სასტიკი წინააღმდეგია ქალაქის საბჭოს წევრი დოუსონი.

**„ის სასწრაფოდ უნდა გაათავისუფლოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ. მე რომ სტუდენტების მშობელი ვიყო, შემაწუხებდა ის ფაქტი, რომ ჩემს შვილს ნასამართლევი, მანიაკი მკვლელი ასწავლის“,** — აცხადებს დოუსონი.



## ჰანტელები თითებისთვის

**სმარტფონი და კომპიუტერის მაუსი ხელის თითებს აწუხებს და ხშირად ადამიანები ტკივილსაც განიცდიან.** სწორედ ამიტომ შექმნეს პაწაწინა ჰანტელები „Thumbell“, რომელიც ცერა თითზე მაგრდება. Thumbell-ის წყალობით, მთელი სიმძიმე ხელის მტევანსა და თითებზე გადადის და ძვლები ტონუსში მოჰყავს. რასაკვირველია, „Thumbell“ მძიმე არაა და ხელის თითების ამტანობაზეა გათვლილი. Thumbell ბრიტანეთში შეიქმნა და ფართო გაყიდვაშიც ჯერჯერობით მხოლოდ ამ ქვეყანაში ჩაეშვა. როგორც ადგილობრივი საავადმყოფოების სტატისტიკა ცხადყოფს, ბოლო რამდენიმე წელია, ხელის თითების ტკივილით ბრიტანელთა 43% იტანჯება.

# მიხეილ სააკაშვილი: «იმედი» გიორგი თარგამაძემ დახურა



— „იმედი“ ვინ დახურა, ხომ არ გახსოვთ? ჩვენ რომ დავხურეთ, მერე გავხსენით, სახელი და გვარი, ვინც „იმედი“ დახურა, არის გიორგი თარგამაძე, — საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 20 აგვისტოს ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილმა სცადა სახელმწიფო გადატრიალება და გამოვიდა ღია ეთერში, „იმედის“ კოლექტივმა დახურა ტელევიზია.

**„ეს მოხდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ რუსების დავალებით თქვენი მაშინდელი მფლობელი აკეთებდა სახელმწიფო გადატრიალებას, კლავდა შს მინისტრს და აპირებდა რაღაცას პრეზიდენტზე,“** — აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, „მე-9 არხი“ პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა დახურა.

**„ვინ დახურა „მე-9 არხი“? აბა, გამოიცანით. მე დავხურე? „მე-9 არხმა“ გაუშვა ფილმი პუტინზე, დაურეკეს „მე-9 არხის“ მფლობელს და ხომ არ იცით მისი სახელი და გვარი, ეს არის საქართველოს პრემიერმინისტრი. დახურა არხი მოსკოვიდან დარეკვით. თუ გინდათ სიმართლე, მე იქ ვიყავი და ვიცი. მივყვეთ ისტორიას? „25-ე არხი“ გაიფურჩქნა ჩემი მთავრობის დროს და პოპულარული იყო. მე არ ვიცი, ვინ რა პრობლემები შეუქმნა. ძალიან კარგად ვიცი, რომ ბათუმში ერთ-ერთი მთავარი არხი იყო „25-ე არხი“,** — განაცხადა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, საზოგადოება თვითონ ჩაება კლიშეებში და იძახის, პრეზიდენტმა რაღაც დახურაო.

**„არსებობს ბევრი მთავრობა, რომელიც ამას აკეთებდა, ჩვენ ეს მთავრობა არ ვიყავით. „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტება გამოიწვია დებატებში თავის არიდებამ. ჩვენ ვარიდებდით თავს თავისუფალ დებატებს, ამაში იბადება ჭეშმარიტება, მაგრამ არის ბევრი სიბინძურე და ტყუილები. გუშინ ავედი ბათუმში, სააკაშვილმა ფერიის მთაზე დაანგრიაო ეკლესია. ცხვირი დავადებინე ყველას, სად არის დანგრეული ეკლესია! ყველას ეგონა, მე ეკლესია დავანგრიე. ვინ დაანგრია ეკლესია? სააკაშვილი მკვლელი, სააკაშვილი ის, ეს. ახლა ხომ არის სიმართლე, ახლა მიდით და ნახეთ ეკლესიაც არის, ფუნიკულიორიც არის ჩემი ინიციატივით გაკეთებული. ეს მითები ნაწილ-ნაწილ ირღვევა და მინდა ამ თემებზეც ღიად ვილაპარაკოთ“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი

# Google: ნუ ელით, რომ Gmail-ი მიმოწერის საიდუმლოებას დაიცავს

+You Search Images Play Gmail Drive Calendar Translate Blogger More »

**კრიტიკოსების თქმით, განცხადება, რომელიც Google-მა ჯგუფური საჩივრის თავიდან აცილების მიზნით სასამართლოში გააგზავნა, „სენსაციური აღიარებაა“. Gmail-ის 425 მილიონი მომხმარებლიდან ნებისმიერს, რომლებიც ელექტრონულ წერილებს აგზავნიან, არ აქვთ „საფუძველი, ელოდონ“, რომ მათი გზავნილები კონფიდენციალური იქნება, — განაცხადა ინტერნეტგიგანტმა.**





საზოგადოებრივი ორგანიზაცია Consumer Watchdog-ი, რომელმაც ეს განცხადება აღმოაჩინა, მას „სენსაციურ აღიარებას“ უწოდებს. აღსანიშნავია, რომ **GOOGLE იმ კომპანიებს შორისაა, რომლებსაც ბრალს სდებენ დღეს აშშ-ის მოქალაქეებსა და უცხოელებზე თვალთვალში, რომლის ორგანიზატორიც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოა (NSA).**

**„როგორც იქნა, Google-მა აღიარა, რომ კონფიდენციალურობას პატივს არ სცემს“,** — განაცხადა Consumer Watchdog-ის კონფიდენციალურობის პროექტის დირექტორმა ჯონ სიმპსონმა. **„ჩვენ მათი სიტყვები სერიოზულად უნდა აღვიქვათ. თუკი მიმოწერის საიდუმლოება თქვენთვის მნიშვნელოვანია, Gmail-ი არ გამოიყენოთ“.**

Google-მა თავისი პოზიცია გასულ თვეში განმარტა. კომპანია ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ჯგუფური საჩივარი, რომელშიც ტექნოლოგიურ გიგანტს თვალთვალთან დაკავშირებული კანონების დარღვევაში ადანაშაულებენ, კერძოდ იმაში, რომ ის ასკანერებს სხვა საფოსტო სერვისებიდან გაგზავნილ წერილებს იმისთვის, რომ Gmail-ის მომხმარებლებს მიზნობრივი რეკლამა უჩვენოს.

მაისში წარდგენილ საჩივარში ნათქვამია, რომ **GOOGLE „უკანონოდ ხსნის და კითხულობს ელექტრონული ფოსტის პირად მიმოწერას და იქიდან ინფორმაციას კრეფს“.** მასში Google-ის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელის, ერიკ შმიდტის, სიტყვებია მოყვანილი: **„Google-ის პოლიტიკა არის ის, რომ ბოლომდე მიუახლოვდეს საშიშ ზღვარს, მაგრამ არ გადალახოს ის“.**

**„მილიონობით ადამიანისგან ფარულად, წლობით, ყოველდღიურად, სისტემატიურად და შეგნებულად Google ლახავდა ამ ზღვარს, კითხულობდა რა პირად მიმოწერებს, ანუ ინფორმაციას, რომლის მასთან გაზიარებასაც მომხმარებლები არ აპირებდნენ და რომლის შეგროვების, შენახვისა და დამუშავების უფლებაც მას არ ჰქონდა“.**

შუამდგომლობაში, რომელშიც კომპანია სარჩელის აცილებას ითხოვს, თავად აცხადებს, რომ **მოსარჩელეები ცდილობენ „ისეთი ჩვეულებრივი საქმიანი პრაქტიკის კრიმინალიზებას“, რომელიც სერვისის შექმნის დღიდან GMAIL-ის სამუშაოს ნაწილია.** Google-ის აზრით, **„ელექტრონული ფოსტის ყველა მომხმარებელი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მათი წერილები ავტომატურად დამუშავდება“.**

**„როდესაც წერილს საქმიან პარტნიორთან აგზავნი, შეიძლება ივარაუდო, რომ მას მისი მდივანი წაიკითხავს. სწორედ ასე, ადამიანებს, რომლებიც ახლა ქსელის ელექტრონულ ფოსტას იყენებენ, არ უნდა უკვირდეთ, თუკი მათი გზავნილები დამუშავდება მიწოდების პროცესში იმ კომპანიის მიერ, რომელიც მომხმარებელს ელექტრონული ფოსტის მომსახურებას უწევს“,** – მიაჩნია Google-ს.

Google-ის იურისტები, კონფიდენციალურობის დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების პრაქტიკაზე დაყრდნობით, წერენ, რომ **„სარჩელში ძალიან მწირი ინფორმაციაა მიმოწერის მხარეების კონკრეტულ ურთიერთობებსა და კონკრეტულ გარემოებებზე, იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს დამაჯერებელი დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ კონფიდენციალურობის მოლოდინი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტურად დასაბუთებულია“.**

Google-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ამ კვირაში განაცხადა: **„ჩვენ სერიოზულად ვუდგებით მომხმარებელთა უსაფრთხოების საკითხებს და მიმოწერის კონფიდენციალურობას. საპირისპიროს მტკიცება უბრალოდ არასწორია“.**

**„ჩვენ აღვჭურვეთ GMAIL-ი დარგის საუკეთესო მექანიზმებით, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალურობას და უსაფრთხოებას, თანაც ეს დაცვა ვრცელდება ყველა წერილზე, ვინც არ უნდა უგზავნიდეს მას GMAIL-ის მომხმარებელს“.**

სიმფსონი, რომელიც დიდი ხანია, რაც კომპანიას აკრიტიკებს, ამტკიცებს: **„Google-ის წერილში ყალბი ანალოგიაა: ელექტრონული წერილის გაგზავნა იგივეა, რაც ჩვეულებრივი წერილის მიტანა ფოსტაში. ველოდები, რომ ფოსტა წერილს კონვერტზე მითითებულ მისამართზე მიიტანს და არ ვფიქრობ, რომ ფოსტალიონი მას გახსნის და წაიკითხავს...**

**ანალოგიურად, როდესაც ელექტრონულ წერილს ვაგზავნი, ვფიქრობ, რომ მას მიაწვდიან Gmail-ის მომხმარებელს, რომელსაც კონკრეტული ფოსტის მისამართი აქვს. რატომ უნდა ვფიქრობდე, რომ Google მას ხელში ჩაიგდებს და წაიკითხავს?!“**

**დომინიკ რაში**
Guardian.go.uk

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

## გახარიების საყურადღებოდ!

სამების ტაძარში 1 სექტემბერს (კვირას) დილის წირვის შემდეგ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია-II დალოცავს გახარიების გვარს.

გელოდებით ყველას.

მერი, ნანა და მარიკა დევდარიანები, მაია, გიორგი და ნიკოლოზ ჩუბინიშვილები, თამარ და ნინო კამკამიძეები, ირაკლი მარკოზაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ

ლევან კოტეტიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება — ხუთშაბათს, 22 აგვისტოს;
მისამართი — თბილისი, ფალიაშვილის ქ. №9.

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დაირეკეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894